

კონსტანტინე კორკელია (რედ.)

**ადამიანის უფლებათა დაცვის
კონსტიტუციური და საერთაშორისო
მექანიზმები**

სტატიათა კრებული

თბილისი, 2010

Konstantin Korkelia (Red.)

Verfassungsrechtliche und internationale Mechanismen des Menschenrechtsschutzes

Aufsatzsammlung

Tbilissi, 2010

წინამდებარე წიგნი გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით. გამომცემელი არ იღებს პასუხისმგებლობას წიგნის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.

Das vorliegende Buch ist mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH herausgegeben worden. Der Herausgeber übernimmt für die Richtigkeit und Vollständigkeit des Inhaltes keine Verantwortung.

© გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), 2010

© სტატიათა ავტორები, 2010

ISBN

კრებულის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ გვერდზე:
www.gtz.de/law-caucasus

Die elektronische Version der Sammlung können Sie von unserer Webseite herunterladen.
www.gtz.de/law-caucasus

Hrsg.:	გამომცემელი:
gtz	gtz
Projekt: Rechts- und Justizreformberatung im Südkaucasus Rustaveli Allee 30 0140 Tbilissi, Georgien Tel.: +995 (32) 933712 Fax: +995 (32) 997764 E-Mail: legalreform_caucasus@gtz.de www.gtz.de/law-caucasus	პროექტი: სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში რუსთაველის გამზ. 30 0140 თბილისი ტელ.: +995 (32) 933712 ფაქსი: +995 (32) 997764 E-Mail: legalreform_caucasus@gtz.de www.gtz.de/law-caucasus

ჩვენი მიზანი

შპს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) არის მსოფლიო მასშტაბის მქონე საწარმო საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების დარგში. ის მხარს უჭერს გერმანიის ფედერალურ მთავრობას განვითარების პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში. GTZ სთავაზობს გლობალიზირებულ მსოფლიოს აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური საკითხების გადაჭრის მომავალზე ორიენტირებულ გზებს, იგი მხარს უჭერს კომპლექსურ რეფორმებს და განვითარების პროცესებს რთულ პირობებშიც კი. მისი მიზანია, ადამიანების ცხოვრების პირობების მდგრადი გაუმჯობესება.

ჩვენი ღამკვეთები

GTZ არის ფედერალური საწარმო, რომლის სათაო ოფისი განთავსებულია ეშბორნში, მაინის ფრანკფურტთან. ის ჩამოყალიბდა 1975 წელს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი მთავარი დამკვეთია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ). გარდა ამისა, ის მუშაობს სხვა ფედერალური უწყებების, ასევე სხვა ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვეთით, როგორცაა ევროკომისია, გაერო ან მსოფლიო ბანკი, აგრეთვე კერძო ორგანიზაციების დავალებითაც. GTZ თავის ამოცანებს ახორციელებს საერთო სარგებლობისათვის. ზედმეტი თანხები გამოიყენება მხოლოდ საკუთარივე პროექტებისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად.

მსოფლიო მასშტაბი

GTZ წარმოდგენილია აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის, ხმელთაშუა ზღვისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონების, ასევე ევროპის, კავკასიისა და შუა აზიის 120-ზე მეტ ქვეყანაში. აქედან 92 ქვეყანაში მას საკუთარი ოფისები გააჩნია. მთელი მსოფლიოს გარშემო მას დასაქმებული ჰყავს 12.000 თანამშრომელი, აქედან 9.000 ადამიანი ადგილობრივი თანამშრომელია. ემბორნის ცენტრალურ ოფისში და გერმანიის სხვა ოფისებში დაახლოებით 1.500 ადამიანი მუშაობს.

სამხრეთ/კავკასიის ქვეყნებში BMZ-ის დავალებით GTZ სხვადასხვა პროექტს ახორციელებს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების მხარდასაჭერად. ამ პროექტების ფარგლებში მუშაობენ როგორც მოკლე-, ისევე გრძელვადიანი მონვეული ექსპერტები, რომლებიც ახორციელებენ საკანონმდებლო კონსულტაციას და ატარებენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებს, ასევე მონაწილეობას ლეზბულობენ სპეციალურ კონფერენციებში. პუბლიკაციების - მასალათა კრებულის - ფარგლებში გამოიცემა მოხსენებები, ასევე პროექტების სხვა მასალები. გარდა ამისა, გამოიცემა პერიოდული სპეციალური ლიტერატურაც.

სარჩევი

კონსტანტინე კორკელია

წინასიტყვაობა..... 7

თეიმურაზ ანთელავა

ექსტრატერიტორიული იურისდიქციის ტესტი ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში:
თანმიმდევრულობის დეფიციტი ბანკოვიჩიდან ალ-სქეინიმდე 9

ირაკლი გვირაძე

ინფორმაციის მიღების თავისუფლება ადამიანის უფლებათა
ევროპული კონვენციის მიხედვით 27

დავით თომაძე

საგადასახადო ვალდებულებები და საკუთრების უფლება –
ევროპული სასამართლოს ხედვა 39

ნათია კალანდარიშვილი

ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის
ურთიერთმიმართება 51

სოფიო კუპრაძე

ტერიტორიული დათქმები ადამიანის უფლებათა
ევროპული კონვენციის მიმართ და ქართული პრაქტიკა..... 69

ბესიკ ლოლაძე

საკუთრების უფლების კონსტიტუციურსამართლებრივი
დაცვა საქართველოში..... 99

ვახუშტი მენაბდე

კონკრეტული კონტროლის პარადიგმა კონსტიტუციონალიზმში 123

ლარს კრისტინ სუნდე

სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის ევროპული პერსპექტივა 149

ლალი ფაფიაშვილი

დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები
სისხლის სამართლის პროცესში 163

ირაკლი ყანდაშვილი

ქონებრივი რესტიტუცია ქართული კანონმდებლობისა და
სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე 199

მიხეილ შარაშიძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის
„რეალური“ კონსტიტუციური სარჩელების განხილვის
უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივები 209

რევაზ ხოფერია

ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება და
უფლების დაცვის ეფექტიანი საპროცესო მექანიზმი 219

ქეთევან ხუციშვილი

ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და
დახმარება საქართველოში ევროპის საბჭოს კონვენციის მიხედვით..... 237

ავტორთა შესახებ..... 263

წინასიტყვაობა

ადამიანის უფლებათა დაცვა რჩება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხად და, ალბათ, უახლოეს მომავალში, თუ ოდესმე, არ დაკარგავს აქტუალობას. ის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებიც ახლა ქმნიან და სრულყოფენ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, არამედ მდიდარი სამართლებრივი ტრადიციების მქონე ქვეყნებშიც. საქართველოსათვის, რომელსაც შედარებით მცირე გამოცდილება აქვს, ევროპული სტანდარტებით ადამიანის უფლებათა დაცვაში, არსებითი მნიშვნელობა აქვს, გაიზიაროს და თავის რეალობას მოარგოს ის სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც წარმატებული აღმოჩნდა სხვა ქვეყნებში.

ასეთი გამოცდილების გაზიარების ერთ-ერთი გზაა იმ ქვეყნების სამართლებრივი სისტემების, კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესწავლა, რომლებმაც უკვე განვლეს ის გზა, რასაც საქართველო ახლა გადის. არანაკლები მნიშვნელობა აქვს საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ჩამოყალიბებული სტანდარტების დამკვიდრებას, რომელიც, კონვენციის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია „ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციურ დოკუმენტად“.

ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში სამართლებრივ დისკუსიას, მსჯელობას მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტებს შორის ამა თუ იმ სამართლებრივი მექანიზმის საქართველოში დამკვიდრების მიზანშეწონილობაზე, სხვა ქვეყნებში წარმატებული სისტემის საქართველოში რეცეფციის დადებით და უარყოფით მხარეზე. სამწუხაროდ, საქართველოში მცირე რაოდენობით გამოდის სამართლებრივი ჟურნალები, რომლებშიც არის მსჯელობა ასეთ საკითხებზე. ასეთი კრებულის გამოცემის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი საქართველოში ასეთი ჟურნალების ნაკლებობაც არის.

წინამდებარე სტატიათა კრებული მიზნად ისახავს, გააცნოს მკითხველს სხვა სახელმწიფოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ამ პრაქტიკის გაცნობა შეიძლება გახდეს გარკვეული ორიენტირი ქვეყანაში ადამიანის უფლებათა შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფის თვალსაზრისით.

სტატიების ავტორები, რომლებიც როგორც პრაქტიკოსი, ისე მეცნიერი იურისტების არიან, თავისუფალნი იყვნენ სტატიების თემატიკის შერჩევაში. ამიტომ, სტატიების თემატიკა ბუნებრივად ასახავს იმ საკითხებს, რომლებიც, ავტორების აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა დღევანდელი საქართველოსათვის. კრებულში განხილულია მრავალი საინტერესო თემა, როგორებიცაა: ექსტრატერიტორიული იურისდიქცია, ინფორმაციის მიღების თავისუფლება, ქონებრივი რესტიტუცია, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა, ტერიტორიული დათქმა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიმართ, კონსტიტუციული კონტროლის მოდელი, დაკავებისა და დაპატიმრების სამართლებრივი სა-

ფუძვლები, სასამართლო განაჩენის დასაბუთებულობა, საგადასახადო ვალდებულებები და საკუთრების უფლება, ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ურთიერთმიმართება.

წინამდებარე პროექტი განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) მხარდაჭერით.

ნიშანდობლივია, რომ გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით გამოცემული ეს უკვე მეოთხე კრებულია და მის გამოცემამ უკვე რეგულარული ხასიათი მიიღო. წინა კრებულებმა დადებითი შეფასება დაიმსახურა, რამაც განაპირობა კიდევ ერთი კრებულის გამოცემა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების პოპულარიზაციისათვის გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით სხვა პუბლიკაციებიც გამოიცა, როგორებიცაა: „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“ (2006 წ.), „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები“ (2007 წ.), „ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები“ (2009 წ.), „როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით“ (2010 წ.).¹

გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) „სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში“ პროგრამის ჯგუფის ხელმძღვანელს, ბატონ ფოლკერ შტამპესსა და სამართლის ექსპერტს, ქალბატონ თამარ ზოდელავას.

მინდა გამოვთქვა იმედი, რომ კრებული ხელს შეუწყობს საქართველოში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების, ასევე სხვა დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარებას, რაც საბოლოოდ განამტკიცებს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემას ქვეყანაში.

სტატიებში გამოხატულია ავტორების შეხედულებანი, რომლებიც შეიძლება არ ემთხვეოდეს იმ ორგანიზაციათა პოზიციებს, სადაც ავტორები მოღვაწეობენ.

კრებული განკუთვნილია როგორც იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისათვის, განსაკუთრებით მოსამართლეებისათვის, ადვოკატების, პროკურორების, მოსამართლეთა თანამშრომლებისა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთათვის, ისე ადამიანის უფლებათა საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

კონსტანტინე კორკელია
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო
სამართლის პროფესორი
2010 წლის აგვისტო

¹ ამ პუბლიკაციის გამოცემას ასევე ხელი შეუწყო ევროკავშირმა.

ექსტრატერიტორიული იურისდიქციის ტესტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ საგართალოში: თანმიმდევრულობის დავიციტი ბანკოვიჩიდან ალ-საინიმიდე

თეიმურაზ ანთელავა

1. შესავალი

გლობალიზაციის პროცესების ინტენსიფიკაციასთან ერთად, სულ უფრო ფართოვდება ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქმედების გეოგრაფიული არეალი. ტრადიციული შეხედულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს მოქმედებები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, შეზღუდულია ამავე სახელმწიფოს ტერიტორიით, არსებული რეალობის გათვალისწინებით, სულ უფრო და უფრო ნაკლებად დასტურდება. ტენდენცია, როდესაც, ისეთი კლასიკური შემთხვევის გარდა, როგორცაა დიპლომატიური და საკონსულო ფუნქციების განხორციელება, სახელმწიფო თავისი ტერიტორიის გარეთ მოქმედებს, აშკარად ძლიერდება.

გლობალიზაციისათვის ასევე დამახასიათებელი, პარალელური ტენდენციაა ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერნაციონალიზაცია და უნივერსალიზაცია. იგი, სხვა საკითხებთან ერთად, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, ცალკეული პირებისათვის, მათი უზრუნველყოფის მიზნით, მაქსიმალურად ექსპანსიურ გამოყენებას გულისხმობს.

აღნიშნული პარალელიზმი, რომელიც, ერთი მხრივ, სახელმწიფოთა საზღვარგარეთ მოქმედების გააქტიურებით, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა ნორმების ექსპანსიური გამოყენებით გამოიხატება, კონკრეტულ სიტუაციებში ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის საკითხის გადაჭრისას ახალ და ადრე ნაკლებად აქტუალურ პრობლემებს ქმნის.

ეს პრობლემები გამონაკლისი არაა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემისათვის. უკანასკნელ წლებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში — ევროპული სასამართლო) განსჯად საქმეებში, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ჩადენილ მოქმედებებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში — ევროპული კონვენცია) გამოყენების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახ-

და. ასეთ საქმეებში ევროპული კონვენციის გამოყენებისათვის უპირველესი წინაპირობა ექსტრატერიტორიული იურისდიქციის დადგენაა.

როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ტესტი, რომელსაც ევროპული სასამართლო ექსტრატერიტორიული იურისდიქციის საკითხის გადასაწყვეტად იყენებს, შემთხვევათა უმეტესობაში, განსხვავებულია საქმიდან საქმემდე, რაც ამ საკითხისადმი მის აშკარად არაერთგვაროვან მიდგომაზე მიუთითებს. ასეთი არაერთგვაროვანი მიდგომა ევროპული კონვენციის მოქმედების ფარგლებს ბუნდოვანს ხდის. ეს კი, თავის მხრივ, ნეგატიურ გავლენას ახდენს ევროპული კონვენციის დარღვევათა პრევენციასა და მისი მონაწილე სახელმწიფოების მიერ თავიანთი პოზიტიური ვალდებულებების შესრულებაზე.

წინამდებარე სტატიის მიზნია აღნიშნული არაერთგვაროვნების დეტალებში გარკვევა და მათი ანალიზის საფუძველზე ხსენებული ბუნდოვანების ტენდენციის სამომავლო განვითარების კონტურების მოხაზვა.

2. ექსტრატერიტორიული იურისდიქციის ტესტი სტრასბურგის პრეცედენტულ სამართალში: რჩეული საქმეების მიმოხილვა

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ მიმოიხილება ევროპული სასამართლოს მიერ გადანყვეტილი ზოგიერთი საქმის მხოლოდ ის ასპექტი, რომელიც კავშირშია ამ სტატიის შესავალში განსაზღვრულ შინაარსობრივ კონტექსტთან. ამ თვალსაზრისით შერჩეული ასპექტების გარდა, ეს საქმეები სხვა უამრავ საკითხს მოიცავს. წინამდებარე სტატია მიზნად არ ისახავს მათ ანალიზს და, შესაბამისად, თითოეული მათგანის გარემოებათა ამომწურავად ცოდნისათვის მხოლოდ მასზე დაყრდნობა არ არის მიზანშეწონილი.

2.1. კონცეპტის ზოგადი აღწერა

„იურისდიქცია“ არის ტერმინი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ან სხვა მარეგულირებელი ორგანოს (როგორცაა, მაგალითად, ევროპული გაერთიანება) სამართლებრივ კომპეტენციას, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია შექმნას, გაავრცელოს და აღსრულებაში მოიყვანოს ქცევის წესები პირთა წრის მიმართ.¹

ევროპული კონვენციის პირველი მუხლის თანახმად: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ

¹ V. Lowe, *Jurisdiction*, in: M. Evans (ed.), *International Law* (New York: Oxford University Press, 2003), 329. აქ და შემდგომში ინგლისურიდან თარგმანი ავტორის მიერაა შესრულებული. საერთაშორისო სამართალში იურისდიქციის ცნების შესახებ ბიბლიოგრაფიისათვის იხილეთ იქვე, გვ. 354-355.

კონვენციის I კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.⁴² ეს იმას ნიშნავს, რომ ნეკრი სახელმწიფოს მხრიდან ევროპული კონვენციით დაცული რომელიმე უფლების სავარაუდო დარღვევის და, შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობის დასადგენად, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, დადგინდეს, ვრცელდებოდა თუ არა ამ სახელმწიფოს იურისდიქცია იმ კონკრეტულ სიტუაციაზე, რომელშიც სავარაუდო დარღვევაზე მიმანიშნებელი ფაქტობრივი გარემოებები აღინიშნებოდა.

იშვიათი გამონაკლისების გარდა, იურისდიქციის დადგენის ტესტი არ გამოიყენება მაშინ, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში მომხდარ სავარაუდო დარღვევას. თავისთავად იგულისხმება, რომ სახელმწიფო ხელისუფლება სუვერენულ კონტროლს ახორციელებს თავის ტერიტორიაზე და, შესაბამისად, ავრცელებს მასზე იურისდიქციას. გამონაკლისი მაშინ კეთდება, როდესაც მყარ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, სახელმწიფო, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, საკუთარი ტერიტორიის კონკრეტულ ნაწილზე სახელისუფლებო კონტროლის არარსებობას ასაბუთებს. ასეთი შემთხვევის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილის სამხედრო ოკუპაცია სხვა სახელმწიფოს მიერ.

ტერიტორიული იურისდიქციის გარდა, საერთაშორისო სამართალში აღიარებულია ასევე ექსტრატერიტორიული იურისდიქციის ცნება. იგი გულისხმობს, რომ სახელმწიფოს იურისდიქცია შეიძლება ასევე ვრცელდებოდეს სიტუაციაზე, რომელიც მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ იქმნება. ტერიტორიული იურისდიქციისაგან განსხვავებით, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს შესაძლო პასუხისმგებლობას მისი ტერიტორიის გარეთ განვითარებულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, იურისდიქციის დადგენის ტესტი სავალდებულოა.

ევროპული კონვენციის სამართლებრივი რეჟიმის ფარგლებში ექსტრატერიტორიული იურისდიქციის დასადგენად საჭიროა დადასტურდეს, რომ სახელმწიფო ავრცელებდა თავის ხელისუფლებასა და/ან *de facto* კონტროლს იმ სიტუაციაზე, რომლის შიგნითაც განვითარებული ფაქტობრივი გარემოებები ქმნიან ეჭვს ევროპული კონვენციით დაცული რომელიმე უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ, იმის მიუხედავად, რომ ეს სიტუაცია შეიქმნა მისი ტერიტორიის მიღმა. ექსტრატერიტორიული იურისდიქციის ტესტის ორ — ხელისუფლების გავრცელებისა და *de facto* კონტროლის — ასპექტად დაყოფა შემთხვევითი არაა. პირველი გულისხმობს, რომ არსებობს სამართლებრივი და ლეგიტიმური საფუძველი, რომელიც უფლე-

2 აქ და შემდგომში გამოიყენება ევროკონვენციის ქართული ვერსია, რომელიც ევროსასამართლოს სამდივნოს მიერაა გავრცელებული. ამ ვერსიის სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტ ბმულზე: <<http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/181D458D-52B6-44A1-9C05-EC559F-DA4D9D/0/GeorgianGeorgien.pdf>> (2010 წლის 1 მაისის მდგომარეობით).

ბას აძლევს და/ან ავალდებულებს სახელმწიფო ხელისუფლებას, განახორციელოს თავის კომპეტენციაში შემავალი ესა თუ ის ფუნქცია საკუთარი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. ამგვარი შემთხვევის კლასიკურ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სახელმწიფოს მხრიდან დიპლომატიური და საკონსულო ფუნქციების განხორციელება.³ რაც შეეხება *de facto* კონტროლს, როგორც ამას თვით სახელწოდება აჩვენებს, მასში იგულისხმება, რომ, სამართლებრივი და ლეგიტიმური საფუძვლის არარსებობის ან სადავობის მიუხედავად, სახელმწიფოს აქვს ფაქტობრივი კონტროლი მისი ტერიტორიის გარეთ განვითარებულ კონკრეტულ სიტუაციაზე. *de facto* კონტროლის კლასიკური მაგალითია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის სამხედრო ოკუპაცია.⁴ ამ მაგალითის ახლოს მდგომად შეიძლება განვიხილოთ ასევე შემთხვევა, როდესაც ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილს სეპარატისტული მოძრაობის და/ან თვითგამოცხადებული ხელისუფლების მეშვეობით აკონტროლებს.⁵

- 3 საქმეში „იქსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*X. v. the United Kingdom*), application no. 7547/76, Decision of the Commission on the admissibility, 15 December 1977, Decisions and Reports 12 (pp. 73-76), ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, რომ: „[...] სახელმწიფოს სახელით მოქმედი უფლებამოსილი პირები, დიპლომატიური და საკონსულო აგენტების ჩათვლით, სხვა პირებს ან საკუთრებას ამ სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში მოაქცევენ იმდენად, რამდენადაც ისინი ახორციელებენ თავიანთ ხელისუფლებას ამ პირების ან საკუთრების მიმართ. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც მათი [ანუ სახელმწიფოს სახელით მოქმედი უფლებამოსილი პირების — თა.] მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად აღნიშნულ პირებს ზიანი ადგებათ“. ამის შედეგად კომისიამ დაასკვნა, რომ: „თუმცა [ამ კონკრეტულ საქმეში — თა.] საკონსულო ორგანოების მხრიდან განმცხადებლის დასახმარებლად მათ ხელთ არსებული ყველა ზომის არ მიღების საჯარაუდო ფაქტი გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიის გარეთ აღინიშნა, იგი კვლავაც მისი „[...] იურისდიქციის ფარგლებში“ იყო კონვენციის პირველი მუხლის მიზნებისათვის.“ (გვ. 74).
- 4 საქმეში „კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ“ (*Cyprus v. Turkey*), application nos. 6780/74 and 6950/75, Decision of the Commission on the admissibility, 26 May 1975, Decisions and Reports 2 (pp. 125-138), ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ აღნიშნა: „...[სადავო არ არის ის ფაქტი, რომ] თურქეთის შეიარაღებული ძალები შევიდნენ კუნძულ კვიპროსზე, მოქმედებდნენ მხოლოდ და მხოლოდ თურქეთის მთავრობის მითითების საფუძველზე და ხელმძღვანელობდნენ ამ შეიარაღებული ძალების სტრუქტურისა და მმართველობის მარეგულირებელი ნესებით. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ამ შეიარაღებული ძალების წევრები არიან თურქეთის უფლებამოსილი წარმომადგენლები და რომ ისინი მოაქცევენ კვიპროსზე მყოფ ნებისმიერ სხვა პირს ან არსებულ საკუთრებას თურქეთის „იურისდიქციის ფარგლებში“ კონვენციის პირველი მუხლის მიზნებისათვის იმდენად, რამდენადაც ისინი ახორციელებენ კონტროლს ამ პირებზე ან საკუთრებაზე. შესაბამისად, იქ, სადაც ამ შეიარაღებული ძალების წევრები თავიანთი მოქმედებით ან უმოქმედობით ზიანს აყენებენ ამ პირების კონვენციით დაცულ უფლებებს ან თავისუფლებებს, დგება თურქეთის პასუხისმგებლობა.“ (გვ. 137).
- 5 საქმეში „ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ“ (*Loizidou v. Turkey*), application no. 15318/89, Judgment of the Grand Chamber, 18 December 1996, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ: „ჩრდილოეთ კვიპროსში აქტიურ სამსახურში ჩაბმული მრავალრიცხოვანი ჯარის განლაგებიდან გამომდინარე, აშკარაა ...[თურქეთის] არმიის ეფექტიანი ზოგადი კონტროლი კუნძულის ამ ნაწილზე. ამგვარი კონტროლი, შესაბამისი ტესტისა და ამ საქმის გარემოებების თანახმად, იწვევს მის პასუხისმგებლობას „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ პოლიტიკისა და ქმედებებისათვის [...]. შესაბამისად, ისინი, ვინც დაზარალებიან ამ პოლიტიკისა და ქმედებებისაგან, მოექცევიან თურქეთის „იურისდიქციის ფარგლებში“, კონვენციის პირველი მუხლის მიზნებისათვის [...]. აქედან გამომდინარე, მისი ვალდებულება, უზრუნველყოს განმცხადებლისათვის კონვენციით განმტკიცებული უფლე-

ექსტრატერიტორიული იურისდიქციის არსებობის კიდევ ერთი შესაძლო სიტუაცია, რომელიც მომიჯნავეა იურისდიქციის გავრცელებასა და *de facto* კონტროლის გზებს შორის, არის სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლების მიერ პირის საზღვარგარეთ დაკავების შემთხვევა. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი აბზაცის მიზნებისათვის მისი კანონიერად მიჩნევის შემთხვევაში, იგი ხელისუფლების გავრცელებად დაკვალიფიცირდება, ხოლო ამავე მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობისას — *de facto* კონტროლად.⁶

2.2. ბანკოვიჩის საქმე

ექსტრატერიტორიული იურისდიქციის საკითხისადმი ევროპული სასამართლოს არაერთგვაროვანი დამოკიდებულების დასაწყისად თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ბანკოვიჩის საქმე.⁷ იგი ეხებოდა ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (შემდგომში — ნატო) წევრ სახელმწიფოთა მიერ იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის წინააღმდეგ 1999 წელს წარმოებული სამხედრო კამპანიის ერთ-ერთ ეპიზოდს, რომლის დროსაც, ნატოს სამხედრო თვითმფრინავიდან სერბეთის სახელმწიფო ტელევიზიის შენობაზე განხორციელებული სარაკეტო დარტყმისას დაიღუპა 16 სამოქალაქო პირი, 16 კი სერიოზულად დაშავდა.⁸ ევროპული კონვენციით დაცული შესაბამისი უფლებების დარღვევის აღიარებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ევროპულ სასამართლოში სარჩელი დაღუპული პირების ნათესავებმა და თავად დაშავებულებმა ნატოს იმ წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ წარადგინეს, რომლებიც იმავდროულად ევროპული კონვენციის მხა-

ბებისა და თავისუფლებების ეფექტური დაცვა, ასევე ვრცელდება კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილზე.“ (§56). მოგვიანებით თავისი პოზიცია ამ საკითხზე ევროპულმა სასამართლომ კიდევ უფრო დააზუსტა საქმეში „კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ“ (*Cyprus v. Turkey*), application no. 25781/94, Judgment of the Grand Chamber, 10 May 2001, სადაც მიუთითა, რომ: „[თურქეთის] ჩრდილოეთ კვიპროსზე ეფექტიანი ზოგადი კონტროლის პირობებში მისი პასუხისმგებლობა არ შეიძლება შემოიფარგლოს ჩრდილოეთ კვიპროსში მისი ჯარისკაცების ან ოფიციალური პირების ქმედებებით, არამედ უნდა მოიცავდეს ასევე ადგილობრივი ადმინისტრაციის ქმედებებს [იგულისხმება 1983 წელს დაარსებული ე.წ. „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“ — თ.ა.], რომლის სიცოცხლისუნარიანობაც განპირობებულია თურქული სამხედრო და სხვა მხარდაჭერით. აქედან გამომდინარე, კონვენციის პირველი მუხლის მიზნებისათვის, თურქეთის „იურისდიქცია“ უნდა განიხილებოდეს როგორც იმ არსებითი უფლებების მთელი რიგის ეფექტიანი უზრუნველყოფის ვალდებულების მომცველი, რომლებიც კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებითაა დაცული, რატიფიცირებული თურქეთის მიერ და რომელთა დარღვევისათვის პასუხს თურქეთი აგებს.“ (§77).

- 6 მაგალითისათვის შეგიძლიათ იხილოთ საქმეები; „ფრედა იტალიის წინააღმდეგ“ (*Freda v. Italy*), application no. 8916/80, Decision of the Commission on the admissibility, 7 October 1980, Decisions and Reports 21 (pp. 250-257), გვ. 256 და „ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ“ (*Ocalan v. Turkey*), application no. 46221/99, Judgment of the Grand Chamber, 12 May 2005, §§. 91-99.
- 7 „ბანკოვიჩი და სხვები ბელგიისა და 16 სხვა ხელშეკრული სახელმწიფოს წინააღმდეგ“ (შემდგომში — ბანკოვიჩის საქმე) (*Bankovic and Others v. Belgium and 16 Other Contracting States*), application no. 52207/99, Decision of the Grand Chamber on the admissibility, 12 December 2001.
- 8 ბანკოვიჩის საქმე, §§. 10-11.

რეები იყვნენ. თავად იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა იმ დროისათვის ევროპული კონვენციის მონაწილე არ იყო.

საქმის დასაშვებობის განხილვისას ევროპულ სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, ვრცელდებოდა თუ არა აღნიშნულ სიტუაციაზე მოპასუხე სახელმწიფოების იურისდიქცია ევროპული კონვენციის პირველი მუხლის მიზნებისათვის. ამისათვის მის მიერ გამოყენებული სამართლებრივი არგუმენტირების ხაზი, რომელიც საქმის გადაწყვეტილებაშია ასახული, პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს:

პირველ რიგში, ევროპული სასამართლო ვრცლად მიუთითებს იმაზე, რომ ექსტრატერიტორიული იურისდიქციის შემთხვევა იშვიათი გამონაკლისია.⁹ თვით მსჯელობის ასეთი დასაწყისი უკვე საკმაოდ განსხვავებულია იმ წინა საქმეებისაგან, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ ამგვარი იურისდიქციის არსებობა დაადგინა.¹⁰

მსჯელობის მეორე ეტაპზე ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ის იშვიათი გამონაკლისები, როდესაც აღნიშნული იურისდიქციის არსებობა დადგინდა, ორი ძირითადი ტიპისაა: უცხო სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის სამხედრო ოკუპაცია და/ან მისი კონტროლი, ფაქტობრივად, დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის მეშვეობით, და დიპლომატიური, საკონსულო ან საზღვარგარეთ სხვა კანონიერი ფუნქციების განხორციელების შემთხვევა.¹¹ აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ამ საქმის განხილვამდე, უკვე არსებული პრეცედენტების მიუხედავად, იგი არ მიუთითებს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლების მიერ პირის დაკავების შემთხვევაზე.¹² როგორც ეს ოდნავ ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ამას ბანკოვიჩის საქმის დასაშვებობისათვის შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა.

სამართლებრივი არგუმენტირების ბოლო ნაწილში ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მის წინაშე განსჯადი ეს შემთხვევა აშკარად არ ჯდება ექსტრატერიტორიული იურისდიქციის არცერთ მანამდე განსაზღვრულ ტიპში¹³ და საქმის დაუშვებლად გამოცხადებამდე ბოლო საკითხზე გადადის, რომელიც აქტუალური ამ საქმეზე უფრო ადრეული პრეცედენტის გამო გახდა. კერძოდ, საქმეში „კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ“,¹⁴ სხვა არგუმენტებთან ერთად, მან აღნიშნა, რომ კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილზე თურქეთის ექსტრატერიტორიული იურისდიქციის

9 იქვე, §§59-67.

10 მაგალითისათვის შეგიძლიათ იხილოთ ზემოთ ციტირებული საქმეები (სქოლიო 3-6).

11 ბანკოვიჩის საქმე, §§. 70-73.

12 მაგალითისათვის შეგიძლიათ იხილოთ საქმე „ფრედა იტალიის წინააღმდეგ“ (სქოლიო 6).

13 ბანკოვიჩის საქმე, §75.

14 იხილეთ ზემოთ (სქოლიო 3).

არდადგენის შემთხვევაში, „ადამიანის უფლებათა დაცვის [ევროპულ] სისტემაში [შეიქმნებოდა] სამწუხარო ვაკუუმი“, რომელიც, განმცხადებელი სახელმწიფოს (ე.ი. კვიპროსის) მხრიდან მისი ტერიტორიის ამ ნაწილზე ფაქტობრივი კონტროლის არარსებობის პირობებში, წაართმევდა ცალკეულ პირებს მათი კონვენციით აღიარებული უფლებების ევროპული სასამართლოს წინაშე დაცვის მოთხოვნის შესაძლებლობას.¹⁵ ამ საკითხზე ბანკოვიჩის საქმის ჩრილში მსჯელობისას და თავის პრეცედენტულ სამართალში ახალი ასპექტის შემოტანით, ევროპულმა სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ტერიტორიაზე სუვერენიტეტის მქონე სახელმწიფოს ევროპული კონვენციის მხარედ არყოფნას მიანიჭა. წინა შემთხვევისაგან მოცემული საქმე მან იმით გამიჯნა, რომ, კვიპროსისგან განსხვავებით, იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა არ იყო ევროპული კონვენციის მონაწილე, რის გამოც, მის ტერიტორიაზე მყოფი პირები ნორმალურ ვითარებაში მაინც ვერ სარგებლობდნენ ევროპული კონვენციის სამართლებრივი რეჟიმის დაცვით. ამის შემდეგ ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ევროპული კონვენცია მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ ხელშემკვრელ მხარეთა სამართლებრივ სივრცეში და მაშინაც კი, როდესაც საკითხი მათ მოქმედებას ეხება, არ არის გამიზნული მისი მსოფლიოს გარშემო გამოყენებისათვის. „შესაბამისად, ამ დროისათვის, ადამიანის უფლებათა დაცვაში ხარვეზის ან ვაკუუმის თავიდან აცილების სურვილს სასამართლო იურისდიქციის დადგენის სასარგებლოდ მხოლოდ მაშინ ეყრდნობა, როდესაც, სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე, მისი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ იმ ტერიტორიის მიმართ დგას, რომელიც ნორმალურ პირობებში კონვენციითაა დაფარული“ — დასძინა ევროპულმა სასამართლომ.¹⁶

ამრიგად, სამართლებრივი არგუმენტირების ხაზი, რომელიც ევროპულმა სასამართლომ ბანკოვიჩის საქმეში ექსტრატერიტორიული იურისდიქციის არარსებობის გამო საქმის დაუშვებლად გამოცხადებისათვის გამოიყენა, ორ მთავარ ელემენტს ემყარება, ესენია: მის პრეცედენტულ სამართალში ექსტრატერიტორიული იურისდიქციის დადგენის მანამდე არსებული შემთხვევების ფაქტობრივ-სიტუაციური ტიპოლოგიზაცია და ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებების ამ ტიპოლოგიზაციის ჩარჩოებში ვერმოხვედრა და, ამასთან ერთად, ევროპული კონვენციის გაუვრცელებლობა ისეთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილი ქმედებების მიმართ, რომელიც არ არის ევროპული კონვენციის მონაწილე.¹⁷

ზემოთ აღინიშნა, რომ ექსტრატერიტორიული იურისდიქციის დადგენის მან-

15 იქვე, §78.

16 ბანკოვიჩის საქმე, §80.

17 თავად ევროპულმა სასამართლომ ამ უკანასკნელ ელემენტს ფრანგული ტერმინი ესპაცე ჯურიდიქუე უწოდა (ბანკოვიჩის საქმე, §80). აქ და შემდგომში მისი ქართული შესატყვისი — სამართლებრივი სივრცე ამ მნიშვნელობით იქნება ნახსენები.

ამდე არსებული შემთხვევების ტიპოლოგიზაციისას, სათანადო მაგალითების არსებობის მიუხედავად, ევროპულ სასამართლოს არ უხსენებია უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლების მიერ პირის დაკავების შემთხვევა. ამავე დროს, იგი ორივე ხსენებული ელემენტის სამართლებრივი გამართულობის საკითხს დიდწილად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ექსტრატერიტორიული იურისდიქციის შემთხვევათა ტიპოლოგიზაციის თვალსაზრისით, სავსებით ლოგიკურია ევროპული სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ საჭაერო სივრციდან წარმოებულ სარაკეტო დატრყმას არაფერი აქვს საერთო არც სამხედრო ოკუპაციასთან და არც უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს ჩვეულებრივი სახელისუფლებო ფუნქციების განხორციელებასთან, რის შედეგადაც იგი ევროპული სასამართლოს მიერ აგებულ ამ ჩარჩოში აშკარად არ ჯდება. სამაგიეროდ, ევროპული კონვენციით განმტკიცებული უფლებების დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, იგი იდენტიურია უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლების მიერ პირის დაკავების შემთხვევასთან: ორივეგან, სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ჯგუფის) მიერ უფლებამოსილ ერთ ან რამდენიმე პირს აქვს იმის ფაქტობრივი საშუალება, რომ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე კონტროლის, ფართო გაგებით, დამყარების გარეშე, ცალკეული პირის მიმართ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც შესაძლოა ევროპული კონვენციით დაცული ამა თუ იმ უფლების დარღვევა იყოს (კონკრეტულ შემთხვევებში ეს, ერთი მხრივ, მე-5(1), ხოლო, მეორე მხრივ, მე-2 მუხლებია).¹⁸ აქედან გამომდინარე, და მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული არგუმენტი თავის დროზე საკმარისი აღმოჩნდა დაპატიმრების შემთხვევაში ექსტრატერიტორიული იურისდიქციის არსებობის დასადგენად, *ბანკოვიჩის* საქმეში მოყვანილ ტიპოლოგიზაციაში ამ შემთხვევის მოუხსენიებლობა, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია.

კიდევ უფრო უცნაური ხდება აღნიშნული შემთხვევის მოუხსენიებლობა მისი, აგრეთვე, მეორე ელემენტის მიმართ რელევანტურობის გათვალისწინებით. საქმეში – „*ფრედა იტალიის წინააღმდეგ*“ – დადგინდა, რომ განმცხადებელი იტალიის იურისდიქციაში იმ მომენტიდან მოექცა, როდესაც იგი გადაეცა იტალიის შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების უფლებამოსილ წარმომადგენლებს, რაც კოსტა-რიკის ტერიტორიაზე მოხდა.¹⁹ შესაბამისად, *ბანკოვიჩის* საქმის დაუშვებლად

¹⁸ დაპატიმრების შემთხვევაში, უკვე შემდეგი ეტაპია მისი კანონიერებისა და ლეგიტიმურობის დადგენა, რის მიხედვითაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იგი ხელისუფლების განხორციელებად ან *de facto* კონტროლად დაკვალიფიცირდება. ამ კუთხით გადაწყვეტი ისაა, რომ კანონიერების საკითხისაგან დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ექსტრატერიტორიული იურისდიქცია პირის მიმართ უშუალოდ დაპატიმრების ფაქტიდან გამომდინარე ვრცელდება (მაგალითისათვის შეგიძლიათ იხილოთ საქმე „*ფრედა იტალიის წინააღმდეგ*“, სქოლიო 6, გვ. 256).

¹⁹ იქვე.

ცნობისათვის გამოყენებული მეორე ელემენტიც, რომელიც ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების მე-80 პარაგრაფშია მოყვანილი და ზემოთ ციტირებული, პირველის მსგავსად ასევე ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის ორგანოების მანამდე არსებულ მიდგომას.

დასადგენი რჩება ბანკოვიჩის საქმეში შემუშავებული ექსტრატერიტორიული იურისდიქციის დადგენის ორელემენტის ფორმულის ადგილი ზოგადი საერთაშორისო სამართლის გადასახედიდან. იმ პირობებში, როდესაც ამ ფორმულით ევროპულმა სასამართლომ აშკარად გადაუხვია თავისი მანამდე არსებული პრაქტიკიდან, უნდა განისაზღვროს, იყო თუ არა ეს გადახვევა ზოგადი საერთაშორისო სამართლის სტანდარტისაკენ მიმართული, თუ მის სანინააღმდეგოდ.

ერთი შეხედვით, ექსტრატერიტორიული იურისდიქციის შემთხვევის ვინროდ ინტერპრეტაცია ზოგადი საერთაშორისო სამართლის სტანდარტის უნიფიცირების სურვილზე მიანიშნებს. იქიდან გამომდინარე, რომ ზოგად საერთაშორისო სამართალში ტერმინი „იურისდიქცია“ განსაზღვრავს სახელმწიფოს კომპეტენციას, ნორმატიული რეგულირების მეშვეობით გაავრცელოს თავისი ხელისუფლება პირთა წრის მიმართ,²⁰ რაციონალური საფუძველი, რომელიც, ზოგადად, ექსტრატერიტორიული იურისდიქციის ვინრო ინტერპრეტაციის უკან დგას, ექსტრატერიტორიულ და ტერიტორიულ იურისდიქციებს შორის კონფლიქტის არიდების და, შესაბამისად, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფის სურვილში გამოიხატება.²¹ რაც შეეხება იმავე ტერმინის მნიშვნელობას ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების მიზნებისათვის, აქ მისი პირველადი დანიშნულება არა იურისდიქციული კონფლიქტის არიდება, არამედ ამ ხელშეკრულებებით განმტკიცებული უფლებების სახელმწიფოს ხელყოფისაგან ეფექტიანი დაცვაა.²² ხელშეკრულებათა ინტერპრეტაციის შესახებ ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნორმის თანახმად კი: „ხელშეკრულება კეთილსინდისიერად უნდა იყოს ინტერპრეტირებული, მასში არსებული ტერმინებისათვის თავიანთ კონტექსტში ჩვეულებრივი მნიშვნელობის მინიჭების შესაბამისად და ამ ხელშეკრულების საგნისა და მიზნის გათვალისწინებით.“²³ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების მიზნებისათვის ამგვარი (ე.ი. ეფექტიანი დაცვის, და არა იურისდიქციული კონფლიქტის, სასარგებლო) ინტერპრეტაციის მიზანშეწონილობა დადასტურებულია მართლმსაჯულების

20 იხილეთ ზემოთ, სქოლიო 1 და ტექსტი რომელზეც იგია მიბმული.

21 N. Wenzel, *Human Rights, Treaties, Extraterritorial Application and Effects*, in: R. Wolfrum (ed.), *Max Planck Encyclopedia of Public International Law* (Oxford University Press, 2008) (online edition <www.mpepil.com>, visited on 1 May 2010).

22 იქვე.

23 მუხლი 31(1), საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენცია (Vienna Convention on the Law of Treaties 1969, *United Nations Treaty Series*, vol. 1155, p. 331).

საერთაშორისო სასამართლოს მიერ.²⁴ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის პირველ აბზაცში მოცემული იურისდიქციის დებულების ზოგადი განმარტებისას, რომელიც ევროპული კონვენციის შესაბამისი დებულების ანალოგიურია, ასევე უარყო ვინრო ინტერპრეტაციის სასარგებლო მიდგომა.²⁵ ყოველივე აღნიშნულს კი იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ევროპული სასამართლოს მიერ ბანკოვიჩის საქმეში გამოყენებული ექსტრატერიტორიული იურისდიქციის დადგენის ფორმულას დასაყრდენი არც ევროპული კონვენციის ორგანოების ადრინდელ პრეცედენტებში და არც ზოგად საერთაშორისო სამართალში აქვს.

2.3. ბანკოვიჩის შემდგომი საქმეები

ევროპული სასამართლოს შემდგომ საქმეებში ექსტრატერიტორიული იურისდიქციის დადგენის ბანკოვიჩის საქმეში გამოყენებულმა ფორმულამ დამატებითი ცვლილება განიცადა, რამაც მისი მიდგომა ამ საკითხისადმი კიდევ უფრო არაერთგვაროვანი გახადა.

საქმეში „ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ“²⁶ განმცხადებლები ითხოვდნენ ევროპული სასამართლოს მიერ მათი ევროპული კონვენციით დაცული უფლებების დარღვევის ფაქტის აღიარებას ე.წ. „დნესტრისპირეთის, მოლდოვის რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე, რომელიც მოლდოვის ნაწილია, მაგრამ რუსეთის ხელშეწყობით, სეპარატისტული ადმინისტრაციის მიერ იმართება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთს ამ საქმის გარემოებების კონტექსტში აქვს იურისდიქცია ევროპული კონვენციის პირველი მუხლის მიზნებისათვის და განმცხადებლების უფლებათა დარღვევისათვის ნაწილობრივი პასუხისმგებლობა მოლდოვასაც დააკისრა. გადანყვეტილებაში ეს იმითაა ახსნილი, რომ დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე ეფექტიანი კონტროლის არქონის მიუხედავად, მოლდოვას კვლავაც ეკისრებოდა ევროპული კონვენციის პირველი მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულება, განმცხადებელთა უფლებების უზრუნველსაყოფად თავის ხელთ არსებული ყველა ზომისათვის მიემართა.²⁷ რაც შეეხება

24 იხილეთ საქმე „პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის მშენებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები“, §§107-111 (*Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, Advisory Opinion, I.C.J. Reports 2004, p. 136*).

25 იხილეთ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის გენერალური კომენტარი № 31, §10 (*UN Human Rights Committee, 'General Comment No. 31 (80) on Article 2 of the Covenant: The Nature of the Legal Obligation Imposed on the States Parties to the Covenant', 26 May 2004, UN Document CCPR/C/21/Rev.1/Add.13*).

26 *Ilascu and Others v. Moldova and Russia, application no. 48787/99, Judgment of the Grand Chamber, 8 July 2004* (შემდგომში — ილაშკუს საქმე).

27 იქვე, §§330-331.

განმცხადებელთა უფლებების დარღვევის კონტექსტში მოლდოვის იურისდიქციის საკითხს, მისი არსებობა ევროპულმა სასამართლომ სწორედ პირველი მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულების საფუძველზე დაადგინა.²⁸ იურისდიქციის ტესტის მოდიფიკაცია აქ იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულება (მათ შორის პოზიტიური) მხოლოდ იმ პირების მიმართ აქვს, რომლებიც მის იურისდიქციაში არიან ევროპული კონვენციის პირველი მუხლის მიზნებისათვის.²⁹ შესაბამისად, იურისდიქციის არსებობაა პოზიტიური ვალდებულების არსებობის წინაპირობა, და არა პირიქით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შემთხვევაში, იურისდიქციის ამგვარი ფართო ინტერპრეტაცია აშკარა კონტრასტშია ბანკოვიჩის საქმეში გამოყენებულ ვიწრო ინტერპრეტაციულ მიდგომასთან. ამ კონტრასტის პრობლემურობა თვალსაჩინოდაა შეჯამებული მოსამართლე ლუკაიდესის ნაწილობრივ განსხვავებულ აზრში, რომელიც ილაშკუს საქმეს ერთვის. ლუკაიდესის აზრით, „გაუგებარი და უსათუოდ ძალიან უცნაურია, როდესაც, ერთი მხრივ, მაღალი ხელშემკვრელი მხარე, კონვენციიდან გამომდინარე პასუხისმგებლობას თავს იმის საფუძველზე აღწევს, რომ მსოფლიოს ამა თუ იმ ნაწილში დასახლებულ ტერიტორიაზე მისი თვითმფრინავებიდან ნასროლი ბომბებით დაზარალებული პირები მის „იურისდიქციაში“ არ ექცევიან... ხოლო მეორე მხრივ, ამავე მხარის მხრიდან „მის ხელთ არსებული პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური, სასამართლო თუ სხვა ყველა ისეთი ზომის კონვენციით განმტკიცებული უფლებების უზრუნველსაყოფად იმ პირების მიმართ [არგატარება], რომლებიც [თუმცა] ფორმალურად მის იურისდიქციაში არიან“, მაგრამ, ფაქტობრივად, სცდებიან მისი ეფექტური ხელისუფლების ფარგლებს, ამ სახელმწიფოს იურისდიქციას წარმოშობს და მათ მიმართ მას პოზიტიურ ვალდებულებებს აკისრებს.“³⁰

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, თუ ბანკოვიჩის საქმეში იურისდიქციის ვიწრო ინტერპრეტაციის უკან მდგომი ერთადერთი რაციონალური საფუძველი — იურისდიქციული კონფლიქტის არიდება — მისი ამ საქმის გარემოებების კონტექსტში არარელევანტურობის მიუხედავად, მაინც საკმარისი აღმოჩნდა ვიწრო ინტერპრეტაციის ასარჩევად, ილაშკუს საქმეში, როგორც ტერიტორიული, ისე ექსტრატერიტორიული იურისდიქციის ერთდროულად დადგენისას, ევროპული სასამართლო-

28 იქვე, §335.

29 M. Gondek, *Extraterritorial Application of the European Convention on Human Rights: Territorial Focus in the Age of Globalization?*, 52 *Netherlands International Law Review* (2005), pp. 349-387, at 368.

30 ილაშკუს საქმე, მოსამართლე ლუკაიდესის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი (*Partly Dissenting Opinion of Judge Loucaides*).

სათვის იურისდიქციული კონფლიქტი პრობლემური საკითხი აღარ ყოფილა. და თუმცა იმავე მიზეზებით, იგი არც ამ უკანასკნელი საქმის კონტექსტში იქნებოდა რელევანტური (იხილეთ წინა ქვეთავის ბოლო აბზაცი), ასეთი სხვადასხვაობა საკითხის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულების კიდევ ერთ დადასტურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ *ილაშკუს* საქმე შესაძლოა, ასევე პრეიუდიციული მნიშვნელობის აღმოჩნდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩადენილ სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადების განხილვისას.³¹

საქმეში „ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ“³² ევროპულმა სასამართლომ თურქეთის ექსტრატერიტორიული იურისდიქცია განმცხადებლის საზღვარგარეთ დაპატიმრების კონტექსტში დაადგინა. ვინაიდან ეს დაპატიმრება კენის ტერიტორიაზე განხორციელდა, რომელიც ევროპული კონვენციის მხარე არ ყოფილა, ეს საქმეც აშკარა კონტრასტშია *ბანკოვიჩის* საქმეში გამოყენებულ ფორმულასთან და მას კიდევ უფრო მეტად აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ.³³

ანალოგიურად, საქმეში „ისსა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“,³⁴ ევროპული სასამართლოს თანახმად: „[A] სახელმწიფო შეიძლება პასუხისმგებელი იყოს იმ პირთა კონვენციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისათვის, რომლებიც თუმცა [B] სახელმწიფოს ტერიტორიაზე არიან, მაგრამ [A] სახელმწიფოს აგენტების [B] სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული კანონიერი თუ უკანონო მოქმედებების გამო, მისი ხელისუფლებისა და კონტროლის ქვეშ ექცევიან... პასუხისმგებლობა ასეთ სიტუაციებში იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ კონვენციის პირველი მუხლი არ შეიძლება იმგვარად იყოს ინტერპრეტირებული, რომ მონაწილე სახელმწიფოს მხრიდან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე კონვენციის ისეთი დარღვევები დაუშვას, რომელთაც იგი საკუთარ ტერიტორიაზე ვერ ჩაიდენდა.“³⁵ და თუმცა ეს საქმეც მოგვიანებით, სხვა გარემოებებზე დაყრდნობით, დაუშვებლად გამოცხადდა, აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი სივრცის არგუმენტაცია სრულიად სხვა რიტორიკით იქნა ჩანაცვლებული, რის შედეგადაც, იურისდიქციის ვიწრო ინტერპრეტაციის სასარგებლო მიდგომა ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი ღირებულებით შეიცვალა. საინტერესოა ისიც, რომ ციტირებული არგუმენტაციის გასამყარებლად ევროპულ სასამართლოს იქვე პრეცედენ-

31 იხილეთ შემდეგი მიმდინარე საქმეები: №21004/02, №18102/04, №29999/04, №41424/04, №5148/05, №26166/05 და №42765/05.

32 იხილეთ ზემოთ (სქოლიო 6).

33 იქვე, §91.

34 *Issa and Others v. Turkey, application no. 31821/96, Judgment of 16 November 2004.*

35 იქვე, §71.

ტების მთელი რიგი მოჰყავს,³⁶ რომლებიც ბანკოვიჩის საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას უკვე არსებობდა, თუმცა, ამის მიუხედავად, ამ უკანასკნელში ისინი მითითებული არაა.

ევროპული სასამართლოს ბოლოდროინდელი საქმეებიდან აღსანიშნავია საქმე „ალ-საადუნი და მუფდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“,³⁷ (შემდგომში — ალ-საადუნის საქმე) რომელიც ეხება ერაყის ტერიტორიაზე გაერთიანებული სამეფოს შეიარაღებული ძალების მიერ განმცხადებელთა დაპატიმრებასა და ამ ძალების მიერ ადმინისტრირებულ საპატიმრო დაწესებულებაში მათ მოთავსებასთან ერთად წარმოშობილ უფლებათა სავარაუდო დარღვევებს. ამ საქმეში იურისდიქციის საკითხის გადაწყვეტისას ევროპულმა სასამართლომ მისი ექსტრატერიტორიული არსებობა შედარებით მარტივად დაადგინა. ადრეულ პრეცედენტზე დაყრდნობით, მისი აზრით, იგი ექვგარეშეა თავად იმ ფაქტით, რომ განმცხადებელთა დაკავების მომენტიდან საპატიმრო დაწესებულებაში ისინი მოპასუხე სახელმწიფოს *de facto* და შემდეგ უკვე ასევე *de jure* კონტროლის ქვეშ იყვნენ.³⁸ ვერავითარ სხვა მსჯელობას საკითხის გარშემო გადაწყვეტილებაში ვერ ვნახულობთ, რამაც შესაძლოა გვაფიქრებინოს, რომ მოცემულ სიტუაციაში, ევროპული სასამართლოს აზრით, სამართლებრივი სივრცის ელემენტი საერთოდ არარელევანტურია და მისი გამოყენება-გამოუყენებლობის საკითხზე მსჯელობა საერთოდ არ არის საჭირო.

ამჟამად, ევროპული სასამართლოს განსახილველ საქმეთა შორისაა გაერთიანებული სამეფოს შეიარაღებული ძალების მიერ ერაყის ტერიტორიაზე ჩადენილ სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებული კიდევ რამდენიმე საქმე. მათგან ერთ-ერთში (ალ-სეინის საქმე), ექვსი განმცხადებლიდან ხუთის სარჩელი, ეროვნულ

³⁶ იქვე.

³⁷ *Al-Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom, application no. 61498/08, Decision on the admissibility, 30 June 2009.*

³⁸ იქვე, §88. ადრეული პრეცედენტი, რომელსაც ევროპული სასამართლო ამავე პუნქტში უთითებს, არის საქმე „ჰესი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*Hess v. the United Kingdom, application no. 6231/73, Decision of the Commission on the admissibility, 28 May 1975, Decisions and Reports 2, 72-76.* მასში განიხილებოდა გერმანიის ნაცისტური რეჟიმის ერთ-ერთი წამყვანი წევრის, რუდოლფ ჰესის, მეუღლის განაცხადი, ჰესის მიმართ ევროპული კონვენციიდან წარმოშობილი ვალდებულებების სავარაუდო დარღვევის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო მაშინდელი დასავლეთ ბერლინის ბრიტანულ სექტორში, მეორე მსოფლიო ომის შედეგად წარმოშობილ და მოკავშირეების მიერ ადმინისტრირებულ სამხედრო საპატიმრო დაწესებულებაში რუდოლფ ჰესისათვის ნიურნბერგის პროცესზე შეფარდებული სასჯელის მოხდასთან. განაცხადის განხილვისას ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ იგი დაუშველად იმ მიზეზით ცნო, რომ ხსენებული საპატიმრო დაწესებულება მოკავშირეების მიერ ერთობლივად იმართებოდა და შეუძლებელი იყო დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებისათვის ერთ-ერთი მოკავშირის პასუხისმგებლობის ცალკე გამოყოფა. მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ იქვე ისიც აღნიშნა, რომ, ამ გარემოების გარდა, იურისდიქციის დადგენისათვის სხვა დაბრკოლება არ არსებობდა (გვ. 76). უნდა ვივარაუდოთ, რომ ალ-საადუნის საქმეში ხსენებულ პრეცედენტზე დაყრდნობა სწორედ ამ უკანასკნელი არგუმენტის გათვალისწინებით მოხდა.

დონეზე სამართალწარმოებისას, გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი სასამართლო ინსტანციის მიერ უარყოფილი, სხვა არგუმენტებთან ერთად, ბანკოვიჩის საქმეზე დაყრდნობით იქნა.³⁹ კერძოდ კი, იმ არგუმენტის გამოყენებით, რომ ტერიტორია, რომელზეც სავარაუდო დარღვევები მოხდა, არ არის ევროპული კონვენციის სამართლებრივი სივრცით დაფარული და, შესაბამისად, იქ დაზარალებული პირები ვერ მოექცეოდნენ გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციაში ევროპული კონვენციის პირველი მუხლის მიზნებისათვის.⁴⁰ ბანკოვიჩის საქმის გარემოებებთან, ალ-საადუნის საქმისაგან განსხვავებით, მოცემული საქმე კიდევ იმითაა ახლოს, რომ მასში ევროპული კონვენციის სავარაუდო დარღვევის საკითხი არა პატიმრობის, არამედ სამხედრო ოპერაციის შედეგად პირთა სიცოცხლის ხელყოფის კონტექსტში განიხილება. ეს საქმე, ერთი მხრივ, ევროპული სასამართლოს თავის პრეცედენტულ სამართალში ექსტრატერიტორიული იურისდიქციის დადგენის ბანკოვიჩის საქმით წარმოშობილი არაერთგვაროვანი მიდგომის მეტ-ნაკლებად აღმოფხვრის საშუალებას აძლევს, ხოლო, მეორე მხრივ, ამ მიდგომის დამატებითი ელემენტებით „გამდიდრების“ პოტენციური რისკის მატარებელია. იმას, თუ რომელი განხორციელდება ამ ორი შესაძლო ვარიანტიდან, ახლო მომავალში ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება დაგვანახვებს.

3. შემაჯამებელი მსჯელობა

ამრიგად, ევროპული სასამართლოს მიერ ექსტრატერიტორიული იურისდიქციის დადგენის ტესტი, მისი არაერთგვაროვნების გამომწვევი შემდეგი ცვალებადი ელემენტებით ხასიათდება:

(1) ბანკოვიჩის საქმემდე ევროპულ სასამართლოს საკითხის მიმართ, ძირითადად, ფუნქციური მიდგომა ჰქონდა. ცალკეული პირები იმდენად ექცეოდნენ მოპასუხე სახელმწიფოს იურისდიქციაში, რამდენადაც ამ სახელმწიფოს უფლებამოსილ წარმომადგენლებს, კონკრეტულ სიტუაციაში, შესწევდათ ფიზიკური უნარი, საზღვარგარეთ თავიანთი მოქმედებით ისეთი ზიანი მიეყენებინათ ამ პირებისთვის, რომელიც იმავე მოქმედების საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში განხორციელებისას ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულების დარღვევას გამოიწვევდა. დროთა განმავლობაში დაგროვილ საქმეთა შორის შესაძლებელი გახდა, სიტუაციები, რომელთა კონტექსტშიც ექსტრატერიტორიული იურისდიქციის საკითხი განიხილებოდა, მათი ერთმანეთთან ფაქტობრივი გარემოებებით მსგავსების ნიშნით,

³⁹ იხილეთ მიმდინარე საქმე „ალ-სკეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*Al-Skeini and Others v. the United Kingdom*), application no. 55721/07, *Statement of Facts*.

⁴⁰ იქვე.

პირობითად რამდენიმე ჯგუფად დანაწილებულიყო. ამავე დროს, ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ ექსტრატერიტორიული იურისდიქციის შემთხვევათა ფაქტობრივ-სიტუაციური ტიპოლოგიზაცია, ბანკოვიჩის საქმემდე არასოდეს ყოფილა ასეთი იურისდიქციის დადგენის პროცესში გამოყენებადი სამართლებრივი ღირებულების მქონე ელემენტი. მისი არსებობა დაგროვილი სასამართლო პრაქტიკის ანალიზით მიღებული შედეგია და იგი მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული საილუსტრაციო მიზნებისთვის თუ გამოიყენებოდა.

(2) ბანკოვიჩის საქმეში მოხდა ე.წ. „ორმაგი რეველუცია“: პირველი გამონვეულია იმით, რომ ევროპული სასამართლო ექსტრატერიტორიული იურისდიქციის დადგენის მიზნებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას საქმის ფაქტობრივი გარემოებების მსგავს საკითხზე მანამდე არსებული საქმეების ფაქტობრივ-სიტუაციური ტიპოლოგიზაციის ჩარჩოებში ვერმოქცევას ანიჭებს. შესაბამისად, ფუნქციურობის ელემენტს (ანუ პირისათვის ზიანის მიყენების ფიზიკური უნარი) ჩაენაცვლა მანამდე არარსებული, ფაქტობრივ-სიტუაციური ტიპოლოგიზაციის ელემენტი. გარდა ამისა, ექსტრატერიტორიული იურისდიქციის დადგენის ტესტში შემოვიდა კიდევ ერთი, მანამდე არარსებული, ე.წ. სამართლებრივი სივრცის ელემენტი.

(3) ბანკოვიჩის შემდგომ საქმეებში გამოყენებული ტესტები ცალსახად არც ფუნქციური მიდგომისაკენ დაბრუნებაზე და არც ბანკოვიჩის ორელემენტური ფორმულის ადაპტირებაზე მიგვიანიშნებენ. ილაშქუს საქმეში მოლდოვისათვის ნაწილობრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით ფუნქციური მიდგომა აშკარად უარყოფილია, ოღონდ ამ უარყოფის შედეგი ბანკოვიჩის საქმისაგან საპირისპიროა — ერთ შემთხვევაში ფუნქციური მიდგომის უარყოფამ პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება, ხოლო მეორეში სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გამოიწვია. ბანკოვიჩის საქმეში გამოყენებული მეორე, სამართლებრივი სივრცის, ელემენტი, ადამიანის უფლებათა ექსპანსიური დაცვის მოთხოვნის მოტივაციითაა ჩანაცვლებული ისსას საქმეში. ხოლო ოჯალანის საქმეში, ყოველგვარი განმარტების გარეშე, უბრალოდ, არ გამოიყენება.

(4) განმცხადებელზე ფაქტობრივი კონტროლის ძალით იურისდიქციის დადგენის გამო, ფუნქციური მიდგომისაკენ დაბრუნებაზე შედარებით მეტად მიახლოებებს ალ-საადუნის საქმე. ასეთ დაბრუნებაზე ეჭვს აძლიერებს ასევე სამართლებრივი სივრცის ელემენტის მასში არ ხსენება. თუმცა ამ საკითხზე მასში მოყვანილი შესაბამისი მსჯელობის ნაწილში ჰესის საქმეზე მითითება ეჭვის სრულყოფილად გაქარწყლების საშუალებას არ იძლევა. კერძოდ, ჰესის პრეცედენტის მითითება შეიძლება ორაზროვნად იქნეს გაგებული; ერთია, რომ ჰესის საქმეში არსებული ფუნქციური მიდგომა გავიგოთ როგორც, ევროპული სასამართლოს აზრით, რელ-

ევანტური ალ-საადუნის საქმისათვის, მაგრამ მეორეა, თუ ევროპული სასამართლო ალ-საადუნის საქმეში, მასზე, ამ უკანასკნელის მანამდე არსებული პრაქტიკის ფაქტობრივ-სიტუაციური ტიპოლოგიზაციის ჩარჩოებში მოქცევის საილუსტრაციოდ, მიუთითებს. ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, ჰესის პრეცედენტის რელევანტურობა ალ-საადუნის საქმის ხსენებულ საკითხზე მსჯელობის შესაბამის ნაწილში დაკონკრეტებული არაა, რთულია გადაჭრით იმის თქმა, ფუნქციური თუ ფაქტობრივ-სიტუაციური ტიპოლოგიზაციის ელემენტია მასში ექსტრატერიტორიული იურისდიქციის ტესტისათვის გამოყენებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა ექსტრატერიტორიული იურისდიქციის ტესტისადმი სამი ძირითადი ტენდენციით ხასიათდება:

1. ბანკოვიჩის საქმემდე არსებული ფუნქციური მიდგომა; 2. ბანკოვიჩის ორელემენტური ფორმულა, რომელიც, როგორც ზემოთაა ნაჩვენები, აშკარად პრობლემურია სამართლებრივი გამართულობის თვალსაზრისით; და 3. ბანკოვიჩის შემდგომი საქმეების ერთობლიობა, რომელშიც ტესტი ამორფული ელემენტებისაგან შედგება.

აღსანიშნავია, რომ ალ-საადუნის საქმე, ბანკოვიჩის საქმემდე რომ ყოფილიყო გადაწყვეტილი, უპრობლემოდ ჩათვლებოდა ექსტრატერიტორიული იურისდიქციის ტესტში ფუნქციური მიდგომის მაგალითად, რაც, როგორც ეს ოდნავ ზემოთაა მითითებული, ფაქტობრივ-სიტუაციური ტიპოლოგიზაციის ელემენტის არსებობისა და ევროპული სასამართლოს მხრიდან დაკონკრეტებას მოკლებული მსჯელობის გამო, ერთმნიშვნელოვანი არაა. ეს მაგალითი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი პირდაპირ კავშირშია ევროპული სასამართლოს მხრიდან ექსტრატერიტორიული იურისდიქციის საკითხისადმი დამოკიდებულების, მეცნიერებს შორის არსებულ ერთ-ერთ მთავარ საკამათო თემასთან: არის თუ არა ბანკოვიჩის საქმე, ამ თვალსაზრისით, სამართლებრივად გაუმართავი მხოლოდ და მხოლოდ იზოლირებული პრეცედენტი, რომელიც, თავად ამ საქმისათვის ნეგატიური შედეგების გარდა, მოკლებულია რაიმე სხვა ნეგატიური გავლენის შესაძლებლობას, თუ მასში არსებული პრობლემა უფრო სისტემური ხასიათისაა? ამ კამათის ქრილში ალ-საადუნის საქმე იმას მონიშნავს, რომ ბანკოვიჩის ორელემენტური ფორმულაზე თვალის, უბრალოდ, დახუჭვა, მისი ევროპული სასამართლოს მიერ არ ხსენებით, ევროპული კონვენციის სისტემაში პრეცედენტების მეტ-ნაკლებად პრეიუდიციული მნიშვნელობის გათვალისწინებით, გამოსავალი არ არის. იმისათვის, რომ ბანკოვიჩის ნეგატიური გავლენის იზოლირება ერთხელ და სამუდამოდ იქნეს უზრუნველყოფილი მომავალში განსახილველი საქმეებისაგან, საჭიროა, ევროპული

სასამართლო მის ხსენებას კი არ გაუზბოდეს, არამედ მას ნათლად გაემიჯნოს. ეს კი იმ უბრალო ჭეშმარიტებაზე მიუთითებს, რომ წარსულის შეცდომის სამომავლო უარყოფითი გავლენის გამოსარიცხავად ამ შეცდომის დავინწყება საკმარისი არაა. საჭიროა მისი არა მხოლოდ აღიარება, არამედ მისი დეტალებისა და გამომწვევი მიზეზების გაანალიზება და სხვებისათვის იმის დანახვება, რომ ყოველივე ეს, მართლაც, სათანადოდაა გაანალიზებული.

იქამდე, სანამ აღნიშნული პროცესი არ განხორციელდება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, მუდმივად არსებობს იმის რისკი, რომ ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი ქმედებისათვის არა სამართლებრივი, არამედ სხვა გარემოებებით ნაკარნახევი საფუძვლებით გამოირიცხოს. ამავე დროს, იგი იშვიათი ხასიათის პრობლემად ვერ ჩაითვლება, რადგანაც ადამიანის უფლებათა ყველაზე შემაშფოთებელი დარღვევები ხშირად სწორედ ექსტრატერიტორიულ მოქმედებასთანაა დაკავშირებული. ევროპაში დღემდე არსებული ოკუპირებული და სეპარატისტული ტერიტორიები, ევროპულ სახელმწიფოთა მონაწილეობა ავღანეთში, ერაყსა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე სამშვიდობო და სამხედრო ოპერაციებში, ასევე სხვებთან ერთად, მათი სამხედრო ხომალდებით სომალის სანაპიროსთან ბოლო დროს მეკობრეობასთან აქტიურად მიმდინარე ბრძოლა მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ პოტენციური შემთხვევებისა, სადაც ეს პრობლემა შეიძლება აქტუალური გახდეს.

ინფორმაციის მიღების თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

ირაკლი გივიაშვილი

1. შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად:

1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება.
2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი შედგება შემდეგი სამი კომპონენტისაგან: აზრის ქონის თავისუფლება; ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება; და ინფორმაციის მიღების თავისუფლება.¹

აღნიშნული სტატიის მიზანია მე-10 მუხლის მესამე, ბოლო კომპონენტის, ანუ ინფორმაციის მიღების თავისუფლების ანალიზი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კონტექსტში.

¹ კ. კორკელია და ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2003, გვ. 200.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს ინფორმაციის მიღების თავისუფლება (*freedom to receive information*), ანუ უფლება, მიიღოს ინფორმაცია საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი, კონვენციის მე-8, მე-9 და მე-11 მუხლების მეორე პუნქტების მსგავსად, უფლებას აძლევს სახელმწიფოებს, შეზღუდოს პირველ პუნქტში გარანტირებული უფლება. მე-10 მუხლით გარანტირებული უფლებები არ არის აბსოლუტური ხასიათის და თუ მე-10 მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი პირობები არ შესრულდება, შეზღუდვა პირველი პუნქტით დადგენილ უფლებაზე ჩაითვლება კონვენციის დარღვევად.²

2. ინფორმაციის მიღების თავისუფლების განმარტება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით

კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, ინფორმაციის მიღების თავისუფლება ორი ასპექტით ვლინდება: „I. მასმედიის წარმომადგენელთა მიერ ინფორმაციისა და იდეის მიღების თავისუფლებით, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება, აცნობონ აღნიშნული ინფორმაცია საზოგადოებას; II. საზოგადოების უფლებით — მიიღოს ინფორმაცია, კერძოდ იმ საკითხების შესახებ, რომლებიც საზოგადოებას აინტერესებს.“³

მასმედიის წარმომადგენლებს აკისრიათ მორალური ვალდებულება, მიაწოდონ საზოგადოების წევრებს ინფორმაცია საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე და, თავის მხრივ, საზოგადოების წევრებს აქვთ უფლება, მიიღონ ასეთი ინფორმაცია, საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე.⁴ თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი შეზღუდულად განმარტავს მე-10 მუხლით გარანტირებულ ინფორმაციის მიღების თავისუფლებას⁵ (*freedom to receive information*) და მასში არ მოიაზრება საზოგადოების წევრების უფლება, მოითხოვონ და მიიღონ ინფორმაცია საჯარო ხელისუფლებისაგან.⁶ რამდენიმე საქმეზე განმცხადებლები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომ

2 Council of Europe, *Case-Law Concerning Article 10 of the European Convention on Human Rights – Forty years of case-law 1959-1999*, Strasbourg, 1999, გვ. 19-20.

3 კ. კორკელია და ი. ქურდაძე, *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით*, თბ., 2003, გვ. 201.

4 A. Van Rijn, *Freedom of Expression (Article 10)*, in P. Van Dijk et al. (eds.), *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 2006, გვ. 775.

5 D. Shelton, *The Environmental Jurisprudence of International Human Rights Tribunals*, in R. Piccolotti and J. D. Taillant (eds.), *Linking Human Rights and the Environment*, 2003, გვ. 3.

6 S. Weber, *Environmental Information and the European Convention on Human Rights*, in *Human Rights Law Journal*, Vol. 12, No. 5, 1991.

მე-10 მუხლი მოიცავდა სახელმწიფოთა ვალდებულებას, პირებისათვის გაეცათ ინფორმაცია, მაგრამ უშედეგოდ.⁷

2.1 ლეანდერი შვედეთის წინააღმდეგ

საქმეზე — *ლეანდერი შვედეთის წინააღმდეგ (Leander v. Sweden)*⁸ — განმცხადებელი ითხოვდა მე-10 მუხლის დარღვევის დადგენას იმის გამო, რომ მას უარი ეთქვა იმ დოკუმენტის ხელმისაწვდომობაზე, რომელსაც საჯარო ხელისუფლება ინახავდა მასზე და რომლის შინაარსის გამოც მას უარი ეთქვა კონკრეტული თანამდებობის დაკავებაზე. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ „ინფორმაციის მიღების თავისუფლება უკრძალავს მთავრობას, შეზღუდოს პირი იმ ინფორმაციის მიღებისაგან, რომლის მიწოდებაც სხვა პირს სურს მისთვის. მე-10 მუხლი ისეთ გარემოებებში, რომლებიც მოცემულია აღნიშნულ საქმეზე, არ ანიჭებს პირს ხელმისაწვდომობის უფლებას იმ მონაცემებზე, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას მასზე და არ გულისხმობს მთავრობის ვალდებულებას, მიაწოდოს ასეთი ინფორმაცია პირს“.⁹ შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა.

2.2 გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

საქმეზე — *გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gaskin v. the United Kingdom)*¹⁰ — განმცხადებელი ითხოვდა მე-10 მუხლის დარღვევის დადგენას იმის გამო, რომ მას მთავრობის მიერ უარი ეთქვა იმ ოფიციალური დოკუმენტების მიწოდებაზე, რომლებიც ეხებოდა კონკრეტული საჯარო ხელისუფლების მეურვეობას განმცხადებლის არასრულწლოვანების პერიოდზე. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მოახდინა ციტირება თავისი გადაწყვეტილებიდან – *ლეანდერი შვედეთის წინააღმდეგ (Leander v. Sweden)*: „ინფორმაციის მიღების თავისუფლება უკრძალავს მთავრობას, შეზღუდოს პირი იმ ინფორმაციის მიღებისაგან, რომლის მიწოდებაც სხვა პირს სურს მისთვის.“ სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ: ისეთ გარემოებებში, რომლებიც მოცემულია აღნიშნულ საქმეზე, მე-10 მუხლი არ მოიცავს ამ კონკრეტული სახელმწიფოს ვალდებულებას, მიაწოდოს ასეთი ინფორმაცია პირს.“¹¹ შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა.

7 A. R. Mowbray, *The Development of Positive Obligations under the European Convention on Human Rights by the European Court of Human Rights*, 2004, გვ. 192.

8 ECHR series A, number 117 (1987).

9 ECHR series A, number 117 (1987), para 74.

10 ECHR series A, number 160 (1989).

11 ECHR series A, number 160 (1989), para 52.

2.3 სირბუ და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ

საქმეზე — *სირბუ და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ (Sirbu and Others v. Moldova)*¹² — განმცხადებლები ითხოვდნენ მე-10 მუხლის დარღვევის დადგენას სახელმწიფოს მიერ გარკვეული ინფორმაციისათვის საიდუმლო გრიფის დადების გამო. სასამართლომ განაცხადა, რომ მე-10 მუხლი „ისეთ გარემოებებში, რომლებიც მოცემულია აღნიშნულ საქმეზე, სახელმწიფოს არ აკისრებს საიდუმლო დოკუმენტების გამჟღავნების ვალდებულებას.“¹³

2.4 ბადერი ავსტრიის წინააღმდეგ

1996 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ განიხილა განაცხადი — *ბადერი ავსტრიის წინააღმდეგ (Bader v. Austria)*.¹⁴ აღნიშნულ განაცხადში განმცხადებელი ითხოვდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის დადგენას იმის გამო, რომ ავსტრიის მთავრობამ ფართო საზოგადოებას არ მიაწოდა ყოვლისმომცველი და ზუსტი ინფორმაცია ევროპის კავშირთან ავსტრიის მიერთების პროცედურის საკითხებზე, მათ შორის რეფერენდუმზე. კომისიამ თავის განჩინებაში მოიშველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე — *ლენდერი შვედეთის წინააღმდეგ (Leander v. Sweden)* და *გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gaskin v. United Kingdom)* — და განაცხადა: „კომისია არ თვლის, რომ მე-10 მუხლი ისეთ გარემოებებში, რომლებიც მოცემულია აღნიშნულ საქმეზე, უფლებას ანიჭებს პირს, კონკრეტული სახით მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებიდან ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე.“¹⁵ კომისიამ თავისი განჩინებით მიუღებლად მიიჩნია აღნიშნული განაცხადი.

2.5 ნურმინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ

1997 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ განიხილა განაცხადი — *ნურმინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ (Nurminen and Others v. Finland)*.¹⁶ აღნიშნულ განაცხადში განმცხადებლები ითხოვდნენ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის დადგენას იმის საფუძველზე, რომ ფინეთის მთავრობამ მათ არ მიაწოდა სწორი ინფორმაცია ევროპის კავშირთან ფინეთის მიერთებასთან დაკავშირებულ რეფერენდუმზე. თავის განჩინებაში კომისიამ მოიშველია სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე — *ლენდერი შვედეთის წინააღმდეგ (Leander v. Sweden)* — და

12 *Judgment of 15 June 2004.*

13 *Judgment of 15 June 2004, para 14.*

14 *No. 26633/95, Decision of 15 May 1996.*

15 *No. 26633/95, Decision of 15 May 1996, para 2.*

16 *No. 27881/95, Decision of 26 February 1997.*

განაცხადა: „კომისია არ თვლის, რომ მე-10 მუხლი, ისეთ გარემოებებში, რომლებიც მოცემულია აღნიშნულ საქმეზე, უფლებას ანიჭებს პირს, კონკრეტული სახით მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებიდან ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე. უფრო მეტიც, განმცხადებლები არ აცხადებენ, რომ ფინეთის ხელისუფლებამ მათ ხელი შეუშალა იმ ინფორმაციის მიღებაში, რომელიც საჭიროდ მიაჩნდათ.“¹⁷ კომისიამ თავისი განჩინებით მიუღებლად მიიჩნია აღნიშნული განაცხადი.

2.6 „გრუპო ინტერპრეს ს. ა.“ ესპანეთის წინააღმდეგ

1997 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ განიხილა განაცხადი — „გრუპო ინტერპრეს ს. ა.“ ესპანეთის წინააღმდეგ (*Grupo Interpres S.A. v. Spain*).¹⁸ აღნიშნულ განაცხადში განმცხადებელი ითხოვდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის დადგენას იმის საფუძველზე, რომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა სასამართლო ხელისუფლების არქივში შენახული ინფორმაციის გასაჯაროებაზე, რომელიც ეხებოდა ერთ-ერთ კომერციულ დაწესებულებას. კომისიამ განიხილა განაცხადი და დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი „არ ანიჭებს რომელიმე პირს ან ფირმას ხელმისაწვდომობის აბსოლუტურ უფლებას არქივებში შენახულ ინფორმაციისადმი, რომელიც შეეხება მესამე მხარის ფინანსურ მდგომარეობას, და იგი არ ავალდებულებს ხელისუფლებას, აცნობოს ეს ინფორმაცია ნებისმიერ პირს, ვინც ამას მოითხოვს.“¹⁹ შესაბამისად, კომისიამ თავისი განჩინებით მიუღებლად მიიჩნია აღნიშნული განაცხადი.

2.7 გუერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ

საქმე – გუერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (*Guerra and Others v. Italy*)²⁰ – ეხებოდა გარემოს ზემოქმედების რისკს, რომელიც, ქარხნის ხასიათიდან გამომდინარე, განმცხადებლებს ემუქრებოდათ. თავდაპირველად განმცხადებლებმა მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას 1988 წელს. მარია გუერა და სხვა 39 განმცხადებელი ცხოვრობდა ერთი კილომეტრის მოშორებით კერძო ქარხნიდან, რომელიც ქიმიურ ნივთიერებებს იყენებდა წარმოების პროცესში. წლების განმავლობაში სახელმწიფო ორგანოებს არ მიუწოდებიათ ინფორმაცია ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის აღნიშნული ქარხნიდან მომავალი რისკებისა და საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი უსაფრთხოების ზომების თაობაზე. უნდა აღინიშნოს,

17 No. 27881/95, Decision of 26 February 1997, para 1.

18 No. 32849/96, Decision of 7 April, 1997, D.R. 89.

19 No. 32849/96, Decision of 7 April, 1997, D.R. 89, p. 150.

20 1998 – 1 ECHR 14967/89, Judgment of 19 February 1998.

რომ 1970 წელს 150 ადამიანი მოინამლა ქარხნის მიერ გამონვეული დაბინძურებით და მათი საავადმყოფოში მკურნალობა გახდა აუცილებელი. განმცხადებლები ითხოვდნენ, კომისიას დაედგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა, ვინაიდან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მათი საცხოვრებლის სიახლოვეს მდებარე ქარხნიდან მომავალი საფრთხეების თაობაზე მათთვის ინფორმაციის მიწოდება. კომისიას უნდა გადაეწყვიტა შემდეგი – ინფორმაციის მიღების თავისუფლება მოიცავს თუ არა მთავრობის პოზიტიურ ვალდებულებას, მიანოდოს ინფორმაცია საზოგადოების დაინტერესებულ წევრებს.²¹ კომისიამ დაადგინა, რომ მე-10 მუხლი აკისრებს სახელმწიფოებს იმ ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების პოზიტიურ ვალდებულებას, რომელიც სხვაგვარად ხელმიუწვდომელია საზოგადოებისათვის. კომისიის აზრით, საჯარო ინფორმაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ადამიანების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. შესაბამისად, კომისიამ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა.

იტალიის მთავრობამ აღნიშნული გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდ პალატაში გაასაჩივრა, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა 1998 წელს. სასამართლომ არ მიიჩნია, რომ იტალიის მთავრობამ დაარღვია მე-10 მუხლი და ამით უარყო ამ მუხლის ფართო განმარტებით მიდგომა.²² სასამართლომ გაიმეორა თავისი წინა გადაწყვეტილებები და განაცხადა: „ინფორმაციის მიღების თავისუფლება უკრძალავს მთავრობას, შეზღუდოს პირი იმ ინფორმაციის მიღებისაგან, რომლის მიწოდებაც სხვა პირს სურს მისთვის. ეს თავისუფლება ისეთ გარემოებებში, რომლებიც მოცემულია აღნიშნულ საქმეზე, არ მოიცავს კონკრეტული სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, შეაგროვოს და გაავრცელოს ინფორმაცია თავის მხრივ.“²³ სასამართლომ არ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა, თუმცა, ის არ იყო ერთსულოვანი თავის გადაწყვეტილებაში, კერძოდ კი, რვა მოსამართლემ გამოთქვა განსხვავებული მოსაზრება (*concurring opinion*).

ერთ-ერთი ასეთი იყო მოსამართლე პალიმი, რომლის აზრით, გარკვეულ გარემოებებში სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს იმ ინფორმაციის გაცემის პოზიტიური ვალდებულება, რომელიც სხვაგვარად ვერ იქნება ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

მოსამართლე ჯამბრეკმა თავის გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ მე-10 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს არ ეკისრება პოზიტიური ვალდებულება თავისი

21 D. Shelton, *The Environmental Jurisprudence of International Human Rights Tribunals*, in R. Picolotti and J. D. Taillant (eds.), *Linking Human Rights and the Environment*, Tucson, 2003, გვ. 4.

22 D. Shelton, *The Environmental Jurisprudence of International Human Rights Tribunals*, in R. Picolotti and J. D. Taillant (eds.), *Linking Human Rights and the Environment*, Tucson, 2003, გვ. 5.

23 1998 – 1 ECHR 14967/89, *Judgment of 19 February 1998*, para 53.

ინიციატივით ინფორმაციის მიწოდებისა, მაგრამ თუ ინფორმაციის მიწოდებაზე მოთხოვნა შევიდა მოქალაქისაგან, ეს ინფორმაცია მას უნდა გადაეცეს. ამ მოსამართლის აზრით, როცა ადამიანები, რომლებიც არიან ინდუსტრიული რისკების პოტენციური მსხვერპლნი, მოითხოვენ ინფორმაციას მთავრობის ორგანოსაგან, ასეთი ინფორმაცია უნდა გახდეს ხელმისაწვდომი მათთვის. *ჯამბრეკის* აზრით, თუ სახელმწიფო არ დააკმაყოფილებს მოქალაქეთა ასეთ მოთხოვნას ინფორმაციის გაცემაზე, დაირღვევა კონვენციის მე-10 მუხლი.

საქმეზე – *გურა და სხვები იტალიის წინააღმდეგ* – სასამართლომ მე-10 მუხლის დარღვევა არ დაადგინა, მაგრამ მან დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო განმცხადებელთა ინფორმირება გარემოს ზემოქმედების იმ საფრთხის თაობაზე, რომელიც მათ კერძო ქარხნიდან ემუქრებოდათ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) თანახმად, „ყველას აქვს უფლება, დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმონერა.“ აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ არ გადადგა ნაბიჯები განმცხადებელთა უფლების ეფექტიანი დაცვისა და მათი ინფორმირებისათვის. სასამართლოს განცხადებით, განმცხადებლები 1994 წლამდე ამოდ ელოდნენ იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებას, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ, შეეფასებინათ საფრთხე, თუ იგი დაემუქრებოდათ ქარხნის სიახლოვეს ცხოვრების გაგრძელების შემთხვევაში. სასამართლოს აზრით, ასეთ გარემოში ყოფნა შეუძლებელს ხდიდა ნორმალური ცხოვრების გაგრძელებას ადგილზე და, შესაბამისად, დაირღვა მე-8 მუხლით გარანტირებული საცხოვრისის უფლება (*the right to home*). აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლი შეზღუდულად განმარტა, თუმცა ფართოდ განმარტა კონვენციის მე-8 მუხლი. ამ საქმეზე სასამართლოს გადამწყვეტილება მიუთითებს, რომ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, გაატარონ გადამწყვეტი ღონისძიებები ზემოაღნიშნული სახის ინფორმაციის გავრცელების საქმეში.²⁴

2.8 ევროპის საბჭოს ინსტიტუტების მიდგომები ინფორმაციის მიღების თავისუფლებასთან მიმართებით

2.8.1 ადამიანის უფლებების ექსპერტთა კომიტეტი

1975 წელს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების ექსპერტთა კომიტეტმა დაიწყო რეკომენდაციების მომზადება კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული

²⁴ A. R. Mowbray, *The Development of Positive Obligations under the European Convention on Human Rights by the European Court of Human Rights*, Oxford, 2004, გვ. 145.

ინფორმაციის მიღების თავისუფლების ცნების გაფართოების მიზნით.²⁵ აღნიშნულთ უნდა მომხდარიყო სახელმწიფოების ვალდებულების განსაზღვრა საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების კუთხით. ექსპერტთა კომიტეტმა მოამზადა კონვენციის დამატებითი ოქმი, რომლის მე-6 მუხლი აფართოებდა კონვენციის მე-10 მუხლს და რომელიც მოიცავდა ადამიანის უფლებას, გამოეთხოვა ინფორმაცია საჯარო ხელისუფლების ორგანოებიდან. თუმცა ამ ოქმის პროექტს ხელი არ მოაწერეს კონვენციის ხელშემკვერელმა სახელმწიფოებმა.²⁶

2.8.2 მინისტრთა კომიტეტი

1981 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია საჯარო ხელისუფლების განკარგულებაში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.²⁷ აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად, ყველას აქვს უფლება, გამოითხოვოს ინფორმაცია საჯარო ხელისუფლებებისაგან, თუმცა არა საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოებიდან. აღნიშნული დოკუმენტით სახელმწიფოებს მიეცათ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის საჭირო ზომების მიღების რეკომენდაცია. თუმცა, რეკომენდაციის თანახმად, ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სხვა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ იტალიამ და ლუქსემბურგმა უფლება დაიტოვეს, არ შეესრულებინათ რეკომენდაციით გათვალისწინებული ზომები.²⁸

1982 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო დეკლარაცია აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებაზე.²⁹ აღნიშნულ დეკლარაციაში ევროპის საბჭოს წევრები აცხადებენ, რომ მათი მიზანია, დაიცვან ყველას უფლება, მოიძიონ და მიიღონ ინფორმაცია ნებისმიერი წყაროდან. ისინი ასევე აცხადებენ, რომ მათი მიზანია, გაატარონ პოლიტიკა, რომელიც მიმართულია თავისუფალი და ღია ინფორმაციის უზრუნველყოფისაკენ საჯარო სექტორში. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობა აუცილებელია, რათა საზოგადოების წევრებმა შეძლონ პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური საკითხების თავისუფალი განხილვა.

2002 წელს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის თაობაზე.³⁰ რეკომენდაციის თანახმად, სახელმწიფოს ევალება, უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა იმ ოფიციალურ დოკუმენტებზე, რომლებიც ინახება

25 Council of Europe, *Yearbook of the European Convention on Human Rights*, 1975.

26 S. Weber, *Environmental Information and the European Convention on Human Rights*, in *Human Rights Law Journal*, Vol. 12, No. 5, 1991, გვ. 178.

27 Recommendation No. R (81) 19, adopted by the Committee of Ministers on 25.11.1981 at the 340th Meeting of the Ministers' Deputies.

28 Council of Europe, *ECHR Collected Texts (1987)*, გვ. 215.

29 Committee of Ministers, adopted at 70th session, 29 April, 1982.

30 Committee of Ministers, adopted at 784th session, 21 February, 2002.

საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ოფიციალური დოკუმენტების გაცემა პირის თხოვნის საფუძველზე, თუმცა ეს ვალდებულება არ არის აბსოლუტური ხასიათის და ჩამოთვლილია ის პირობები, რის გამოც შეიძლება უარი ეთქვას ინფორმაციის გაცემის მოთხოვნას.

2.8.3 საპარლამენტო ასამბლეა

1970 წელს ევროპის საბჭოს საკონსულტაციო (საპარლამენტო) ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ეხება სამთავრობო ორგანოების ვალდებულებას, მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოების წევრებს. აღნიშნული რეზოლუციის თანახმად, საზოგადოების წევრებს ასეთი ორგანოების მიერ ინფორმაცია უნდა მიენოდოთ გონივრულ ვადებში.³¹

1979 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეკომენდაცია საზოგადოების მიერ მთავრობის მონაცემებზე ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის თავისუფლების თაობაზე.³² აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად, სახელმწიფოებს ეთხოვათ ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც სამთავრობო დოკუმენტების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფდა.

1986 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეკომენდაცია მონაცემების დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლებაზე.³³ აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად, ოფიციალურ დოკუმენტებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის პრინციპი განმტკიცებულია ევროპის საბჭოს წევრი მრავალი სახელმწიფოს კანონმდებლობით და მონაცემთა დაცვა და ინფორმაციის თავისუფლება უნდა იყოს ურთიერთპარამონიზებული.

2.8.4 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მე-10 მუხლი შეეხება ინფორმაციის მიღების თავისუფლებას (*freedom to receive information*), ანუ უფლებას, მიიღო ინფორმაცია საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და იგი არ მოიცავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას (*a right of access to information*).³⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ სურს, კონვენციის მე-10 მუხლით სახელმწიფოებს დააკისროს პირე-

31 Res. 428 (1970), Council of Europe, Cons. Ass., 21st ordinary session, 22-30 January 1970.

32 Recommendation 854 (1979), adopted by Parliamentary Assembly on 1st February, 1979.

33 Recommendation 1037 (1986), adopted by Parliamentary Assembly on 31 July, 1986.

34 C. Ovey and R. White, Jacobs and White: the European Convention on Human Rights, 2002, გვ. 282.

ბისათვის ინფორმაციის გაცემის პოზიტიური ვალდებულება.³⁵ სასამართლოსათვის მე-10 მუხლი მხოლოდ კრძალავს საჯარო ხელისუფლების ჩარევას ინფორმაციის გაცემის მსურველი პირის მიერ ინფორმაციის მიღების მსურველი პირისათვის ინფორმაციის მინოდების საქმეში.³⁶

არსებობს მოსაზრება, რომ მომავალში შესაძლოა, ადამიანის უფლებათა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლით დაადგინოს სახელმწიფოს ვალდებულება ინფორმაციის მინოდებაზე, თუმცა ეს დამოკიდებულია მიდგომების ცვლილება-სა და მე-10 მუხლის ფართო ინტერპრეტაციაზე, და თუ ეს ასე მოხდა, ზემოთ მოხსენიებულ მოსამართლე *ჯამბრეკის* მოსაზრება გუერას საქმეზე უნდა იქნეს საფუძვლად გამოყენებული.³⁷

თუმცა ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება ინფორმაციის გაცემაზე შესაძლებელია გამომდინარეობდეს პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებიდან, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-8 მუხლით.³⁸ თუ სახელმწიფო არ გაასაჯაროებს ინფორმაციას, რომელიც ეხება პირების მიმართ საფრთხეს, გამომდინარე გარემოს დაბინძურებიდან, შესაძლებელია, სასამართლომ დაადგინოს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.³⁹

3. დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზი ცხადყოფს, რომ შეზღუდულად ხდება მე-10 მუხლით გარანტირებული ინფორმაციის მიღების თავისუფლების განმარტება. სასურველია, ასეთ პრაქტიკას გადახედოს სასამართლომ და მომავალში განიხილოს მე-10 მუხლის ფართო განმარტება, რომელიც დაადგენს სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებას, მიანოდოს ინფორმაცია საზოგადოების წევრის თხოვნის საფუძველზე და შესაბამისი შეზღუდვის პირობების გათვალისწინებით. ასეთი მიდგომის გამართლება შეიძლება შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინებით:

ევროპულ სასამართლოს არ განუხილავს მნიშვნელოვანი რაოდენობის საქმეები, რომლებიც ეხება მე-10 მუხლის დარღვევას და სახელმწიფოს ჩარევას მოქალაქეებს შორის ინფორმაციის მინოდება-მიღებაში. როგორც ჩანს, ეს ჰორიზონტა-

35 A. R. Mowbray, *The Development of Positive Obligations under the European Convention on Human Rights by the European Court of Human Rights*, 2004, გვ. 192.

36 C. Ovey and R. White, *Jacobs and White: the European Convention on Human Rights*, 2002, გვ. 282.

37 A. R. Mowbray, *The Development of Positive Obligations under the European Convention on Human Rights by the European Court of Human Rights*, 2004, გვ. 193.

38 C. Ovey and R. White, *Jacobs and White: the European Convention on Human Rights*, 2002, გვ. 282.

39 A. R. Mowbray, *The Development of Positive Obligations under the European Convention on Human Rights by the European Court of Human Rights*, 2004, გვ. 145.

ლური ხასიათის მექანიზმი ადვილად მუშაობს და სახელმწიფოს მხრიდან არც კი მოითხოვს რაიმე დამატებით და არსებითი ხასიათის ძალისხმევას. ეს, რა თქმა უნდა, დადებითია, მაგრამ კონვენციის მიზანი არ არის, გაამყაროს სახელმწიფოს ვალდებულება იმაზე, რაც სახელმწიფოს გარეშეც მოქმედებს. კონვენციის მე-10 მუხლის არსებული ინტერპრეტაციით ხდება ამ მუხლის მნიშვნელობის დაკნინება.

უამრავი სფეროა, რომლის შესახებაც, ძირითადად, სახელმწიფო ორგანოებს მოეპოვებათ ინფორმაცია და არა მასმედიის წარმომადგენლებს. შესაბამისად, მე-10 მუხლის არსებული განმარტება ქმნის ინფორმაციის გარკვეულ ვაკუუმს საზოგადოების წევრებისათვის;

დღესდღეობით ევროპის საბჭოს სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობით უზრუნველყოფილია სამთავრობო ორგანოების განკარგულებაში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოების წევრის მოთხოვნის საფუძველზე და გარკვეული შეზღუდვების პირობების გათვალისწინებით. შესაბამისად, მე-10 მუხლის ფართო ინტერპრეტაცია არ იქნება დამატებითი ტვირთი სახელმწიფოსათვის და არ გამოიწვევს მნიშვნელოვან დამატებით ფინანსურ სახელმწიფო დანახარჯებს.

დღევანდელ მსოფლიოში განვითარებული ელექტრონული კომუნიკაციები აადვილებს და უფრო იაფს ხდის ინფორმაციის საჯაროობას სახელმწიფოს მხრიდან;

დღევანდელ სამთავრობო დანესებულებებში კონცენტრირებულია დიდი მოცულობისა და საზოგადოებისათვის საინტერესო ინფორმაცია და დემოკრატიული საზოგადოების პრინციპები გულისხმობს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ფართო საზოგადოებისათვის;

უკვე არსებობს ე.წ. ორჰუსის კონვენცია, რომელიც ადგენს საჯარო ხელისუფლებათა ვალდებულებას, მოიძიოს და გაავრცელოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია და დააკმაყოფილოს მოთხოვნები გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემაზე.

მე-8 მუხლის განმარტება სახელმწიფოსათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემის ვალდებულების დაკისრების კუთხით საკმაოდ საინტერესო და რეველუციური ტენდენციაა, თუმცა ნაკლებად შესაძლებელია, ასეთმა მიდგომამ დააკმაყოფილოს ფართო საზოგადოების ინტერესი იმ ინფორმაციის მიმართ, რომელიც სხვადასხვა თემაზე შეიძლება ინახებოდეს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ორგანოებში. ინფორმაცია გარემოს დაბინძურებით გამომდინარე საფრთხეებზე ხომ მხოლოდ ერთი სფეროა.

საგადასახადო ვალდებულებები და საკუთრების უფლება – ევროპული სასამართლოს ხედვა

დავით თომაძე

გადასახადები და სიკვდილი, შესაძლოა, მართლაც გარდაუვალია, მაგრამ მათ შორის მიზეზობრივი კავშირი არ უნდა არსებობდეს.
ჯ.ს. ვოტსი, უმც.

1. შესავალი

თანამედროვე ორგანიზებული საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელია გადასახადების გარეშე. ქვეყნების ეკონომიკური განვითარება და მასში საზოგადოების დიდი ნაწილის ჩართვა პირდაპირპროპორციულია, რაც ფისკალური პოლიტიკის გამტარებლებს აიძულებს, მაქსიმალურად გაამარტივონ თამაშის წესები, რათა ხელი არ შეეშალოს ბიზნესის განვითარებას. თუმცა საგადასახადო პროცედურების გამარტივება ნოყიერ ნიადაგს უქმნის უკანონო გამდიდრების მოსურნეებს გადასახადებისაგან თავის არიდებისთვის. ეს კი რთულ მდგომარეობაში აყენებს გადასახადების ამკრეფებს, ვინაიდან, ერთი მხრივ, ისინი ვალდებული არიან, დააკმაყოფილონ საზოგადოების სულ უფრო მზარდი მოთხოვნები, ხოლო მეორე მხრივ — შეამცირონ გადასახადების დამალვის რისკები.

ეს ინტერესთა კონფლიქტი აისახა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველ დამატებით ოქმში, რომლის პირველი მუხლი ითვალისწინებს ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების უფლების დაცვას. ამასთან, დამატებითი ოქმი არ ზღუდავს მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ ისეთი კანონების შესრულება, რომლებიც მათ აუცილებლად ესახებათ საკუთრების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისათვის, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ან ბეგარის ან სხვა გადასახადებისა და ჯარიმების აკრეფის უზრუნველყოფისათვის.

წინამდებარე სტატიის მიზანია გადასახადების დაკისრებისა და მათი გადახდევინებისას სახელმწიფოთა უფლებამოსილების ფარგლებისა და, ამ კუთხით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების განსაზღვრა. სტატია შეეცდება, უპასუხოს კითხვებს, თუ რამდენად შეზღუდული უნდა იყოს სახელმწიფო გადასახადების დაკისრებისა და მათი ამოღების მექანიზმების გამოყენებისას. სტატიის ყურადღება მიმართულია ინტერესთა იმ კონფლიქტზე, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოს გადასახადის აკრეფისა და პირის საკუთრების უფლებებს შორის.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო დავების კუთხით ევროპული სა-

სამართლოს პრაქტიკა არცთუ მდიდარია. ამდენად, ამ საკითხზე მიღებულ თითოეულ გადაწყვეტილებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მიმართულებით ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა სამართლებრივი ხედვის განვითარებისთვის.

აღნიშვნას მოითხოვს ის ფაქტი, რომ ამ სტატიამი არ იქნება განხილული დისკრიმინაციული საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც, ავტორის აზრით, დამოუკიდებელი კვლევის საგანია. სტატიამი ასევე არ იქნება მსჯელობა საგადასახადო ვალდებულების სიმძიმეზე, რაზეც ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ჯერ კიდევ არ მომნიშვნეულა.¹ ამის ნაცვლად ყურადღება გამახვილდება ისეთ საკითხზე, თუ რამდენად შეიძლება სიტყვების გამოყენება – „რომლებიც მათ აუცილებლად ესახებათ“ – გახდეს გარანტია სახელმწიფოებისთვის შეუზღუდავი საგადასახადო პოლიტიკის წარმართვისას და თუ ეს უფლებამოსილება არ არის შეუზღუდავი, როგორ გამოიხატება იგი?

სტატიის მომდევნო ნაწილის კვლევის საგანი სწორედ საგადასახადო ორგანოების ქმედებათა შემზღუდველი პრინციპების დადგენა იქნება.

კვლევისთვის გამოყენებული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და ის ნორმატიული აქტები, რომლებიც შესაძლოა, მკითხველისთვის საინტერესო აღმოჩნდეს ეროვნულ დონეზე საგადასახადო ორგანოების უფლებამოსილების ფარგლების შესაფასებლად. საკითხის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მსჯელობა დაეფუძნება კონკრეტული მაგალითების განხილვასა და მათ განზოგადებას.

2. საკუთრების უფლება და გადასახადები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი არის კონვენციის განუყოფელი ნაწილი და სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სახელმწიფოსთვის, რომელმაც მისი რატიფიცირება მოახდინა.² ევროპის საბჭოს უმეტეს ქვეყანაში კონვენციის დებულებები ეროვნული კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილი³ და ორგანულ კანონზე მაღლა მდგომი ნორმატიული აქტია.⁴

დამატებითი ოქმის პირველი მუხლი სამი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი ზოგადი ხასიათისაა და ადგენს, რომ საკუთრების უფლება დაცული უნდა იყოს ყვე-

1 P. Van Dijk et al, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 2006, 892, 131-ე სქოლიო.

2 საქართველოსთვის დამატებითი ოქმი ძალაში შევიდა 2002 წლის 7 ივნისს.

3 მაგ.: იხ. საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი, მე-7 მუხლი, 1-ლი პუნქტი.

4 იქვე, მე-3 პუნქტი.

ლასთვის; მეორე ნაწილით განსაზღვრულია ის შემთხვევები და პირობები, როდესაც საკუთრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია, კერძოდ, ამგვარი ჩარევა ნაკარნახევი უნდა იყოს საზოგადოების ინტერესებითა და იმ პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით; მესამე ნაწილი დეკლარაციულად აცხადებს, რომ სახელმწიფოები სარგებლობენ უფლებით, გამოიყენონ მათთვის სასურველი კანონები (კანონები, „რომლებიც მათ აუცილებლად ესახებათ“) გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად.

უდავოა, რომ პირის ფინანსური თუ სხვაგვარი სახსრები შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკუთრების ერთ-ერთ ფორმად და მათზე საკუთრების უფლების განხორციელებაში ჩარევა უნდა აკმაყოფილებდეს ევროპული კონვენციის მოთხოვნებს. თუმცა იგივე დებულება არ შეიცავს პირდაპირ მითითებას იმის თაობაზე, რომ გადასახადების აკრეფის სახელმწიფოსეული უფლებამოსილება განიცდის იმავე შეზღუდვას, რასაც საკუთრების უფლებაში სხვა ტიპის ჩარევა გამოიწვევდა.

საქმეში – *Wasa Liv Omsedesidigt*⁵ – კომისიამ დაადგინა, რომ საგადასახადო სფეროში, სახელმწიფოები სარგებლობენ ყველაზე ფართო დისკრეციით. ამასთან, სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა, რომ პროცედურული საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავებისას კანონმდებელი ფართო დისკრეციის უფლებით სარგებლობს და ევროპული სასამართლო პატივს სცემს ამ უფლებას, თუკი იგი გონივრულ საფუძველს არაა მოკლებული.⁶

არის თუ არა ხსენებული დისკრეცია შეუზღუდავი – პასუხი ამ კითხვაზე ჯერ კიდევ დამატებითი ოქმის ტექსტის შემუშავებისას გაიცა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს ენიჭებოდათ მათთვის სასურველი საგადასახადო პოლიტიკის წარმოების უფლებამოსილება, ეს უფლება არ უნდა ყოფილიყო განხილული როგორც უსაფუძვლო ჩამორთმევებისთვის სახელმწიფოსათვის *carte blanche*-ის მიმცემი.⁷

მეტიც, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სხვადასხვა ნაწილს შორის არსებობს მტკიცე კავშირი, საგადასახადო ადმინისტრირებისას საკუთრებაში ჩარევის უფლებამოსილება არ არის განუსაზღვრე-

5 *Wasa Liv Omsedesidigt and a group of approximately 15.000 others v. Sweden*, 1998 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, განაცხადი №13013/87, D&R 58 (1988), 188. იხ. ასევე *Jokela v. Finland*, 2002 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება, განაცხადი №28856/95, 57-ე პუნქტი.

6 *Gasus Dosier und Fördertechnik GmbH v. the Netherlands*, 1995 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, განაცხადი №15375/89, მე-60 პუნქტი.

7 *Sir David Maxwell-Fyfe*, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხთა კომიტეტის მომხსენებელი, საკონსულტაციო ასამბლეის მეორე შეხვედრა, მე-16 სხდომა (1950 წლის 25 აგვისტო), *Collected Edition of the Travaux préparatoires*, ტომი VI, 140. საქმეში (*Intersplav v. Ukraine*, 2007 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება, განაცხადი №803/02, 39-ე-მე-40 პუნქტები) სასამართლომ დაადგინა, რომ დღე-ის ზედმეტად გადახდილი თანხის დაუბრუნებლობა არღვევდა მომჩივნის საკუთრების უფლებას.

ლი და ექვემდებარება იმავე დათქმას, როგორც სხვა შემთხვევაში.⁸

როგორც ჩამოყალიბებული პრაქტიკა უჩვენებს, დისკრეციის შეფასებისას ევროპული სასამართლო იყენებს კერძო და საჯარო ინტერესების „სამართლიანი ბალანსისა“ და გამოყენებულ საშუალებათა „პროპორციულობის“ კრიტერიუმებს მთავრობათა ქმედებების შეფასებისას.⁹ პირველი გულისხმობს ჩარევის საზოგადოებრივ საჭიროებას, მეორე კი განხორციელებული ქმედების ადეკვატურობას გადამხდელის არამართლობიერი ქმედებებისაგან შექმნილი რისკის გათვალისწინებით.

სტატიის მომდევნო ნაწილში განხილული იქნება ის ცალკეული შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მსჯელობა მოუხდა სახელმწიფო ორგანოების მიერ ამ მოთხოვნათა დაცულობის შესახებ.

3. საკუთრების უფლების შეზღუდვა ბიზნესპარტნიორის მიერ პროცედურული ვალდებულებების დარღვევის გამო

სტატიის ეს ნაწილი ეძღვნება იმ შემთხვევის განხილვას, როდესაც გადამხდელზე საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება მესამე პირის მიერ საგადასახადო ვალდებულებების დარღვევის გამო.

საქმეში – „*Bulves*“ *AD v. Bulgaria*¹⁰ – სასამართლომ იმსჯელა დამატებითი ღირებულების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების შედეგად მიღებული ჩათვლის გაუქმების მართლობიერებაზე, რის მოტივაციაც დასაბეგრ ოპერაციაში მონაწილე კონტრაქტორის პროცედურული დარღვევა იქნა მითითებული. კერძოდ, საქონლის/მომსახურების მიმწოდებელმა 2 თვით დააგვიანა დღე-ით დასაბეგრი ოპერაციის დეკლარირება, მაშინ, როდესაც მომჩივანმა ზუსტად დაიცვა საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები. საგადასახადო შემონმების შედეგად მომჩივანს გაუუქმდა მიღებული ჩათვლა და, ამასთან, დაერიცხა საურავი.

სასამართლომ მსჯელობა დაიწყო ფაქტების შეფასებით. პირველ ყოვლისა, დაადგინა, რომ მომჩივანმა სრულად განხორციელა თავისი საგადასახადო ვალდებულებები: ა) საქონლის/მომსახურების მიღებისას სრულად გადაიხადა კუთვნილი დღე; ბ) თავის ჩანაწერებში, შესაბამის თვეში ასახვით, ზუსტად მიაკუთვნა დასაბეგრი ოპერაცია შესაბამის პერიოდს; და გ) დროულად წარადგინა მოთხოვნა

8 იხ. მაგ.: *Lithgow and Others v. UK*, 1986 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება, განაცხადები: №№9006/80, 9262/81, 9263/81, 9265/81, 9266/81, 9313/81, 9405/81, §106; *National & Provincial Building Society, the Leeds Permanent Building Society and the Yorkshire Building Society v. the United Kingdom*, 1997 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, განაცხადები: №№21319/93, 21449/93 და 21675/93, 78-ე პუნქტი.

9 P. Van Dijk et al, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 2006, 891. C. Ovey & R.C.A. White, *The European Convention on Human Rights*, 2006, 372.

10 „*Bulves*“ *AD v. Bulgaria*, 2009 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, განაცხადი №3991/03.

ჩათვლის მიღების შესახებ შესაბამის საგადასახადო ორგანოში. მომჩივანმა შეასრულა ყველა ვალდებულება დღგ-ის ჩათვლის მისაღებად. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ჩათვლის მიღებაზე უარის ერთადერთი მოტივი მომჩივნის მიმწოდებლის მიერ დარღვეული ვალდებულებები იყო.

სასამართლომ ეს მოტივი არამართლზომიერად ცნო და განაცხადა; იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მომჩივანმა სრულად შეასრულა თავისი ვალდებულებები, მან არ იცოდა და არ შეეძლო სცოდნოდა კონტრაქტორის მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ და არც იმის საშუალება ჰქონდა, ეიძულებინა ეს უკანასკნელი, ბოლომდე შეესრულებინა პროცედურული მოთხოვნები, მის მიმართ საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრება არამართლზომიერი იყო.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ევროპულმა სასამართლომ არ მიიღო მთავრობის არგუმენტი მომჩივნის მიერ რეგრესის წესით კონტრაქტორისაგან მიღებული ზიანის ამოღების შესაძლებლობის შესახებ მისი დაუსაბუთებლობის გამო.

სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა ის არგუმენტი, რომ მომჩივანი კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლისას თანხმდებოდა გარკვეულ რისკს, რომელიც მისი კონტრაქტორის არასწორ მოქმედებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ამ თვალსაზრისით, სასამართლომ შეაფასა ის გარემოება, რომ დღგ-თან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირება ექსკლუზიურად სახელმწიფოს ხელში იყო და, შესაბამისად, მომჩივანს არ ჰქონდა საშუალება, აერჩია გამოყენებადი წესები. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი დათანხმდა ამა თუ იმ წესს.

საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ არ დაიცვა ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის, შესაბამისად დაადგინა საკუთრების უფლების დარღვევა,¹¹ რასთან ერთადაც სახელმწიფოს დააკისრა მომჩივნის მიერ მეორეჯერ გადახდილი დღგ-ისა და საურავის თანხის სრულად ანაზღაურება, ასევე სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა.

ანალოგიური გადანყვეტილება მიიღო სასამართლომ საქმეში – *Business Support Centre v Bulgaria*,¹² სადაც ასევე ჩათვალა, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა ბალანსი დღგ-ის ჩათვლის გაუქმებისას.

შესაბამისად, ევროპული სასამართლო თვლის, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც პირი სრულად ასრულებს მასზე დაკისრებულ საგადასახადო ვალდებულებებს და, ამასთან, ვერ ამცირებს თავისი პარტნიორის მიერ ვალდებულებების

¹¹ იქვე, 71-ე პუნქტი.

¹² *Business Support Centre v. Bulgaria*, 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება, განაცხადი №6689/03.

დარღვევის შესაძლებლობას, საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრება არა-მართლზომიერია.

4. მესამე პირიდან გადასახადების ამოღება

სტატიის ეს ნაწილი ეხმიანება წინა თავს და განიხილავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირის საკუთრების უფლება კვლავაც მისი ბიზნესპარტნიორის გადაცდომის გამო იზღუდება, თუმცა ამ შემთხვევაში განხილული იქნება პირის ქონება, როგორც საგადასახადო ვალდებულების დაფარვის უზრუნველყოფის საშუალება.

საქმეში – *Agosi v. the United Kingdom* – სასამართლომ განიხილა შემთხვევა, როდესაც გერმანული კომპანიის მიერ დამზადებული ოქროს მონეტები კონტრაბანდული გზით გაერთიანებულ სამეფოში შეტანისას საბაჟოზე აღმოაჩინეს. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მას არ ჰქონდა რაიმე კავშირი იმ პირებთან, რომლებმაც სცადეს საბაჟოს გვერდის ავლით მონეტების გადაზიდვა. მეტიც, ამ პირებმა მონეტების ღირებულების ასანაზღაურებლად მას ფიქტიური ჩეკი გადასცეს და, შესაბამისად, საკუთრების უფლება კვლავ გერმანული კომპანიის ხელში იყო. საკუთრების უფლების სავარაუდო დარღვევის შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ უფლებაში ჩარევა მოხდა, თუმცა იგი არ დარღვეულა, ვინაიდან ბრიტანელმა მეზაყეებმა მართლზომიერი ბალანსი დაიცვეს პირისა და საზოგადოების ინტერესებს შორის. ეს საქმე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ევროპულმა სასამართლომ მიუთითა იმ კრიტერიუმებზე, რომლებიც შესაძლოა, ბალანსის დადგენისას იქნეს გამოყენებული.

სასამართლომ მიიჩნია, რომ პირის ქმედებისთვის სხვა პირის საკუთრების კონფისკაციისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ღონისძიებები, რომლებიც ტვირთის მესაკუთრემ გაატარა დარღვევის აღბათობის შესამცირებლად. სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებაზე მსჯელობას, თუ რამდენად დიდი ნვლილი მიუძღოდა ტვირთის მესაკუთრეს არამართლზომიერი ქმედების განხორციელებაში.¹³

მიჩნეულია, რომ, თუ მესაკუთრისათვის უცნობია კონტრაბანდის გადატანის განზრახვა, მისი ქონების კონფისკაციას გამართლება არ აქვს.¹⁴ ამასთან, სახელმწიფომ საკმარისი საშუალება უნდა მისცეს მესაკუთრეს, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ამ კუთხით ითვლება, რომ პირველი მუხლის მეორე ნაწილი მოიცავს პროცედურულ გარანტიებს.¹⁵

13 *Agosi v. the United Kingdom*, 1986 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, განაცხადი №9118/80, §54.

14 *P. Van Dijk et al, Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 2006, 893.

15 *P. Leach, Taking a Case to the European Court of human Rights*, 2005, 362. სახელმწიფოს ასევე აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს თავის ხელთ დროებით არსებული, მათ შორის საგადასახადო

საქმეში – *Gasus Dosier Und Fördertechnik GmbH v. the Netherlands*,¹⁶ – სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოხდა ჩარევა პირის საკუთრების უფლებაში. გერმანიაში რეგისტრირებულმა შპს „გასუსმა“ პირობით გაყიდა ელექტროტექნიკა (ძირითადი საშუალება) ნიდერლანდების რეზიდენტ პირზე — კომპანია „ატლას-ზე“. პირობა ის იყო, რომ ტექნიკაზე საკუთრების უფლებას გერმანული კომპანია ინარჩუნებდა მანამდე, სანამ ნიდერლანდური კომპანია სრულად არ დაფარავდა მის ღირებულებას, თუმცა ღირებულების დაფარვამდე დაიწყო „ატლასის“ გაკოტრების პროცესი, რომელიც საგადასახადო ორგანოს მიერ გერმანული კომპანიის კუთვნილი ელექტროტექნიკის კონფისკაციით დამთავრდა, რაც ნიდერლანდური კომპანიის გადაუხდელი საგადასახადო ვალდებულებებით იყო გამომწვეული.

გერმანული კომპანია არ დაეთანხმა საგადასახადო ორგანოს მოქმედებას, ვინაიდან ამ უკანასკნელს არ ჰქონდა სხვა პირის საკუთრების ჩამორთმევის უფლება. ეროვნული საშუალებების ამონურვის შემდეგ მომჩივანმა მიმართა ევროპულ სასამართლოს, რომელმაც ნიდერლანდების საგადასახადო ორგანოს მოქმედების მართლზომიერება საკუთრების უფლებით სარგებლობის ქრილში შეაფასა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, სადავო ელექტროსაქონელი იყო შპს „გასუსის“ საკუთრება, თუ იგი მხოლოდ გადახდის უზრუნველყოფის საშუალება იყო, რის შემდეგაც დაადგინა, რომ ნიდერლანდების საგადასახადო ორგანო ჩაერია გერმანული კომპანიის საკუთრების უფლებაში.

სასამართლომ ასევე არამართლზომიერად მიიჩნია საგადასახადო ორგანოს დავალდებულება, უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელებისას განესხვავებინა საგადასახადო დავალიანების მქონე პირის მფლობელობაში არსებული ქონების მესაკუთრის ვინაობა.¹⁷ ამის საწინააღმდეგოდ სასამართლომ დაადგინა, რომ პირის მფლობელობაში არსებული ქონების ამოღება საგადასახადო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, მიუხედავად მისი კუთვნილებისა, ცალკე აღებული, არ არღვევს საკუთრების უფლებას.¹⁸ მთავარი ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, არის ის, რომ არ მოხდეს ამ უფლების ბოროტად გამოყენება, რის შესაფასებლადაც ქმედება განხილულ უნდა იქნეს პროპორციულობის ქრილში.

დავის ფარგლებში ამოღებული, საკუთრების დაცულობა (იხ. მაგ.: *Patrikova v. Bulgaria*, 2010 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება, განაცხადი №71835/01).

16 *Gasus Dosier und Fördertechnik GmbH v. the Netherlands*, 1995 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, განაცხადი №15375/89.

17 *Gasus Dosier und Fördertechnik GmbH v. the Netherlands*, 1995 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, განაცხადი №15375/89, §61.

18 *Gasus Dosier und Fördertechnik GmbH v. the Netherlands*, 1995 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, განაცხადი №15375/89, §66.

საბოლოოდ, ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შემდეგ, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ, მართალია, „გასუსის“ საკუთრების უფლება შეილახა, მაგრამ იგი არ დარღვეულა, ვინაიდან მის მიერ გასხვისებული ძირითადი საშუალებების დაკარგვა გამონეწეული იყო იმ ბიზნესრისკებით, რომლებიც კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს ახლავს. სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „გასუსი“ სრულად აცნობიერებდა იმ რისკს, რომელიც მის მიერ მომავალი გადახდის პირობით საქონლის მიწოდებას ახლდა თან და რომ ეს რისკი შეიძლებოდა თავიდან აცილებულიყო საქონლის ღირებულების სრულად ანაზღაურების შემთხვევაში მისი გაუცემლობით. შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა საკუთრების უფლების დარღვევა.

ზემოთ მოყვანილი საქმეები ადასტურებს, რომ საკუთრების უფლებაში ჩარევისას საგადასახადო ვალდებულებების შესრულებისას სახელმწიფოთა უფლებამოსილება საკმაოდ ფართოა. ამ შემთხვევაში, მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან უზრუნველყონ გადასახადების გადახდა იმ საშუალებებით, „რომლებიც მათ აუცილებლად ესახებათ“.

5. საბაჟო წესების დარღვევისთვის სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა

სტატიის ამ ნაწილის მიზანია იმის განსაზღვრა, თუ რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელონ საგადასახადო ორგანოებმა საზღვრის გადაკვეთისას კონტრაბანდის აღმოჩენის გამო სანქციის შეფარდების შემთხვევაში. კერძოდ, დასაშვებია თუ არა და როდის აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის ჯარიმის დაკისრებასთან ერთად საკუთრების უფლების შეზღუდვა, არალეგალურად გადასატანი საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების სამუდამოდ/დროებით ჩამორთმევის სახით.

საქმეში – *Air Canada v. the United Kingdom*¹⁹ – სასამართლომ განიხილა შემთხვევა, როდესაც ავიასატრანსპორტო საშუალებით ხდებოდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეტანა ქვეყნის ტერიტორიაზე, რის გამოც მომჩივანს ჩამოერთვა მისი ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული ავიალაინერი საჯარიმო თანხის გადახდამდე.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ეს შემთხვევა სასამართლომ დააკვალიფიციონა არა როგორც საკუთრების უფლების ჩამორთმევა, არამედ — საკუთრებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, ვინაიდან საკუთრების უფლება არ გადასცემია სახელმწიფოს.²⁰

ინტერესთა ბალანსისა და ღონისძიების პროპორციულობის შეფასებისას სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა, თუ რას ემსახურებოდა ავიატრანსპორ-

¹⁹ *Air Canada v. the United Kingdom*, 1995 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება, განაცხადი №18465/91.

²⁰ *Air Canada v. the United Kingdom*, 1995 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება, განაცხადი №18465/91, §§32-34.

ტის ჩამორთმევა. ვინაიდან გადამზიდავი ერთი წლის განმავლობაში ერთი და იმავე ტიპის ქმედებისთვის რამდენჯერმე იყო დაჯარიმებული, ასევე იყო წერილობით გაფრთხილებული, რომ მსგავსი შემთხვევების განმეორებას, შესაძლოა, გამოეწვია სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა, სასამართლომ მიიჩნია, რომ საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საშუალებები იყო გამონაკლისი ღონისძიება და მიმართული კომპანიის უსაფრთხოების პროცედურების გამოსასწორებლად.

სასამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო აღმოჩენილი ნარკოტიკული საშუალების ოდენობა (331 კგ), რის შედეგადაც დაასკვნა, რომ განხორციელებული მოქმედება საზოგადო ინტერესის დაკმაყოფილებას, კერძოდ კი ნარკოტიკული საშუალებების უკანონო საერთაშორისო ბრუნვის აღკვეთას ემსახურებოდა.

საბოლოოდ, აღმოჩენილი ნარკოტიკული საშუალების საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, დაკისრებული ჯარიმა და სამართალდარღვევის განმეორებითობა, როგორც ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, სანქციის გადახდევინების მიზნით სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა იყო პროპორციული ღონისძიება. შესაბამისად, არ დადგინდა საკუთრების უფლების დარღვევა.

ხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მიერ დრაკონული²¹ ბერკეტების გამოყენებაც კი არ შეიძლება ჩაითვალოს დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან შეუთავსებლად, თუკი ხდება საბაჟო წესების უხეში და ხშირი დარღვევა.

6. სახელმწიფოს დისკრეცია სანქციის ოდენობის განსაზღვრისას

სტატიის ეს ნაწილი შეეხება საგადასახადო ორგანოების მიერ სამართალდარღვევის გამოვლენისას სანქციის მოცულობის განსაზღვრის საფუძვლებს.

როგორც წესი, საგადასახადო/საბაჟო კანონმდებლობა საკმაოდ ზუსტად განსაზღვრავს დასაკისრებელი სანქციის ოდენობას, რომელიც, როგორც წესი, პროპორციულია ბიუჯეტისთვის მიყენებული ზიანის ან ჩადენილი არამართლზომიერი ქმედების სიმძიმისა. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც შემომწმებელი სარგებლობს დისკრეციის უფლებით სანქციის შეფარდებისას.²²

21 A. Mowbray, *Cases and Materials on the European Convention on Human Rights*, 2007, 952.

22 იხ. მაგ.: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, იწვევს პირის დაჯარიმებას საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადატანილი ან გადმოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების 100%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა, ან ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას. შესაბამისად, საბაჟო კოდექსი საგადასახადო ორგანოს დისკრეციის სფეროში ტოვებს, დასჯერდება თუ არა იგი 1000 (ან მეტი) ლარით დაჯარიმებას, თუ ჩამორთმევს კონტრაბანდულ საქონელს (მათ შორის, ფულად სახსრებს) მის გადასაზიდავად გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად.

მიღებულია, რომ დისკრეციის ფარგლებში მოქმედებისას სახელმწიფო ორგანო ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.²³

თუ რა სტანდარტებით უნდა იხელმძღვანელოს სახელმწიფო ორგანომ დისკრეციის ფარგლებში სანქციის შეფარდებისას, განხილვის საგანი გახდა საქმეში – *Ismayilov v. Russia*,²⁴ სადაც პირს სახელმწიფო საზღვრის გადალახვისას საბაჟო ორგანოსთვის ქვეყანაში შეტანილი ნაღდი ფულის დამალვისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან ერთად მომჩივანს ჯარიმის სახით მალულად გადატანილი ფულადი სახსრების ჩამორთმევა დაეკისრა.

მოპასუხე მთავრობა ცდილობდა დაემტკიცებინა სასამართლოსთვის, რომ ფული იყო „დანაშაულის იარაღი“ (რაც არც ევროპულმა სასამართლომ უარყო) და, შესაბამისად, ექვემდებარებოდა კონფისკაციას სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო ინტერესების დაცვისას სახელმწიფო უფლებამოსილია, ჩაერიოს პირის საკუთრების უფლებაში ფულის გათეთრების, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, გადასახადების დამალვის, ტერორიზმისა და ორგანიზებული თუ ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. შესაბამისად, სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას პირისაგან დეკლარაციაში მასთან ერთად გადატანილი ნაღდი ფულის ოდენობის მითითების მოთხოვნა მართლზომიერია. ასევე მართლზომიერი შეიძლება იყოს არადეკლარირებული ფულადი სახსრების ჩამორთმევა ზემოთ აღნიშნულ დანაშაულებებთან საბრძოლველად.²⁵ აქედან გამომდინარე, ასეთი საშუალებით გადატანილი ნაღდი ფულის კონფისკაცია, ცალკე აღებული, არ ეწინააღმდეგება დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მოთხოვნებს.

ამ კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო განასხვავებს საზოგადოებისთვის საშიშ და უსაფრთხო საქონლის კონფისკაციის შემთხვევებს.²⁶ იმ ტვირთის კონფისკაცია, რომლის თავისუფალ მიმოქცევაში არსებობა საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებას (მაგ.: იარაღი, ნარკოტიკული საშუალებები, რადიოაქტიური ნივთიერებები და ა.შ.), მართლზომიერად ჩაითვლება სასამართლოს მიერ.²⁷

23 იხ. მაგ.: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ნერილობით დასაბუთებაში მითითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემისას.

24 *Ismayilov v. Russia*, 2008 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება, განაცხადი №30352/03.

25 იქვე, 33-ე პუნქტი.

26 *Agosi v. The United Kingdom*, 1986 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, განაცხადი №9118/80, 54-ე პუნქტი.

27 იხ. მაგ.: *Yildirim v. Italy*, განაცხადი №38602/02.

რაც შეეხება პროპორციულობის კრიტერიუმს, სასამართლომ პირველ რიგში შეაფასა, იყო თუ არა ნაღდი ფულის შეტანა რუსეთის ფედერაციაში სისხლის სამართლით დასჯადი დანაშაული. მოპასუხე სახელმწიფოს კანონმდებლობა არ შეიცავდა რაიმე შეზღუდვას ნაღდი ფულის ნებისმიერი ოდენობით შეტანასთან დაკავშირებით.

სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებას, რომ ფულადი სახსრების წარმოშობის კანონიერება სადავო არ გამხდარა. სასამართლომ ასევე მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ პირი წარსულში არ იყო მხილებული რაიმე სახის სისხლის სამართლის დანაშაულში. ამასთან, მოპასუხე მთავრობამ ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ კონფისკაცია მომავალში ზემოთ მითითებული რომელიმე დანაშაულის პრევენციის მიზნით მოხდა.

მოქმედების პროპორციულობის შეფასებისას სასამართლომ განსაზღვრა, რომ ჩამორთმეული თანხა მომჩინისთვის საკმაოდ დიდი იყო, მაშინ, როდესაც რისკი, რომელიც თან ახლდა ამ ფულის ქვეყანაში უკანონოდ შეღწევას, მისი კანონიერი წარმოშობიდან გამომდინარე, მინიმალური იყო. შესაბამისად, სასამართლომ არაპროპორციულად მიიჩნია მოპასუხე სახელმწიფოს მიერ თანხის კონფისკაცია.

განსხვავებული შეფასება მისცა სასამართლომ მომჩინისთვის ავტობუსის ჩამორთმევის ფაქტს, რომლის მძღოლებსაც უკანონოდ და ფარულად შეჰყავდათ 32 ერაყელი იტალიაში.²⁸ სასამართლომ მიიჩნია, რომ სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევით სახელმწიფოს არ დაურღვევია კერძო და საჯარო ინტერესთა ბალანსი, ამასთან, სახელმწიფოს ქმედება მიზნის პროპორციული იყო.

ამის საწინააღმდეგოდ, საფრანგეთის საგადასახადო ორგანოების მიერ ბრიტანეთის მოქალაქისთვის არადეკლარირებული თანხის ჩამორთმევა არაპროპორციულად ჩაითვალა, ვინაიდან არ დასტურდებოდა მისი უკანონო წარმოშობა, მიზანი ან წარსული სისხლის სამართლის დანაშაული.²⁹ სასამართლომ კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, ჩაერიოს პირის საკუთრების უფლებაში საერთაშორისო მნიშვნელობის დანაშაულთან საბრძოლველად, თუმცა განსახილველ შემთხვევაში პირის ჩართულობა მსგავსი ტიპის დანაშაულში არ მტკიცდებოდა.³⁰

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ სანქციის მოცულობის განსაზღვრისას სახელმწიფოები სარგებლობენ დისკრეციის ფართო უფლებით. როდესაც საქმე მძიმე დანაშაულთან ბრძოლას ეხება, ისეთი პირების

²⁸ *Yildirim v. Italy*, 2003 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, განაცხადი №38602/02.

²⁹ *Moon v. France*, განაცხადი №39973/03.

³⁰ *ib. a contrario, Phillips v. the UK*, 2001 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება, განაცხადი №41087/98, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შეტანის მცდელობისას საკუთრების უფლებაში ჩარევა მართლზომიერი იყო.

მიმართ კი, რომელთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები დიდი რისკის შემცველი არ არის საზოგადოებისთვის, სანქციები უფრო მსუბუქი უნდა იყოს.

7. დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განხილვის შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ფართო დისკრეციისა, გადასახადების გადახდისთვის სახელმწიფოთა მიერ გამოყენებადი მექანიზმები არაა შეუზღუდავი.

სახელმწიფოს უფლებამოსილება ექვემდებარება ისეთი საფუძვლებით შეზღუდვას, როგორებიცაა კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიანი ბალანსის დადგენა და გამოყენებულ საშუალებათა პროპორციულობა.

ამკარაა, რომ სასამართლოსთვის სრულად გასაგებია სახელმწიფოებისთვის გადასახადების ეფექტიანად აკრეფის მნიშვნელობა, თუმცა, ამასთან, იგი არ უშვებს, რომ ამ მოტივით არ მოხდეს უფლებამოსილების გადამეტება ან ბოროტად გამოყენება.

აღნიშნული განსხვავებულ სიტუაციებში გულისხმობს, რომ არამართლობიერია სხვა პირის მიზეზით გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო პასუხისმგებლობის დაწესება ისეთ შემთხვევებში, როდესაც იგი სრული მოცულობით ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ამასთან ერთად, დაუშვებელია პირებისთვის მძიმე საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრება, თუკი სამართალდარღვევა არ არის დიდი რისკის შემცველი საზოგადოებისთვის.

ევროპული სასამართლოს აღნიშნული ხედვა კი, კონვენციისა და დართული ოქმების სავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე, ექვემდებარება წევრ სახელმწიფოთა მიერ კანონმდებლობაში ასახვასა და მის პრაქტიკაში დანერგვას.

ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ურთიერთმიმართება

ნათია კალანდარიშვილი

1. შესავალი

ამ სტატიის მიზანია, გააანალიზოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ურთიერთქმედების საერთაშორისოსამართლებრივი ასპექტები, კერძოდ, განიხილოს: მოქმედებს თუ არა ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი შეიარაღებული კონფლიქტის დროს; როგორი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შორის და მოქმედებს თუ არა ადამიანის უფლებების სამართალი სამხედრო ოკუპაციის შემთხვევებში.

2. რამდენიმე სიტყვა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებებზე

შესავალში დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად სასურველია, მიმოხილულ იქნეს საერთაშორისო სამართლის ამ ორი დამოუკიდებელი დარგის განვითარება და ის, თუ რას ემსახურება თითოეული მათგანი.

ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი მიზანია, დაიცვას ის პირები ომის გამანადგურებელი შედეგებისაგან, რომლებიც არ მონაწილეობენ ან უშუალოდ აღარ მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებებში, ისევე როგორც შეზღუდოს ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები.¹

უდავოა, რომ ჰუმანიტარული სამართალი (იგივე ომის სამართალი) საერთაშორისო საჯარო სამართლის უძველესი დარგია. როგორც რ. კოლბმა აღნიშნა, ომის სამართლის ფესვები ანტიკურ ხანაში უნდა ვეძიოთ.² შესაბამისად, მისი განვითარებაც მრავალსაუკუნოვანია. ჰამ დარგის სიძველე ნათლად დასტურდება მსოფლიო ხალხთა – შუმერების, ბერძნების, რომაელებისა და სხვა კულტურათა გაცნობით, რომლებშიც საბრძოლო მოქმედებების მარეგულირებელი,

1 რა არის ჰუმანიტარული სამართალი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, იხ. [<http://www.icrc.org>].

2 რ. კოლბი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა ურთიერთობა, *International Review of the Red Cross*, N324, გვ. 409-419. იხ. [<http://www.icrc.org>].

ტყვეთა მიმართ მოპყრობის წესები თუ კანონები ოდითგანვე არსებობდა.³ ჰუმანიტარული სამართლის ბუნება მნიშვნელოვნად ქრისტიანულმა მორალმა და რაინდობის ინსტიტუტმაც განსაზღვრა.⁴

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჰუმანიტარული სამართლის კოდიფიცირება მხოლოდ XIX საუკუნეში ხდება. თანამედროვე ჰუმანიტარული სამართლის წყაროებია:... ჟენევის 1949 წლის I, II, III და IV კონვენციები,⁵ მათი 1977 წლის I და II დამატებითი ოქმები,⁶ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი. ჰუმანიტარული სამართლის მრავალი ნორმა დღესდღეობით ჩვეულებითი სამართლის ნაწილია.⁷

ჰუმანიტარული სამართალი არ კრძალავს ომს და არ აწესრიგებს იმას, თუ რამდენად მართებულად გამოიყენა ამა თუ იმ სახელმწიფომ ძალა. ის აგრეთვე არ განსაზღვრავს შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების მიზეზს. ჰუმანიტარული სამართალი მოქმედებს იწყებს შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებისას და წყვეტს მოქმედებას საბრძოლო მოქმედებების დასრულებისთანავე.⁸

ჰუმანიტარული სამართალი ცნობს მხოლოდ ორი სახის კონფლიქტს – საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ⁹ და არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებს.¹⁰ შესაბამისად, მისი ვალდებულებები ვრცელდება კონფლიქტის მხარეებზე, რაც გულისხმობს, რომ საერთაშორისო კონფლიქტი არის შეიარაღებული დაპირისპირება ორ ან ორზე მეტ სუვერენულ სახელმწიფოს შორის, მაშინ როდესაც არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტის მხარეებია, ერთი მხრივ, სახელმწიფოს რეგულარული შეიარაღებული

3 ქ. გრინუდი, ისტორიული განვითარება და სამართლებრივი საფუძველი, იხ. დ. ფლეკი (რედ), საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სახელმძღვანელო, 2008, გვ. 15-26. (ამერიკის შეერთებული შტატები, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008).

4 იქვე.

5 1949 წლის ჟენევის კონვენციებმა ჩაანაცვლეს 1929 წლის კონვენციები.

6 აღნიშნული დამატებითი ოქმები ჟენევის 1949 წლის კონვენციებს კი არ ანაცვლებენ, არამედ ავითარებენ. იხილეთ I დამატებითი ოქმის 1-ლი(2) მუხლი და II დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.

7 საერთაშორისო სასამართლოთა პრაქტიკიდან აღსანიშნავია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საქმე ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ (*Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion*), 1999 წელი, 79-ე და 82-ე პუნქტები, იხ. <http://www.icj-cij.org/>; ასევე *The Prosecutor vs. Tadic, Decision on the Defence Motion for Interlocutory Appeal on Jurisdiction*, 2 October 1995, Case No. IT-94-1AR72 იხ. <http://www.icty.org/>; ჩვეულებითი სამართლის წესების დეტალური აღწერა იხილეთ ნიგნში: ჟ.მ. ჰენაკაერცის და ლ. დოსვალდ-ბეკის, საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართალი, 2005 წელი, (საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტი და კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა).

8 1977 წლის I დამატებითი ოქმი, მე-3 მუხლი.

9 ჟენევის 1949 წლის კონვენციების საერთო მე-2 მუხლი და 1977 წლის I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.

10 ჟენევის 1949 წლის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი და 1977 წლის II დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი. ასევე *International Committee of Red Cross (ICRC) How is the term "Armed Conflict" Defined in International Humanitarian Law? (Opinion Paper, March 2008)* <http://www.icrc.org/>

ძალები და, მეორე მხრივ, მასთან დაპირისპირებული შეიარაღებული ძალები (ჯგუფები), ან მხოლოდ შეიარაღებული ძალები (ჯგუფები.)

ადამიანის უფლებები, ჰუმანიტარული სამართლისაგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართლის შედარებით ახალ დარგად მიიჩნევა. როგორც რ. კოლბმა აღნიშნა, ადამიანის უფლებები განმანათლებლობის ეპოქის შედეგია.¹¹

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ეხება სახელმწიფოსა და ინდივიდის ურთიერთდამოკიდებულებას და მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვას სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ყოველი წევრის მიერ,¹² „მოქმედებს ყოველთვის, ყველგან და ყველასთვის“.¹³

დარგის სწრაფი განვითარება და მის მიერ საერთაშორისო სამართლის სისტემაში მთავარი ადგილის დამკვიდრება გაეროს წესდების მიღების შემდეგ იწყება. 1948 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელმაც, თავის მხრივ, ადამიანის განუყოფელ უფლებებთან ერთად, მკაფიოდ ჩამოაყალიბა სახელმწიფოთა ვალდებულება ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ.

სახელმწიფოს ეს ვალდებულებები ვრცელდება მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირზე და იმ პირებზეც, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ.

ადამიანის უფლებების დაცვის საყოველთაო დეკლარაციას მოჰყვა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა და ამ უკანასკნელი დოკუმენტის ფაკულტატიური ოქმის მიღება.

აღნიშნული უნივერსალური დოკუმენტის გარდა, შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული დოკუმენტებიც: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია.

11 რ. კოლბი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა ურთიერთობა, *International Review of the Red Cross* N324, გვ. 409-419.

12 ლ. ალექსიძე და სხვები, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, *ლექსიკონი-ცნობარი*, თბ., 2003, გვ. 15.

13 ადამიანის უფლებების პატივისცემა შეიარაღებული კონფლიქტების დროს, გაეროს დოკუმენტი A/8050 (1970).

3. მოქმედებს თუ არა ადამიანის უფლებები შეიარაღებული კონფლიქტის დროს?

3.1. გაეროს პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლისა და ჰუმანიტარული სამართლის განვითარება სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა, მათ საერთო მიზანი აქვთ – დაიცვან ადამიანი.

დიდი ხნის განმავლობაში ყურადღება არ იყო გამახვილებული ამ ორი დარგის ურთიერთდამოკიდებულებისა თუ ურთიერთქმედების მნიშვნელობაზე. მხოლოდ 1960 წლის ბოლოდან, როდესაც შეიარაღებული კონფლიქტებისა და ომების შემთხვევებმა იმრავლა, საერთაშორისო თანამეგობრობისათვის აქტუალური გახდა ამ ასპექტების შესწავლა.

ვინაიდან გაერო ყოველთვის ითვლებოდა მშვიდობის გარანტად და ადამიანის უფლებათა დაცვის განვითარების ხელშემწყობ ორგანიზაციად, მართებული იქნებოდა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დამკვიდრების ანალიზი გაეროს პრაქტიკის განხილვით დაწყებულიყო.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეთ დღის წესრიგში დააყენა 1953 წელს, კორეის კონფლიქტის მიმდინარეობის დროს.¹⁴ 1967 წელს ექვსდღიანი ომის შედეგად, გაეროს უშიშროების საბჭომ ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ რეზოლუციაში აღნიშნა, რომ ადამიანის განუყოფელი უფლებების დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე უნდა მოხდეს. 1968 წელს, გაეროს მიერ თეირანის კონფერენციაზე ოფიციალურად აღიარებულ იქნა ადამიანის უფლებების მოქმედება შეიარაღებული კონფლიქტის დროს,¹⁵ რითაც ხაზი გაესვა ამ ორი დარგის ურთიერთკავშირს.

ამ საერთაშორისო კონფერენციის რეზოლუციით ისრაელს მოენოდა, გამოეყენებინა ადამიანის უფლებების დაცვის საყოველთაო დეკლარაცია და ჟენევის კონვენციები პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. გენერალურმა ასამბლეამ რეზოლუციით – „შეიარაღებული კონფლიქტის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ძირითადი პრინციპების შესახებ“, რომელიც ეყრდნობოდა გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშს „შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადამიანის უფლე-

¹⁴ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 804 (VIII), ა804/VIII, 1953 წლის 3 დეკემბერი. ასევე დაწვრილებით იხილეთ C. Droege, *The Interplay Between International Humanitarian Law and International Human Rights Law in Situations of Armed Conflict*, The Hebrew University of Jerusalem Faculty of Law, Research Paper No. 14-07, *ib.* [www.ssrn.com].

¹⁵ *Final Act of the International Conference of Human Rights (Tehran, 1968)* *ib.* [http://untreaty.un.org].

ბათა დაცვის პატივისცემის შესახებ¹⁶ – ხაზი გაუსვა, რომ „ადამიანის ძირითადი უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლით და ჩამოყალიბებულია საერთაშორისო დოკუმენტებში, სრულად მოქმედებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს.“¹⁷

2004 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა თავის საერთო კომენტარში (N31) დაადგინა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი მოქმედებს საერთაშორისო და არასაერთაშორისო კონფლიქტის დროს, ისევე როგორც სამხედრო ოკუპაციისას.

3.2. საერთაშორისო სასამართლოთა გამოცდილება

საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოქმედების საკითხი სხვადასხვა საერთაშორისო სასამართლოს განხილვის საგანი იყო, მათ შორის გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსი.¹⁸

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ საქმეში – ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ – აღნიშნა, რომ „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ომის დროს არ წყვეტს მოქმედებას.“¹⁹

2004 წელს საქმეში – პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის მშენებლობის შესახებ – მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ „შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადამიანის უფლებათა კონვენციათა დაცვის ვალდებულება არ წყდება, გარდა ისეთი შეზღუდვისა, რაც დადგენილია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლით.“²⁰ ამ ფორმულირებით სასამართლომ შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადამიანის უფლებებს ზოგადი მოქმედების სახე შესძინა.

სასამართლო ასევე შეეხო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების ურთიერთობის საკითხს და აღნიშნა, რომ არსებობს სამი შესაძლო სიტუაცია: „რიგი უფლებებისა შეიძლება იყოს მხოლოდ ჰუმანიტარული სამართლის განხილვის საგანი; სხვა უფლებები მხოლოდ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო

16 ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ შეიარაღებული კონფლიქტის დროს, A/7729), 1960 წელი, ასევე 1970 წლის დოკუმენტი იმავე სახელწოდებით, A/8052.

17 *Principles for the Protection of Civilian Population in Armed Conflict, Doc A/8028 (1970)*. ასევე იხილეთ C. Droege, *The Interplay Between International Humanitarian Law and International Human Rights Law in Situations of Armed Conflict*, *The Hebrew University of Jerusalem Faculty of Law, Research Paper No. 14-07*, იხ. [www.ssrn.com]

18 მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი, 1-ლი მუხლი.

19 *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion (1999)*, 25-ე პუნქტი.

20 *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, 2003, para. 106*, [http://www.icj-cij.org]

სამართლის სფეროს შეიძლება წარმოადგენდეს; ხოლო ზოგიერთი უფლება საერთაშორისო სამართლის ამ ორი დარგის ერთობლივი რეგულირების საგანი შეიძლება გახდეს. სასამართლომ პასუხი რომ გასცეს თავის წინაშე დასმულ კითხვას, უნდა გაითვალისწინოს სამართლის ორივე დარგი: ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი, როგორც *lex specialis*.²¹

2005 წელსაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ საქმეში – უგანდის მიერ ოკუპირებული აღმოსავლეთი კონგოს ტერიტორიის შესახებ – დაეყრდნო კედლის მშენებლობის საქმეს და აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებები ვრცელდება სახელმწიფოს მიერ ჩადენილ ქმედებებზე ამ უკანასკნელის ტერიტორიული იურისდიქციის მიღმაც, განსაკუთრებით კი ოკუპირებულ ტერიტორიებზე.²²

შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოქმედების საკითხის განხილვისათვის გვერდი არ აუვლია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც. მან საქმეებში – *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ* (თურქეთის მიერ კვიპროსის ოკუპაცია) და *ისაევა, იუსუპოვა და ბაზაევა რუსეთის წინააღმდეგ* (ჩეჩნეთის კონფლიქტი) და *ოსკანი თურქეთის წინააღმდეგ* – აღნიშნა რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მოქმედებდა როგორც არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტის დროს, ისე ოკუპაციის დროსაც.²³

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ საქმეში – *ბამაკა ველასკესი გვატემალის წინააღმდეგ* – აღნიშნა, რომ გვატემალაში არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტი არსებობდა, რომლის დროსაც სახელმწიფო არ იყო გათავისუფლებული ვალდებულებისაგან, დაეცვა და უზრუნველყო ადამიანის უფლებები.²⁴

დაბოლოს, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მრავალჯერ გამოიყენა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, როგორც საერთაშორისო და არასაერთაშორისო კონფლიქტის დროს, ისე სამხედრო ოკუპაციის შემთხვევებში. საკმარისია კონგოს, გვატემალისა და ისრაელის მაგალითების გახსენება.²⁵

21 იქვე. ასევე იხილეთ C. Droege, *The Interplay Between International Humanitarian Law and International Human Rights Law in Situations of Armed Conflict*, The Hebrew University of Jerusalem Faculty of Law, Research Paper No. 14-07), იხ. [www.ssrn.com].

22 ICJ Case concerning armed activities on the territory of the Congo, DRC vs. UGANDA, 2005, para. 119. იხ. C. Droege, *The Interplay Between International Humanitarian Law and International Human Rights Law in Situations of Armed Conflict*.

23 იხ. C. Droege, გვ. 321.

24 ინტერამერიკული სასამართლო, *Bámaca Velásquez v. Guatemala*, Case No. 11/129, Inter-Am. C.H.R. 2009-ე პუნქტი. იხ. C. Droege, *The Interplay Between International Humanitarian Law and International Human Rights Law in Situations of Armed Conflict*, The Hebrew University of Jerusalem Faculty of Law.

25 C. Droege, *The Interplay Between International Humanitarian Law and International Human Rights Law in Situations of Armed Conflict*, The Hebrew University of Jerusalem Faculty of Law, Research Paper No. 14-07), იხ. [www.ssrn.com].

4. როგორი ურთიერთმიმართება არსებობს ადამიანის უფლებებსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შორის?

ამ საკითხთან მიმართებით არსებული საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკიდან იკვეთება კომპლემენტარობისა და *lex specialis* (სპეციალური სამართლის) მიდგომა.

4.1. კომპლემენტარობა

საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ურთიერთობის განხილვა პრობლემურია, ვინაიდან არც ჰუმანიტარული სამართლისა და არც ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტები/წყაროები არ ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, როგორი ურთიერთობა არსებობს მათ შორის – მოქმედებენ ისინი ერთდროულად თუ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ამ საკითხს უკავშირდება მეორე საკითხი – ისეთ შემთხვევაში, როდესაც თითოეულის ინდივიდუალური ნორმები არ კმარა სიტუაციის მოსაწესრიგებლად, რამდენად კომპლემენტარულნი არიან ისინი ურთიერთქმედებაში, ანუ რამდენად ავსებენ ერთმანეთს?

კომპლემენტარობის პრინციპის განხილვისას *კ. დროეგემ* აღნიშნა, რომ ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის დარგის ერთდროულ მოქმედებას ძალუძს, ინდივიდს შესთავაზოს ფართო დაცვა, მაგრამ იმავდროულად წამოჭრას მრავალი პრობლემა.²⁶

როგორც აღინიშნა, საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ შემოგვთავაზა ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის მოქმედების სამი სიტუაცია. სასამართლოს აზრით: რიგი უფლებებისა შეიძლება იყოს მხოლოდ ჰუმანიტარული სამართლის განხილვის საგანი; სხვა უფლებები მხოლოდ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სფეროს შეიძლება წარმოადგენდეს; იმავდროულად, ზოგიერთი უფლება შეიძლება იყოს საერთაშორისო სამართლის ამ ორი დარგის ერთობლივი რეგულირების საგანი.²⁷

როდესაც სასამართლო ზემოხსენებულ მოსაზრებას ავითარებდა, იგი, სავარაუდოდ, ეყრდნობოდა ორ დარგს შორის არსებულ სხვაობებს, კერძოდ:

- ა) ჰუმანიტარული სამართალი მოქმედებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ხოლო ადამიანის უფლებათა სამართალი მოქმედებს ძირითადად მშვიდობიან დროს;
- ბ) ჰუმანიტარული სამართალი აკისრებს ვალდებულებას კონფლიქტის მხარე-

²⁶ იქვე.

²⁷ იხ. 21-ე სქოლიო, 106-ე პუნქტი.

ბს, ე.ი. როგორც სახელმწიფოებს, ისე არასახელმწიფო აქტორებს, ხოლო ადამიანის უფლებები ვალდებულებას აკისრებს მხოლოდ სახელმწიფოებს.

გ) ჰუმანიტარული სამართლის ნორმები არ ექვემდებარება შეზღუდვას, მაშინ როდესაც ადამიანის უფლებები ექვემდებარება შეზღუდვას შეიარაღებული კონფლიქტის დროს.²⁸

ერთი შეხედვით, ეს ორი დარგი ერთმანეთის ურთიერთგამომრიცხველია, თუმცა, ალბათ, სწორედ ასეთი სახესხვაობის არსებობის გამო საჭიროა დაფიქრება იმაზე, თუ რამდენად შეიძლება დაკვალიფიცირდეს ამ ორი დარგის ურთიერთობა როგორც ერთმანეთის შემავსებელი, ანუ ერთმანეთის კომპლემენტარული.

კომპლემენტარობის მიდგომა მიზნად ისახავს სამართლის ამ ორი დარგის ერთდროული გამოყენების შესაძლებლობის დამტკიცებას.²⁹ კ. დროეგე აყალიბებს ერთგვარ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელშიც ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართლის ურთიერთქმედება განხილულ იქნება ინტერპრეტაციის სამართლებრივი მეთოდის მეშვეობით.³⁰ კ. დროეგეს აზრით, ინტერპრეტაციის სამართლებრივ მიდგომას მიყვავართ ორ პრინციპთან: კომპლემენტარობის, რომელიც გათვალისწინებულია ვენის 1969 წლის კონვენციით ხელშეკრულებების შესახებ და *lex specialis*³¹ პრინციპთან.

საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ ვენის კონვენციის 31-ე მუხლი კომპლემენტარობას განმარტავს როგორც ინტერპრეტაციის მეთოდს, რომელიც ნორმის ინტერპრეტაციისას მხარეთა ურთიერთობის დროს მოქმედი შესაბამისი ნორმის გათვალისწინების საშუალებას იძლევა.³² იგი საერთაშორისო სამართალს წარმოადგენს ისეთ რეჟიმად, რომელშიც სხვადასხვა ნორმა ერთმანეთთან ჰარმონიულად თანაარსებობს.³³ ამ პრინციპის მიხედვით, ადამიანის უფლებები შეიძლება განიმარტოს ჰუმანიტარული სამართლის ჩრილში, და პირიქით, ჰუმანიტარული სამართალი – ადამიანის უფლებების სამართლის ჩრილში.³⁴

ამიტომ შეიძლება მტკიცება: კომპლემენტარობა გულისხმობს, რომ ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ისინი დაფუძნებულია საერთო პრინციპებსა და ღირებულებებზე, მათ ძალუძთ ერთმანეთზე დადებითი გავლენის მოხდენა და განმტკიცება.

28 იხ. 25-ე სქოლიო და Human Rights Committee, General Comment N29, [http://www.unhcr.ch], 1-ლი-მე-3 პუნქტი.

29 იხ. 25-ე სქოლიო, გვ. 337.

30 იქვე.

31 იქვე.

32 იქვე.

33 იქვე.

34 იქვე.

მიუხედავად ამისა, ხშირად ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ურთიერთობა განიხილება როგორც სპეციალური სამართლის *lex specialis* და *lex generalis* ურთიერთობა.³⁵ ადამიანის უფლებების სამართლის ნორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სპეციალური სამართლის — ომის სამართლის ნორმას.³⁶

4.2. *lex specialis*

lex specialis derogat legi generalis პრინციპის თანახმად, ერთმანეთის საპირისპირო დებულებების არსებობისას სიტუაცია უნდა მონესრიგდეს *lex specialis* პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს საერთო სამართალზე სპეციალური სამართლისათვის უპირატესობის მინიჭებას.

ამ პრინციპზე მსჯელობისას, პირველ რიგში, მხედველობაშია მისაღები მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა, როდესაც მან *lex specialis* პრინციპი გამოიყენა საქმეებში – ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარა ან გამოყენების კანონიერება, პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის მშენებლობის შესახებ – რომლებშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლომ ჰუმანიტარული სამართალი მიიჩნია სპეციალურ სამართლად, რადგან იგი მოქმედებს უშუალოდ შეიარაღებული კონფლიქტის მსვლელობისას და, შესაბამისად, კონფლიქტური სიტუაციის დროს მოქმედების უპირატესი ძალა აქვს სხვა დარგებთან მიმართებით.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ეს შეხედულება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანოებმა არ გაიზიარეს.³⁷ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა თავის საერთო კომენტარში (N31) გვერდი აუარა *lex specialis* პრინციპზე მსჯელობას და ურთიერთობა ადამიანის უფლებებსა და ჰუმანიტარულ სამართალს შორის განსაზღვრა როგორც კომპლემენტარული, ე.ი. ურთიერთშემავსებელი და არა ურთიერთგამომრიცხავი.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანოებიდან მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერამერიკული კომისია დარჩა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის ერთგული (საქმე *კორდი აშშ-ის წინააღმდეგ*).³⁸

საერთაშორისო სამართლის კომისიის ანგარიშმა გამოავლინა, რომ არ არსებობს

³⁵ იქვე.

³⁶ დ. კამპანელი, სამხედრო ოკუპაციის სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის შეპირისპირება, *International Review of the Red Cross*, ტ. 90, N871, 2008 წელი, გვ. 656. იხ. [www.icrc.org].

³⁷ იხ. 25-ე სქოლიო, კ. დროეგი, გვ. 338. საყურადღებოა, რომ საქმეში უგანდის მიერ ოკუპირებული კონგოს ტერიტორიის შესახებ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ არ ახსენა *lex specialis* პრინციპი.

³⁸ *Coard v. the United States of America, Inter-Am. Commission. H.R., 10.951. para. 42. იხ. 25-ე სქოლიო, კ. დროეგი, გვ. 338.*

ერთიანი შეხედულება, თუ რა არის *lex specialis*.³⁹ ამ ანგარიშში, რომელიც ეძღვნებოდა საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაციის შესწავლას, მითითებულია, რომ *lex specialis* არ უნდა იყოს აღქმული მხოლოდ ნორმათა შორის კონფლიქტის გადანყვევების წესად და, რომ იკვეთება მისი ორმაგი დანიშნულება: *lex specialis*, როგორც სამართლის ნორმის უფრო ზუსტი ინტერპრეტაცია ან *lex specialis*, როგორც სამართლის ზოგადი ნორმიდან გამონაკლისი.⁴⁰

და მაინც, რა ურთიერთობა არსებობს ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებებს შორის? დღე არსებობს თუ არა ჩამოყალიბებული მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი?

ურთიერთდამოკიდებულების თემის განხილვისას მნიშვნელოვანია, განხილულ იქნეს საკითხი, თუ რა კუთხით ავსებს ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ერთმანეთს. აგრეთვე საინტერესოა, რა შემთხვევაში ჩაითვლება ჰუმანიტარული სამართალი სპეციალურ სამართლად (*lex specialis*) და ადამიანის უფლებები – *lex generalis* სამართლად. ამიტომ საჭიროა, ერთმანეთთან შეჯერდეს სამართლის ამ ორივე დარგის გარკვეული ნორმები:

ა) ჟენევის IV კონვენციის 105-ე და 106-ე მუხლები, რომლებიც ეხება დაკავებულ პირის შესახებ ოჯახისათვის ინფორმაციის მიწოდებას, ამ უკანასკნელის დაკავებიდან არა უგვიანეს ერთი კვირის განმავლობაში, — ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, დაცვის გაცილებით ეფექტიან მექანიზმს ითვალისწინებს, ვიდრე ადამიანის უფლებათა სამართალი. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, აღნიშნული უფლება პირდაპირად არ ატარებს კონვენციურ უფლებას და მოცემულია მხოლოდ ადამიანის დაკავებისაგან დაცვის ძირითად პრინციპებში (მე-16 მუხლი).⁴¹ ადამიანის იძულებითი გაუჩინარებისაგან დაცვის 1992 წლის დეკლარაციაშიც მითითებულია შეტყობინების უფლება;⁴²

ბ) ჰუმანიტარული სამართალი არ შეიცავს სიცოცხლის უფლების დარღვევის საგამოძიებო მექანიზმსა და შესაბამისი რეპარაციის ვალდებულებას⁴³ (ზოგადად ჰუმანიტარულ სამართალში რეპარაციის მექანიზმი სუსტადაა განვითარებული, მაგალითად ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 91-ე მუხლი);

39 საერთაშორისო სამართლის კომისიის ანგარიში – საერთაშორისო სამართლის დივერსიფიკაციისა და გაფართოების შედეგად წარმოშობილი სიძნელეები, 58-ე სესია, იხ. [<http://untreaty.un.org/>].

40 კ. დროეგი, გვ. 339.

41 *Body of Principles for the Protection of All Persons Under any form of Detention or Imprisonment*), მე-16 მუხლი, იხ. [<http://www2.ohchr.org/>].

42 *Declaration on the Protection of All Persons from the Enforced Disappearance*, (1992), მე-17 მუხლი, იხ. [<http://www.unhcr.ch/>].

43 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 75-ე მუხლი მიუთითებს მსხვერპლთათვის რეპარაციაზე. იხ. *1949 Conventions and Additional Protocols and their Commentaries, Article 91 (Additional Protocol I)* [<http://www.icrc.org/>].

გ) ჰუმანიტარული სამართალი არ მოიცავს თავისუფალი გადაადგილების უფლებას, პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის უფლებას და დაკითხვის ტექნიკას;

დ) I დამატებითი ოქმის 75-ე მუხლი, რომელიც ფუნდამენტურ გარანტიებს ეხება, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ მოახდინა ჰუმანიტარულმა სამართალმა და ადამიანის უფლებებმა დადებითი ზეგავლენა ერთმანეთზე. აქ განსაკუთრებით საყურადღებოა სამართლიანი სასამართლოს უფლების საკითხი, რადგან, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტის დროს სამართლიან სასამართლოზე უფლება შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას, ხოლო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, ეს უფლება შეზღუდვას არ ექვემდებარება.⁴⁴ ასევე, ყველა პირი, რომელიც დაკავებულია შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით, სარგებლობს აღნიშნული მუხლის დაცვით, ვიდრე ის საბოლოოდ არ გათავისუფლდება, არ იქნება რეპატრირებული ან რესოციალიზებული. 75-ე მუხლის დაცვის მექანიზმი გრძელდება შეიარაღებული კონფლიქტის დამთავრების შემდეგაც⁴⁵;

ე) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ჰუმანიტარული სამართლისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს პირების დაყოფას სტატუსის მიხედვით (კომბატანტებად ან მშვიდობიან მოსახლეებად). განსხვავებით ჰუმანიტარული სამართლისაგან, მას არ გააჩნია ომის წარმოების წესები.

მოყვანილი მაგალითების საფუძველზე შეიძლება აიხსნას ჰუმანიტარული სამართალსა და ადამიანის უფლებათა სამართალს შორის გამოვლენილი კომპლემენტარობა და სპეციფიკურობა.

ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ამ ორი დარგის კომპლემენტარობა და სპეციფიკურობა გამომდინარეობს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის უნარით, საგანგებო მდგომარეობის დროს შეზღუდოს ადამიანის კონკრეტული უფლებები.⁴⁶ საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკისა და სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით, საგანგებო მდგომარეობა გულისხმობს როგორც ომს, ისე სამხედრო ოკუპაციას.⁴⁷ თავის მხრივ, შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჰუმანიტარული სამართლის ნორმები არ ექვემდებარება რაიმე ფორმის შეზღუდვას.⁴⁸ ხსენებული ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებათა კომიტეტის საერთო კომენტარში (N29). ამით ჩანს ორი რამ: პირველი, რომ ადა-

⁴⁴ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, საერთო კომენტარი N29, მე-16 პუნქტი, იხ. [<http://www2.ohchr.org>].

⁴⁵ იხილეთ Yoram Dinstein *The International Law of Belligerent Occupation* (Cambridge University Press, UK) 2009, გვ. 67-88.

⁴⁶ ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციები თავად საზღვრავენ უფლების შეზღუდვის პირობებს.

⁴⁷ O. Ben-Naftali and Y. Shany, *Living in denial: the application of human rights in the occupied territories*, *Israel Law Review* (2003-3004), გვ. 50.

⁴⁸ საერთო კომენტარი N29, მე-9 პუნქტი.

მიანი არ რჩება დაცვის გარეშე; მეორე, სახელმწიფოს არ შეუძლია შეზღუდოს ადამიანის უფლებები საგანგებო სიტუაციის დროს და ასევე დაარღვიოს მის მიერ საერთაშორისო სამართლით აღებული სხვა ვალდებულებები,⁴⁹ ამ შემთხვევაში ჰუმანიტარული სამართალი.

წარმოდგენილი საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შორის ურთიერთობა ეფუძნება როგორც კომპლემენტარობის, ისე გარკვეულ შემთხვევებში *lex specialis* პრინციპს.

5. მოქმედებს თუ არა ადამიანის უფლებები ოკუპაციის შემთხვევებში?

საერთაშორისო კონფლიქტი, განსაკუთრებით კი სამხედრო ოკუპაცია, წარმოშობს კითხვას: რამდენად მოქმედებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ექსტრატერიტორიულად, ანუ სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ?⁵⁰

ამ საკითხზე ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციებს აქვთ ინდივიდუალური მიდგომა, იმის მიხედვით, თუ რა ტერიტორიულ არეალზე ვრცელდება მათი მოქმედება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოსა და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციების მოქმედება ეფუძნება ექსტრატერიტორიულობის პრინციპს, რომელიც უკავშირდება ტერიტორიაზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის სამუშაო დოკუმენტში „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ურთიერთობის შესახებ“ აღინიშნა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტების უმეტესობა შეიცავს დებულებას, რომლის თანახმად, სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, დაიცვან მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირები.⁵¹

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის საერთო კომენტარში აღინიშნა, რომ მონაწილე სახელმწიფომ უნდა სცეს პატივი და უზრუნველყოს პაქტში მოცემული უფლებების ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ადამიანისათვის, რომელიც ექცევა მისი უფლებამოსილების ან ეფექტიანი კონტროლის ქვეშ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პიროვნება არ იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიულ საზღვრებში. მისი აზრით, აღნიშნული პრინციპი ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებიც იმყოფებიან

49 იქვე.

50 ნ. ლუბელი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების პარალელური მოქმედება: დავის განხილვა, *Israel Law Review*, vol 40, No 2, 2007, გვ. 651.

51 F. Hampson and I. Salama. Working paper on the relationship between human rights law and international humanitarian law, 82, იხ. [<http://www.unhcr.org>]. იხ. 25-ე სქოლიო, კ. დროეგე.

ქვეყნის სამხედრო ძალის დაქვემდებარებაში ან ეფექტიანი კონტროლის ქვეშ საზღვარგარეთ.⁵² მაგალითად, მშვიდობისმყოფელთა და მშვიდობის იძულებით დამყარების მისიებს ეკისრებათ ვალდებულება, დაიცვან ადამიანის უფლებები მათი შესაბამისი პასუხისმგებლობის არეალში.⁵³

ფეორმულირება – „თუნდაც არ იმყოფებოდნენ სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე“ და „ვინც იმყოფება ქვეყნის სამხედრო ძალისა ან ეფექტიანი კონტროლის ქვეშ“ — შეიძლება დაუკავშირდეს სამხედრო ოკუპაციის სიტუაციას.

1907 წლის ჰააგის სამართლის 42-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ტერიტორია ითვლება ოკუპირებულად, როდესაც იგი, ფაქტობრივად, მოქცეულია მტრული სამხედრო არმიის ძალაუფლების ქვეშ. ოკუპაცია ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამგვარი ძალაუფლება დამყარებულია და შეიძლება განხორციელდეს“. სამხედრო ოკუპაცია გვხვდება მხოლოდ საერთაშორისო კონფლიქტის დროს.⁵⁴ არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტი ამ ცნებას, ისევე როგორც მსგავსი სიტუაციის მარეგულირებელ ნორმებს, არ მოიცავს.

სამხედრო ოკუპაცია სპეციფიკური თვისებებით ხასიათდება და, ფაქტობრივად, არის ნახევარგზა ომსა და მშვიდობას შორის; სწორედ ამ დროს უზრუნდება მოსახლეობა სამოქალაქო ცხოვრებას და ამყარებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებს ოკუპანტთან.⁵⁵ ამგვარად, აღნიშნული სიტუაციის შექმნისას მნიშვნელოვანია, ურთიერთობა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებათა დაცვის მყარ მექანიზმს, რომელიც დაიცავდა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას ოკუპანტის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან, და, ამავდროულად, მაქსიმალურად უზრუნველყოფდა მათი უფლებების ეფექტიან ხელმისაწვდომობას.

ოკუპაციის დროს მოქმედებს ჰააგის 1907 წლის რეგულაციები, ჩვეულებითი სამართალი, ჟენევის 1949 წლის IV კონვენცია და პირველი დამატებითი ოქმი. საერთაშორისო პრაქტიკამ არაერთგზის დაადასტურა ადამიანის უფლებათა მოქმედება სამხედრო ოკუპაციის დროს.

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ოკუპაციის დროს ადამიანის უფლებების, კერძოდ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთა-

52 საერთო კომენტარი N31, მე-10 პუნქტი.

53 იქვე.

54 აღნიშნული დასტურდება ჰააგის 1907 წლის სამართლის 42-ე მუხლით, რომელშიც მოყვანილია ფრაზა „მტრული არმია“; აგრეთვე, ჟენევის კონვენციების საერთო მე-2 მუხლით, რომელიც ეხება საერთაშორისო კონფლიქტს, რომლის მხარეებსაც წარმოადგენენ სახელმწიფოები. 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მე-2 მუხლი ადგენს, რომ იგი მოქმედებს ხელშემკვერი სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილობრივი თუ მთლიანი ოკუპაციის ყველა შემთხვევაში – თუნდაც ეს ოკუპაციის მდგომარეობა არ იყოს სამხედრო მოქმედებების შედეგი.

55 დ. კამპანელი, სამხედრო ოკუპაციის სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის შეპირისპირება, ტ. 90, N871, 2008 წელი, გვ. 654.

შორისო პაქტის, მოქმედება განიხილა და დაადასტურა ოკუპირებული ქუვეითის,⁵⁶ კვიპროსისა⁵⁷ და ისრაელის შემთხვევებში. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ კედლის მშენებლობის საქმეში ამ დოკუმენტის მოქმედების შესახებ კომიტეტის აზრი გაიზიარა.⁵⁸ A

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც საქმეზე – *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ*⁵⁹ – ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ექსტრატერიტორიული მოქმედების განხილვისას დაადგინა, რომ კონვენციის მოქმედებას ტერიტორიაზე სჭირდებოდა ეფექტიანი კონტროლი, რომელიც სამხედრო ოკუპაციას ახასიათებს და რომ „სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს როგორც კანონიერი, ისე არაკანონიერი სამხედრო ქმედების შედეგად, როდესაც სახელმწიფო ახორციელებს ეფექტიან კონტროლს ტერიტორიაზე, მისი ქვეყნის ტერიტორიის გარეთ. კონვენციაში ჩადებული ვალდებულება, ოკუპირებულ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნეს უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, გამომდინარეობს თავად კონტროლის პრინციპიდან, რომელიც შეიძლება განხორციელებულ იქნეს უშუალოდ, შეიარაღებული ჯარების მეშვეობით ან ადგილობრივი დაქვემდებარებული ადმინისტრაციის გამოყენებით.“

ის, რომ ადამიანის უფლებების ექსტრატერიტორიული მოქმედება განსაკუთრებული მნიშვნელობის საგანია, დასტურდება ამავე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით საქმეებზე – *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ*, *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ*, *ილაშკუ მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ*, – რომლებშიც სასამართლომ განმარტა, რომ ეფექტიანი კონტროლის ცნება არ გულისხმობს არა სახელმწიფოს მიერ სრულ კონტროლს ყველა ქმედებასა ან მთელ ტერიტორიაზე, არამედ ტერიტორიაზე ეფექტიან საერთო კონტროლს.⁶⁰

ეფექტიანი კონტროლის ამგვარი ინტერპრეტაციით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხელი შეუწყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ექსტრატერიტორიული მოქმედების გამყარებას.

საქმეზე – *კონგოს ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შესახებ* მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მკაფიოდ განსაზღვრა, რომ ადამიანის უფლებები მოქმედებს ოკუპაციის დროს და რომ ოკუპანტი ვალდებულია უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა. სასამართლომ ასევე

⁵⁶ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მოქმედების შესახებ ოკუპირებულ ქუვეითში, UN Doc E/CN.4/1992/26 (1992).

⁵⁷ ადამიანის უფლებების კომიტეტის დასკვნა: კვიპროსი (UN Doc CCPR/C/79/Add.39 (1994)).

⁵⁸ იხ. კედლის მშენებლობის, 111-ე პუნქტი.

⁵⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ*, 62-ე 64-ე პუნქტები, 1995 წელი. ასევე იხ. კ. დროევი, გვ. 327.

⁶⁰ იხ. კ. დროევი, გვ. 328.

დაადგინა, რომ უგანდა წარმოადგენდა ოკუპანტს იტურში, რომელიც პასუხისმგებელი იყო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედი წესების უზრუნველყოფასა და მათ პატივისცემაზე, რათა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსახლეობა დაეცვათ ძალადობისაგან და აღკვეთილიყო მესამე მხარის ძალადობა მათზე.⁶¹

ასევე მნიშვნელოვანია ოკუპაციის დროს ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების ურთიერთქმედების განხილვა, რამდენიმე უფლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

ასევე, რომ ზოგიერთ სიტუაციას ჰუმანიტარული სამართალი უფრო დეტალურად და ეფექტიანად აწესრიგებს, ვიდრე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. ეს მეტწილად განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ადამიანის უფლებები ექვემდებარება შეზღუდვას. შესაბამისად, ამგვარი სიტუაციის არსებობისას უფრო მარტივია, უპირატესობა მიენიჭოს ჰუმანიტარულ სამართალს. როგორც მ. დენისმა აღნიშნა, „რადგან ოკუპაციის სამართალი სპეციალიზებული სამართალია, იგი უკეთაა მორგებული სამხედრო ოკუპაციის კონკრეტულ სიტუაციას.“⁶²

აღნიშნული დასტურდება სამხედრო ოკუპაციისას კერძო საკუთრების დაცვის უფლების განხილვის დროს, რომელიც რეგულირდება ოკუპაციის პირობებში მოქმედი ჰააგის 1907 წლის სამართლის 46-ე, 47-ე, 52-ე მუხლებით და რომელიც, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალთან შედარებით, პირდაპირ აღიარებს პირის ინტერესს ოკუპაციის პირობებში და ითვალისწინებს კერძო საკუთრების დაცვის რეალურ მექანიზმს.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ უშვებს იძულებითი სამუშაოს აკრძალვის ვალდებულების შეზღუდვის შესაძლებლობას, ხოლო ჰუმანიტარული სამართალი, მიუხედავად იმისა, რომ არ კრძალავს ოკუპანტის უფლებას, მოსახლეობას მოსახლეობას მუშაობა როგორც თავის სასარგებლოდ, ისე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სექტორში, აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს ოკუპანტის მიერ აღნიშნული უფლების განხორციელებაზე: სამუშაოდ მისაღები პირის ასაკი, სულ მცირე, 18 წელს უნდა აღწევდეს. ასევე, ოკუპანტს ეკრძალება, მოსახლეობას მოსახლეობის საბრძოლო მოქმედებებში ჩართვა, ისევე როგორც ჯარში მსახური. ამრიგად, ჰუმანიტარული სამართალი, ადამიანის უფლებების სამართლისაგან განსხვავებით, გვთავაზობს დაცვის შედარებით ფართო მექანიზმს.

61 მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, საქმე კონგოს ტერიტორიაზე მიმდინარე შეიარაღებული მოქმედებების შესახებ, 178-ე პუნქტი.

62 M. Denis "Application of Human Rights Treaties extraterritorially in times of Armed Conflict and Military Occupation" *American Journal of International Law*, 2005, 139.

წამების აკრძალვის ვალდებულებასთან მიმართებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და ჰუმანიტარულ სამართალს სამხედრო ოკუპაციის დროს უპრობლემო თანხვედრა ახასიათებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ სამხედრო ოკუპაციის რეჟიმის დროს სამართლის ორივე სფერო ერთნაირად აღიარებს წამების აკრძალვას *jus cogens* ვალდებულებად.⁶³ შენევის 1949 წლის IV კონვენციაში, 32-ე მუხლი ცალსახად კრძალავს პირის წამებას. ამავე კონვენციის 147-ე მუხლი წამებას მიიჩნევს კონვენციის სერიოზულ დარღვევად. წამების აკრძალვა აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ბოლო პერიოდში ისრაელის მიერ ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებისა და თურქეთის მიერ ოკუპირებული კვიპროსის საკითხი აქტუალურს ხდის ადამიანის უფლებების მოქმედების საკითხის შესწავლას, ხანგრძლივი ოკუპაციის შემთხვევაში. ხანგრძლივი ოკუპაციის შემთხვევაში საინტერესოა, საკმარისია თუ არა ჰუმანიტარული სამართლის მოქმედება და საჭიროა თუ არა, გაიზარდოს ადამიანის უფლებების მოქმედების სპექტრი, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფ პირთა უფლებების დაცვა. როგორც მ. სასოლიმ და ა. ბუვიემ აღნიშნეს: რაც უფრო დიდ ხანს გრძელდება ოკუპაცია, მით უფრო მეტად ვლინდება ოკუპაციის რეჟიმის არასრულფასოვნება.⁶⁴ სწორედ ამგვარი ნაკლოვანებების გამოვლინების შემთხვევაში დღის წესრიგში დგება ადამიანის უფლებების სამართლის მოქმედება, რათა ამ უკანასკნელმა, კონვენციების სიუხვით, დამატებითი უფლებებითა და მოქმედების ფართო ფარგლებით გადაფაროს ჰუმანიტარული სამართლის გარკვეული არასრულფასოვანი მხარეები.

6. დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ჰუმანიტარული სამართალი მოქმედებს მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ხოლო ადამიანის უფლებების სამართალი, უმთავრესად, მშვიდობიან პერიოდში,⁶⁵ შეიარაღებული კონფლიქტისა (როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო ხასიათის) და სამხედრო ოკუპაციის შემთხვევაში, საერთაშორისო სამართლის ორივე დარგი მოქმედებაში მოდის.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ურთიერთქმედება უნდა განიხილებოდეს კომპლემენტარო-

63 ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი საქმეზე – ფურუნჯია (*Furundzija*), 349-350-ე პუნქტები, იხ. [\[http://www.icty.org\]](http://www.icty.org). იხ. სქოლიო 45, Yoram Dinstein, გვ. 67-88.

64 მ. სასოლი და ა. ბუვიე, როგორ იცავს სამართალი ომის დროს? ტ. I, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, შენევა 2006, გვ. 186. ასევე, შენევის IV კონვენციის მუხლი 6, 1949 Conventions and Additional Protocols, and their Commentaries, იხ. [\[http://www.icrc.org\]](http://www.icrc.org).

65 ჟ. პიქტი, ჰუმანიტარული სამართალი და ომის მსხვერპლთა დაცვა, ლეიდენი/შენევა, 1975, გვ. 15.

ბის, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში, *lex specialis* პრინციპის საფუძველზე.

სამომავლო გადმოსახედიდან თუ დაისმება კითხვა, შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ ჰუმანიტარული სამართალი ადამიანის უფლებების გამავრცელებელ და დამწერგავ საშუალებად ისეთ ვითარებაში, როგორცაა შეიარაღებული კონფლიქტი და სამხედრო ოკუპაცია?

აღნიშნულ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს შემდეგი მოსაზრების გამო: უპირველესად, საერთაშორისო სამართლის ამ ორივე დარგს საერთო მიზანი აქვს — დაიცვას ადამიანი. შესაბამისად, ჰუმანიტარული სამართლის ნორმების მოქმედება შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადამიანის უფლებების ერთგვარ იმპლემენტაციად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადამიანი რჩება დაუცველი – რომ არა ჰუმანიტარული სამართლის ნორმები. შემდგომ, ჰუმანიტარული სამართალი ადამიანის უფლებების იმპლემენტატორად შეიძლება განიხილებოდეს, რაც დასტურდება ოკუპანტის შესაძლებლობით მიიღოს კანონები, მაგალითად კანონი ჰუმანიტარული სამართლის, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დასამკვიდრებლად⁶⁶.

⁶⁶ იხილეთ 43-ე მუხლი, 1907 წლის ჰააგის რეგულაციები და 64-ე მუხლი, ჟენევის 1949 წლის IV კონვენცია; იხილეთ მ. სასოლი და ა. ბუვიე, როგორ იცავს სამართალი ომის დროს? ტ. I, ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, ჟენევა, 2006, გვ. 191, და სიტუაცია ერაყში "Orders of the Coalition Provisional Authority", იხ. [<http://www.cpa-iraq.org>].

ტერიტორიული დათმევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიმართ და ქართული პრაქტიკა

სოფიო კუპრაძე

1. შესავალი

დათქმის საკითხი საერთაშორისო ხელშეკრულებათა მიმართ განსაკუთრებული ყურადღების საგანია საერთაშორისო სამართალში. იშვიათია საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც აბსოლუტურად დააკმაყოფილებს ხელშეკრულების თითოეული მონაწილე სახელმწიფოს ინტერესებს. ამიტომ საერთაშორისო სამართალი ხშირად ანიჭებს სახელმწიფოებს უფლებას, ხელშეკრულების ხელმოწერის, რატიფიცირების, დამტკიცების ან მასთან შეერთების დროს გააკეთოს გარკვეული დათქმა ხელშეკრულების ამა თუ იმ დებულების მიმართ. უდავოა, რომ ერთი სახელმწიფოს ინტერესები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს რომელიმე სხვა სახელმწიფოს მიერ დათქმის გაკეთების უფლებას. სახელმწიფოების ინტერესთა ასეთი კონფლიქტი, როგორც წესი, გამომწვეულია ერთი სახელმწიფოს მიერ გაკეთებული დათქმის შინაარსით და იმით, რომ ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოს არ სურს ხელშეკრულების იმ ფორმით აღიარება, რა ფორმითაც მას დათქმის გაკეთებული სახელმწიფო სთავაზობს.

საერთაშორისო სამართალი ამ მიმართულებით განსხვავებულ სტანდარტებს ადგენს. ერთი მხრივ, ზოგადად, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები თავად განსაზღვრავენ სხვა სახელმწიფოების მიერ გაკეთებული დათქმების დასაშვებობისა და ნამდვილობის პირობებს. A

მეორე მხრივ, არსებობს ხელშეკრულებათა ისეთი კატეგორია, რომელთა მიმართ დათქმების გაკეთების საკითხი ზოგადი წესისაგან განსხვავებულად წესრიგდება, რაც განპირობებულია მათი განსაკუთრებული ხასიათით. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების განსხვავებული ხასიათი, რის გამოც ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ზოგიერთი ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, თვითონ გადაწყვიტონ დათქმების ნამდვილობისა და მისი დასაშვებობის საკითხი. ამის მაგალითია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში – „ევროპული სასამართლო“), რომელიც ჩამოყალიბდა 1950 წლის 4 ნოემბერს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში – „ევროპული კონვენცია“) საფუძველზე. ევროპული სასამართლო თავად განსაზღვრავს

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ გაკეთებული დათქმის დასაშვებობასა და ნამდვილობას. უფრო მეტიც, ევროპული სასამართლო დათქმების ნამდვილობის შეფასების მიზნით აწესებს გარკვეული სახის კრიტერიუმებს, რათა არ შეილახოს ევროპული კონვენციის ძირითადი არსი და არ მოხდეს სახელმწიფოთა მიერ ამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების დაკნინება.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი განსაკუთრებული სიმკაცრით განიხილავს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ ტერიტორიული დათქმების გაკეთების საკითხს. კერძოდ, ევროპული სასამართლო დაუშვებლად ცნობს სახელმწიფოს მიერ გაკეთებულ განცხადებას ევროპული კონვენციის გამოყენების შეზღუდვის შესახებ იმ ტერიტორიებთან მიმართებით, რომლებზეც არ ვრცელდება ამ სახელმწიფოს ეფექტიანი იურისდიქცია. აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ სახელმწიფომ სამართლებრივ ვაკუუმში არ უნდა დატოვოს ის პირები, რომლებიც ამ ტერიტორიებზე ცხოვრობენ და სრულად უნდა განახორციელოს მის მიერ ევროპული კონვენციის პირველი მუხლით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც აღიარებს, რომ „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის | ნაწილში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.“

წინამდებარე სტატიის მიზანია, განიხილოს ტერიტორიული დათქმების ინსტიტუტი ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე და ამ ფონზე გააანალიზოს საქართველოს მიერ ევროპული კონვენციის ფარგლებში გაკეთებული ტერიტორიული განცხადება და დათქმა არაკონტროლირებად ტერიტორიებთან, კერძოდ, აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან მიმართებით.

2. დათქმის ინსტიტუტი საერთაშორისო სამართალში

1969 წლის საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი დათქმას განსაზღვრავს როგორც:

„ცალმხრივ განცხადებას, მიუხედავად იმისა, თუ როგორ არის ჩამოყალიბებული და დასახელებული, რომელსაც აკეთებს სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერის, რატიფიცირების, მიღების, დამოწმების ან მიერთების დროს, და სადაც სახელმწიფო მიზნად ისახავს, გამორიცხოს ან მოახდინოს ხელშეკრულების კონკრეტული დებულების იურიდიული მნიშვნელობის მოდიფიცირება მათი მოქმედებისას ამ სახელმწიფოს მიმართ.“

დათქმებთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები ჩამოყალიბებულია ვენის კონვენციის მე-19-23-ე მუხლებში. აღნიშნულთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა ის ძირითადი წესი, რაც დადგინდა ვენის კონვენციის მიერ ამ კუთხით. კერძოდ, ვენის კონვენციის მე-20 მუხლის მე-4(ა) პუნქტის მიხედვით, დათქმის გამკეთებელი სახელმწიფო ჩაითვლება ხელშეკრულების მონაწილედ, თუ მის მიერ გაკეთებული დათქმა პირდაპირ ან არაპირდაპირ აღიარა ხელშეკრულების ერთმა მონაწილე სახელმწიფომ მაინც.¹

საყურადღებოა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანოს მიდგომა დათქმებთან დაკავშირებით. მაგალითად, ერთა ლიგის პერიოდში მოქმედებდა ე.წ. „ერთსულოვნების წესი“;² რომლის მიხედვით, მხოლოდ ისეთი დათქმა ჩაითვლებოდა იურიდიული ძალის მქონედ, რომელსაც დაეთანხმებოდა ხელშეკრულების ყველა მონაწილე სახელმწიფო. ერთა ლიგის დროს დამკვიდრებული წესი იმდენად მოუქნელი აღმოჩნდა, რომ ძალიან მოკლე პერიოდში შეწყვიტა მოქმედება. 1920-იან-1930-იან წლებში საინტერესო რეგიონალური პრაქტიკა განვითარდა ამერიკის ქვეყნებში, რამაც შეარბილა ერთა ლიგის მკაცრი მოთხოვნები ამ მიმართულებით და სახელმწიფოებს შესთავაზა დათქმების გაკეთების ბევრად მოქნილი წესი. კერძოდ, დათქმა ძალაში შედიოდა მხოლოდ დათქმის გამკეთებელ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელიც აღიარებდა დათქმის ნამდვილობას.³

მოგვიანებით დათქმების მიმართ თანამედროვე მიდგომა ჩამოყალიბდა საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს 1951 წლის საკონსულტაციო დასკვნაში, რომელიც გაკეთდა გენოციდის თაობაზე კონვენციის მიმართ გაკეთებული დათქმის შესახებ საქმესთან დაკავშირებით. ხსენებული მოსაზრების მთავარი იდეა ისაა, რომ სახელმწიფო, რომელმაც გააკეთა დათქმა და რომელიც უარყო ერთმა ან რამდენიმე კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ, ჩაითვლება კონვენციის მონაწილე მხარედ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ გაკეთებული დათქმა არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულების ობიექტსა და მიზანს.⁴ აღნიშნულის საფუძველზე სასამართლომ დაუშვა გარკვეული სახის დათქმების გაკეთების შესაძლებლობა გენოციდის შესახებ კონვენციის მიმართ იმ იდეით, რომ ამ მიმართულებით უნდა არსებობდეს მოქნილი წესი, და რომ საერთაშორისო სამართალშიც კი არ არსებობს აბსოლუტური სიმკაცრით დადგენილი მოთხოვნა ხელშეკრულების

1 იხ. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის მე-20 მუხლის მე-4(ა) პუნქტი.
 2 M. Fitzmaurice, *On the Protection of Human Rights, the Rome Statute and Reservations to Multilateral Treaties*, *Singapore Year Book of International Law*, 2006, 3.
 3 I. Sinclair, *The Vienna Convention on the Law of Treaties*, 1984, 58-59.
 4 *Reservations to the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide, Advisory Opinion [1951] I.C.J. Rep. 15 [Reservation to Genocide Convention Advisory Opinion]*, 25.

მონაწილე ყველა სახელმწიფოს მიერ დათქმების აღიარების სავალდებულობის შესახებ.⁵

3. დათქმები ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ხელშეკრულებების მიმართ

ვენის კონვენციით დადგენილი დათქმების სისტემა საკმაოდ ყოვლისმომცველი ჩანდა, ვიდრე წინა საუკუნის 80-იან წლებში ნათელი არ გახდა, რომ მოცემული სისტემის მისადაგება ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებთან დიდ დაბრკოლებებს შექმნიდა ასეთი სახის ხელშეკრულებების ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით. როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულება არ არის დამყარებული ნაცვალგების პრინციპზე და, შესაბამისად, არ წარმოშობს უფლებებსა და მოვალეობებს უშუალოდ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებისათვის. ამგვარი ხელშეკრულებები ეხება ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის არსებულ ურთიერთობებს.⁶ ზოგადად, დათქმების გაკეთება ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების მიმართ არ არის შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის პრინციპთან, ვინაიდან სახელმწიფო ამ შემთხვევაში გამორიცხავს, ან ზღუდავს მის ვალდებულებებს, რომლებიც მას ეკისრება ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებით. ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების მიმართ დათქმის გაკეთებით და სხვადასხვა ვალდებულებისაგან თავის დაღწევით სახელმწიფო გარკვეულწილად ძირს უთხრის ადამიანის უფლებათა საერთო სტანდარტის არსებობას და განვითარებას.

გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ხელშეკრულებები არ არის დაფუძნებული ნაცვალგების პრინციპზე, მისი მონაწილე სახელმწიფოები თითქმის ყველა შემთხვევაში პირდაპირ არ ექცევიან ხელშეკრულების მიმართ გაკეთებული დათქმების ზემოქმედების ქვეშ, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს მიერ გაკეთებული დათქმა, ძირითადად, ვრცელდება დათქმის გამკეთებელი ქვეყნის მოქალაქეებზე.⁷

ევროპული სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს გარდა, ადამიანის უფლებათა ძალიან ცოტა საერთაშორისო ორგანო თუ ადგენს ინსტიტუციურ პროცედურებს ხელშეკრულების მიმართ დათქმის გაკეთებასა და მის დასაშვებობასთან მიმართებით.⁸

5 იქვე, გვ. 25.

6 M. Evans, *International Law*, 2003, 194.

7 R. Higgins, *Human Rights: Some Questions of Integrity*, 52 *Modern Law Review* (1989) 1, 11.

8 თუ არ გავითვალისწინებთ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს, რომლის გადანაცვტილებები იურიდიულად არის არა სავალდებულო, არამედ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

ამ კონტექსტში მიზანშეწონილია, აღინიშნოს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 24-ე ზოგადი კომენტარი, რომელშიც კომიტეტმა განიხილა ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების მიმართ დათქმის გაკეთების საკითხი და აღნიშნა, რომ „სასურველია, სახელმწიფოებმა აღიარონ მთელი რიგი ვალდებულებებისა, რადგან ადამიანის უფლებათა ნორმები სამართლებრივი გამოხატულებაა იმ ფუნდამენტური უფლებებისა, რომლებიც მინიჭებული აქვს ნებისმიერ პირს.“⁹ კომიტეტმა ასევე დაადგინა, რომ ვენის კონვენციით განსაზღვრული დათქმების სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს, უარყოფს ესა თუ ის დათქმა, შეუსაბამოა ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებთან, ვინაიდან ისინი მხარეთა ვალდებულებებს ნაცვალგების საფუძველზე კი არ ადგენენ, არამედ ადამიანებს ანიჭებენ სხვადასხვა უფლებას.¹⁰ კომიტეტმა მიიჩნია, რომ დათქმა, რომელიც ლახავს იმ ნორმათა არსს, რომელთა გადახვევა დაუშვებელია, წინააღმდეგობაშია კონვენციის ობიექტსა და მიზანთან. კომიტეტმა დაადგინა, რომ დათქმა უნდა იყოს „კონკრეტული“ და „გამჭვირვალე“; იგი უნდა იყოს მიმართული კონვენციის რომელიმე დებულებისადმი; ასევე სახელმწიფომ დათქმის გაკეთებისას უნდა გაითვალისწინოს, ზოგადად, რა ზემოქმედებას მოახდენს მის მიერ გაკეთებული დათქმა კონვენციის ობიექტსა და მიზანზე; სახელმწიფომ არ უნდა გააკეთოს იმდენი დათქმა, რომ იგი სისტემატურად ამცირებდეს მის მიერ კონვენციით აღებულ ვალდებულებებს და ა.შ.¹¹

4. დათქმები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

4.1. შესავალი

თუმცა დათქმების ინსტიტუტი ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების მიმართ განსაკუთრებულად ფაქიზი საკითხია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ უფლება, გააკეთონ დათქმები კონვენციის კონკრეტული დებულებების მიმართ. ამასთანავე, სახელმწიფოები აღნიშნული უფლების გამოყენებისას ვალდებული არიან, დაემორჩილონ ევროპული კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს.

ევროპული კონვენციის ტექსტში კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ დათქმების გაკეთების შესაძლებლობის გათვალისწინება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.¹² მიუხედავად წინააღმდეგობისა, კონვენციის ტექსტში შეტანილ იქნა

9 *General Comments No. 24 of the United Nations Human Rights Committee on Issues related to reservations made upon ratification or accession to the Covenant on Civil and Political Rights or the Protocols thereto*, 11 November 1994, para.4.

10 *იქვე*, მე-17 პუნქტი.

11 *იქვე*, მე-19 პუნქტი.

12 *Council of Europe, Ordinary Session 1950, Documents, Part II, Doc. 6, p. 534.*

დათქმების გაკეთების შესაძლებლობა, რაც წესრიგდება ევროპული კონვენციის 57-ე მუხლით (ყოფილი 64-ე მუხლი). კერძოდ, აღნიშნული მუხლი ადგენს:

„ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიცირების სიგელის დეპონირებისას, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს დათქმა კონვენციის რომელიმე კონკრეტული დებულების მიმართ, თუ მის ტერიტორიაზე ამ დროს მოქმედი რომელიმე კანონი არ შეესაბამება ამ დებულებას. ზოგადი ხასიათის დათქმები ამ მუხლით დაუშვებელია.“

ამ მუხლის საფუძველზე გაკეთებული ნებისმიერი დათქმა უნდა შეიცავდეს შესაბამისი კანონის მოკლედ გადმოცემას.“

4.2. დათქმების ნამდვილობის დადგენის კომპეტენციის საკითხი

დათქმების ინსტიტუტთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს ის კომპეტენტური ორგანო, რომელიც განსაზღვრავს დათქმების ნამდვილობას. ევროპული კონვენცია არ ადგენს, რომ სახელმწიფოს მიერ გაკეთებული დათქმა მოითხოვს კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოების მიერ მის აღიარებას. შესაბამისად, ნათელი ხდება, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ გაკეთებული დათქმის იურიდიული ძალის მქონედ აღიარება დამოკიდებულია იმ ორგანოებზე, რომლებიც შეიქმნა კონვენციის საფუძველზე, კერძოდ, ევროპულ სასამართლოზე და, ნაწილობრივ, ევროპულ კომისიაზე, რომელმაც შეწყვიტა არსებობა.¹³

ტემელტაშის საქმეში, ადამიანის უფლებათა კომისიამ ცალსახად დაადგინა თავისი კომპეტენცია დათქმების განხილვასა და მათ ინტერპრეტაციასთან მიმართებით. კომისიამ აღნიშნა:

„სწორედ კონვენციის სისტემა ანიჭებს მას კომპეტენციას, განსაზღვროს, კონკრეტული მაგალითების გათვალისწინებით, თუ რამდენად შეესაბამება დათქმა ან განმარტებითი განცხადება კონვენციას.“¹⁴

ანალოგიური მიდგომა ჰქონდა ევროპულ სასამართლოს ბელილოსის საქმეზეც.¹⁵ სასამართლოსათვის კონვენციის მე-19 მუხლით მინიჭებული ვალდებულებე-

¹³ იქვე, გვ. 774.

¹⁴ ტემელტაში შვეიცარიის წინააღმდეგ (*Temeltasch v. Switzerland*), 1983 წლის 5 მაისის ანგარიში, D&R 31 (1983), გვ. 120 (144-145).

¹⁵ ბელილოსი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Belilos v. Switzerland*), განაცხადის №10328/83, Series A no. 132, გვ. 27-28, 50-ე პუნქტი.

ბა, რომ უზრუნველყოს „მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება“, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტიანი, თუ სტრასბურგის ორგანოები, და არა სახელმწიფოები, განსაზღვრავენ კონვენციით აღებული ვალდებულების შინაარსს, ასევე დათქმების ნამდვილობის ხარისხსა და მათი მოქმედების სფეროს.

ევროპული კომისიისა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჭფინა იმას, რომ იგი საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის მიერ დადგენილი სტანდარტებისაგან განსხვავებულ წესს ადგენს. როგორც უკვე აღინიშნა, ვენის კონვენცია, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისაგან განსხვავებით, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას, თვითონ გადაწყვიტოს დათქმის გაკეთების ნამდვილობისა და დასაშვებობის საკითხი. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით კი, სასამართლო უფლებამოსილია, არა მარტო განმარტოს დათქმა, არამედ დაადგინოს მისი ნამდვილობის საკითხი.¹⁶ როგორც წესი, ევროპული სასამართლო დათქმის ნამდვილობის საკითხს წყვეტს ამა თუ იმ საქმის განხილვის ეტაპზე, კერძოდ მაშინ, როდესაც ევროპული კონვენციის რომელიმე კონკრეტული მუხლი ირღვევა.

4.3. დათქმების ნამდვილობის პირობები

1969 წლის სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით, დათქმის გაკეთება დაუშვებელია, თუ:

- „ა. დათქმა აკრძალულია ხელშეკრულებით;
- ბ. ხელშეკრულება ადგენს, რომ შესაძლებელია გაკეთდეს მხოლოდ კონკრეტული დათქმები, რომლებიც არ შეიცავენ სადავო დათქმას;
- გ. [...] დათქმა ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მიზნებსა და ობიექტს.“

თავის მხრივ, ევროპული კონვენციის 57-ე მუხლი ადგენს დათქმის გაკეთების საკუთარ კრიტერიუმებს:

- „ა. დათქმა უნდა გაკეთდეს კონვენციის ხელმოწერისას ან მისი რატიფიკაციის დროს;
- ბ. ის ეროვნული კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის კონკრეტულ ვალდებულებას, ძალაში უნდა იყოს დათქმის გაკეთების მომენტში;¹⁷

¹⁶ იხ. მე-8 სქოლიო, გვ. 446.

¹⁷ ფიშერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Fischer v. Austria*), განაცხადის №16922/90, 1995 წლის 26 აპრილი, Series A, no. 312, (1995) 20 EHRR 349, 41-ე პუნქტი.

- გ. დათქმას უნდა მოჰყვებოდეს მოკლე მიმოხილვა იმ ეროვნული კანონისა, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის კონკრეტულ დებულებას;
- დ. დათქმა არ უნდა იყოს ზოგადი ხასიათის.“

ის ფაქტი, რომ დათქმა უნდა იყოს კონკრეტული, პირდაპირ არის მითითებული 57-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომელშიც აღნიშნულია: „ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს დათქმა კონვენციის რომელიმე კონკრეტული დებულების მიმართ“. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ დათქმის გაკეთებისას ის დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციას, ძალიან მკაფიოდ უნდა იყოს ნახსენები და, შესაბამისად, დათქმა უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ აღნიშნულ დებულებაზე და არა მის ფარგლებს გარეთ. ასევე, ძალაში უნდა იყოს ის ეროვნული კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის კონკრეტულ დებულებას, თუმცა კომისია უფრო შორს წავიდა ამ მიმართულებით და კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ გაკეთებული დათქმა გაავრცელა იმ ახალ კანონებზე, რომლებიც მოგვიანებით იქნა მიღებული იმავე სფეროში.¹⁸

დათქმა თავისუფლად შეიძლება გამოცხადდეს დაუშვებლად იმ საფუძველზე, რომ სახელმწიფომ დათქმის გაკეთებისას არ წარმოადგინა ეროვნული კანონის მოკლე მიმოხილვა. აღნიშნული მუხლის მოთხოვნა არ შესრულდა ბელილოსის საქმეში, რომელშიც შვეიცარიამ დათქმის გაკეთებისას არ წარმოადგინა ეროვნული კანონის მოკლე მიმოხილვა.¹⁹ აღნიშნულის საპირისპიროდ, საქმეში – კორერი ავსტრიის წინააღმდეგ²⁰ – ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ავსტრიის მიერ კონვენციის მე-5 მუხლის მიმართ გაკეთებული დათქმა საკმაოდ კონკრეტული იყო, ვინაიდან იგი შეიცავდა განსაზღვრული რაოდენობის კანონებს, რომლებიც, ერთად აღებული, ტოლფასი იყო „სათანადოდ განსაზღვრულ და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფ მატერიალურ და პროცედურულ ადმინისტრაციულ დებულებათა ერთობლიობისა“. სტეკ-რიჩის საქმეში²¹ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ლიხტენშტაინის დათქმა, რომელიც დაკავშირებული იყო საქმის ზეპირი განხილვის გარეშე მოსმენასა და გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებასთან, უნდა ჩაითვალოს ნამდვილად. რაც შეეხება ვებერის

18 *X ავსტრიის წინააღმდეგ (X v. Austria)*, განაცხადის №2765/66, *Yearbook X (1967)*, გვ. 412.

19 ასევე იხილეთ, ვებერი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Weber v. Switzerland*), განაცხადის №11034/84, 1990 წლის 22 მაისი, (1990), 12 EHRR 508; ასევე იხილეთ, აიზენშტეკენი ავსტრიის წინააღმდეგ (*Eisenstecken v. Austria*), განაცხადის №29477/95, 2000 წლის 3 ოქტომბერი.

20 კორერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Chorherr v Austria*), განაცხადის №13308/87, *Series A, no. 266-B*, 1993 წლის 25 აგვისტო, (1994) 17 EHRR 385.

21 სტეკ-რიჩი და სხვები ლიხტენშტაინის წინააღმდეგ (*Steck-Risch and others v. Liechtenstein*), განაცხადის №63151/00, 2004 წლის 12 თებერვალი.

საქმეს,²² ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად გამოაცხადა შვეიცარიის მიერ გაკეთებული დათქმა და აღნიშნა, რომ დათქმის გაკეთებისას კანონის მოკლე მიმოხილვის წარდგენის ვალდებულება არა მარტო ფორმალური მოთხოვნაა, არამედ აუცილებელი პირობა.

ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ზოგადი ხასიათის დათქმის გაკეთების საკითხზე. კონვენციის 57-ე მუხლი მკაცრად ადგენს, რომ დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ ზოგადი ხასიათის დათქმის გაკეთება. ეს უკანასკნელი კი ევროპული სასამართლოს მიერ განსაზღვრულია როგორც „დათქმა, რომელიც გადმოცემულია ძალიან ბუნდოვნად, ან იმდენად ზოგადად, რომ შეუძლებელია განისაზღვროს მისი ზუსტი მნიშვნელობა და მოქმედების სფერო.“²³ ბელილოსის საქმეში კონვენციის 57-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნა დაირღვა მაშინ, როდესაც შვეიცარიამ გააკეთა დათქმა კონვენციის მე-6 მუხლის მიმართ. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ შვეიცარიის დათქმა დაუშვებლად ცნო. აღსანიშნავია, რომ ბელილოსის საქმე პირველი იყო, სადაც საერთაშორისო სასამართლომ ხელშეკრულების მიმართ გაკეთებული დათქმა დაუშვებლად გამოაცხადა.²⁴

4.4. ტერიტორიული დათქმები ევროპული კონვენციის მიხედვით

ევროპული კონვენციის 57-ე მუხლი არ უშვებს ტერიტორიული დათქმების გაკეთებას, ანუ არ მიიჩნევს მიზანშეწონილად, რომ მაღალმა ხელშემკვრელმა მხარემ გამოირიცხოს მისი ერთი ან რამდენიმე ტერიტორია კონვენციის მოქმედების სფეროდან. მაგალითად, საქმეზე – ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოლდოვის სახელმწიფოს მიერ გაკეთებული „განცხადება“, რომელიც ეხებოდა მოლდოვის ხელისუფლების კონტროლის არარსებობას დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე, არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც დათქმა, ევროპული კონვენციის გაგებით, ვინაიდან მოლდოვის მიერ გაკეთებული „განცხადება“ არ ეხებოდა კონვენციის რომელიმე კონკრეტულ დებულებას ან ეროვნულ კანონს.²⁵ ანალოგიურად, ეჭვს იწვევს 2002 წლის 15 აპრილს აზერბაიჯანის მიერ გაკეთებული ტერიტორიული განცხადება, რომელიც ადგენს, რომ

²² ვებერი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Weber v. Switzerland*), განაცხადის №11034/84, 1990 წლის 22 მაისი, (1990), 12 EHRR 508.

²³ ბელილოსი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Bellilos v. Switzerland*), განაცხადის №10328/83, Series A no. 132, გვ. 27-28, 55-ე პუნქტი.

²⁴ იხ. სქოლიო 8, გვ. 444.

²⁵ ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ (*Ilaşcu and others v. Moldova and Russia*), განაცხადის №48787/99, დასაშვებობის შესახებ 2001 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება.

აზერბაიჯანი „ვერ უზრუნველყოფს კონვენციის დებულებების გავრცელებას სომხეთის რესპუბლიკის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, აღნიშნული ტერიტორიების სრულ გათავისუფლებამდე.“²⁶ ამ კონტექსტში აღსანიშნავია საქმეზე – *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ* – ევროპული კომისიის მსჯელობა. აღნიშნულ საქმეში თურქეთის სახელმწიფომ კონვენციის ყოფილი 25-ე მუხლის საფუძველზე, ევროპული კომისიის კომპეტენციის აღიარების ეტაპზე,²⁷ გააკეთა გარკვეული დათქმები, რომელთა მიხედვით, თურქეთის სახელმწიფომ განაცხადა, რომ კომისიის კომპეტენცია თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ შეტანილი ინდივიდუალური განაცხადების მიღებისა და განხილვის თაობაზე ვრცელდება მხოლოდ თურქეთის საჯარო ხელისუფლების ორგანოების იმ ქმედებებსა და უმოქმედობაზე, რომლებიც ჩადენილია თურქეთის იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც გამოიყენება თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია.²⁸ ასევე, თურქეთის ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ კომისიის კომპეტენცია არ უნდა გავრცელებულიყო ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხებოდა სამხედრო პერსონალის სამართლებრივ სტატუსს, კერ-

26 *Ph. Leach, Taking a Case to the European Court of Human Rights, 2005, 394-395.*

27 დათქმებთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს, ევროპული კონვენციის მიერ დაარსებული ორგანოების კომპეტენციის საკითხი როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში. კერძოდ, პირველ ეტაპზე, 1998 წლის 1 ნოემბრამდე მოქმედებდა კონვენციის ორსაფეხურიანი სისტემა: ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. კომისია იხილავდა განაცხადის დასაშვებობას, ხოლო სასამართლო, არსებითად, განიხილავდა მას. საზედამხედველო ორგანოთა გადატვირთულობის გამო 1994 წელს მიიღეს მე-11 ოქმი, რომელიც კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმირებასა და განაცხადთა განხილვის პროცედურის გამარტივებას ითვალისწინებდა. 1998 წლის 1 ნოემბერს, მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შედეგად, ფუნქციონირება შეწყვიტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ და ამოქმედდა რეფორმირებული, მუდმივმოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. იხ. კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004 წლის თებერვალი, გვ. 10, მე-8 სქოლიო.

ორსაფეხურიანი სისტემის დროს ინდივიდუალური განაცხადების განსახილველად აუცილებელი იყო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ ამ მიმართულებით როგორც კომისიის, ისე სასამართლოს უფლებამოსილების აღიარება. კონვენციის ყოფილი 25-ე მუხლის მიხედვით, კომისიას შეეძლო, მხოლოდ იმ შემთხვევაში განეხილა ინდივიდუალური განაცხადი, თუ სახელმწიფო, რომლის წინააღმდეგაც შეიტანეს განაცხადი, აპკარად აღიარებდა კომისიის კომპეტენციას, მიეღო ამგვარი განაცხადები. ანალოგიურად, კონვენციის ყოფილი 46-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეეძლო საქმის განხილვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფო აღიარებდა მის კომპეტენციას. კომისიის გაუქმების შემდეგ და 1998 წლის 1 ნოემბრიდან, კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით, ზემოხსენებულმა მოთხოვნამ ძალა დაკარგა, ანუ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ უკვე ავტომატურად მოხდა სასამართლოს კომპეტენციის აღიარება, რომელიც დამატებითი პროცედურას აღარ საჭიროებდა.

28 *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ (Loizidou v. Turkey)*, განაცხადი №15318/9, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადანყვეტილება განაცხადის დასაშვებობის შესახებ, 1991 წლის 4 მარტი, პრეტენზიები, 1-ლი პუნქტის (i) ქვეპუნქტი.

ძოდ კი, დისციპლინის სისტემას შეიარაღებულ ჯარში.²⁹ ევროპულმა კომისიამ შემოხსენებული დათქმები დაუშვებლად მიიჩნია.

ნიშანდობლივია, რომ კონვენციის 56-ე მუხლი ითვალისწინებს კონვენციის ტერიტორიულ გამოყენებას. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მიხედვით, მაღალი ხელშემკვრელი მხარე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მიმართავს განცხადებით, რომ იგი ადასტურებს კონვენციის გავრცელებას იმ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც იგი არის პასუხისმგებელი. კონვენციის 56-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს:

„კონვენციის რატიფიცირებისას ან შემდგომში, ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების მეშვეობით, ყოველ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ წინამდებარე კონვენცია, ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, ვრცელდება მის ყველა ან რომელიმე ტერიტორიაზე, რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.“

ზოგადად, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ხელშეკრულება ვრცელდება მაღალი ხელშემკვრელი მხარის მთელ ტერიტორიაზე, იმ ტერიტორიების ჩათვლით, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც სახელმწიფო არის პასუხისმგებელი.³⁰ აღნიშნული წესი იცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო გააკეთებს დათქმას თავისი ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის ხელშეკრულების მოქმედების სფეროდან გამორიცხვის შესახებ.

ევროპული კონვენციის 56-ე მუხლი კი საპირისპიროს ადგენს. აღნიშნული მუხლის მოქმედება მას შემდეგ ვრცელდება შემოხსენებულ ტერიტორიებზე, რაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფო ნებაყოფლობით აღიარებს მასზე საკუთარი იურისდიქციის გავრცელებას. მაგალითად, ამგვარი განცხადება გააკეთა დანიამ გრენლანდიის მიმართ,³¹ ჰოლანდიამ – სურინამის მიმართ,³² გაერთიანებულმა სამეფომ – „თანამეგობრობის“ უმეტესობის ტერიტორიების მიმართ.³³ ამჟამად აღნიშნული მუხლი ფორმალურ როლს ასრულებს, ვინაიდან იგი, ძირითადად, ეხება მეურვეობის ქვეშ მყოფ ტერიტორიებს, რომელთა უმეტესობამ დღესდღეობით დამოუკიდებლობა მოიპოვა.

29 იქვე, 1-ლი პუნქტის (iii) ქვეპუნქტი.

30 იხ. სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 29-ე მუხლი, *ILM*, 1969, გვ. 679.

31 გრენლანდია 1953 წლიდან დანიის განუყოფელი ნაწილია.

32 სურინამი დამოუკიდებელი გახდა 1975 წელს.

33 იხ. *Council of Europe, Collected Texts, Strasbourg, 1994. p. 88.*

5. საქართველოს ხელისუფლების მიერ გაკეთებული ტერიტორიული განცხადება და დათქმა არაკონტროლირებად ტერიტორიებთან მიმართებით

5.1. საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილება ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის რატიფიცირების შესახებ

როგორც აღინიშნა, კონვენციის 57-ე მუხლი უშვებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ დათქმების გაკეთების შესაძლებლობას კონვენციის კონკრეტულ დებულებასთან მიმართებით „კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის სიგელის დეპონირებისას“. ამის მიუხედავად, საქართველოს მთავრობას 1999 წლის 20 მაისს, როდესაც მან მოახდინა ევროპული კონვენციის რატიფიცირება, არ გაუკეთებია არანაირი დათქმა კონვენციის რომელიმე კონკრეტული დებულების მიმართ. შესაბამისად, კონვენციის მოქმედება შეუზღუდავად გავრცელდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიების ჩათვლით, მიუხედავად იმისა, რომ, აღნიშნულ ტერიტორიებზე საქართველოს მთავრობა ვერ ახორციელებდა და ამჟამადაც ვერ ახორციელებს ეფექტიან კონტროლს, იქ არსებული დე ფაქტო სიტუაციის გამო.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობამ კონვენციით დადგენილი დათქმების გაკეთების შესაძლებლობას მიმართა 2001 წლის 27 დეკემბერს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მოახდინა კონვენციის 1952 წლის 20 მარტის პირველი ოქმის რატიფიცირება.³⁴ 2001 წლის 27 დეკემბრის პარლამენტის დადგენილების მე-2 მუხლი ადგენს:

„პირველი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება არ გავრცელდეს იმ პირებზე, რომლებსაც „იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვთ ან მიენიჭებათ დევნილის სტატუსი ამ სტატუსის მინიჭების გარემოებების აღმოფხვრამდე. აღნიშნული კანონის თანახმად, სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს დევნილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე არსებული საკუთრების მიმართ ქონებრივი უფლებების განხორციელება ამავე კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ.“

იმავე დადგენილების მე-8 მუხლის დადგენილია:

³⁴ იხ. 2001 წლის 27 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ“.

„[საქართველო] აცხადებს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარების გამო საქართველოს ხელისუფლება მოკლებულია შესაძლებლობას, იკისროს პასუხისმგებლობა ამ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების დებულებათა პატივისცემასა და დაცვაზე, რის გამოც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობის აღდგენამდე საქართველო იხსნის პასუხისმგებლობას აღნიშნულ ტერიტორიებზე თვითგამოცხადებული, უკანონო ხელისუფლების ორგანოების მიერ პირველი ოქმის დებულებათა დარღვევაზე.“

როგორც აღინიშნა, ევროპული სასამართლო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ, კონვენციის 57-ე მუხლის მიხედვით, გაკეთებულ დათქმას არ განიხილავს სახელმწიფოს მიერ დათქმის გაკეთების ეტაპზე, არამედ მისი ნამდვილობა ევროპული სასამართლოს მიერ დგინდება ამ სახელმწიფოს მიერ კონვენციის რომელიმე დებულების სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში საქმის განხილვისა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დროს.

საქართველოს მაგალითზე მსჯელობისას საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ევროპული სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ არ მომხდარა საქართველოს მიერ გაკეთებული ტერიტორიული განცხადების/დათქმის სამართლებრივი შეფასება და მისი ნამდვილობის დადგენა, გამომდინარე იქიდან, რომ ევროპულ სასამართლოს ჯერ არ უმსჯელია და არ გამოუტანია გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთიდან ან ცხინვალის რეგიონიდან შეტანილ არცერთ საქმესთან დაკავშირებით, სადაც იგი სამართლებრივი კუთხით მიმოიხილავდა საქართველოს მიერ გაკეთებულ ტერიტორიულ განცხადებას/დათქმას და მისცემს მას სამართლებრივ შეფასებას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, მოხდეს საქართველოს მიერ ევროპული კონვენციის პირველი ოქმის რატიფიცირებისას გაკეთებული დათქმების შეფასება იმგვარად, როგორც აღნიშნულ დათქმებს, სავარაუდოდ, განიხილავს ევროპული სასამართლო მოცემულ საქმეებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანისას. საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-2 და მე-8 მუხლის შეფასებისას, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან ერთად, ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს მიერ გაკეთებული დათქმების შესახებ ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებანი და გამოთქმული პოზიციები, როგორებიცაა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, რომელზეც სასამართლო კოლეგიის წევრებს განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ, ასევე იუსტიციის სამინისტროს დასკვნა აღნიშნულ დათქმებთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის სხდომის სტენოგრაფიული

ჩანაწერები და სხდომაზე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები და ა.შ.

5.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-2 და მე-8 პუნქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ

როგორც აღინიშნა, საქართველოს პარლამენტის მიერ ევროპული კონვენციის პირველი ოქმის რატიფიკაციის დოკუმენტის მე-2 და მე-8 მუხლები ჯერჯერობით არ ყოფილა ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი. ამ საკითხმა საკმაოდ დიდი გამოხმაურება პოვა ეროვნულ დონეზე. კერძოდ, 2004 წლის 16 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ იმსჯელა და განიხილა აღნიშნული საკითხი საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.³⁵

მოსარჩელე ანზორ თევზაია არის აფხაზეთიდან დევნილი, რომელიც აფხაზეთში მომხდარი მოვლენების გამო იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი. მოქმედი კანონმდებლობით, ანზორ თევზაიას მიენიჭა იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი. საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მოსარჩელე ასაჩივრებდა, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-2 და მე-8 პუნქტები არღვევს მის უფლებებს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს,³⁶ 21-ე მუხლის პირველ პუნქტს,³⁷ 39-ე მუხლს³⁸ და 42-ე მუხლის პირველ პუნქტს.³⁹ აღ-

35 იხ. საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2004 წლის 16 ნოემბრის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/5/224.

36 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი:

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“

37 საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი:

„საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“

38 საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი:

„საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.“

39 საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი:

„ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“

ნიშნული წინააღმდეგობა, მოსარჩელის აზრით, გამოიხატებოდა იმით, რომ, სადავო ნორმების თანახმად, ევროპული კონვენციის პირველი ოქმის მოქმედება დევნილებზე არ ვრცელდება. მოსარჩელის აზრით, ამის გამოა, რომ სამართლებრივად დაუცველი რჩება მუდმივ საცხოვრებელ ადგილას არსებული მათი საკუთრება. სახელმწიფო ამ საკუთრების დაცვის ვალდებულებას კისრულობს მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და, შესაბამისად, აფხაზეთზე გავრცელდება ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია. თუ სადავო დადგენილების მე-2 პუნქტით დევნილების კონსტიტუციური უფლებები ილახება პირთა წრის მიხედვით, მე-8 პუნქტი ითვალისწინებს კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას ტერიტორიული ნიშნით. მოსარჩელის აზრით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არასწორად მიიჩნევს ევროპული კონვენციის მიმართ დათქმის იმ სახით გაკეთებას, როგორც ეს პარლამენტის მე-8 პუნქტშია მოცემული. ამის ერთ-ერთი მტკიცებულებაა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ*, სადაც სასამართლომ მოლდოვის მიერ დნესტრისპირეთის მიმართ გაკეთებული ტერიტორიული დათქმა კონვენციასთან შეუსაბამოდ ჩათვალა.

მოპასუხე მხარე — საქართველოს პარლამენტი, – თავის მხრივ, აღნიშნავდა, რომ არ არსებობს საფუძველი, კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ იქნეს ცნობილი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-2 და მე-8 პუნქტები. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დათქმის გაკეთების შესაძლებლობა დაშვებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში წარმოდგენილი სადავო პუნქტები კი ასახავს რეალურ სიტუაციას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ვინაიდან ამ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია სრულად არ არის აღდგენილი, შეუძლებელია, სახელმწიფომ მოახდინოს დევნილთა და იქ მცხოვრები მოქალაქეები ქონებრივი უფლებების დაცვა. მთავარია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრული აღდგენის შემდეგ სახელმწიფო არ იხსნის აღნიშნული უფლებების დაცვის პასუხისმგებლობას. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოპასუხე მხარის წარმომადგენლის აზრით, სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის დებულებებს.⁴⁰

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მოიწველია სპეციალისტ კონსტანტინე კორკელიას დასკვნა, რომელ-

40 იხ. 46-ე სქოლიო, გვ. 3.

შიც განხილულ იქნა საქართველოს პარლამენტის დადგენილების ორივე სადავო პუნქტი და წარმოდგენილ იქნა მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით. კერძოდ, კ. კორკელიას აზრით, საქართველო პარლამენტის დადგენილების სადავო მე-8 პუნქტში არსებული ტერიტორიული დათქმა არ აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს და დაუშვებელია კონვენციის მიხედვით. სპეციალისტმა მოიყვანა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ*, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ ბათილად გამოაცხადა მოლდოვის მიერ გაკეთებული ტერიტორიული დათქმა, დნესტრისპირეთის ტერიტორიის მიმართ. სპეციალისტი თავის დასკვნაში ამტკიცებდა, რომ, ვინაიდან დნესტრისპირეთში შექმნილი სიტუაცია წააგავს საქართველოსას, საკმარისი საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ ევროპულ სასამართლოს საქართველოს მიმართაც ანალოგიური მიდგომა ექნებოდა და იგი ამგვარი (ტერიტორიული) დათქმის გაკეთებას დაუშვებლად მიიჩნევდა. სპეციალისტი ასევე შეეხო კონვენციის ტერიტორიული გამოყენების შესახებ კონვენციის 56-ე მუხლს და აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი ეხება მეურვეობის ქვეშ მყოფ ტერიტორიებს, ამიტომ საქართველოზე იგი ვერ გავრცელდება. სპეციალისტის დასკვნით, პარლამენტის ამ დადგენილების მე-8 პუნქტი ეწინააღმდეგება კონვენციის 57-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

რაც შეეხება პარლამენტის დადგენილების მე-2 პუნქტს, სპეციალისტმა აღნიშნა, რომ მე-2 პუნქტში, საქართველოს მიერ მითითებული დათქმის მიხედვით, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საკუთრების უფლებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრულ აღდგენამდე. აღნიშნულ დათქმაში გაკეთებულია მითითება კანონზე „იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ.“ ამასთან, სახელმწიფო მხოლოდ დროებით იხსნის პასუხისმგებლობას იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების დაცვაზე. შესაბამისად, სპეციალისტის აზრით, დათქმა არ არის ზოგადი და აკმაყოფილებს კონვენციის 57-ე მუხლის მოთხოვნებს. სადავო პუნქტი, სპეციალისტის აზრით, არ ეწინააღმდეგება არც კონსტიტუციის მე-14 მუხლს. ფრაზა „საცხოვრებელი ადგილი“ ისე უნდა განიმარტოს, რომ იგი მოიცავდეს *დე იურე* და *დე ფაქტო* იურისდიქციას. თუ სახელმწიფო ვერ ახორციელებს იურისდიქციას თავის ტერიტორიაზე, მას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ამა თუ იმ უფლების უზრუნველყოფაზე. აღნიშნულის დასტურად სპეციალისტმა მოიყვანა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ*,⁴¹ რომელშიც პასუხისმგებლობა საკუთრე-

41 *იხ. ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ (Loizidou v. Turkey)*, განაცხადის №15318/89, 1995 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება, *Series A*, №310.

ბის უფლების განხორციელებაზე დაეკისრა არა კვიპროსს, რომელიც *დე იურე* ახორციელებდა იურისდიქციას, არამედ თურქეთს, რომლის სამხედრო ფორმირებებიც აკონტროლებდნენ ამ ტერიტორიას. ამგვარად, სპეციალისტის აზრით, არ ხდება მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიის დისკრიმინაცია, ვინაიდან საქმე ეხება ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც ხელისუფლების კონტროლის მიღმა რჩება. რაც შეეხება კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან დადგენილების მე-2 პუნქტის შეუსაბამობას, ამასთან დაკავშირებით სპეციალისტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელე 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებულ უფლებას, ანუ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, ახორციელებს ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კერძოდ კი საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებით. ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის უფლება კი წესრიგდება არა ეროვნული კანონმდებლობით, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. ამდენად, სპეციალისტის დასკვნით, საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დათქმა არ არღვევს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებს.⁴²

საკონსტიტუციო სასამართლოში სადავო ნორმების განხილვისას კოლეგიის წევრთა შორის გამოვლინდა აზრთა სხვაობა, რის შედეგადაც საკონსტიტუციო სასამართლოში გადანყვეტილების მიღებისას სასამართლო კოლეგიის წევრთა ხმები თანაბრად გაიყო და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ანზორ თევზაიას საკონსტიტუციო სარჩელი.⁴³

სოხუმის რაიონულმა და საქალაქო სასამართლომ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადანყვეტილება გამოიყენა თურქიას საქმეზე. აღნიშნულ საქმეში აფხაზეთიდან დევნილი მოსარჩელე ითხოვდა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს საკუთრების უფლებით რეგისტრაციაში გაეტარებინა მისი აფხაზეთში დარჩენილი ქონება. ამ საქმეში სოხუმის რაიონულმა და საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოთხოვნა და მიიჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილება ევროპული კონვენციის პირველი ოქმის რატიფიკაციის შესახებ და, შესაბამისად, აღნიშნულ დოკუმენტში საქართველოს მიერ გაკეთებული დათქმები არ არის თურქიას სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების დამაბრკოლებელი სამართლებრივი საფუძველი.⁴⁴

42 იხ. 46-ე სქოლიო, მე-9-მე-10 პუნქტები.

43 იქვე, გვ. 15.

44 იხ. თურქია ქ. სოხუმის მერიისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ, სოხუმის რაიონული და საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 ივნისის გადანყვეტილება.

5.3. რამდენიმე მოსაზრება საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-8 მუხლთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-8 პუნქტის შესაბამისად, საქართველო:

„აცხადებს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარების გამო საქართველოს ხელისუფლება მოკლებულია შესაძლებლობას, იკისროს პასუხისმგებლობა ამ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების დებულებათა პატივისცემასა და დაცვაზე, რის გამოც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობის აღდგენამდე საქართველო იხსნის პასუხისმგებლობას აღნიშნულ ტერიტორიებზე თვითგამოცხადებული, უკანონო ხელისუფლების ორგანოების მიერ პირველი ოქმის დებულებათა დარღვევაზე.“

იმისათვის, რომ საქართველოს მიერ გაკეთებული დათქმა ჩაითვალოს იურიდიული ძალის მქონედ, მან უნდა დააკმაყოფილოს ევროპული კონვენციის 57-ე მუხლში განმტკიცებული სტანდარტები, კერძოდ:

„ა. დათქმა უნდა გაკეთდეს კონვენციის ხელმოწერისას ან მისი რატიფიცირების მომენტში;

ბ. ის ეროვნული კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის კონკრეტულ დებულებას, ძალაში უნდა იყოს დათქმის გაკეთების მომენტში;

გ. დათქმა არ უნდა იყოს ზოგადი ხასიათის;

დ. დათქმა უნდა შეიცავდეს მოკლე მიმოხილვას იმ ეროვნული კანონისას, რომლის საფუძველზეც კეთდება დათქმა.“

პირველ კრიტერიუმთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: საქართველოს მთავრობამ ევროპული კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1999 წლის 20 მაისს. იმის გათვალისწინებით, რომ მონაწილე სახელმწიფოებისათვის დათქმების გაკეთება მხოლოდ დასაშვებია იყო კონვენციის რატიფიცირების მომენტში და არა მის შემდგომ ეტაპზე, საქართველოს მთავრობას არ გაუკეთებია არანაირი სახის დათქმა კონვენციის რომელიმე კონკრეტული დებულების მიმართ. შესაბამისად, კონვენციის მოქმედება შეუზღუდავად გავრცელდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიების ჩათვლით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე საქართველოს მთავრობა ვერ ახორციელებდა და ახლაც ვერ ახორციელებს ეფექტიან კონტროლს იქ არსებული დე ფაქტო სიტუაციის გათვალისწინებით.

საქართველოს მთავრობამ განცხადება კონვენციის მოქმედების სფეროდან არაკონტროლირებადი ტერიტორიების გამორიცხვის შესახებ მოგვიანებით, 2001 წლის 27 დეკემბერს გააკეთა, მაშინ, როდესაც მოახდინა ევროპული კონვენციის პარიზის 1952 წლის 20 მარტის პირველი ოქმის რატიფიცირება. შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ ვერ დააკმაყოფილა კონვენციით დადგენილი სტანდარტი იმასთან დაკავშირებით, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი სახის დათქმა უნდა გაკეთდეს კონვენციის ხელმოწერისას და არა მის შემდგომ პერიოდში.

რაც შეეხება მოქმედ ეროვნულ კანონს, რომელიც ძალაში უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დათქმის გაკეთების ეტაპზე, ამ შემთხვევაშიც ხარვეზია საქართველოს მიერ გაკეთებულ ტერიტორიულ განცხადებაში. კერძოდ, საქართველოს პარლამენტმა თავისი დადგენილების მე-8 პუნქტში არ მიუთითა არანაირ კანონზე, რომელიც, სავარაუდოდ, არ იქნებოდა შესაბამისი კონვენციის იმ დებულებისა, რომლის მიმართაც გაკეთდა დათქმა.

ვინაიდან საქართველოს მე-8 პუნქტში მოცემულ ტერიტორიულ განცხადებაში არც კი მიუთითებია მოქმედ ეროვნულ კანონზე, რომელიც ძალაში უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დათქმის გაკეთების ეტაპზე, შესაბამისად, მას არ წარმოუდგენია მოკლე მიმოხილვა სათანადო ეროვნული კანონისა. საქართველოს მიერ გაკეთებული ეს დათქმა ამ კუთხით ვერ მოექცევა ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტების ქრილში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს მიერ გაკეთებული ტერიტორიული დათქმის ზოგადი ხასიათი. საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-8 პუნქტი ზოგადად და ბუნდოვნად არის ფორმულირებული. იგი არ მიუთითებს, კონვენციის რომელი დებულების მიმართ კეთდება დათქმა; არ ადგენს, თუ რომელი ეროვნული კანონი ეწინააღმდეგება იმ დებულებას, რომლის მიმართაც გაკეთდა დათქმა. აღნიშნული დათქმის ზოგადი და ბუნდოვანი ხასიათი იმითაც გამოიხატება, რომ აღნიშნულ პუნქტში საქართველო ორი მიმართულებით გამორიცხავს მის პასუხისმგებლობას, კერძოდ:

1. საქართველოს ხელისუფლება, ზოგადად, აღნიშნავს, რომ მოკლებულია შესაძლებლობას, იკისროს პასუხისმგებლობა კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების დებულებათა პატივისცემასა და დაცვაზე კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებით, რაც თავისთავად მიუღებელია, ვინაიდან კონვენციით დაუშვებელია, სახელმწიფომ სრულად მოიხსნას კონვენციით ნაკისრი თავისი ვალდებულებები გარკვეულ ტერიტორიებთან მიმართებით და ისიც არა კონვენციის რატიფიცირების მომენტში, არამედ შემდგომ ეტაპზე;

2. იმავე პუნქტში საქართველო უფრო აკონკრეტებს და იშველებს კონვენციის პირველ ოქმს და იხსნის პასუხისმგებლობას აღნიშნულ ტერიტორიებზე თვითგამოცხადებული, უკანონო ხელისუფლების ორგანოების მიერ პირველი ოქმის დებულებათა დარღვევაზე. ეს ორმაგი მიდგომა უფრო ზოგადსა და ბუნდოვანს ხდის აღნიშნულ დათქმას, რაც პოტენციურად შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ ევროპული სასამართლოსათვის საქართველოს მიერ გაკეთებული განცხადება არ იყოს მიზანმიმართული და რაიმე კონკრეტულ საკითხზე ორიენტირებული.

ზოგადი ხასიათის დათქმების დაუმშებლობასთან დაკავშირებით, საკმაოდ მდიდარია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. მაგალითად, *ბელილოსის საქმეში* ტერმინი „ზოგადი ხასიათის დათქმა“ ევროპული სასამართლოს მიერ განსაზღვრულია როგორც „დათქმა, რომელიც გადმოცემულია ძალიან ბუნდოვნად ან იმდენად ზოგადად, რომ შეუძლებელია განისაზღვროს მისი ზუსტი მნიშვნელობა და მოქმედების სფერო.“⁴⁵ ამავე საქმეში კონვენციის 57-ე მუხლის მიერ დადგენილი ზოგადი ხასიათის დათქმების დაუმშებლობის მოთხოვნა დაირღვა მაშინ, როდესაც შვეიცარიამ გააკეთა დათქმა კონვენციის მე-6 მუხლის მიმართ. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ შვეიცარიის დათქმა დაუმშებლად ცნო. ანალოგიური მიზეზით უარყო ევროპულმა სასამართლომ ავსტრიის მიერ გაკეთებული დათქმა *აიზენშტეკენის საქმეზე*.⁴⁶ სასამართლომ აღნიშნა, რომ ავსტრიის მიერ გაკეთებული დათქმა საკმაოდ ფართოდ იყო ფორმულირებული.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერ გაკეთებულ დათქმას ცალსახად ტერიტორიული დათქმის სტატუსი მიენიჭება, მაშინ აუცილებელია ამ კუთხით განვიხილოთ ევროპული სასამართლოს მიერ საქმის – *ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ* – განაცხადის დასაშვებობის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა მოლდოვის მიერ გაკეთებული ტერიტორიული დათქმის ნამდვილობის შესახებ დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის თაობაზე.

მოლდოვის რესპუბლიკამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1997 წლის 12 სექტემბერს. კონვენციის რატიფიკაციის დოკუმენტი შეიცავდა გარკვეულ დათქმებს კონვენციასთან მიმართებით. კერძოდ, მოდლოვის სახელმწიფომ განაცხადა:

45 ბელილოსი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Belilos v. Switzerland*), განაცხადის №10328/83, Series A no. 132, გვ. 27-28, 55-ე პუნქტი.

46 აიზენშტეკენი ავსტრიის წინააღმდეგ (*Eisenstecken v. Austria*), განაცხადის №29477/95, 2000 წლის 3 ოქტომბერი.

„მოლდოვის რესპუბლიკა ვერ უზრუნველყოფს კონვენციის დებულებათა შესრულებას იმ ქმედებათა და უმოქმედობათა მიმართ, რომლებიც ჩადენილია თვითგამოცხადებული დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ორგანოების მიერ ამ ორგანოთა მიერ, ფაქტობრივად, კონტროლირებად ტერიტორიაზე, აღნიშნულ რეგიონში კონფლიქტის საბოლოოდ დარეგულირებამდე.“⁴⁷

2001 წლის 4 ივლისს, როდესაც ევროპული სასამართლო განიხილავდა საქმეზე – ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ – განაცხადის დასაშვებობის საკითხს, მოლდოვის რესპუბლიკამ ევროპული სასამართლოს წინაშე წარმოადგინა შემდეგი არგუმენტაცია მის მიერ გაკეთებულ დათქმასთან დაკავშირებით: მოლდოვის მთავრობა ამტკიცებდა, რომ იგი ვერ აკონტროლებს დნესტრისპირეთის იმ ტერიტორიას, სადაც ჩადენილ იქნა განაცხადში მოყვანილი ქმედებები. შესაბამისად, განმცხადებლები დე ფაქტო არ ექცეოდნენ მოლდოვის ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშ. რაც შეეხება კონკრეტულად მოლდოვის მიერ 1997 წლის 12 სექტემბერს ევროპული კონვენციის რატიფიცირების დროს გაკეთებულ დათქმას, აღნიშნა, რომ იმ მომენტისთვის, როდესაც ეს დათქმა გაკეთდა, მოლდოვის ხელისუფლება ვერ ახორციელებდა კონტროლს დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე. დათქმის გაკეთების გარეშე მოლდოვა მოკლებული იყო ყველანაირ შესაძლებლობას, მოეხდინა ევროპული კონვენციის რატიფიკაცია იმის გათვალისწინებით, რომ კონვენციის მოქმედების გასაავრცელებლად საჭიროა, მონაწილე სახელმწიფომ დაიცვას კონვენციით გარანტირებული უფლებები. შესაბამისად, მოლდოვის რესპუბლიკას სხვა გზა არ დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ გაეკეთებინა დათქმა და თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა იმ პირთა და ორგანოთა ქმედებებისათვის, რომლებიც არ არიან მის დაქვემდებარებაში.

მოლდოვის ხელისუფლების აზრით, აღნიშნული დათქმა აკმაყოფილებდა კონვენციის 57-ე მუხლის მოთხოვნებს. მოლდოვის ხელისუფლებამ აღიარა, რომ მის მიერ გაკეთებული დათქმა თუმცა არ ეხებოდა რომელიმე კონკრეტულ ეროვნულ კანონს, როგორც ამას კონვენციის 57-ე მუხლი ადგენს, მაგრამ ის ფაქტი, რომ მოლდოვა ვერ ახორციელებს ფაქტობრივ კონტროლს აღნიშნულ ტერიტორიაზე, ობიექტური ფაქტია და შეუძლებელია, იგი დარეგულირდეს რაიმე კანონით. საბოლოოდ, მოლდოვის ხელისუფლებამ უარყო დათქმის ზოგადი ხასიათი და აღნიშნა, რომ მის მიერ გაკეთებული დათქმა საკმაოდ ნათლად იყო ჩამოყალიბებული, მოიცავდა განსაზღვრულ სფეროს, კონკრეტულად კი ეხებოდა დნესტრისპირეთის ტერიტორიას.

მოლდოვის არგუმენტაციის მიუხედავად, აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სა-

⁴⁷ ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ (*Ilaşcu and others v. Moldova and Russia*), განაცხადის №48787/99, დასაშვებობის შესახებ 2001 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება, გვ. 11.

სამართლომ ბათილად გამოაცხადა მოლდოვის მიერ გაკეთებული დათქმა. სასამართლომ მოიშველია ევროპული კონვენციის 57-ე მუხლის მოთხოვნა ზოგადი ხასიათის დათქმების დაუშვებლობის შესახებ და აღნიშნა, რომ „ზოგადი ხასიათის დათქმა არის ისეთი სახის დათქმა, რომელიც არ ეხება კონვენციის რომელიმე კონკრეტულ მუხლს, ან თუ იგი ისეა ჩამოყალიბებული, რომ შეუძლებელია მისი მოქმედების სფეროს განსაზღვრა“.⁴⁸

სასამართლოს აზრით, პრობლემა ისიცაა, რომ მოლდოვის განცხადება არ მიუთითებდა მოლდოვის რომელიმე კონკრეტულ კანონზე, რომელიც იმ დროისათვის იყო ძალაში. მოლდოვის ხელისუფლების მიერ გამოყენებული სიტყვები — „ქმედებასა და უმოქმედობასთან მიმართებით, რომელიც ჩადენილია [...] იმ ტერიტორიაზე, რომელზეც, ფაქტობრივად, კონტროლს ახორციელებენ ეს ორგანოები, აღნიშნულ რეგიონში კონფლიქტის საბოლოოდ დარეგულირებამდე“ — მიუთითებს, რომ აღნიშნული განცხადება ზოგადი ხასიათისაა, არ არის მიმართული კონვენციის დებულებათა მიმართ, შეზღუდულია დროსა და სივრცეში, რის შედეგადაც მივიღებთ იმას, რომ ამ „ტერიტორიაზე“ მცხოვრებ ადამიანებს განუსაზღვრელი ვადით წაერთმევათ კონვენციით მათთვის მინიჭებული უფლებების დაცვის შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მიერ გაკეთებული ტერიტორიული დათქმა, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-8 პუნქტში, არ აკმაყოფილებს კონვენციის 56-ე მუხლის მოთხოვნებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აფხაზეთის ტერიტორია და ცხინვალის რეგიონი, რომელთა მიმართ გაკეთდა დათქმა, საქართველოს ეროვნული ტერიტორიის ნაწილებია და მიუხედავად დე ფაქტო კონტროლის განუხორციელებლობისა, საქართველო სრულად ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას ხსენებულ ტერიტორიებზე მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით.

საქართველოს მიერ კონვენციის პირველი ოქმის რატიფიცირებამდე უამრავი მოსაზრება გამოითქვა სახელმწიფო უწყებების მიერ იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო საქართველოს მიერ საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილებაში ზოგადი ხასიათის ტერიტორიული განცხადების გაკეთება კონვენციისა და მისი პირველი ოქმის მოქმედების სფეროდან საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის გამორიცხვის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერის მიხედვით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარ-

⁴⁸ ტემელტაში შვეიცარიის წინააღმდეგ (*Temeltasch v. Switzerland*), 1983 წლის 5 მაისის ანგარიში, D&R 31 (1983), 84-ე პუნქტი.

მომადგენელმა ოქმის რატიფიცირებისას მიზანშეწონილად მიიჩნია გარკვეული დათქმებისა და ტერიტორიული განცხადების გაკეთება და აღნიშნა, რომ „საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ და არ უნდა იყოს პასუხისმგებელი კონფლიქტურ რეგიონში მოქმედი თვითგამოცხადებული სეპარატისტული რეჟიმის მიერ განხორციელებული კონვენციისა და მისი ოქმების დებულებათა დარღვევაზე... ამით თავიდან ვერ ავიცილებთ სარჩელის შესვლას სეპარატისტული რეჟიმის მიერ კონვენციისა და მისი ოქმების დებულებების დარღვევაზე.“⁴⁹ აღნიშნული მოსაზრება უარყოფითად შეაფასა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის იმ შემადგენლობამ, რომელიც აცხადებდა, რომ საქართველოს მიერ გაკეთებული დათქმები და ტერიტორიული განცხადება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლსა და 21-ე მუხლის პირველ პუნქტს.⁵⁰

ევროპული სასამართლოს მიერ ზემოხსენებულ საქმეებთან დაკავშირებით განვითარებულ მსჯელობაზე დაყრდნობით, მარტივია იმის მტკიცება, რომ ევროპული სასამართლო საქართველოს მიერ გაკეთებულ ტერიტორიულ დათქმას იმ სახით, რა სახითაც იგი მოცემულია საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-8 პუნქტში, დაუშვებლად გამოაცხადებს.

5.4. რამდენიმე მოსაზრება საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-2 მუხლთან დაკავშირებით

პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულია:

„პირველი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება არ გავრცელდეს იმ პირებზე, რომლებსაც „იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვთ ან მიენიჭებათ დევნილის სტატუსი ამ სტატუსის მინიჭების გარემოებების აღმოფხვრამდე. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, აღნიშნული კანონის თანახმად, სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს დევნილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე არსებული საკუთრების მიმართ ქონებრივი უფლებების განხორციელება ამავე კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ.“

⁴⁹ იხ. 2001 წლის 27 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი. პატონი ზ. ჭუმბურიძის გამოსვლა.

⁵⁰ აღნიშნულთან დაკავშირებით დანვრილებით იხილეთ ნაშრომის 4.2. თავი — „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-2 და მე-8 მუხლების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ.“

იმისათვის, რომ აღნიშნული მუხლი ევროპული კონვენციის კონტექსტში იქნეს განხილული, სასურველია, კიდევ ერთხელ მოვიშველიოთ კონვენციის მიერ დადგენილი კრიტერიუმები დათქმებთან დაკავშირებით:

„ა. დათქმა უნდა გაკეთდეს კონვენციის ხელმოწერისას ან მისი რატიფიცირების მომენტში;

ბ. ის ეროვნული კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის კონკრეტულ დებულებას, ძალაში უნდა იყოს დათქმის გაკეთების მომენტში;

გ. დათქმა არ უნდა იყოს ზოგადი ხასიათის;

დ. დათქმა უნდა შეიცავდეს მოკლე მიმოხილვას იმ ეროვნული კანონისას, რომლის საფუძველზეც კეთდება დათქმა.“

საქართველოს მიერ გაკეთებული დათქმა სრულად აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ პირველ კრიტერიუმს. კერძოდ, საქართველოს მიერ დათქმა გაკეთდა 2001 წლის 27 დეკემბერს, მაშინ, როდესაც საქართველომ მოახდინა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის რატიფიცირება. ზემოხსენებულის შესაბამისად, პირველ კრიტერიუმთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო, სავარაუდოდ, სანააღმდეგოს არ დაადგენს.

რაც შეეხება საქართველოში მოქმედი კანონის შესაბამისობას ევროპული კონვენციის იმ დებულებასთან, რომლის მიმართაც გაკეთდა დათქმა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-2 მუხლი პირდაპირ მიუთითებს „იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 28 ივნისის კანონზე. კერძოდ, ამ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა მოცემული კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომელიც ამკარად წინააღმდეგობაშია ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველ მუხლთან. შედარებისათვის მიზანშეწონილია იმაზე მითითება, რას ადგენს ორივე მუხლი. პირველი ოქმის პირველი მუხლი ადგენს:

„ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონით და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.“

„იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი, თავის მხრივ, ადგენს სანააღმდეგოს და მიუთითებს:

„1. თუ დევნილი ამ კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, დაბრუნდება საცხოვრებელ ადგილას:

ა) აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები, მათ შორის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, უზრუნველყოფენ მათთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, იღებენ ზომებს, რათა დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეიქმნას უსაფრთხო ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები; დევნილს, მის კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნდეს პირადი საკუთრება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი, და მასზე გაპროვინცებული საკარმიდამო ნაკვეთი იმ მომენტისათვის არსებული სახით; მიყენებული ზარალის კომპენსირება, მისი ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შემდეგ, განახორციელონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ხელისუფლების მიერ დადგენილი წესით, აგრეთვე საცხოვრებლად უვარგისი ბინის აღდგენის შემთხვევაში მოქალაქეს მიეცეს იქ დაბრუნების გარანტია.“

წინამდებარე დებულებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს მიერ კონფლიქტურ რეგიონებში, კერძოდ კი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე საქართველოს ხელისუფლება იხსნის ვალდებულებას, აღნიშნული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ „კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნდეს პირადი საკუთრება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი, და მასზე გაპროვინცებული საკარმიდამო ნაკვეთი იმ მომენტისათვის არსებული სახით.“

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს ხელისუფლება სრულად კი არ იხსნის იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების დაცვის პასუხისმგებლობას, არამედ იგი აწესებს, თუმცა, არა ძალიან კონკრეტულ, მაგრამ მაინც განსაზღვრულ ვადას ამ კუთხით მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისათვის. კერძოდ, საქართველოს მთავრობა მხოლოდ გარკვეული დროს განმავლობაში, კონფლიქტურ რეგიონებში მისი სრული იურისდიქციის აღდგენამდე, იხსნის პასუხისმგებლობას.

ამ თვალსაზრისით, მართებულია ის არგუმენტაცია, რა გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, რომლებიც რეალურად მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, განკარგონ თავიანთი ქონება, რომელიც დარჩენილია კონფლიქტურ ზონებში. რეალურად, არსებობს სამართლებრივი ვაკუუმი, რომელშიც ამჟამად მოქცეულნი არიან იძულებით გადაადგილებული პირები. ამ არგუმენტების საპირისპიროდ აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რის წინაშეც აღმოჩნდა საქართველოს მთავრობა. კერძოდ, საქართველოში არსებობს ორი კონფლიქტური ტერიტორია – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, რომლებიც თუმცა შედიან საქართველოს დე იურე დაქვემ-

დებარებაში, მაგრამ საქართველოს მთავრობა სრულიად მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს ეფექტიანი იურისდიქცია აღნიშნულ ტერიტორიებზე, იქ არსებული სეპარატისტული რეჟიმებიდან გამომდინარე. იმის გათვალისწინებით, რომ, საქართველოს მცდელობის მიუხედავად, აღნიშნული კონფლიქტების დარეგულირება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, საქართველოს მიერ გაკეთებული დათქმა, შექმნილი სიტუაციის გამო, იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების დაცვის დროებით შეუძლებლობის შესახებ გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს. უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობა ყოველთვის აღიარებდა და დღესაც აღიარებს იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრების უფლებას, როგორც ასეთს. მას მხოლოდ დროებით არ შეუძლია აღნიშნული უფლების რეალურად დაცვა კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი *დე ფაქტო* სიტუაციის გამო.

ამის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის მე-2 მუხლი დათქმებთან დაკავშირებით, ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, აშკარად მიუთითებს იმ მოქმედ კანონზე, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ევროპულ კონვენციასთან. შესაბამისად, მეორე კრიტერიუმიც ამ კუთხით დაკმაყოფილებულად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-2 მუხლის ზოგად ხასიათთან მიმართებით ნათელია, რომ ეს უკანასკნელი არ უნდა ჩაითვალოს ევროპული სასამართლოს მიერ ზოგადი ხასიათის დათქმად, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი აშკარად მიუთითებს კონკრეტულ კანონზე, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველ პუნქტთან, როგორც ამას კონვენციით დადგენილი სტანდარტები ითვალისწინებენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეოთხე მოთხოვნა — მოკლე განცხადება სათანადო კანონის შესახებ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება „იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 28 ივნისის კანონზე.

აქ გასათვალისწინებელია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. როგორც აღინიშნა, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, დათქმა თავისუფლად შეიძლება გამოცხადდეს დაუშვებლად იმის გამო, რომ სახელმწიფომ დათქმის გაკეთებისას არ წარმოადგინა ეროვნული კანონის მოკლე მიმოხილვა. აღნიშნული მუხლის მოთხოვნა არ შესრულდა ბელილოსის საქმეზე, რომელშიც შვეიცარიამ დათქმის გაკეთებისას არ წარმოადგინა ეროვნული კანონის მოკლე მიმოხილვა. *სტეკ-რიჩის* საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ლიხტენშტაინის დათქმა, რომელიც დაკავშირებული იყო საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განხილვასთან და გადაწყვეტილების საჯარ-

როდ გამოცხადებასთან, უნდა ჩაითვალოს იურიდიული ძალის მქონედ. *ჯესიუსის* საქმეშიც დადებითად გადაწყდა ლიტვის მიერ გაკეთებული დათქმის საკითხი. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული დათქმა, რომელიც პროკურორს ანიჭებდა უფლებამოსილებას, გაეცა წინასწარი პატიმრობის ბრძანება, დაშვებულად ჩაითვალა ევროპული კონვენციის მიხედვით იმ მიზეზით, რომ აღნიშნული დათქმა ნათლად მიუთითებდა კონვენციის მე-5(3) მუხლსა და შესაბამის ეროვნულ სამართლებრივ აქტზე. რაც შეეხება *ვებერის* საქმეს, ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად გამოაცხადა შვეიცარიის მიერ გაკეთებული დათქმა და აღნიშნა, რომ დათქმის გაკეთებისას კანონის მოკლე მიმოხილვის წარდგენის ვალდებულება არა მარტო ფორმალური მოთხოვნაა, არამედ აუცილებელი პირობა.

საქართველოსთან მიმართებით განსახილველ შემთხვევაში საკმაოდ რთულია პარლამენტის დადგენილების მე-2 მუხლში მოცემული ფრაზა განმარტებული იყოს როგორც მოქმედი კანონის მოკლე მიმოხილვა. მიუხედავად ამისა, სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ იგი ძალზე მოკლეა, მაგრამ მაინც მიუთითებს სადავო კანონის შინაარსზე. ეს ფრაზა ადგენს, რომ „აღნიშნული კანონის თანახმად, სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს დევნილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე არსებული საკუთრების მიმართ ქონებრივი უფლებების განხორციელება ამავე კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ.“⁵¹ თუმცა ევროპული კონვენცია იმპერატიულად არ ითხოვს მოქმედი კანონის შესაბამისი დებულების დეტალურ აღწერას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-2 მუხლში მოცემული დათქმა აკმაყოფილებს ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებს.

6. დასკვნა

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ ევროპული კონვენციის 57-ე მუხლის მიხედვით გაკეთებულ დათქმას ევროპული სასამართლო არ განიხილავს დათქმის გაკეთების ეტაპზე, მისი ნამდვილობა ევროპული სასამართლოს მიერ დგინდება ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში შეტანილ კონკრეტულ სარჩელთან დაკავშირებული საქმის განხილვის შედეგად.

⁵¹ იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, კონსტანტინე კორკელიას 2004 წლის 5 ნოემბრის წერილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის თავმჯდომარის, ბესარიონ ზოიძის მიმართ, გვ. 4.

საქართველოს მაგალითის განხილვისას საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ევროპულ სასამართლოს ჯერ კიდევ არ მოუხდენია საქართველოს მიერ გაკეთებული ტერიტორიული განცხადების/დათქმის სამართლებრივი შეფასება და მისი ნამდვილობის დადგენა, გამომდინარე იქიდან, რომ ევროპულ სასამართლოს ჯერჯერობით არ უმსჯელია და არ გამოუტანია გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ არაკონტროლირებადი ტერიტორიებიდან, კერძოდ, აფხაზეთიდან ან ცხინვალის რეგიონიდან შეტანილ არცერთ საქმესთან დაკავშირებით, სადაც იგი სამართლებრივი კუთხით მიმოიხილავდა საქართველოს მიერ გაკეთებულ ტერიტორიულ განცხადებას/დათქმას და მისცემდა მას სამართლებრივ შეფასებას.

საქართველოს მიერ გაკეთებულმა ტერიტორიულმა განცხადებამ/ დათქმამ საკმაო გამოხმაურება პოვა ეროვნულ დონეზე. კერძოდ, *თეგზაიას საქმესთან* დაკავშირებით აღნიშნული განცხადების/დათქმის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ. ამ უკანასკნელს არ უმსჯელია მოცემული განცხადებისა და დათქმის ნამდვილობის თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მისი კომპეტენციის ფარგლებს სცილდებოდა, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა, რამდენად შეესაბამება კონვენციის პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში მოცემული განცხადება/დათქმა საქართველოს კონსტიტუციას. მხარეთა მოსაზრების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული განცხადება/დათქმა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. აღნიშნულ საკითხს თავის გადაწყვეტილებაში *თურქიას საქმესთან* დაკავშირებით ასევე შეეხო სოხუმის რაიონული და საქალაქო სასამართლო.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოში შექმნილ დე ფაქტო სიტუაციას და იმას, რომ კონფლიქტი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში კვლავ მოუწესრიგებელი რჩება, არსებობს დიდი ალბათობა, საქართველოს მიერ გაკეთებული განცხადება და დათქმა ახლო მომავალში გახდეს ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, საქართველოს მიერ მომზადდეს მოცემული ტერიტორიული განცხადების/დათქმის ნამდვილობის მყარი დასაბუთება იმისათვის, რომ ევროპულმა სასამართლომ მათი გათვალისწინებით იმსჯელოს საქართველოს წინააღმდეგ კონფლიქტური რეგიონებიდან შეტანილ განაცხადებთან მიმართებით.

სავარაუდოა, რომ ევროპული სასამართლო ცალ-ცალკე იმსჯელებს, როგორც ტერიტორიულ განცხადებაზე, ისე საქართველოს მიერ გაკეთებულ დათქმაზე. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით უნდა გამოიყოს ორი მიდგომა:

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა საკმაო წინააღმდეგობებს წააწყდება მის მიერ გაკეთებული ტერიტორიული განცხადების ნამდვილობის დადასტურებასთან დაკავშირებით. ამგვარი სახის ტერიტორიული დათქმა ევროპულმა სასამართლომ უკვე უარყო ერთ-ერთ განმარტებულ საქმეზე — *ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ*. მასში მოლდოვის მიერ გაკეთებული ტერიტორიული დათქმა, რომლითაც მოლდოვის სახელმწიფომ მოიხსნა პასუხისმგებლობა დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე თვითგამოცხადებული დნესტრისპირეთის ორგანოების მიერ ჩადენილ ქმედებათა და უმოქმედობათა გამო, ევროპული სასამართლოს მიერ დაუშვებლად გამოცხადდა. ასევე საქართველოს მიერ გაკეთებული ტერიტორიული დათქმის განხილვისას საყურადღებოა ევროპული კომისიის გადანყვეტილება საქმეზე *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ*, რომელშიც თურქეთის სახელმწიფომ კონვენციის 25-ე მუხლის (ყოფილი) საფუძველზე ევროპული კომისიის კომპეტენციის აღიარების ეტაპზე გააკეთა გარკვეული დათქმებიც. კერძოდ, თურქეთის სახელმწიფომ განაცხადა, რომ კომისიის კომპეტენცია თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ შეტანილი ინდივიდუალური განაცხადების მიღებისა და განხილვის თაობაზე ვრცელდება მხოლოდ თურქეთის საჯარო ხელისუფლების ორგანოების იმ ქმედებებსა და უმოქმედობაზე, რომლებიც ჩადენილია თურქეთის იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომლის მიმართაც გამოიყენება თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია. ამ შემთხვევაში საკითხი სხვაგვარად დადგა. კერძოდ, თურქეთმა მოიხსნა პასუხისმგებლობა არა საკუთარ არაკონტროლირებად ტერიტორიასთან მიმართებით, არამედ, ზოგადად, განაცხადა, რომ მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არ უნდა გავრცელებულიყო კომისიის კომპეტენცია ინდივიდუალური განაცხადების მიღების მხრივ. მიუხედავად ამისა, კომისიამ თურქეთის მიერ გაკეთებული დათქმები დაუშვებლად ცნო, რაც იმას ნიშნავს, რომ ტერიტორიული მიდგომა დათქმებთან მიმართებით ყოველთვის კრახით მთავრდება. ყოველივე ხსენებულის საფუძველზე, ნაკლებად დამაჯერებელია, რომ ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გაკეთებული ტერიტორიული დათქმა იურიდიული ძალის მქონედ გამოცხადდეს.

მეორე მხრივ, არსებობს დიდი ალბათობა, ევროპული სასამართლო საქართველოს მიერ გაკეთებულ კონკრეტულ დათქმას იძულებით გადაადგილებულ პირებთან — დევნილებთან დაკავშირებით, გამოაცხადებს დასაშვებად. აღსანიშნავია, რომ მოცემულ დათქმაში საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა ყველა ის აუცილებელი კომპონენტი, რომლებიც დადგენილია ევროპული კონვენციითა და ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლით. კერძოდ, დათქმის ტექსტში ნათლად არის მითითება კანონზე, რომელიც წინააღმდეგობაშია ევროპული კონ-

ვენციის პირველი ოქმის პირველ მუხლთან. ასევე, დათქმა შეიცავს საკმაოდ მოკლე, თუმცა კონკრეტულ მიმოხილვას შესაბამისი კანონისას. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ორი კომპონენტის გათვალისწინებით, საქართველოს მიერ გაკეთებული დათქმა ვერ ჩაითვლება ზოგადი ხასიათის დათქმად და ამის გამო არ უნდა გამოცხადდეს დაუშვებლად ევროპული სასამართლოს მიერ.

საქართველოს მიერ გაკეთებული ტერიტორიული განცხადება და დათქმა ცალსახად გამოწვეული იყო ქვეყანაში შექმნილი *დე ფაქტო* სიტუაციით. აღნიშნული ნაბიჯით საქართველოს მთავრობამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ხელისუფლება მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს რაიმე სახის კონტროლი კონფლიქტურ რეგიონებზე იქ არსებული სეპარატისტული რეჟიმის გათვალისწინებით. ევროპულ სასამართლოს პრაქტიკაში მრავლად ჰქონია მსგავსი სიტუაციები, როდესაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფო ტერიტორიული დათქმის საშუალებით გარკვეულწილად იცილებს პასუხისმგებლობას მის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით. სახელმწიფოთა მცდელობები ამ მიმართულებით, ხშირ შემთხვევაში, წარუმატებელია, თუმცა არსებობს ალბათობა, რომ საქართველოს მიერ გაკეთებული კონკრეტული დათქმა, მიუხედავად იმისა, იგი ასევე ეხება კონფლიქტურ რეგიონს, ამ კუთხით ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტების დაკმაყოფილების ხარჯზე, მაინც შეიძენს ნამდვილობის ხარისხს და დაშვებულად გამოცხადდება ევროპული სასამართლოს მიერ.

საკუთრების უფლების კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვა საქართველოში

ბესიკ ლოლაძე

საკუთრების უფლების რეალური კონსტიტუციურსამართლებრივი უზრუნველყოფა დამახასიათებელია ყველა სახელმწიფოსათვის, რომლის მიზანიც ადამიანის თავისუფლების დამკვიდრება და პროგრესია. საკუთრების ხელყოფის შემთხვევები, მით უმეტეს, როდესაც ისინი ხორციელდება ნორმატიული აქტით, არყვეს კონსტიტუციურსამართლებრივ წესრიგს, ნდობას ადამიანსა და სახელმწიფოს შორის, ეკონომიკის მდგრადობას, ადამიანის თავისუფლების იდეას და სხვა მრავალი ფუნდამენტური მნიშვნელობის ფასეულობებს. სახელმწიფოს, რომელიც არაკონსტიტუციურად და თვითნებურად არღვევს საკუთრების უფლებას ან ქმნის ამის საფუძველს, ადამიანი განიხილავს არა როგორც მისდამი კეთილგანწყობილ სუბიექტს და პარტნიორს, არამედ როგორც დამორგუნველ და მოუთოკავ ძალას. ეს, თავის მხრივ, სახიფათოა სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის.

საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეებმა გააკეთეს არჩევანი სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს, ეკონომიკური თავისუფლების სასარგებლოდ. ყოველივე ეს სრულიად წარმოდგენელია სახელმწიფოში, რომელიც პატივს არ სცემს ადამიანის მატერიალური ყოფიერების ფუნდამენტს — საკუთრების უფლებას. სწორედ საკუთრების უფლება აძლევს ადამიანს საშუალებას, დამოუკიდებლად განავითაროს თავისი ცხოვრება ქონებრივსამართლებრივ სფეროში. საკუთრების უფლების გარანტირება ურთიერთკავშირშია პირად თავისუფლებასთან. მცდარია იმის მტკიცება, რომ შესაძლებელია ადამიანის თავისუფლების ნაწილობრივ უზრუნველყოფა ამა თუ იმ სფეროში. თავისუფლება ის ფენომენია, რომელიც ვერ იტანს ამგვარ მიდგომას. ნებისმიერი მიმართულებით თავისუფლების ხელყოფა თავის მხრივ გავლენას ახდენს თავისუფლების სხვა გამოვლინებებზეც. აქედან გამომდინარე, სხვა კონსტიტუციური უფლებები იდეალურადაც რომ იყოს დაცული, ადამიანი ბოლომდე თავისუფალი ვერ იქნება საკუთრების უფლების პატივისცემისა და დაცვის გარეშე.

როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსული კონსტიტუციური სარჩელების 1/3-ზე მეტი შეეხება სადავო ნორმების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით. ეს შეიძლება რამდენიმე ფაქტორით აიხსნას: პირველ რიგში, ძალიან დიდი

ხნის განმავლობაში ადამიანები ცხოვრობდნენ ისეთ სისტემაში, სადაც არათუ პატივს სცემდნენ საკუთრების უფლებას, არამედ ხდებოდა მისი სრული იგნორირება. ამგვარი მიდგომა, გარკვეულწილად, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც გაგრძელდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ერთ-ერთ საქმეზე მოწმედ მოწვეულმა ყოფილმა უმაღლესმა თანამდებობის პირმა პირდაპირ განაცხადა, რომ განსახილველ შემთხვევაში გაცნობიერებულად, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მიმდინარე პრობლემის გადაწყვეტის გამო ხდებოდა საკუთრების უფლების დარღვევა.¹ შეგვიძლია, ცალსახად განვაცხადოთ, რომ არ არსებობს ისეთი მიმდინარე საკითხი, რომლის გადაწყვეტაც შეიძლება მოხდეს კონსტიტუციური ფასეულობების იგნორირების გზით. ეს აუცილებლად მოიტანს უკუშედეგს და ნებისმიერი დადებითი ეფექტი მხოლოდ დროებითი და არამდგრადი იქნება; მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მოქალაქეთა მიმართვის სიხშირეს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, არის თავად ადამიანის ბუნება. ფაქტია, რომ მოსარჩელები (არა მხოლოდ საქართველოში) ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ იმ მდგომარეობას, როდესაც საქმე შეეხება მათი საკუთრების უფლების შეზღუდვას ან საკუთრების ჩამორთმევას, და განსაკუთრებით აქტიურნი არიან ამ კუთხით.

სანამ კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ ცალკეულ საკითხებზე გავამახვილებთ ყურადღებას, ინტერესმოკლებული არ იქნება, შევეხოთ საკუთრების კონსტიტუციური უფლების არსობრივ მნიშვნელობას. საკუთრების უფლება, პირველ რიგში, ნიშნავს სუბიექტურ-საჯარო დაცვის უფლებას სახელმწიფოს მხრიდან ჩარევების წინააღმდეგ. საკუთრების გარანტია ამ კუთხით იცავს საკუთრებას თავისი კონკრეტული გამოხატულებით, ცალკეული სუბიექტის ხელში, ამ უკანასკნელის თავისუფლების უზრუნველსაყოფად და იძლევა იმის უფლებას, რომ სუბიექტმა დაიცვას თავი ნებისმიერი გაუმართლებელი ჩარევისაგან.² ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს ქონებრივსამართლებრივ სფეროში. ამ თვალსაზრისით, საკუთრების უფლების უზრუნველყოფ კონსტიტუციურ ნორმას აქვს ცენტრალური მნიშვნელობა ინდივიდის მდგომარეობისათვის სახელმწიფოში.³ 2007 წლის 2 ივლი-

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 25 დეკემბრის №1/3/113 გადაწყვეტილება საქმეზე – „მოქალაქეები: ლევან შარაშენიძე, დავით ნიკლაური, თენგიზ გაჩეჩილაძე და თენგიზ ჩხაიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2000-2001, თბ., 2003, გვ. 149.

2 *Wendt, Rudolf in: Sachs, Michael (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 4. Auflage, München 2007, S.587, Rnr.9.*

3 *Bryde, Brun-Otto in: Münch, Ingo von/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1, 5. Auflage, München, 2000, S.884, Rnr.1.*

სის №1/2/384 გადაწყვეტილებაში საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები: დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა საკუთრების უფლების როლს ადამიანის თავისუფლებისათვის: „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას.“⁴

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის ფუნქცია არ ამოიწურება მხოლოდ მესაკუთრის სუბიექტური მდგომარეობის დაცვით. გარდა ამისა, ეს კონსტიტუციური ნორმა განამტკიცებს კონსტიტუციურ დონეზე საკუთრებას, როგორც ინსტიტუტს, რომელსაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. დაუშვებელია საკუთრების ინსტიტუტის ისეთი გამოფიტვა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მის არსებობასა და ფუნქციობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთრების, როგორც ინსტიტუტის, დაცვას და უწოდებს მას საბაზრო ეკონომიკის ბირთვს.⁵ ძნელია, არ დაეთანხმო ამგვარ მიდგომას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ კლანურ და კონტროლირებად ეკონომიკას ან დავბრუნდებით საბჭოთა წარსულში, სადაც საკუთრების უფლებას არავითარი ფასი არ ჰქონდა.

საკუთრების კონსტიტუციურსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი გაგება არ არის იდენტური. საკუთრების კონსტიტუციური უფლებით დაცული სფეროს განსაზღვრისას ამოსავალი წერტილია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი. საკუთრების უფლების დაცვის კონსტიტუციურ მასშტაბებს სწორედ კონსტიტუცია განსაზღვრავს და არა სხვა რომელიმე ნორმატიული აქტი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ნორმის „კონსტიტუციურობის შეფასებისას საკონსტიტუციო სასამართლოსათვის სამართლებრივი საზომი კონსტიტუციის 21-ე მუხლი, მისი მოთხოვნები და ის კონსტიტუციურსამართლებრივი დატვირთვაა, რომელიც საკუთრებას აქვს. რაც შეეხება კანონმდებლის მიერ ჩამოყალიბებულ საკუთრების შინაარსსა და ფარგლებს, ეს არის საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების ობიექტი და არა კრიტერიუმი, რომლითაც შეფასება უნდა განხორციელდეს.“⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2006-2007, ბათუმი 2009, გვ. 195.

⁵ 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები: დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 195.

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები: ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2006-2007, ბათუმი 2009, გვ. 167.

ამ კუთხით გაიზიარა წამყვანი დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილება. თუმცა უნდა აღინიშნოს, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ადრეულ გადაწყვეტილებებში საუბარი იყო იმაზე, რომ ძირითადი კანონი საკუთრებას იცავდა ისე, როგორც ის გააფორმა სამოქალაქო სამართალმა და საზოგადოებრივმა შეხედულებებმა.⁷ დღეისათვის ერთმანეთისაგან შინაარსობრივად არის გამიჯნული საკუთრების კონსტიტუციურსამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი ცნებები. მაშინ, როდესაც სამოქალაქო სამართალში საკუთრების ცნებისათვის საყრდენი წერტილია მესაკუთრის ნება და ნებისმიერი კერძოსამართლებრივი თუ საჯაროსამართლებრივი ბოჭვა გარედან თავსმოხვეული ჩანს, საკუთრების კონსტიტუციურსამართლებრივი გაგებისათვის იმთავითვე მახასიათებელია სოციალური დატვირთვა და კანონმდებლის უფლებამოსილება მისი შინაარსის განსაზღვრისა.⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი, თუ რამდენად ექვემდებარება კონსტიტუციურ დაცვას ე.წ. „უკანონო საკუთრება“. ალბათ, უფრო მართებული იქნება, თუ ვისაუბრებთ საკუთრების უფლებაზე უკანონო გზით მიღებულ ქონებაზე. ადამიანის თავისუფლება არ მოიცავს უკანონო ქმედებების თავისუფლებას. უკანონო ქმედებების რიცხვს მიეკუთვნება ქონების უკანონოდ მოპოვებაც. აქედან გამომდინარე, მართებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დებულებები „შეეხება კანონიერი გზით შექმნილ ქონებას... და ვერ გავრცელდება უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რადგან ამ შემთხვევაში ითვლება, რომ სწორედ საკუთრების უფლებას დავის საგანი და მისი არსებობა ეჭვის ქვეშაა დაყენებული...“⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მოგვიანებით მსგავსი პოზიცია დააფიქსირა და წარმოადგინა საკუთრების, უფრო სწორად, ქონების კანონიერად მიჩნევის კრიტერიუმი: „საკუთრება კანონიერია და 21-ე მუხლით დაცულ სფეროში შედის, თუ მისი შექმნა მოხდა კანონის მოთხოვნათა დაცვით,“¹⁰ ანუ წინა პლანზე არის წამოწეული ქონე-

7 BVerfGE 1,264[278]; 2,380[402]; 11,64[70]; 14,263[278].

8 Bryde, Brun-Otto in: Münch, Ingo von/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1, 5. Auflage, München 2000, S.891-892, Rnr.11.

9 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის №2/5/309,310,311 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები: ლილი თელია, სერგო გოგიტიძე, როსტომ ბოლქვაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2005, თბ., 2006, გვ. 87.

10 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები: დავით ჯიმშელიაშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2006-2007, ბათუმი 2009, გვ. 204.

ბის შექმნის კანონიერება. თუმცა რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კანონიერი გზით მოპოვებული ქონება შემდგომში გახდება არაკანონიერი? მაგალითისათვის, პირმა სავსებით კანონიერად შეიძინა ალკოჰოლური სასმელის დიდი პარტია, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ, „მშრალი კანონის“ გამოცემით, სახელმწიფომ ფაქტობრვად უკანონო ქონებად აქცია და ჩამორთმევას დაუქვემდებარა. ამ დროს „საკუთრების უკანონობა“ გამოწვეულია სახელმწიფოს მოქმედებით, რომელიც თავისი ღონისძიებებით შეიჭრა საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია, იმოქმედოს 21-ე მუხლის ფარგლების დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო თავისუფლად გამოიტანდა 21-ე მუხლით დაცული სფეროდან საკუთრების უფლებას ნებისმიერ ქონებაზე, მისი „უკანონოდ“ გამოცხადებით. კონსტიტუცია არ აძლევს სახელმწიფოს ამგვარი თვითნებობის საშუალებას. შეიძლება განვიხილოთ სხვა შემთხვევაც, როდესაც, მაგალითისათვის, პირი კანონიერად შექმნილ და გაფორმებულ იარაღს იყენებს ყაჩაღობისას. ამ დროს მესაკუთრე აცლის თავისი ქმედებით საკუთრების უფლებას იარაღზე კონსტიტუციურ ფუნქციას და გაჰყავს 21-ე მუხლით დაცული სფეროდან. ეს გამოწვეულია თავად საკუთრების უფლების სუბიექტის, და არა სახელმწიფოს, მოქმედებით. აქედან გამომდინარე, ამ და სხვა მსგავსი შემთხვევების შეფასება 21-ე მუხლთან მიმართებით არც უნდა მოხდეს.

პრაქტიკაში დაისვა საკითხი, თუ რამდენად ვრცელდება საკუთრების უფლების გარანტია კერძო პირთა სამართლებრივ ურთიერთობებზე და ექვემდებარება თუ არა კონსტიტუციურ კონტროლს 21-ე მუხლთან მიმართებით ის ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებენ ამ ურთიერთობებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის – „საქართველოს მოქალაქეები: ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ – განხილვისას მოპასუხე მხარემ ეჭვქვეშ დააყენა კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით, როდესაც საქმე შეეხება კერძო პირებს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმატიულ აქტებს. ამ დროს მოთხოვნა – „ინდივიდის ინტერესი და საზოგადოებრივი საჭიროება უნდა მოვიდეს ერთმანეთთან სამართლიან წონასწორობაში და შესატყვის პროპორციაში“¹¹ – განივრცობა მოთხოვნით – „ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესები უნდა მოვიდეს ერთმანეთთან სამართლიან წონასწორობასა და შესატყვის პროპორციაში.“¹²

11 BVerfGE 31, 229.

12 BVerfGE 87, 114 [138]; 95, 48, [58]; 98, 17 [37]; ასევე Bryde, Brun-Otto in: Münch, Ingo von/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1, 5. Auflage, München 2000, S.906, Rnr.41.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია ცალსახაა: „სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს საკუთრების უფლება, მოითხოვს შესაბამისი სამართლებრივი წესრიგის, მათ შორის კერძოსამართლებრივი წესრიგის შექმნას. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას კანონმდებელი ისევეა შეზოჭილი კონსტიტუციის ნორმებითა და პრინციპებით, როგორც საჯაროსამართლებრივი ნორმების დადგენისას. აქედან გამომდინარე, მოსაზრება, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმაზე, მათ შორის „მენარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე³ მუხლზე, არ ვრცელდება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოქმედება და, შესაბამისად, შეუძლებელია სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასება, მცდარია. ასეთი მიდგომა კონსტიტუციური კონტროლის სფეროდან გამოიყვანდა სამართლის ნორმების დიდ ნაწილს და ამ სფეროში თვითნებობისათვის ნოყიერ ნიადაგს შექმნიდა.“¹³ ამას შეგვიძლია თამამად დავუმატოთ, რომ სხვაგვარი მიდგომა წინააღმდეგობაში მოვიდოდა სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის საკანონმდებლო ხელისუფლების, ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით შეზღუდვის პრინციპთან, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლში. საკანონმდებლო ხელისუფლება იზღუდება საკუთრების კონსტიტუციური უფლებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით, მიუხედავად იმისა, რა სახის სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ საკანონმდებლო აქტს იღებს ის. იგივე ვრცელდება ნორმატიული აქტების მიმღებ და გამომცემ სხვა სახელმწიფო ორგანოებზეც.

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ მოყვანილ პოზიციას იზიარებს სამეცნიერო ლიტერატურაც, სადაც არა მხოლოდ სწორად არის გაგებული საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტი, არამედ კიდევ უფრო სრულად არის დასაბუთებული კერძო პირთა ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებზე კონსტიტუციური კონტროლის გავრცელების აუცილებლობა: „სასამართლოს გადაწყვეტილების (პოზიციის) მართებულობას ამტკიცებს მრავალი გარემოება... საჭიროა, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ნორმატიული ნება და კერძო პირთა ავტონომიური ნება. მართალია, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში შესვლა ხდება სახელშეკრულებო თავისუფლების საფუძველზე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ კონტრაპირების იძულების ცალკეულ შემთხვევებს, როცა ერთი მხარისათვის ამ თავისუფლებას იძულება ცვლის), მაგრამ ამ ურთიერთობის ნორმატიულ საფუძველს ქმნის სახელმწიფო. ნორმატიული ნება, რითაც განისაზღვრება ამა თუ იმ ურთიერთობის შინა-

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები: ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 169.

არსი, სავალდებულოა მხარეთათვის, თუკი იგი არ ითვალისწინებს მისგან გადახვევის კერძო ინიციატივას.¹⁴

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულია საკუთრების უფლება, მიუხედავად მისი მასშტაბებისა და რენტაბელობისა. აქედან გამომდინარე, მაგალითისათვის, კონსტიტუცია ერთნაირად იცავს წვრილი და მსხვილი აქციონერის საკუთრების უფლებას. დაუშვებელია საკუთრების დაცვის ინტენსივობის განსხვავება ქონებრივი უფლების წარმატებულობის მიხედვით — ეს დაარღვევდა საკუთრების უფლების გარანტიის ერთიანობას.¹⁵ მსგავსი პოზიცია დაფიქსირებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც.¹⁶ აქედან გამომდინარე, მიდგომა, რომ ერთი სუბიექტის შედარებით მცირე შემოსავლიანმა ან მცირე მასშტაბების საკუთრებამ „გზა უნდა დაუთმოს“ სხვა სუბიექტის დიდ და შემოსავლიან საკუთრებას, კონსტიტუციასთან თანხვედრაში არ არის.

საინტერესოა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლისა და გადასახადების ურთიერთმიმართების საკითხი. გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის დროს პირი ასრულებს კონსტიტუციურ ვალდებულებას, რომელიც დადგენილია საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის პირველი პუნქტით: „სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.“ სახელმწიფოს ენიჭება კონსტიტუციური უფლებამოსილება, კანონით განსაზღვროს გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურა, შემოღების წესი და ოდენობა. გადასახადებსა და მოსაკრებლებს თავისი ფუნქცია აქვთ და მათ გარეშე წარმოუდგენელია სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელება. თუმცა გადასახადებისა და მოსაკრებლების განსაზღვრისას სახელმწიფო არ არის სრულიად თავისუფალი. ის შეზღუდულია ფორმალური და მატერიალური კონსტიტუციური მოთხოვნებით.

გადასახადებისა და მოსაკრებლების საკითხების მოწესრიგება მხოლოდ კანონით არის შესაძლებელი. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონი მისი ფორმალური გაგებით. შაქმზე – „ოთარ ზოიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ – დავის საგანი იყო „მავენ ნივთიერე-

14 ბ. ზოიძე, მენარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა. საკუთრების უფლების თავისებურებანი კორპორაციულ საზოგადოებებში. (საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით), თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ. 2009, გვ. 91-92.

15 Wendt, Rudolf in: Sachs, Michael (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 4. Auflage, München 2007, S.609, Rnr.92.

16 ბ. ზოიძე, მენარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა. საკუთრების უფლების თავისებურებანი კორპორაციულ საზოგადოებებში. (საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით), თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ., 2009, გვ. 96.

ბებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის დაწესებისა და გადახდის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება და ამ დადგენილებით დამტკიცებული „მავნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის დაწესებისა და გადახდის წესის შესახებ“ დროებითი დებულების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 39-ე მუხლთან მიმართებით. ამ შემთხვევაში, გადასახადი იყო დადგენილი არა კანონით, არამედ კანონქვემდებარე აქტით. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნების დარღვევით დაწესებული გადასახადი ჩათვალა არაკონსტიტუციურად და საკუთრების უფლების ხელმყოფად: „ადამიანის მოვალეობას – იხადოს გადასახადები და მოსაკრებლები, თან ახლავს სახელმწიფო ვალდებულება, რომ ეს გადასახადები და მოსაკრებლები სათანადო წესით, განსახილველ საქმესთან მიმართებით – კანონით დაადგინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადასახადები ყოველთვის ხელყოფს საკუთრებას, მესაკუთრის იმ უფლებებს, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტითაა გარანტირებული.“¹⁷

გარდა ფორმალური მოთხოვნისა, გადასახადების ან მოსაკრებლების დამდგენი კანონმდებელი შეზღუდულია კონსტიტუციის მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნებით. არ უნდა იქნეს დადგენილი ისეთი გადასახადი ან მოსაკრებელი, რომელიც სრულიად შეუძლებელს გახდის ან საფუძვლიანად შეარყევს ადამიანის თავისუფალ განვითარებას ქონებრივ სფეროში და, ზოგადად, ადამიანის თავისუფლებას. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც უნდა მივმართოთ პროპორციულობის პრინციპს. დაცული უნდა იქნეს სამართლიანი პროპორცია, ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინტერესებსა და, მეორე მხრივ, ადამიანის ინტერესს შორის, თავისუფლად და დამოუკიდებლად განავითაროს თავისი ცხოვრება, მისი ნებისმიერი, მათ შორის ქონებრივი, სფერო. სავარაუდოდ, სწორედ ამას გულისხმობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როდესაც ყურადღებას ამახვილებს საგადასახადო კოდექსის სადავო ნორმის მიერ მოსარჩელის საკუთრების შემცირებაზე „სამართლიანობის თვალსაზრისით მიუღებელი ოდენობით“.¹⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანა ამ შემთხვევაში ძალიან რთულია. ის არ უნდა გადაიქცეს ორგანოდ, რომელიც ჩაანაცვლებს პარლამენტს საგადასახადო

17 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 20 თებერვლის №1/3-21 გადაწყვეტილება საქმეზე – „მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 1996-1997, თბ., 2002, გვ.44.

18 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის №1/1/107 გადაწყვეტილება საქმეზე – „მოქალაქეები: ლელა ინკირველი და ეკატერინე ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2000-2001, თბ., 2003, გვ. 15.

თუ საბიუჯეტო საკითხების გადანყვეტაში. ამავდროულად, მან არ უნდა მოახდინოს თვითნებობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის დაშვება ამ სფეროში. საჭიროა ოქროს შუალედის მოძებნა, რა დროსაც საკონსტიტუციო სასამართლომ წამითაც არ უნდა დაივინყოს თავისი ფუნქცია და კომპეტენციის ფარგლები. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია დამოკიდებული იქნება კონკრეტული საქმის გარემოებებზე. მაგალითისათვის, ე.წ. „კონფისკატორული“ დაბეგვრისას ამკარად ხელყოფილია საკუთრების უფლება. კონსტიტუციურ დაცვას ექვემდებარება, ასევე, საარსებო მინიმუმი. ეს არ ნიშნავს, რომ კონსტიტუციის დაცვის ობიექტი ქონებაა და არა საკუთრება. გადასახადის ან მოსაკრებლის გადახდა ქონებიდან კი ხდება, მაგრამ ეს მიბმულია გადამხდელის ქონებრივ მდგომარეობაზე, ქონების გამოყენებაზე, სარგებლობაზე ან შეძენაზე. ამდენად, საგადასახადო და მოსაკრებლების შესახებ სამართალი გვევლინება როგორც საკუთრების შინაარსისა და ფარგლების საკანონმდებლო განსაზღვრა და უნდა შემონმდეს საკუთრების უფლების უზრუნველყოფ კონსტიტუციურ ნორმასთან მიმართებითაც.¹⁹

მნიშვნელოვანია საკითხი, თუ ვის განიხილავს საქართველოს კონსტიტუცია 21-ე მუხლით გათვალისწინებული კონსტიტუციური უფლების სუბიექტად. ჩვენი აზრით, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, კონსტიტუციური დაცვის ქვეშ ექცევა ფიზიკურ პირთა საკუთრების უფლება. ეს შეეხება როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ არსებობს. საკითხავია, იცავს თუ არა საქართველოს კონსტიტუცია იმ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საკუთრების უფლებას, რომლებიც არ ცხოვრობენ საქართველოში, მაგრამ აქვთ საკუთრება ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციას. საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი გამონაკლისებისა“. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის ტექსტიდან გამომდინარე, ამ მუხლის მოქმედება არ იზღუდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებით. რაიმე გამონაკლისს ამ კუთხით არც საქართველოს კონსტიტუციის სხვა დებულებები შეიცავს. გაურკვეველობას იწვევს ის, რომ 47-ე მუხლის პირველ პუნქტში საუბარია „საქართველოში მცხოვრებ“ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. საკუთრების უფლება კონსტიტუციურად დაცვადი

¹⁹ *Bryde, Brun-Otto in: Münch, Ingo von/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1, 5. Auflage, München 2000, S.898-899, Rnr.23.*

უფლებათა, მიუხედავად მისი სუბიექტის საცხოვრებელი ადგილისა. საცხოვრებელ ადგილს აქ არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა. ჩვენი პოზიციით, 47-ე მუხლის აღნიშნული დებულება, ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ფართოდ უნდა განიმარტოს და ტერმინში „საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები“ მოაზრებულ იქნეს ყველა პირი, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სახელმწიფოს სამართლებრივი სივრცე, რომლის საკუთრების უფლების შეზღუდვა შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფოს მიერ. თუ სახელმწიფო ზღუდავს ვინმეს კონსტიტუციურ უფლებას, მან არ უნდა მოიხსნას პასუხისმგებლობა ამ სუბიექტის გამორიცხვით იმ წრიდან, რომელსაც აქვს თავისი უფლებების სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობა. პირი, რომელსაც ეზღუდება საკუთრების უფლება, ან ჩამოერთმევა საკუთრება, უნდა სარგებლობდეს კონსტიტუციური დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ საკუთრების გარანტიის პრინციპულ დიფერენციაციას მესაკუთრეთა გარკვეული ჯგუფების მიხედვით, რაც მიუღებელია კონსტიტუციურსამართლებრივი წესრიგისათვის.²⁰

ზემოაღნიშნულ მიდგომას არ ცვლის საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი აბზაცი, რომელშიც ჩამოთვლილია საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის სუბიექტები, მათ შორის მოქალაქე. თუმცა ამ აბზაცს მოსდევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ჩამონათვალი, სადაც „ვ“ ქვეპუნქტი შემდეგი შინაარსისაა: „პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით.“ ეს ქვეპუნქტი, გარდა საკუთრივ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებისა, სხვა ქვეპუნქტებისაგან განსხვავებით, მოსარჩელე სუბიექტთა წრესაც ადგენს, რაც არ არის შემთხვევითი. გარდა იმისა, რომ მოსარჩელე ფიზიკური პირის პარალელურად იურიდიული პირიც შეიძლება იყოს, პირველ აბზაცთან შედარებით გაფართოებულია ფიზიკურ პირთა წრეც, რაც მოიცავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომლის საკუთრების უფლებაც დარღვეულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ. „ვ“ ქვეპუნქტი პირველი აბზაციდან განსხვავებულ, სპეციალურ წესს ადგენს და ის სპეციალური ნორმაა ამ უკანასკნელთან მიმართებით. ანალოგიური მსჯელობა შეესაბამება იმ სიტუაციასაც, როდესაც საქმე შეეხება საზღვარგარეთის იურიდიულ პირებს.

გამონაკლისი მაინც არსებობს და საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება არ აქვთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მიუხედავად

²⁰ *Wendt, Rudolf in: Sachs, Michael (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 4. Auflage, München 2007, S.609, Rnr.89.*

იმისა, რომ ისინი შესაძლოა მოგვევლინონ მესაკუთრებად. ამ მიდგომის ყველაზე მოკლე და გონივრული ახსნა მოგვცა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ. მისი აზრით, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლი „კერძო საკუთრებას კი არ იცავს, არამედ იცავს კერძო პირთა საკუთრებას“.²¹ კონსტიტუციური უფლებები არის ინდივიდის უფლებები საჯარო ხელისუფლების წინააღმდეგ. საჯარო ხელისუფლება არის ამ უფლების ადრესატი და არა სუბიექტი. თუმცა საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მათი ამოცანიდან გამომდინარე, შეიძლება იყვნენ საკუთრების კონსტიტუციური უფლების სუბიექტები. საუბარია იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, რომლებიც თავიანთი ამოცანებით განეკუთვნებიან კონსტიტუციური უფლებით დაცულ სფეროს. ამგვარი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთრების დაცვა მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც ქონებრივი უფლებების დარღვევა ამავდროულად იმ ძირითად უფლებასაც აზიანებს, რომლის გამოც ისინი კონსტიტუციური უფლების სუბიექტები არიან.²²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გამოიკვეთა საკუთრების უფლების სუბიექტის დადგენის პრობლემა, როდესაც საქმე შეეხება იურიდიულ პირსა და მის დამფუძნებელს, წევრს და ა.შ. საქმეზე – „იური კირაკოსიანი, სპირიდონ ვართანიანი, მარტიროს ჩარდუხიანი, პეტრე საფარიანი, სერგო ვართანოვი, ქეთევან ტოტოლაშვილი, ასკან მანუკიანი, როზა პოლოსიანი, სვეტლანა პერეგულკო, ნოდარ გიგაშვილი და შოთა მექვაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ – მოსარჩელები დავობდნენ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე და 47-ე მუხლებთან დაკავშირებით. ისინი მიიჩნევდნენ, რომ სადავო ნორმებით პარტნიორები, რომლებმაც თავისი წილი შეიტანეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, ამ საწარმოს იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შემდეგ უფლებას კარგავენ, თავისი ნებით განკარგონ თავიანთი საკუთრება. ეს უფლებამოსილება გადადის პარტნიორთა საერთო კრების იურისდიქციაში. ამით მოსარჩელები ასაბუთებდნენ თავიანთი საკუთრების უფლების დარღვევას. საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა სპეციალისტთა პოზიცია და ერთმანეთისაგან მართებულად გამიჯნა იურიდიული პირისა და მისი დამფუძნებლების საკუთრება და მიუთითა: „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის მიხედვით, კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე. შპს, რომელიც ნებაყოფლობით ყალიბდება, თვითონ ხდება შეტანილი ქონების მესაკუთრე

21 BVerfGE 61, 82 (108 f.).

22 Bryde, Brun-Otto in: Münch, Ingo von/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1, 5. Auflage, München 2000, S.890-891, Rnr.8.

და მას ისევე იცავს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, როგორც ნებისმიერ ფიზიკურ პირს. ქონება, რომელიც პარტნიორებმა შეიტანეს საზოგადოებაში, არ ქმნის მათ საერთო საკუთრებას და ამ ქონებაზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით საერთო საკუთრებისათვის დადგენილი ნორმები. იურიდიული პირის ქონება, იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის, საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების, ან მასში მონაწილეების“.²³ მართლაც, იურიდიული პირი საკუთრების უფლების დამოუკიდებელი სუბიექტია და მისი საკუთრების უფლება არ ქმნის მისი დამფუძნებლებისა თუ წევრების საკუთრების უფლებათა ჯამს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მოგვიანებით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შეცვალა ზემოაღნიშნული პოზიცია. საქმეზე – „მოქალაქეები: ირაკლი ტულუში, ლონდა სიხარულიძე, ზურაბ დიდიშვილი, ვალერიან რევიშვილი, სიმონ ხოშტარია, დავით ჯანგულაშვილი და რუსუდან ბოკუჩავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ – მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს,²⁴ რომლებითაც მოხდა პროფკავშირების საკუთრებაში არსებული ცალკეული ობიექტების გადაცემა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებისათვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელეთა საკუთრების უფლება პროფკავშირების ქონებაზე დაასაბუთა იმ ფაქტით, რომ ისინი იყვნენ პროფკავშირების წევრები: „მოსარჩელები საქართველოს მოქალაქეები, ფიზიკური პირებია, ისინი საბჭოეთის დროიდან საქართველოს პროფესიული კავშირების წევრები არიან და, საერთოდ, როგორც ყოფილი საკავშირო პროფსაბჭოდან მიღებული, ისე საკუთრივ საქართველოს პროფკავშირული ქონების მიმართ მათ პროფკავშირების სხვა წევრებთან ერთად აქვთ საკუთრების უფლება.“²⁵ საზოგადოებრივი გაერთიანების წევრობა არ იწვევს საკუთრების უფლების წარმოშობას ამ გაერთიანების, როგორც იურიდიული პირის, ქონებაზე. პროფკავშირი, ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არის იურიდიული პირი, რომელიც ისევე სარგე-

23 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 25 იანვრის №2/36-7 გადაწყვეტილება საქმეზე – „იური კირაკოსიანი, სპირიდონ ვართანიანი, მარტიროს ჩარდუხჩიანი, პეტრე საფარიანი, სერგო ვართანოვი, ქეთევან ტოტოლაშვილი, ასკან მანუკიანი, როზა პოლოსიანი, სვეტლანა პერეგულკო, ნოდარ გიგაშვილი და შოთა მექვაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 1998-1999, თბ., 2002, გვ. 34.

24 აქ შეგნებულად ვიყენებთ ტერმინს – „ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი“, რადგანაც, ჩვენი აზრით, გასაჩივრებული აქტები აშკარად არანორმატიული და ინდივიდუალური ხასიათისაა. ზოგადად, სადავო აქტების ნორმატიულად მიჩნევის საკითხი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში აუცილებლად იმსახურებს ცალკე სტატიას.

25 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 15 ივლისის №1/6-58,60,62,67 გადაწყვეტილება საქმეზე – „მოქალაქეები: ირაკლი ტულუში, ლონდა სიხარულიძე, ზურაბ დიდიშვილი, ვალერიან რევიშვილი, სიმონ ხოშტარია, დავით ჯანგულაშვილი და რუსუდან ბოკუჩავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 1998-1999, თბ., 2002, გვ. 53.

ბლობს საკუთრების უფლების კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვით, როგორც ნებისმიერი ფიზიკური პირი. დამაბნეველია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იქვე გაკეთებული მითითება „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლზე, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების მიერ შექმნილი ქონებისა და ფულადი სახსრების ფლობას, სარგებლობას და განკარგვას ახდენენ თავად ეს სუბიექტები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტად მოჰყავს კანონის ის ნორმა, რომელიც საფუძვლიანად არყევს მისსავე მიდგომას პროფკავშირების წევრების, როგორც ამ გაერთიანების ქონების მესაკუთრეთა შესახებ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მსგავსი მიდგომა დააფიქსირა 1999 წლის 23 თებერვლის №2/70-10 გადაწყვეტილებაში საქმეზე – „ვანო სისაური, თარიმან მალრაძე და ზურაბ მჭედლიშვილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“. ამჯერად საქმე შეეხებოდა ცეკავშირის სისტემაში არსებული ბაზრების გადაცემას ბალანსიდან ბალანსზე საქართველოს ვაჭრობის სამინისტროსათვის. სასამართლომ ჩათვალა, რომ ირღვეოდა მოსარჩელების, როგორც სამომხმარებლო კოოპერაციის მეპაიე წევრების, საკუთრების უფლება. ერთადერთი არგუმენტი კვლავაც შემდეგია: იურიდიული პირის ქონებაზე მის წევრებს აქვთ საკუთრების უფლება, რადგანაც ისინი წევრები არიან. აქაც ღია რჩება საკითხი – ვინ არის უფლებამოსილი სუბიექტი, იდავოს იურიდიული პირის საკუთრების უფლების დარღვევაზე — თავად იურიდიული პირი, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის სახით, თუ მისი წევრები, დამფუძნებლები და ა.შ.? რა ხდება მაშინ, როდესაც წევრთა ერთი ნაწილის პოზიცია განსხვავდება მეორე ნაწილის პოზიციისაგან, ან, სულაც, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პოზიციისაგან? ერთი სიტყვით, საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია ბევრ კითხვას და პრობლემას წარმოშობდა.

2001 წლის 25 დეკემბრის №1/3/113 გადაწყვეტილებაში საქმეზე – „მოქალაქეები; ლევან შარაშენიძე, დავით ნიკლაური, თენგიზ გაჩეჩილაძე და თენგიზ ჩხაიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ – საკონსტიტუციო სასამართლო, უფრო სწორად, კოლეგიის წევრთა ნაწილი კვლავ დაუბრუნდა მართებულ პოზიციას და გამიჯნა იურიდიული პირისა და მისი წევრების საკუთრება: „ყოფილი „დოსააფის“ ქონება წარმოადგენდა ამ ორგანიზაციის საკუთრებას და არა მისი წევრების საკუთრებას. ...ყოფილი „დოსააფის“ ქონებაში მისი წევრების საკუთრებითი უფლებამოსილების არგუმენტად ვერ გამოდგება იმაზე მინიშნება, რომ „დოსააფის“ ქონების შექმნაში დიდი იყო საწევრო შენატანების როლი, ან კიდევ ის, რომ „დოსააფის“ წევრები იყენებდნენ მის ქონებას, სხვადასხვა ფორმით მონაწი-

ლეობდნენ ამ ქონების მართვა-გამგებლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელეთა და „დოსააფის“ სხვა წევრთა მხრიდან ამ ორგანიზაციის ქონებით სარგებლობის საფუძველს წარმოადგენდა არა მოცემულ ქონებაზე საკუთრების, კერძოდ, საერთო საკუთრების უფლება, არამედ „დოსააფის“, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობის, უფლება, რომლის შექენის ერთ-ერთი პირობა იყო სანევრო შენატანების გადახდა. „დოსააფი“ წარმოადგენდა საკუთრების უფლების დამოუკიდებელ სუბიექტს და მოსარჩელები, როგორც ამ ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მონაწილეობდნენ სწორედ რომ სხვისი საკუთრების მართვა-გამგებლობაში.²⁶

თუ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი აცხადებს, რომ საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება უზრუნველყოფილია, დაუმეგბელია საკუთრების შექენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლების გაუქმება, ამ მუხლის დანარჩენი ორი პუნქტი არეგულირებს ჩარევებს საკუთრების უფლებაში — საკუთრების უფლების შეზღუდვას და საკუთრების ჩამორთმევას. სანამ საკუთრების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ ფარგლებზე გადავიდოდეთ, გასარკვევია, რა იგულისხმება თავად ტერმინში „შეზღუდვა“ და როგორ უნდა გავიგოთ ის. ტერმინი „შეზღუდვა“ არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული ნეგატიურ, სახელმწიფოსა და ინდივიდის დაპირისპირების კონტექსტში. სახელმწიფოსათვის ადამიანის ნებისმიერი უფლების, მათ შორის საკუთრების უფლების შეზღუდვა არ არის მიზანი, არამედ ეს არის საზოგადოებისათვის სასარგებლო მიზნის მისაღწევად განსაზღვრული საშუალება. როდესაც საკუთრების უფლების შეზღუდვა მიზნად გადაიქცევა, ან მისაღწევი მიზანი არ ამართლებს მას, როგორც საშუალებას, საკუთრების უფლების შეზღუდვა სცდება კონსტიტუციურსამართლებრივ ფარგლებს.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი არა მხოლოდ იცავს მესაკუთრეს სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლებაში გადამეტებული ჩარევებისაგან, არამედ ამ ნორმაში გამოხატულია საკუთრების სოციალური დატვირთვაც. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, საკუთრების სოციალური ფუნქციიდან, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაადგინოს საკუთრების შინაარსი და ფარგლები კონკრეტულ შემთხვევაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს: „ძალიან მნიშვნელოვანია, სწორად იქნეს გაგებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიზანიმართულება. სწორედ ამ პუნქტის საფუძველზეა უფლებამოსილი სახელმწიფო, საკუთრების სოციალური ბუნებიდან გამომდინარე, დაადგინოს საკუთრების შინაარსი და ფარგლები. „შეზღუდვა“ უნდა

²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2000-2001, თბ., 2003, გვ. 152-153.

გავიგოთ როგორც საკანონმდებლო ჩარჩოების დადგენა სახელმწიფოს მიერ.²⁷ სახელმწიფომ უნდა დაადგინოს საკუთრების შინაარსი და ფარგლები არა მხოლოდ საზოგადოებრივი და კერძო ინტერესების ბალანსის დაცვით, არამედ ამავდროულად გასათვალისწინებელია მესამე პირთა უფლებები და ინტერესებიც.

საკუთრების კონსტიტუციურსამართლებრივი გაგებისათვის დამახასიათებელია ფორმულა – „საკუთრება ავალდებულებს“. საქართველოს კონსტიტუციაში ეს პირდაპირ არ არის აღნიშნული, მაგრამ გამომდინარეობს 21-ე მუხლიდან და სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან. ამდენად, 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცების ადრესატი არ არის მხოლოდ კანონმდებელი. ეს ნორმები გასაგებს ხდის მესაკუთრისათვის, რომ ის, საზოგადოებრივი კეთილდღეობის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა, დაექვემდებაროს ჩარევას საკუთრების უფლებაში. ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით გამოტანილ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუცია საკუთრებას გარკვეულ სოციალურ ფუნქციებს ანიჭებს. საკუთრების უფლების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები, ხოლო საკუთრებით სარგებლობა იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას.“²⁸ საკუთრების ორმაგ დატვირთვას, ერთი მხრივ, მესაკუთრის, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, გაუსვა ხაზი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შედარებით გვიანდელ პრაქტიკაშიც: „საკუთრებას სოციალურ სახელმწიფოში, მესაკუთრის კერძო ინტერესების დაკმაყოფილების პარალელურად, აქვს სოციალური ფუნქცია. სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მჟღავნდება საკუთრების მიერ შესასრულებელი ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა. ამიტომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთნაირად მოითხოვს როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის.“²⁹

27 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები: ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 172.

28 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის №1/51 გადაწყვეტილება ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 1996-1997, თბ., 2002, გვ. 86.

29 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები; დავით ჯიმშელიაშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 197.

საკუთრების სოციალური დატვირთვა არ არის ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე. ეს დამოკიდებულია თავად საკუთრების ობიექტის ბუნებასა და თავისებურებებზე,³⁰ მის მნიშვნელობაზე საზოგადოებისა და მესამე პირთათვის. რამდენადაც დიდია საკუთრების სოციალური დატვირთვა, მით უფრო თავისუფალია კანონმდებელი საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების დადგენისას. ამასთანავე, სოციალური ფუნქცია უნდა განისაზღვროს ობიექტური და არა სუბიექტური კრიტერიუმებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ამ თვალსაზრისით, ნათლად და მკაფიოდ აღნიშნავს: „საკუთრების საზოგადოებრივი საჭიროება და, შესაბამისად, სოციალური ფუნქცია არ შეიძლება განისაზღვრებოდეს იმის მიხედვით, თუ ვინ არის მესაკუთრე სუბიექტი. საკუთრება, როგორც ფასეულობა, ავალდებულებს ნებისმიერ სუბიექტს – იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო პირი. ეს ვალდებულება უშუალოდ საკუთრებიდან გამომდინარეობს. ამიტომაც, ვის ხელშიც არ უნდა აღმოჩნდეს სადავო ნორმით განსაზღვრული ობიექტები, სოციალური ტვირთისგან ისინი ვერ გათავისუფლდებიან.“³¹

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს ფორმალურ მოთხოვნას — საკუთრების უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არის დასაშვები. თუ ეს ფორმალური მოთხოვნა არ იქნა დაცული და საკუთრების უფლების შეზღუდვის წესი დადგენილია არა საკანონმდებლო, არამედ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, სახეზეა კონსტიტუციის დარღვევა და შესაბამისი ნორმა არაკონსტიტუციურია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკუთრების უფლების ფარგლების დადგენისას კანონმდებელი შეზღუდულია 21-ე მუხლის შინაარსობრივი მოთხოვნებით და კონსტიტუციური პრინციპებით. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი მხარე ამტკიცებდა, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვისას კანონმდებელი შეზღუდულია მხოლოდ სათანადო ფინანსური ანაზღაურების დადგენის პრინციპით. ასეთი მიდგომა ახდენს იგნორირებას, კონსტიტუციურ პრინციპებზე რომ არაფერი ვთქვათ, თავად 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებისას, რომლებიც ეხება საკუთრების უფლების შეზღუდვას აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. რაც არ უნდა სამართლიანი ფასი და

30 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები: ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 169.

31 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის №1/4/184,228 გადაწყვეტილება – „სააქციო საზოგადოებები – „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები - 2005, თბ., 2006, გვ. 104-105.

მისი განსაზღვრის მექანიზმი დაადგინოს კანონმდებელმა საკუთრების უფლების შეზღუდვისათვის, ასეთი შეზღუდვა არაკონსტიტუციური იქნება ნებისმიერ შემთხვევაში, თუ არ იარსებებს შეზღუდვის საზოგადოებრივი საჭიროება. ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია ამ თვალსაზრისით ცალსახაა და არ უნდა ინვედეს სხვადასხვა მოსაზრებას – „მიდგომა, რომლის შესაბამისადაც საკუთრების უფლების შემზღუდველი კანონმდებელი შეზღუდულია მხოლოდ სათანადო ფინანსური ანაზღაურების განსაზღვრის პრინციპით, არასწორია. ეს წინააღმდეგობაშია კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან და საკუთრების უფლებას მხოლოდ დეკლარირებულ, ადვილად ხელყოფად და გამოფიტულ ინსტიტუტად აქცევს, რამდენადაც იძლევა საკუთრების უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას ყოველგვარი საზოგადოებრივი საჭიროებისა და ლეგიტიმური მიზნის გარეშე.“³² საკონსტიტუციო სასამართლოს ამ განმარტებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კანონმდებლისათვის, არამედ სამართლის შეფარდების პროცესშიც, სამართლის ნორმების კონსტიტუციური განმარტებისათვის.

ისმის კითხვა, თუ რა იგულისხმება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტში გამოყენებულ ტერმინში „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ არის დროის, სივრცისა და კონკრეტული შემთხვევის მიხედვით ცვალებადი ცნება: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ არ არის მყარი და ყველა საზოგადოებაზე უნივერსალურად მორგებული ცნება. ის ცვალებადია დროსა და სივრცეში პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მოცემულობების გათვალისწინებით... „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა არის საკუთრების უფლების ობიექტი, როგორია მისი ბუნება და სოციალური დატვირთვა. ამ თვალსაზრისით, ის გარემოებები, რომლებიც წარმოადგენენ „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“ საკუთრების ერთი ობიექტის მიმართ, ასეთ საჭიროებას შეიძლება არ წარმოადგენდნენ სხვა ობიექტის მიმართ.“³³

„აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“ აქვს ორმაგი ფუნქცია — ის, ერთი მხრივ, აძლევს სახელმწიფოს შესაძლებლობას, შეზღუდოს საკუთრების უფლება, მეორე მხრივ, უდგენს მას ზღვარს ამ უფლების შეზღუდვისას: „საკუთრების შინა-

32 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები; ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 168.

33 იქვე, გვ. 173-174.

არსისა და ფარგლების განსაზღვრისას კანონმდებელმა ორიენტირად უნდა აიღოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, რომელიც წარმოადგენს არა მარტო მესაკუთრის მიმართ შეზღუდვის დაწესების საფუძველს, არამედ, ასევე ამ შეზღუდვების ზღვარს ...³⁴

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობა არ არის საკმარისი, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვა კონსტიტუციასთან შესაბამისად ჩაითვალოს. კანონმდებლები, ასევე, შეზღუდულია ისეთი კონსტიტუციური პრინციპებით, როგორებიცაა: სამართლებრივი სახელმწიფოს, თანასწორობის, პროპორციულობის, ნდობის დაცვისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ზოგადად, და კონკრეტულად კი, საკუთრების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის შეფასებისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პროპორციულობის პრინციპის დაცვაზე: „მატერიალური თვალსაზრისით ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, რა არის სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვის კანონიერი მიზანი, რამდენად შესაძლებელია, ჩაითვალოს ის აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით და დაცულია თუ არა გონივრული თანაზომიერება ამ მიზანსა და დაწესებულ შეზღუდვას შორის.“³⁵

ადამიანი უნდა იყოს დარწმუნებული თავისი ქონებრივ სამართლებრივი მდგომარეობის სიმტკიცეში. სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს ეს ნდობა. ის სამართლებრივი სინამდვილე, რომელშიც უწევს ცხოვრება ადამიანს, უნდა იყოს გასაგები და ნათელი როგორც მისთვის, ასევე სამართალშემფარდებელი ორგანოებისათვის. ხშირია შემთხვევა, როდესაც პრაქტიკაში ხდება სხვადასხვა უფლების, მათ შორის საკუთრების უფლების, შეზღუდვა ამა თუ იმ ნორმატიულ აქტზე დაყრდნობით. საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედება ამ დროს დამოკიდებულია იმაზე, თუ რით არის გამოწვეული კონსტიტუციური უფლების დარღვევა — სადავო ნორმატიული აქტის შეუსაბამობით განსაზღვრულობის პრინციპთან, თუ ამ აქტის თვითნებური ან არასწორი ინტერპრეტაციით. „გადამონმებას ექვემდებარება ის, ხომ არ გამოიწვია ნორმის შინაარსსა და პრაქტიკაში მის გამოყენებას შორის განსხვავება ნორმის შეუსაბამობამ სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნებთან. თუ კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში შეუძლებელი იქნება ნორმის თვითნებუ-

34 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები: დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 199.

35 იქვე, გვ. 206.

რი და ადამიანის უფლებებისათვის საზიანო გამოყენება, მაშინ ნორმა სავსებით დააკმაყოფილებს სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნებს.³⁶

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი ანესრიგებს საკუთრების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ საკითხებს. ადამიანმა საკუთრება თავისი ნების სანაღმდეგოდ შესაძლოა, ბევრ შემთხვევაში დაკარგოს. თუმცა ყველა ეს შემთხვევა ვერ მოექცევა საკუთრების ჩამორთმევის ფარგლებში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საკუთრების ჩამორთმევაში იგულისხმება ექსპროპრიაცია. გამოკვეთილია ჩამორთმევისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც: სახელმწიფო უშუალოდ ან ირიბად მონაწილეობს საკუთრების ჩამორთმევის პროცესში, საკუთრების ჩამორთმევისას ურთიერთობებს მესაკუთრესა და სახელმწიფოს შორის აქვს საჯარო სამართლებრივი ხასიათი, საკუთრების ჩამორთმევა ემსახურება საჯარო მიზნების მიღწევას აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან ან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე.³⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებითი სასჯელის სახით ქონების ჩამორთმევა არ განიხილა საკუთრების ჩამორთმევის კონტექსტში, რადგანაც, „მართალია, ქონების ჩამორთმევის საჭიროება გათვალისწინებულია კანონით, გადანყვეტილებას იღებს სასამართლო, ანუ ფორმალურ-იურიდიული ნიშნებით არის მსგავსება 21-ე მუხლის მე-3 პუნქტთან, მაგრამ ის არ არის განპირობებული არცერთი იმ კრიტერიუმით, რომელზეც ყურადღება გამახვილებულია ქონების ჩამორთმევის კონკრეტული შემთხვევის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით შეფასებისთვის.“³⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სწორი პოზიცია დაიჭირა და არ გაავრცელა 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება იმ შემთხვევებზე, როდესაც სახეზეა კერძო სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებშიც პირდაპირ ან ირიბად არ მონაწილეობს სახელმწიფო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლთან (ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო) დაკავშირებით,

36 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადანყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადანყვეტილებები – 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 243.

37 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადანყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები: ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადანყვეტილებები – 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 170-171.

38 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადანყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები: დავით ჯიმშელიაშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადანყვეტილებები – 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 205.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „529-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლებელია ვილაპარაკოთ საკუთრების ჩამორთმევაზე. არ შეიძლება საკუთრების ჩამორთმევად განვიხილოთ ის შემთხვევა, როდესაც ქონების უკან დაბრუნებას სახელმეკრულებო ურთიერთობა განაპირობებს.“³⁹

საკუთრების ჩამორთმევისას საქართველოს კონსტიტუცია გაცილებით მკაცრ მოთხოვნებს აყენებს, ვიდრე საკუთრების უფლების შეზღუდვისას. თუ საკუთრების უფლების შეზღუდვა, ფორმალურსამართლებრივი თვალსაზრისით, ხდება კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. ერთი შეხედვით, 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში გამოყენებული ტერმინი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ ანალოგიურია, მაგრამ კანონმდებელი საკუთრების ჩამორთმევისას ნაკლებად თავისუფალია, ვიდრე საკუთრების უფლების შეზღუდვისას. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების დროს საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევები პირდაპირ და ამომწურავად უნდა განისაზღვროს კანონით. „გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევები, რომელთა არსებობისას გამართლებულია 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით საკუთრების ჩამორთმევა, კონკრეტულად და ამომწურავად არის განსაზღვრული ზემოდასახელებულ კანონებში.“⁴⁰ არც ერთი სხვა შემთხვევა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისეთ აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად, როდესაც დასაშვებია საკუთრების ჩამორთმევა 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით.⁴¹ ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევას სჭირდება სასამართლოს გადაწყვეტილება, რა დროსაც სასამართლომ შესაბამისი კანონი უნდა განმარტოს კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად და არ უნდა მიუდგეს საქმეს მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით.

ტერმინი „გადაუდებელი აუცილებლობა“ უნდა განიმარტოს არა მხოლოდ გადაწყვეტილების სასწრაფოდ მიღების კუთხით, არამედ საკითხის სიმწვავისა და მნიშ-

39 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის №1/2/155 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქე აკაკი საღირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2003, თბ., 2004, გვ. 102-103.

40 იგულისხმება საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ და საქართველოს ორგანული კანონი „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“.

41 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები; დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 202.

ენელობის თვალსაზრისით. ამდენად, ორგანული კანონით, რომელიც უფრო რთული მისაღებია, ვიდრე ჩვეულებრივი კანონი და იერარქიაშიც მასზე მაღლა დგას, „გადაუდებელ აუცილებლობად“ ამომწურავად უნდა ჩამოყალიბდეს ის შემთხვევები, როდესაც საკუთრების ჩამორთმევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სასწრაფო, მწვავედ საჭირო და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის. გამორიცხულია საკუთრების ჩამორთმევა კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს კონსტიტუციური მოვალეობაა კერძო პირთა შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა და არა მოქმედება რომელიმე მათგანის ინდივიდუალური ინტერესებისათვის. აქ არ იგულისხმება შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს ამოცანების ნაწილი დელეგირებულია კერძო სუბიექტზე ან როდესაც კერძო ინტერესები და უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს.

საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევაში სახელმწიფო, ასევე, შებოჭილია ყველა იმ კონსტიტუციური პრინციპით, რაზეც საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით გვექნება საუბარი, თუმცა კონსტიტუციურსამართლებრივი შემომწმების სიმკაცრის ხარისხი საკუთრების ჩამორთმევისას გაცილებით მაღალია.

მესაკუთრის ინტერესების დაცვისათვის, იქიდან გამომდინარე, რომ მას უწევს განშორება თავის საკუთრებასთან, კონსტიტუცია ამკვიდრებს სათანადო ანაზღაურების პრინციპს. „სათანადო ანაზღაურების“ ოდენობა და მისი გადახდის წესი თუ ფორმა უნდა დადგინდეს მესაკუთრისა და საზოგადოებრივი ინტერესების სამართლიანი ბალანსის დაცვით. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საკუთრების კონსტიტუციურსამართლებრივი გაგება სწორედ ამ ინტერესების გავლენით არის ნიშნდობლივი. არ უნდა მოხდეს რომელიმე ინტერესისათვის ცალსახა პრიორიტეტის მინიჭება. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციაში იმის ჩანერა, რომ საკუთრების ჩამორთმევისას უნდა ანაზღაურდეს საბაზრო ღირებულება და კომპენსირება უნდა მოხდეს ერთბაშად და წინასწარ, არ გვეჩვენება გამართლებულად. კონსტიტუციის შემქმნელი წინ უნდა იყურებოდეს და არ უნდა შემოიფარგლოს არსებული რეალობით ან 2-3-წლიანი პერსპექტივით. საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითის გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ გარკვეული პირობების არსებობისას შესაძლოა, აუცილებელი გახდეს კომპენსირება არა საბაზრო, არამედ მასზე დაბალი, მაგრამ სამართლიანი ფასით, ანაზღაურება გაინეროს დროში და განხორციელდეს ნაწილ-ნაწილ, ანაზღაურება მოხდეს არა თანხის გადახდით, არამედ სახელმწიფოს მიერ ვალდებულების აღებით ან სხვაგვარი ფორმებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი იქნება მოსალოდნელი ნეგატიური ეკონომიკური შედეგების აცილება არა მხოლოდ სახელმწიფოსა და საზოგადოებას, არამედ თავად იმ პირსაც, ან პირებსაც, დააზარალებს, ვისაც საკუთრება ჩამოერთვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველყოფა აუცილებელია არა მხოლოდ საკუთრების ჩამორთმევისას, არამედ საკუთრების უფლების შეზღუდვისასაც: „21-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჩამორთმევისას აუცილებელი პირობაა შესაბამისი ანაზღაურება. მე-2 პუნქტში არ არის პირდაპირი მითითება საკუთრების შეზღუდვისთვის სავალდებულო კომპენსაციის თაობაზე. თუმცა ასეთი შესაძლებლობა არ გამოირიცხება გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც, მართალია, საზოგადოებრივი საჭიროების გამო, მესაკუთრის შეზღუდვა გამართლებულია, მაგრამ ეს შეზღუდვა ზომაზე მეტად იწვევს პირის საკუთრების უფლებაში ჩარევას...“⁴² პირის საკუთრების უფლებაში „ზომაზე მეტად ჩარევაში“ მოიაზრება ის შემთხვევები, როდესაც პირი კარგავს საკუთრების უფლებას თავის ქონებაზე ან მის ნაწილზე, ან როდესაც მას ადგება მნიშვნელოვანი ზიანი საკუთრების უფლების შეზღუდვით. ამ დროს საკუთრების უფლებაში ჩარევა ჩამორთმევის მსგავსია და მისმა დამდგენმა კანონმდებელმა შესაბამისი ანაზღაურებაც უნდა გაითვალისწინოს, კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიანი თანასწორობის დასაცავად.

ჩვენ უკვე გავამახვილეთ ყურადღება ურთიერთკავშირზე საკუთრების უფლებასა და ადამიანის თავისუფალი განვითარების უფლებას შორის. საკუთრების უფლებას გარკვეული კავშირი კონსტიტუციის სხვა ნორმებთანაც აქვს, თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, იკვეთება განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთკავშირი მენარმეობის თავისუფლებასთან. ეს არც არის გასაკვირი — მენარმეობის განხორციელებისას პირი ახდენს თავისი საკუთრების გამოყენებას და ქონებრივსამართლებრივ სფეროში მოქმედების თავისუფლების რეალიზაციას. „მენარმეობის თავისუფლება არ არსებობს თავისუფალი და გარანტირებული საკუთრების უფლების გარეშე. იმდენად მჭიდროა მათი კავშირ-ურთიერთობა, რომ ერთი სამართლებრივი სიკეთის ყოფიერებას განსაზღვრავს მეორე სიკეთე, საკუთრების თავისუფლებაში ასოცირდება მენარმეობის თავისუფლება... მენარმეობა საკუთრების თავისუფლების გამოვლენის, მისი შინაარსის დემონსტრირების საუკეთესო ფორმაა.“⁴³ მიუხედავად ამისა, მენარმეობის თავისუფლების

42 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები; დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 203.

43 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე – „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაქის ინდივიდუალური სანარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები – 2008, ბათუმი, 2009, გვ. 111.

ვისუფლების ხელყოფას, შესაძლოა, არ მოჰყვეს საკუთრების უფლების დარღვევა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამას უკავშირებს იმ გარემოებას, თუ რამდენად ინარჩუნებს ქონება თავის თვისებას, სარგებლობა მოუტანოს მესაკუთრეს: „სავსებით შესაძლებელია, რომ სუბიექტმა, რომელსაც შეეღახა სამეწარმეო თავისუფლება საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შედეგად, წარმატებით გამოიყენოს თავისი ქონება სხვა მიზნით და სრულად განახორციელოს მესაკუთრის ყველა უფლებამოსილებანი. სხვა საქმეა, როდესაც ქონება თავისი ბუნებით ფუნქციურად მკაცრად განსაზღვრულ მიზანს ემსახურება. საკმარისია, ასეთი მიზნობრივი საქმიანობა აეკრძალოს სუბიექტს, რომ სახეზე იქნება საკუთრების უფლებაში არათანაზომიერი შეჭრა.“⁴⁴ აქედან შეიძლება გამოვიტანოთ ის დასკვნაც, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი საკუთრების უფლებაში არ მოიაზრებს მესაკუთრის მიერ თავისი ქონების გამოყენებას რაიმე კონკრეტული მიზნებისათვის, თუ ქონება სხვა მიზნებით გამოყენების შემთხვევაში არ დაკარგავს თავის სასარგებლო თვისებებს მესაკუთრისათვის.

საკუთრების უფლება იმდენად ფართო თემაა, რომ შეუძლებელია, ყველა საკითხი მოიცვა ერთი წერილის ფარგლებში. მისასაღმებელია, რომ ბოლო წლებში საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით საკმაოდ აქტიურად ქვეყნდება სამეცნიერო სტატიები. ამ წერილის მიზანი იყო, ყურადღება გაგვემახვილებინა იმ პრობლემებზე, რომლებიც აქტუალურია და მოხდა პრაქტიკაში. დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად გარკვეული საკამათო საკითხებისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მართლმსაჯულებამ გაითვალისწინა წამყვანი დასავლური გამოცდილება და, ძირითადად, აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.

44 იქვე, გვ. 112-113.

კონკრეტული კონტროლის პარადიგმა კონსტიტუციონალიზმში

ვახუშტი მენაბდე

არაფერი ისე მკაფიო და დამაჯრებელი არ არის, როგორც ის, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი დელეგირებული ძალაუფლების თითოეული აქტი, რომელიც მინდობილობის სულისკვეთებას ეწინააღმდეგება.

ალექსანდრ ჰამილტონი

„ფედერალისტური წერილები“ (№78)

1. შესავალი

2009 წლის ნოემბრის თვის საკონსტიტუციო სასამართლოს ჟურნალ „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვაში“ გამოქვეყნდა საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სასამართლო და ძირითადი უფლებების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის სტატია „სასამართლო ხელისუფლება და ძირითადი უფლებები საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში“. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია საკონსტიტუციო კომისიაში მიღწეულ შეთანხმებებზე, რომელთა შესაბამისად უნდა შევიდეს ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში. სტატიაში აღნიშნულია: „ივარაუდება, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილოს და გადაწყვიტოს საერთო სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებული საბოლოო აქტის კონსტიტუციურობის საკითხი.“¹ ამ სტატიამ სათავე დაუდო დებატების განახლებას საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომელიც უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით პერიოდულად ახლდებოდა ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში.

ეს სტატია არის მცდელობა, დაამტკიცოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციური კონტროლის უფლებამოსილების მინიჭების

მიზანშეწონილობა (კონკრეტული კონტროლი²). ამისათვის განხილული იქნება

1 ი. ფუტყარძე, სასამართლო ხელისუფლება და ძირითადი უფლებები საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ №1, 2009 წლის ნოემბერი, გვ. 71.

2 ცნება „კონკრეტული კონტროლი“ ფართო მნიშვნელობის მქონე ტრემინია და მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციების ფართო სპექტრს. ამის გამო მნიშვნელოვნად მივიჩნევ ალენიშნო, რომ წინამდებარე ნაშრომში ცნება „კონკრეტული კონტროლი“ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონტროლს ნიშნავს.

ხელისუფლების შტოების ურთიერთმიმართება, საქართველოს კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული პრინციპების გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილის გარკვევაზე საქართველოს კონსტიტუციის სისტემაში და მისი, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის, შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმის განხილვაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებათა შინაარსის გათვალისწინებით, განიხილება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციათა ნაკლოვანებები. გაანალიზდება საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ამ თემაზე გამართული დებატები და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ განხილული მოდელი; მიმოხილული იქნება პოსტსაბჭოთა სივრცისა და დასავლეთი ევროპის კონსტიტუციური მოდელები; შედარდება ყველა ის დადებითი და უარყოფითი მხარე, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოს გადანყვეტილებების კონსტიტუციურობის კონტექსტში შეიძლება იყოს აქტუალური. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები აღნიშნული მოდელის დასამკვიდრებლად.

2. კონსტიტუციონალიზმის კონცეფცია: ხელისუფლების დანაწილებისა და კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპები

თანამედროვე ქართულ კონსტიტუციონალიზმს, *inter alia*, შეკავებისა და განწონასწორების (*check and balances*) პრინციპი განსაზღვრავს. ხელისუფლების დანაწილების კონცეფციის შესაბამისად, არსებობს ხელისუფლების სამი შტო (სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი).³ მათი ურთიერთმიმართება იმგვარია, რომ არ მოხდეს ხელისუფლების რომელიმე მათგანის ხელში კონსოლიდაცია. კლასიკური მოდელის მიხედვით:⁴

ა) აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდობლობის ვოტუმითა და იმპიჩმენტის პროცედურით აბალანსებს საკანონმდებლო ხელისუფლება, ადმინისტრაციული გადანყვეტილების კონტროლით კი — სასამართლო;

ბ) საკანონმდებლო ხელისუფლებაზე დათხოვნის მექანიზმით ზემოქმედებს

3 წინამდებარე ნაშრომში ცნებაში – „აღმასრულებელი ხელისუფლება“ – მოიაზრება როგორც საკუთრივ მთავრობა, ისე პრეზიდენტი, რომელიც, მართალია, საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური“, მაგრამ რეალურად სწორედ ეს ინსტიტუტია აღმასრულებელი ხელისუფლების წარმმართველი, რომელიც პრემიერ-მინისტრთან ერთად იყოფს მთავრობის მეთაურის ფუნქციებს.

4 შეკავებისა და განწონასწორების კონსტიტუციური მექანიზმების წინამდებარე ჩამონათვალი მხოლოდ მაგალითისათვის არის მოცემული და მას, ცხადია, არ გააჩნია ამომწურავობის პრეტენზია.

აღმასრულებელი ხელისუფლება, ხოლო საერთო სასამართლო⁵ საკანონმდებლო აქტებთან მიმართებით აწარმოებს გამოყენებით კონტროლს;⁶

გ) სასამართლო ხელისუფლება თითქმის უკონტროლოა. ერთადერთი, რაც შეიძლება ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყოს, მისი დაკომპლექტების წესია. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები თანაბრად მონაწილეობენ მის ფორმირებაში,⁷ თუმცა ეს ზემოქმედების სათანადო ინსტრუმენტი როდია, რადგან „დანიშნის უფლებამოსილება არაფერია გამოწვევის უფლებამოსილების გარეშე“.⁸

საქართველოს კონსტიტუციის მოდელში სასამართლო ხელისუფლების კონტროლის მექანიზმები პრევენციულია. ხელისუფლების სხვა შტოების მიერ არ არსებობს სასამართლო ხელისუფლების *post factum* დაბალანსების შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ ეროვნულ დონეზე შეუძლებელია უზენაესი სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორება და კონკრეტული პირის დარღვეული უფლებების აღდგენა. ამის ასახსნელად ორი ფაქტორი შეიძლება დასახელდეს:

ა) სასამართლო ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად სხვა შტოებთან შედარებით ნაკლები სწრაფვა;⁹

ბ) გარდა ამისა, „საქმე ის არის, რომ ხელისუფლების ამ შტოს მათი ხელყოფისა თუ [აღამიანის უფლებების] დარღვევის ყველაზე ნაკლები საშუალება აქვს.“¹⁰ ეს ფაქტორები მისი მკაცრად გაკონტროლების აუცილებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. სწორედ ამიტომ პოლიტიკური პასუხისმგებლობის მექანიზმი ხელისუფლების ამ შტოსთან მიმართებით ნაკლებად გამოიყენება.

5 აქ საერთო სასამართლოს მხოლოდ დასახელება სრულებით არ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ა პრიორი არ არის სასამართლო ხელისუფლების შემადგენლობაში. ამგვარი მიდგომა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კონტექსტი სპეციფიკურია.

6 ზემოაღნიშნულ კონტექსტში „გამოყენებითი კონტროლი“ ნიშნავს არა უშუალოდ საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებას, არამედ, მის მიერ კონკრეტული პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვას. ამ შემთხვევაში საერთო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურ დებულებებთან მხოლოდ შესაძლო წინააღმდეგობის იდენტიფიცირება ხდება და ეს საკითხი საბოლოო შეფასებისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს ეგ ზავნება.

7 საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტი: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით, სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო.“ საყურადღებოა საქართველოს კონსტიტუციის 90-ე მუხლის მე-2 პუნქტი: „საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.“

8 ა. შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბ., 2003, გვ. 281.

9 შეადარე: ა. შაიო, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

10 ა. ჰამილტონი, ჯ. მედისონი, ჯ. ჯეი, ფედერალისტური წერილები, ტკატია 78 (ავტ. ა. ჰამილტონი), ხელმისაწვდომია: [http://federalistpapers.ge/].

გ) საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაფასებლად კომპეტენცია არ ყოფნით.

ხელისუფლების რომელიმე შტოს მიერ პოლიტიკური მიზნების მარტივად განხორციელების გზა ადამიანის უფლებების შეზღუდვაზე გადის. მიუხედავად იმისა, რომ საერთო სასამართლოს პოლიტიკური მიზნები არ ამოძრავებს და, ხელისუფლების სხვა შტოებთან შედარებით, დიდი კომპეტენცია აქვს, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ყოველთვის ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვისათვის არის მოწოდებული. არსებობს ალბათობა, განსაკუთრებით კი საქართველოს მსგავს ახალ დემოკრატიებში, სადაც მცირეა დამოუკიდებელი სასამართლოს ტრადიცია, საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებებმა ხელყოს ისინი. ამის გამო კვლავ ჩნდება კონსტიტუციური უფლებების დაცვის კუთხით დამატებითი კონტროლის აუცილებლობა. ამ პრობლემას საკონსტიტუციო სასამართლომდე მივყავართ.

როგორც ცნობილი კონსტიტუციონალისტი ანდრამ შაიო აცხადებს: „კონსტიტუციონალიზმი ემყარება კონსტიტუციის უზენაესობას. შესაბამისად, ნორმატიული აქტები კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს.“¹¹ თუ ნორმატიული აქტების შინაარსს მისთვის სამართალმემფარდებლის მიერ განმარტებისას მინიჭებულ საზრისს ვუწოდებთ,¹² მაშინ შესაძლოა, კონსტიტუციური კონტროლის კლასიკური ევროპული მოდელის შინაარსი გაფართოვდეს და საერთო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლიც მოიცვას. „კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი სასამართლოსაც სხვა ხელისუფლების შტოების მსგავსად ბოჭავს.“¹³ სწორედ ამიტომ „იქ, სადაც საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციას სპეციალური ორგანო ასრულებს მის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის განხილვა სრულიად შესაძლებელია.“¹⁴

3 ხელისუფლების შტოთა ურთიერთდამოკიდებულება

როგორც ანდრამ შაიო წერს, „ხელისუფლების განშტოებები ერთმანეთისაგან განცალკევებული, ანუ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ არაავტონომიურია, რადგან მათ არ შეუძლიათ, მხოლოდ თვითონ, იზოლირებულად იმოქმედონ.“¹⁵ საქართველოს კონსტიტუციაც ამ პრინციპს ეფუძნება. კონსტიტუციის მიხედვით,

11 ა. შაიო, დასახ. ნაშრომი, გვ. 275.

12 შეად: გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 151.

13 *Marbury vs. Madison*, ხელმისაწვდომია: [<http://caselaw.lp.findlaw.com>].

14 გ. გენაძე, საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფროსი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 1998 წელი, გვ. 25.

15 ა. შაიო, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

საქართველოში ხელისუფლების სხვადასხვა შტო დამოუკიდებლად არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ზოგიერთ შემთხვევაში მონაწილეობენ ერთმანეთის ფორმირებაში, კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი.“ ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლების სამივე შტო ხალხის მიერ არის შექმნილი.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ხელისუფლების შტოები მოიცავს კონსტიტუციურ ორგანოებს. სასამართლო ხელისუფლება, როგორც ცნობილია, შედგება ორი კონსტიტუციური ორგანოსაგან. ეს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებია. კონსტიტუციურ ორგანოებს შორის კი არ არსებობს იერარქია. ის ფაქტორი, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება საერთო სასამართლოს გადამწყვეტილების კონსტიტუციურობა გააკონტროლოს, ნიშნავს არა მათ შორის ვერტიკალური ურთიერთობის არსებობას და არც იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უპირატესია საერთოზე, არამედ მხოლოდ იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, უკვე ნახსენები შეკავებისა და განონასწორების პრინციპის შესაბამისად, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში აკონტროლებს სხვა კონსტიტუციური ორგანოს აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობას. ეს ჩვეულებრივი კონსტიტუციური პროცესია, როდესაც ერთი დაწესებულება, *ჯეიმს მედისონის* ცნობილი პრინციპის თანახმად, აკონტროლებს მეორეს.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატი

საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილს საქართველოს სამართლებრივ სისტემაში და მის უფლებამოსილებას რამდენიმე აქტი განსაზღვრავს. პირველ რიგში, ეს არის საქართველოს კონსტიტუცია, რომელშიც სულ რამდენიმე დებულება ეძღვნება ამ ინსტიტუტს. კონსტიტუციის შესაბამისად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონი ორგანულია, გარდა ამისა, საპროცესო ნორმებს აყალიბებს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“.¹⁶

4.1. საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი

საქართველოს კონსტიტუციის სისტემაში

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 თავი აწესრიგებს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც, ზოგადად, სასამართლო ხელისუფლებას ეხება. კონსტიტუცია, ერთი მხრივ, აცხადებს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო სასამართლო ხელისუფლების ორგანოა

¹⁶ მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 21 მარტს (N159 - II); საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1996 წელი, 5-6.

და, მეორე მხრივ, მას მკაცრად მიჯნავს საერთო სასამართლოების სისტემისაგან. ამგვარად, კონსტიტუციის 83-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლება შედგება ორი, საკონსტიტუციო კონტროლისა და მართლმსაჯულების,¹⁷ სასამართლო ორგანოსგან. კონსტიტუციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო ხელისუფლების შემადგენლობაში რომ შედის, ამას ადასტურებს კონსტიტუციის 83-ე მუხლის პირველი პუნქტი: „საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.“ ასევე ამის დასტურია კონსტიტუციის 88-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს“.

მიუხედავად ხელისუფლების ერთი შტოს ცნების ქვეშ ყოფნისა, საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის ნებისმიერი შეხება ქართულ სამართლებრივ სისტემაში მინიმალურია. ამ მხრივ მხოლოდ ორი წერტილი არსებობს:

ა) საერთო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებისას სამი მოსამართლის დანიშვნა;¹⁸

ბ) საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანა.¹⁹

გარდა აღნიშნულისა, საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები ერთმანეთს არ კვეთენ. ეს დიფერენცირება იმდენად თვალსაჩინოა, რომ, მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციის ერთმნიშვნელოვანი პოზიციისა, ზოგიერთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო არც კი განიხილება სასამართლო ორგანოდ.

ხშირად საუბრობენ ხელისუფლების კიდევ ერთ შტოზე – მაკონტროლებელ ხე-

¹⁷ საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის მეორე პუნქტი: „მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები.“

¹⁸ საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტი: „სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მუხუთედით, სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო.“

¹⁹ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტი: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მუხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, სახალხო დამცველის და მოქალაქის სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით“. აგრეთვე „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი: „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკენის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.“

ლისუფლებაზე და საკონსტიტუციო სასამართლოს აქ მოიაზრებენ ხოლმე. მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიიჩნევს სასამართლო ხელისუფლების შემადგენელ ნაწილად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის ჩვეულებრივი მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც რომელიმე ხელისუფლების შტოს შემადგენელი ნაწილია, თუმცა მისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. ეს ნათლად ჩანს როგორც დაკომპლექტებიდან, იმუნიტეტის მოხსნისა და საბიუჯეტო საკითხებიდან, ისე ფიცის მიღებისა თუ გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმებით. ორგანული კანონი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს კონსტიტუციის მიდგომას საკონსტიტუციო სასამართლოსადმი. გერმანული მოდელის მსგავსად, ქართული კონსტიტუციონალიზმი იზიარებს მიდგომას, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო, ერთდროულად, არის სასამართლო ორგანო და უმაღლესი საკონსტიტუციო ორგანო.“²⁰

4.2. ადამიანის უფლებები საქართველოს კონსტიტუციაში

ადამიანის უფლებებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს კონსტიტუციის კონცეფციიდან.

ადამიანის უფლებები საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში, პრეამბულისა და ზოგადი დებულებების შემდეგ, არის მოცემული, რაც ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას. პრეამბულაში აღნიშნულია, რომ კონსტიტუციის მიზანია, უზრუნველყოს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები. იქვე ყურადღება გამახვილებულია სოციალურ და სამართლებრივ სახელმწიფოზე, რომელთა განხილვა ადამიანის უფლებების კონცეფციისაგან იზოლირებულად შეუძლებელია. კონსტიტუციის მე-7 მუხლში კი მითითებულია, რომ „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“ ამ მუხლით მონესრიგებულია რამდენიმე საკითხი:

ა) ადამიანს უფლებები ენიჭება არა სახელმწიფოს მიერ, არამედ სახელმწიფოს ვალია, აღიაროს და დაიცვას ეს უფლებები;

ბ) სახელმწიფოს აქვს როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ვალდებულება;

გ) ადამიანის უფლებები უზენაესი ღირებულებებია, რაც ნიშნავს, რომ იგი ყველა დანარჩენ კონსტიტუციურ ღირებულებებზე მაღლა დგას (შესაბამისად, მეორე

²⁰ გ. ხუბუა, ი. ტრაუტი, კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბ., 2001, გვ. 15.

თავში მოცემულ დებულებებს კონსტიტუციის ინტერპრეტირებისას სხვა თავებში მოცემულ დებულებებზე უპირატესი ძალა აქვთ);

დ) ადამიანის უფლებები უშუალოდ მოქმედი სამართალია და იგი თავისი მოქმედებით ზღუდავს როგორც უშუალოდ სახელმწიფოს, ისე თითოეულ ადამიანს (ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს იურისდიქციაში მყოფი ყველა პირის ვალდებულება).

საერთო ჯამში, ზოგადი დებულებებისა და კონსტიტუციის სტრუქტურის ანალიზის შემდეგ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კონსტიტუცია პროგრესულად მოიაზრებს ადამიანის უფლებების კონცეფციას და ქმნის გარანტიებს მის დასაცავად. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანოა, კონსტიტუციაში კი ადამიანის უფლებებს უმნიშვნელოვანესი ადგილი ეთმობა. სწორედ ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის უფლებების დაცვისათვის არის მონოდებული კონსტიტუციის სტრუქტურაში.

4.3. საკონსტიტუციო სასამართლოს კრიტიკა ევროპაში

2006 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე – *აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ*.²¹ ამ გადაწყვეტილებამ სათავე დაუდო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ეფექტიანობის კრიტიკას.

მართალია, საქმის შინაარსი პირდაპირ არ არის მიმართული აღნიშნული პრობლემისაკენ, მაგრამ სასამართლომ მაინც იმსჯელა კონსტიტუციური კონტროლის ბუნების შესახებ საქართველოში და მიუთითა შემდეგი: „კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი (ე) პუნქტი უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ინდივიდუალურად მიმართვის უფლებას ეგრეთ წოდებული „არარეალური“ საკონსტიტუციო საჩივრის ფორმით [...], თუმცა მათ არ შეუძლიათ, გაასაჩივრონ სასამართლოების ან საჯარო უწყებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ მათ კონკრეტულ მდგომარეობაზე.“²² სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ: „[...] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი არ არის, გააუქმოს საჯარო უწყებების ან სასამართლოების მიერ გამოტანილი ის ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ მოსარჩელის უფლებებზე[...]“.²³ ევროპულმა სასამართლომ პარალელი გაავლო საქართველოსა და უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის. საქმეში – *ვენი უნგრეთის წინააღმდეგ*.

21 აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ, 2006 წლის 28 ნოემბერი.

22 დასახ. გადაწყვეტილება, მე-40 პუნქტი.

23 იქვე, 43-ე პუნქტი.

ნაალმდეგ – ევროპულმა სასამართლომ უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისათვის უფლების დაცვის არაეფექტიან შიდასახელმწიფოებრივ საშუალებად მიიჩნია. ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში რამდენჯერმე დაიმონმა ვენეციის კომისია.

4.4. საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და საერთო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის უგულებელყოფის დილემა

საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრი, მეცნიერი ბ. ზოიძე აცხადებს: „საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს [საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების] კონტროლის შესაძლებლობა. [...] სასამართლო გააუქმებს ნორმატიულ აქტს, მაგრამ „ხელს დაიბანს“ ამ აქტების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვისაგან. [კანონმდებლობა] არ იძლევა სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობას. [...] სასამართლო გადაწყვეტილებათა კონტროლი ხსნის ამ პრობლემას.“²⁴

ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენჯერმე არაპირდაპირი მინიშნება გააკეთა. საქმე ის არის, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ აღმოაჩინა კონკრეტული სამართალშემფარდებლის მიერ კანონის კონსტიტუციის საწინააღმდეგო ინტერპრეტაცია, თუმცა, რადგან ეს საკმარისი არ არის კონსტიტუციური სარჩელით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად,²⁵ მოსარჩელემ საქმე წააგო.

ეს პრობლემა საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესმა პრეცედენტულმა სამართალმა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა.

საქმიდან – საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ²⁶ – ირკვევა, რომ ელგუჯა საბაურს ყაზბეგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 19 ივნისის გამამტყუნებელი განაჩენით, სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელად შეეფარდა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულის ჩა-

24 ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, გვ. 187.

25 საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი: „ნორმატიული აქტის შემონმუშებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არა მარტო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს.“

26 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პირველი კოლეგია, 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება, N1/1/428,447,459.

დენის დროისათვის, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე და 64-ე მუხლების თანახმად, აღნიშნული სასჯელი მოსარჩელეს ჩაეთვალა პირობითად. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დაადგინა, რომ უნდა ყოფილიყო გამოყენებული სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე და 64-ე მუხლების ის რედაქცია, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შემდეგ იქნა მიღებული და, შესაბამისად, მოსარჩელეს პირობითი მსჯავრის ნაცვლად, შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით. მოსარჩელის მოსაზრებით, ამით სასამართლომ აღნიშნულ ნორმებს მიანიჭა უკუძალა, რისი საფუძველიც შექმნა სისხლის სამართლის კოდექსის მესამე მუხლის პირველი ნაწილის ამჟამად მოქმედმა რედაქციამ.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირობითი მსჯავრი ექცევა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 მუხლის დაცვის ქვეშ, სადავო ნორმაში ნახსენები სასჯელი კი, რომლის გამკაცრების შემთხვევაშიც მისი უკუძალით გამოყენება იკრძალება, მოიცავს პირობით მსჯავრსაც.²⁷ გადანყვეტილების მიხედვით: „როცა პიროვნებას სასჯელის მოხდის ნაცვლად პირობითი მსჯავრი ეკისრება, ეს არაპირდაპირი გაგებით სასჯელის შემსუბუქებაზე უფრო მეტი შედეგათის მაჩვენებელია. [...] ამიტომაც სასჯელის არაპირდაპირ გამკაცრებად უნდა ჩაითვალოს დანაშაულებრივი ქმედებისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმება მისი ჩადენის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის გათვალისწინებული სასჯელთა სისტემაში. [...] სხვაგვარი შეფასებისას სამართლებრივი მოვლენების ფორმით შემოსაზღვრული შინაარსი გაცილებით ვიწრო იქნებოდა, ვიდრე მათი მოქმედების სივრცეში დანახული შინაარსი.“²⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ, მართალია, გადანყვეტილებით არ დააკმაყოფილა ელგუჯა საბაურის სარჩელი, მაგრამ მიუთითა, რომ პრობლემა არსებითად არა ნორმის არაკონსტიტუციურობაში, არამედ საერთო სასამართლოების მიერ მის არასწორ განმარტებაში იყო. საკონსტიტუციო სასამართლომ საერთო სასამართლოები, ფაქტობრივად, არაკონსტიტუციურ ქმედებასა და ადამიანის უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა, მაგრამ ამას, ფაქტობრივად, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, რისი მიზეზიც საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატი იყო, რომლის მიხედვით, იგი ვერ ახორციელებს საერთო სასამართლოების გადანყვეტილებათა კონსტიტუციურობის კონტროლს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან შეიძლება კიდევ ერთი საქმის განხილვა: *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.²⁹

²⁷ იქვე, 31-ე პუნქტი.

²⁸ იქვე, 32-ე პუნქტი.

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მეორე კოლეგია, 2006 წლის 14 ივლისის გადანყვეტილება N2/3/364.

2004 წლის 11 დეკემბერს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 37-ე, 38-ე მუხლების საფუძველზე, მოსარჩელე რუსუდან ტაბატაძემ მიმართა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს და მოითხოვა აღნიშნულ უწყებაში დაცული საჯარო ინფორმაცია. მოსარჩელემ ორი თვის განმავლობაში ინფორმაცია ვერ მოიპოვა, რის გამოც მიმართა მთანმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია და, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სადავო მე-3 მუხლის მეორე და მესამე ნაწილებზე დაყრდნობით, არ დააკმაყოფილა მისი სასარჩელო მოთხოვნა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის სადავო მე-4 ნაწილი ასევე საფუძველად დაედო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 10 მარტის №ბს-430—548—კ—03 განჩინებას, რომლის მიხედვით, არ დაკმაყოფილდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საკასაციო საჩივარი საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით. განჩინების თანახმად, „ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობაზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის დებულებები უნდა გავრცელდეს. ხსენებული ნორმის შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, მათ შორის მე-3 თავი, არ ვრცელდება: საქართველოს პრეზიდენტის მიერ ეროვნული უშიშროების საბჭოში უფლებამოსილებათა განხორციელებაზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე.“³⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქმეში არსებული მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილება და მის მიერ სადავო ნორმების განმარტება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „კოდექსის მე-3 თავი, ყველა შემთხვევაში ვრცელდება აღნიშნულ ორგანოებზე. [...] საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი ღიად მიიჩნევს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ოფიციალურ ინფორმაციას და ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აძლევს მათი გაცნობის შესაძლებლობას. სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი პირობაა. [...] საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.“³¹ ამავდროულად, სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებს და ამით ირიბად მიუთითა მის ნაკლოვანებაზე,

30 იხ. იქვე.

31 იხ. იქვე.

რის გამოც საკონსტიტუციო სასამართლოს მაშინაც კი, როდესაც იგი თვალნათლივ ხედავს არაკონსტიტუციურ ქმედებას, თუ ეს ქმედება საერთო სასამართლოს მიერ არის ჩადენილი, ვერ ახერხებს კონსტიტუციის დაცვასა და კონსტიტუციის მე-7 მუხლის რეალიზაციას. ეს პოზიცია ირიბად გამოიხატა ჩანანერში: „ამასთანავე სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონის არასწორად გაგება ან მისი არასწორად გამოყენება უფლებამოსილი ორგანოების მიერ არ ნიშნავს, რომ ეს ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.“³²

საერთო სასამართლოებმა კანონმდებლობა არასწორად გამოიყენა საქმეში – *საქართველოს მოქალაქე ნინო ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.³³ სასამართლომ განაცხადა: „კოლეგია მიდის დასკვნამდე, რომ მოსარჩელის არგუმენტაცია ემყარება სადავო ნორმის შინაარსის აშკარად არასწორ გაგებას. სადავო ნორმის ახსნა-განმარტება განსხვავებულ შედეგებს იძლევა. კოლეგიის ამ პოზიციას არ ცვლის ისიც, რომ [...] წარმოდგენილი მასალიდან ჩანს კონკრეტულ საქმეზე სადავო ნორმის განსხვავებული ინტერპრეტაცია საგადასახადო ორგანოებისა და საერთო სასამართლოების მხრიდან.“³⁴ საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე წარმოებაში არ მიიღო და ამის არგუმენტად კი მან კომპეტენციის არარსებობა მიუთითა: „როდესაც ნორმის შინაარსთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია ცალსახაა, მაშინ ნორმის გამოყენების ცალკეულ შემთხვევაზე მსჯელობა აშკარად გასცდება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს.“³⁵ სწორედ ამიტომ კონკრეტული უფლების დარღვევასთან დაკავშირებით მისი პოზიცია უცნობია. მაგრამ ამ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ შეძლო შეემონმებინა საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა, კიდევ ერთხელ მიუთითებს არსებული მოდელის მოუქნელობაზე.

როგორც აქ მოშველიებული მაგალითები ცხადყოფს, საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მიუთითებს დღევანდელი მოდელის ნაკლოვანებებზე და გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის გზებს. სასამართლოსაგან დამოუკიდებლად აღნიშნული საკითხის განხილვა წლების განმავლობაში სხვა წრეებშიც მიმდინარეობდა, რაც შემდეგ თავში განიხილება.

³² იხ. იქვე.

³³ *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მეორე კოლეგია, 2010 წლის 22 მარტის განჩინება, N2/1/481.*

³⁴ იქვე, II, მე-8 პუნქტი.

³⁵ იქვე, II, მე-10 პუნქტი.

5. ცვლილებების მოლოდინიდან ცვლილებების მოლოდინამდე

უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ წრეებში რამდენჯერმე წამოიწიეს საუბარი საკონსტიტუციო სასამართლოსათვის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საბოლოო გადახედვის უფლებამოსილებაზე. ეს თემა ქართული კონსტიტუციონალიზმის ჩამოყალიბების ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე იყო განხილული, თუმცა დღემდე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები ამ თვალსაზრისით არსებითად უცვლელია.

მართალია, კონსტიტუციაში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი, მაგრამ ეს უფლებამოსილებები იმდენად მაინც არის განსაზღვრული, რომ კონსტიტუციური ნორმების ანალიზისას ცალსახად შეიძლება მტკიცება: საკონსტიტუციო სასამართლოს არ ძალუძს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შეფასება, სულ მცირე, იმიტომ მაინც, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას იხილავს.³⁶ საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებები კი თავისი არსით ინდივიდუალური აქტებია, ამ სიტყვის ყველაზე ზოგადი გაგებით. სწორედ ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საერთო სასამართლოების აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვის უფლებამოსილების მინიჭება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის გარეშე შეუძლებელია.

5.1. კონსტიტუციის შემუშავებისას განხილული მოდელი

გერმანელი მეცნიერი ვ. გაული თავის ნაშრომში, რომელშიც საქართველოში კონსტიტუციის შემუშავების პროცესის აღწერა და ანალიზია წარმოდგენილი, მსჯელობს იმ დავაზე, რომელიც 90-იანი წლების პირველ ნახევარში საკონსტიტუციო სასამართლოს გარშემო გაიმართა. აქ ერთ-ერთი საკითხი სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის კონტროლი იყო, თუმცა განხილვის დროს ეს მიდგომა უარყვეს. კონსტიტუციის შემუშავების პროცესში ჩართულ პირებს მიაჩნდათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ ნორმატიული აქტების კონტროლის უფლება აქვს, საერთო სასამართლოების აქტები კი ასეთ კატეგორიას არ განეკუთვნება.³⁷ გარდა ამისა, როგორც კონსტიტუციის ავტორები აცხადებენ: ისინი ცდილობდ-

³⁶ იხ. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლი.

³⁷ ვ. გაული, კონსტიტუციის მიღება და შემუშავება საქართველოში, თბ., 2002, გვ. 262.

ნენ, თავიდან აცილებინათ საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვა.³⁸ კიდევ ერთი არგუმენტი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოზე დომინირების თავიდან აცილება იყო. აგრეთვე საუბარი დაიწყო კომპეტენციათა დუბლირებაზე, ეს ორი სასამართლო ორგანო კი სხვადასხვა ბუნების მატარებელია.³⁹ როგორც ბ. ზოიძე აღნიშნავს: „საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლოს პირდაპირი ჩარევა ამ [საერთო] სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე გამოირიცხა.“⁴⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს 1995 წლის კონსტიტუციით ზედმიწევნით განსაზღვრული კომპეტენცია მიენიჭა, რომელიც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურ კონტროლს უარყოფდა.

5.2. 2004 წელს დაგეგმილი ცვლილებები

საქართველოს პარლამენტმა 2004 წელს საქართველოს კონსტიტუციაში არსებითი ცვლილებები შეიტანა. ამის გარდა, საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის ინიციატივით შევიდა კიდევ ერთი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.⁴¹ პროექტის თანახმად, კონსტიტუციას უნდა დამატებოდა მეხუთე პრიმა თავი „კონსტიტუციური კონტროლი“.⁴²

ამ პროექტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს ენიჭებოდა საერთო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის კონტროლის კომპეტენცია. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ამგვარ გაზრდას მოწვეულმა ექსპერტმა მხარი დაუჭირა,⁴³ დეტალების დაუზვეწავობის გამო მას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. საქმე ის იყო, რომ, ამ ცვლილების მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო უნდა ამორიცხულიყო სასამართლო სისტემიდან და იგი განისაზღვრებოდა როგორც სასამართლო, რომელიც იქნებოდა კონსტიტუციური კონტროლის ორგანო.⁴⁴ კონსტიტუციის

38 იქვე, გვ. 264–265.

39 იქვე, გვ. 266.

40 ბ. ზოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 182–183.

41 2004 წლის 17 დეკემბრის (N302/1) საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“.

42 აღნიშნული კონსტიტუციური კანონის პროექტის პირველი მუხლის 37-ე პუნქტი: „87-ე პრიმა მუხლის შემდეგ დაემატოს მეხუთე პრიმა თავი „საკონსტიტუციო კონტროლი“, რომელიც მოიცავს 88-ე, 89-ე, 90-ე და 91-ე მუხლებს.“

43 ა. დემეტრაშვილი, ექსპერტული ანალიზი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, გვ. 4.

44 აღნიშნული კონსტიტუციური კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდებოდა შემდეგი რედაქციით: „სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.“ ამავე მუხლის მეოთხე პუნქტით 83-ე მუხლიდან საკონსტიტუციო სასამართლო ამორიცხებოდა.

პროექტის განმარტებით, ბარათში მითითებული იყო, რომ „კონსტიტუციური კანონპროექტით საკონსტიტუციო სასამართლო აღარ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ნაწილს. საკონსტიტუციო კონტროლს დაეთმობა ცალკე თავი. აღნიშნული ცვლილებები ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უჩნდება ახალი უფლებამოსილება — საკონსტიტუციო კონტროლი განახორციელოს საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.“⁴⁵ რადგან საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს კონტროლს ხელისუფლების სამიზნე შტოზე, მიზანშეწონილად ჩათვალა, არ მიეკუთვნებოდეს არცერთ მათგანს.⁴⁶

ამგვარი მიდგომის კრიტიკოსთაგან ყველაზე გავლენიანი ვენეციის კომისია იყო, რომელმაც თავის დასკვნაში აღნიშნა, რომ: „ბუნდოვანია, ახალი კომპეტენციის მინიჭება რატომ მოითხოვს საკონსტიტუციო სასამართლოს კლასიფიკაციის შეცვლას ...სასამართლო, რომელიც კონსტიტუციურ კონტროლს ახორციელებს, შეიძლება მოვიზიაროთ სასამართლო ხელისუფლებაში, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას სხვა სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის კონტროლის უფლებამოსილება.“⁴⁷ დღემდე სადავო საკითხად რჩება საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი სასამართლო ხელისუფლების სისტემაში, ამის საპირისპიროდ არსებობს მოსაზრება, რომელიც პირველ თეზისს ამყარებს და მეტად არის გავრცელებული, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლოს სისტემიდან გამიჯვნის კონცეფცია. როგორც ბ. ზოიძე აღნიშნავს: „როგორი ადგილიც არ უნდა მოვეძებნოთ საკონსტიტუციო კონტროლს, მას მაინც სასამართლო ახორციელებს მოსამართლეების მეშვეობით. მთავარი ამ შემთხვევაში არის ის ფუნქციური ტვირთი, რაც ამ სასამართლოს უნდა დაკისრებოდა. ესაა კონტროლი საერთო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.“⁴⁸

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიხედვით, განსაზღვრული იყო კიდევ ერთი თავისებურება, რაც, ჩვეულებრივ, კონსტიტუციური კონტროლის მსგავსი

45 კონსტიტუციური კანონის პროექტის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება მსჯელობის საგანი გახდეს არა მარტო საბოლოო, არამედ ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული აქტის კონსტიტუციურობა.

46 2004 წლის 17 დეკემბრის (№302/1) საქართველოს კონსტიტუციური კანონის „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ პროექტის განმარტებითი ბარათი, მე-3 აბზაცი.

47 *Strasbourg, 9 February 2005, Opinion 320/2004, CDL-AD(2005)003 Or. Engl., European Commission for Democracy Through Law, Joint Opinion on a Proposal for a Constitutional Law on Changes and Amendments to the Constitution of Georgia, the Venice Commission and OSCE/ODIHR, endorsed by the Commission at its 61st Plenary Session (Venice, 3-4 December 2004) on the basis of comments by P. van Dijk, J. HAMILTON, G. BATLINER, D. HADŽIOMEROVIĆ, Transfer of Functions from Constitutional Court to Supreme Court, 109.*

48 ბ. ზოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

მოდელისათვის არ არის დამახასიათებელი. კონსტიტუციის 89-ე მუხლში შედიოდა დამატება, რომლის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდა უფლება, განეხილა საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების კონსტიტუციურობის საკითხი.⁴⁹

საბოლოოდ, გამოვიდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლებოდა გასაჩივრებულყო ნებისმიერი ინსტანციის ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება. ამ საკითხმა კი ასევე გამოიწვია უკმაყოფილება და, პირველ რიგში, ამ უკმაყოფილების წყარო თავად საკონსტიტუციო სასამართლო იყო. შენიშვნებში, რომელიც საქართველოს პარლამენტს წარედგინა და რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლოს მაშინდელი შემადგენლობის ცხრავე წევრი აწერდა ხელს, ეწერა, რომ: „კონსტიტუციური მართლმსაჯულება არ იცნობს აქტების ასეთი ტოტალური გასაჩივრების შემთხვევებს. როგორც წესი, საჩივრდება საბოლოო ინსტანციის, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები. ევროპული ქვეყნების კანონმდებლობათა მიხედვით, მოქალაქეს მხოლოდ მაშინ აქვს საჩივრის უფლება, როდესაც იგი ამონუშრავს უფლების დაცვის ყველა სხვა გზას. პროექტით გათვალისწინებული ნორმების მიღების შემთხვევაში, დიდი ალბათობა იქმნება იმისა, რომ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა უმრავლესობა გასაჩივრდება საკონსტიტუციო სასამართლოში, რაც უეჭველად იმოქმედებს მისი საქმიანობის ხარისხზე; მეორე მხრივ კი, გაჩნდება პრობლემები საერთო სასამართლოებში საქმეთა დროულად განხილვასთან დაკავშირებით.“⁵⁰

აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა ვენეციის კომისიამაც, თუმცა მისი დასკვნა შედარებით მოზომილი იყო: „[ევროპული გამოცდილება] გვიჩვენებს, რომ ამ სფეროში საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის გაზრდას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, ვინაიდან შესაძლებელია, საკონსტიტუციო სასამართლო ათასობით საქმის წინაშე აღმოჩნდეს და იგი დიდი ხნის წინაშე დადგეს. [...] ამ საკითხებში საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების შორის წონასწორობა უნდა შენარჩუნდეს. [...] საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი მხოლოდ

49 აღნიშნული კონსტიტუციური კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატებოდა შემდეგი შინაარსის (ვ) პუნქტი: „საქართველოს სახალხო დამცველის ან მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით“.

50 „შენიშვნები „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2004 წლის 17 დეკემბრის კონსტიტუციური კანონის პროექტის იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეეხება“, მე-9 პუნქტი. იხ. ჯ. ხეცურიანი, „დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსკენ“, თბ., 2006, გვ. 324.

საბოლოო ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები [უნდა] გახდეს (რომელთა შეცვლის სხვა საშუალებები აღარ არსებობს).⁵¹ ვენეციის კომისიამ გაიზიარა საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა და თავის მოსაზრებაში მიუთითა კიდევ ამის შესახებ.⁵²

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) გამოეხმაურა დაგეგმილ ცვლილებებს. მისი პოზიცია ეხმიანება ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს. მისი აზრით: „დაუშვებლად მივიჩნევთ განურჩევლად ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას, რაც ცვლილებების წარმოდგენილი ვერსიითაა მოცემული. [...] ეს აზრს დაუკარგავდა საერთო სასამართლოების ინსტანციათა იერარქიულობას და კასაციას, რომლის დანიშნულებასაც გადაწყვეტილების, განაჩენის კანონიერების დადგენა წარმოადგენს.“⁵³ საია-მ თავის დასკვნაში გარკვეული რეკომენდაციებიც შეიმუშავა ამგვარი მოდელის დასაწერგავად, კერძოდ, მიუთითა ორ საკითხზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭება გამართლებული იქნებოდა:

ა) „[თუ] საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული გადაწყვეტილება, განჩინება ბოლო ინსტანციის სასამართლოს აქტს [წარმოადგენს];

ბ) [თუ] ის [შეიცავს] ნორმას, რომელიც სახელმძღვანელო განმარტებად იქცევა ქვემდგომი სასამართლოებისათვის.“⁵⁴

საბოლოოდ, კანონპროექტის ეს მონაკვეთი კონსტიტუციის ნაწილად ვერ იქცა და ის ნორმები, რომლებიც ამ კუთხით საკონსტიტუციო სასამართლოს შეეხებოდა, კვლავ პირველადი რედაქციის შესაბამისია. ეს არც იყო მოულოდნელი, რადგან არგუმენტები ნამდვილად ანგარიშგასაწევი გახლდათ. მათგან ერთ-ერთი, გადატვირთულობის პრობლემა, უკანასკნელი წლების სასამართლო პრაქტიკამ დაადასტურა, რომლის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებას საშუალოდ ორი წელი სჭირდება. ეს იმ ფონზე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს 2007, 2008 და 2009 წლების განმავლობაში, შესაბამისად, მხოლოდ 34, 26 და 17 სარჩელი შევიდა. ადვილი წარმოსადგენია, რამდენად გაზრდიდა ამგვარი უფლებამოსილება კონსტიტუციური სარჩელების საერთო რაოდენობას და რამდენად იმოქმედებდა ეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებების გამოტანის ოპერატიულობაზე; მეორე მხრივ, ამას შეიძლება

51 ვენეციის კომისიის მითითებული დასკვნა, 108-ე პუნქტი; იდენტური მოსაზრება იხ. ვენეციის კომისიის სათადარიგო წევრის, ჯ. ჰამილტონის, დასახელებულ მოსაზრებაში, 108-ე პუნქტი.

52 ვენეციის კომისიის მითითებული დასკვნა, 108-ე პუნქტი.

53 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: „საკონსტიტუციო ცვლილებები“, [www.gyla.ge].

54 საია-ს დასახ. დასკვნა, გვ. 5.

უარყოფითი გავლენა მოეხდინა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხზე, რომელთა რაოდენობაც უკანასკნელი წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა.

5.4. საკონსტიტუციო კომისიის გეგმები

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 23 ივნისის N348 ბრძანებულებით, „საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „კონსტიტუციის გადასინჯვის ფარგლებში მოიაზრება სახელმწიფოს ბოჭვა ძირითადი უფლებებით, სახელისუფლებო განშტოებათა ეფექტიანი, განონასწორებელი სისტემა და კონსტიტუციის სხვა დებულებათა ახლებური ხედვა.“ ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად უნდა მოვიაზროთ საკონსტიტუციო კომისიის განზრახვა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიანიჭოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემონმების უფლებამოსილება. აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 9 მარტს⁵⁵ კომისიის მდივანმა გამართა პრესკონფერენცია და წარმოადგინა ყველა ის საკითხი, რომელზეც კომისიაში შეთანხმება მიღწეულია. ამ საკითხების ჩამონათვალში საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილება არ არის შეტანილი.

თუმცა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ საკუთარ ვებგვერდზე 2009 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა „საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში მომზადებული კონსტიტუციის ცვლილებათა სამუშაო ვარიანტი“, რომლის მიხედვით საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლში შედის დამატება. ამ დამატების შესაბამისად: „საერთო სასამართლოს ყველა ინსტანციის გავლის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საფუძველითა და მოტივით, შესაბამისი გადაწყვეტილების გაუქმებისა და უზენაეს სასამართლოში დაბრუნების უფლებით შეიძლება გასაჩივრდეს და გადასინჯოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ინდივიდუალური სარჩელის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გადასინჯვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.“⁵⁶

იგივე მოსაზრება ერთი თვით ადრე გამოთქვა ი. ფუტყარაძემ საკუთარ სტატიაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, მან განაცხადა, რომ „სამუშაო ჯგუფში⁵⁷ გაი-

55 იხ. [\[http://www.constcommis.gov.ge/\]](http://www.constcommis.gov.ge/).

56 „საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში მომზადებული კონსტიტუციის ცვლილებათა სამუშაო ვარიანტი“, [\[http://www.constcommis.gov.ge/\]](http://www.constcommis.gov.ge/), გვ. 82.

57 იგულისხმება საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სასამართლო და ძირითადი უფლებების სამუშაო ჯგუფი.

მართა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ გაფართოვდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, რითაც კიდევ უფრო გაიზრდება მისი როლი და მნიშვნელობა. ამ მიზნით მზადდება კონსტიტუციის 89-ე მუხლში შესატანი დამატებითი პროექტი. ივარაუდება, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილოს და გადაწყვიტოს საერთო სასამართლოს მიერ კონკრეტულ საკითხზე მიღებული საბოლოო აქტის კონსტიტუციურობის საკითხი, როდესაც ამონურულია შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო დაცვის ყველა საშუალება. ამ სიახლის შედეგად საერთო სასამართლოების საქმიანობაც გაუმჯობესდება.⁵⁸

თუ აღნიშნულ სტატიაში და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ვებგვერდზე მითითებულ ვარიანტს შევადარებთ, შეიძლება გარკვეული მოდელის კონსტრუირება, რომლის შეფასებაც შეიძლება სამართლებრივი მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

როგორც ჩანს, კომისიამ გაითვალისწინა თითქმის ყველა შენიშვნა, რომლებიც საერთაშორისო თუ ადგილობრივმა ექსპერტებმა წარსულში წაუყენეს კონსტიტუციის პროექტებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საერთო სასამართლოების გადანყვეტილების კონსტიტუციურობის შემონმების უფლებამოსილების მინიჭებას განიზრახავდა. განსხვავებით წინა პროექტისგან:

ა) საკონსტიტუციო სასამართლო ადგილი სასამართლო ხელისუფლების სისტემაში უცვლელია;

ბ) არსებული პროექტით უარს ამბობენ საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციის გადანყვეტილებების კონტროლზე;

გ) იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიემართოს, ამონურული უნდა იყოს შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო დაცვის ყველა ინსტანცია.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მნიშვნელოვან პრობლემად და ცვლილებებით შემოთავაზებული მოდელის მთავარ სანინალმდეგო არგუმენტად სასამართლოს შესაძლო გადატვირთულობა რჩება, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ არსებული უფლებამოსილების ფარგლებშიც კი საკონსტიტუციო სასამართლო სისწრაფით არ გამოირჩევა.⁵⁹

58 ი. ფუტკარძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

59 აქვე გასათვალისწინებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა თბილისიდან ბათუმში გადატანის პროცედურებმა და ტექნიკურმა მზარემ, ასევე ახალი მოსამართლეების დანიშვნის დაგვიანებამ, მას შემდეგ, რაც 1996 წელს დანიშნულ მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა ამოენურა. სასამართლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ფაქტობრივად, პარალიზებული იყო. ამან ბუნებრივად გამოიწვია განუხილველი სარჩელების დაგროვება, რაც ტვირთად დაანვა სასამართლოს განახლებულ შემადგენლობას.

6. სხვა ქვეყნების გამოცდილება

საყურადღებოა მოსაზრება, რომლის თანახმად, „ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა მოქალაქეებს იცავს არა მხოლოდ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, არამედ სასამართლო ხელისუფლების მხრიდან შესაძლო თვითნებობისგანაც. კერძოდ, მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრონ არა მარტო კანონები, პრეზიდენტისა თუ მთავრობის აქტები, არამედ საერთო სასამართლოების ის გადაწყვეტილებებიც, რომლებიც ხელყოფენ მათ კონსტიტუციურ უფლებებს.“⁶⁰

როდესაც კონსტიტუციური ინსტიტუტების რეფორმირებაზე მსჯელობენ, კომპარატივისტიკას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არა იმდენად მოდელთა მრავალფეროვნების წარმოსაჩენად, არამედ უფრო იმის გასარკვევად, რამდენად ამართლებენ ისინი, და რეფორმის შემდეგ რა შესაძლო საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდება კონკრეტული ინსტიტუტი. ამიტომ მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების გამოცდილების განხილვა, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმების უფლება აქვს. ვინაიდან საქართველოს უახლოესი წარსული და სამართლებრივი გამოცდილება მსგავსია, წინამდებარე თავში განიხილება პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული გამოცდილება. ასევე განიხილება დასავლეთევროპული მოდელები, სადაც ჩამოყალიბდა მსგავსი ტიპის კონსტიტუციური კონტროლის ტრადიცია.

6.1. პოსტსაბჭოთა სივრცე

პოსტსაბჭოთა სივრცის სამ ქვეყანაში არსებობს სისტემა, რომლის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, განიხილოს საერთო სასამართლოების კონსტიტუციურობის საკითხი.

6.1.1. აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის კონსტიტუციის მიხედვით, დაშვებულია კონსტიტუციური კონტროლის ამგვარი ფორმა. კონსტიტუციის 130-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მიიღოს „კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების აზერბაიჯანის რესპუ-

⁶⁰ გ. კვერენჩილაძე, „კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები: ზოგიერთი თეორიული საკითხი“, იხ. [<http://www.constcommis.gov.ge>], გვ. 10.

ბლიკის კონსტიტუციისა და კანონებთან შესაბამისობის შესახებ.⁶¹ ამ ჩანაწერში ჩადებულია ერთი თავისებურება, რომელიც, როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლოებს არ გააჩნიათ, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების მასშტაბი მოიცავს უზენაესი სასამართლოს აქტის არა მარტო კონსტიტუციურობის, არამედ კანონთან შესაბამისობის (ვიწრო გაგებით) განხილვას, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს აზერბაიჯანში მართლმსაჯულების კიდევ ერთ დამატებით საფეხურად აქცევს.

აზერბაიჯანის კონსტიტუციის 130-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, „დარღვეული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღდგენის მიზნით ნებისმიერ პირს კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს მიმართოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს და გაასაჩივროს [...] სასამართლო აქტები, რომლებითაც დაირღვა მათი უფლებები და თავისუფლებები.“⁶² ამავე მიზნით საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს ასევე ადამიანის უფლებათა დამცველს, რომელიც აზერბაიჯანში ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტია.

6.1.2. ბელორუსის რესპუბლიკა

ბელორუსის კონსტიტუციის 1160-ე მუხლის მიხედვით: „საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს [...] უზენაესი სასამართლოს, უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს [...] აქტების შესაბამისობაზე კონსტიტუციასთან, ბელორუსიის რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო სასამართლებრივ აქტებთან, კანონებთან, დეკრეტებთან და ბრძანებულებებთან.“⁶³ ნათელია, რომ ბელორუსის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს მხოლოდ უზენაესი სასამართლოსა და უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. რაც შეეხება შეფასების მასშტაბს, საკონსტიტუციო სასამართლო ბელორუსში განიხილავს სასამართლოს აქტების შესაბამისობას არა მარტო კონსტიტუციასთან, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებთან. ამ უკანასკნელი უფლებამოსილების მიხედვით, ბელორუსის საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ კონსტიტუციური კონტროლის ორგანო კი არა, მართლმსაჯულების ორგანოა.

61 „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“, ნაწილი II, შემდგენელი ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი, სამართლის დოქტორი, ვასილ გონაშვილი, თბ., 2007 წელი, გვ. 266-267;

62 იქვე, გვ. 268.

63 იქვე.

6.1.3. ტაჯიკეთის რესპუბლიკა

ტაჯიკეთის კონსტიტუციის 89-ე მუხლი საკონსტიტუციო სასამართლოს შეეხება. იგი განსაზღვრავს მოსამართლეთა რაოდენობას, მათ ცენზებსა და სასამართლოს უფლებამოსილებას. 89-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს ენიჭება უფლებამოსილება, შეამოწმოს სხვა სასამართლოთა მიერ მიღებული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი. კონსტიტუციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაა: „კონსტიტუციასთან [...] უზენაესი სასამართლოს, უმაღლესი ეკონომიკური სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოთა სამართლებრივი აქტების [...] შესაბამისობის განსაზღვრა, რომელიც არ არის შესული კანონიერ ძალაში“.⁶⁴ ტაჯიკეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ფართო უფლებამოსილება აქვს, მაგრამ იმისათვის, რომ ამ უფლებამოსილების საზღვრები დადგინდეს, კონსტიტუცია იყენებს ე.წ ნინასნარი კონტროლის მექანიზმს, რაც იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დავის განხილვის უფლება მხოლოდ იქამდე აქვს, ვიდრე გადანყევტილება კანონიერ ძალაში შევა; მეორე მხრივ, ეს მექანიზმი სასამართლოს გადატვირთვის ალბათობას ამცირებს და სავარაუდო სარჩელების რაოდენობა მინიმუმამდე დაყავს.

6.2. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ევროპის ქვეყნებს შორის საკონსტიტუციო კონტროლის ანალოგიური სისტემის კლასიკური მაგალითია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მიხედვით,⁶⁵ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქმეებს, რომლის მიხედვით, კონკრეტული პირის უფლებები დარღვეულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ (იგივე არის დადგენილი კანონში „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“).⁶⁶ ხელისუფლებაში, როგორც მისი ერთ-ერთ შტო, სასამართლოც მოიაზრება.

⁶⁴ იქვე, ნაწილი V, გვ. 1022.

⁶⁵ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 93-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი: „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს საქმეებს კონსტიტუციური საჩივრების შესახებ, რომლის შეტანაც შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც ამტკიცებს, რომ მისი რომელიმე ძირითადი უფლება ან მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით, 33-ე, 38-ე, 101-ე და 104-ე მუხლებით დადგენილი უფლებები დარღვეულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ.“

⁶⁶ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი, მე-15 კარი, 90-ე მუხლი, პირველი პუნქტი: „ნებისმიერ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ დაარღვია მისი რომელიმე უფლება, ან ძირითადი კანონის მე-20 მუხლის მე-4 აბზაციით, აგრეთვე 33-ე, 38-ე, 101-ე და 104-ე მუხლებით დადგენილი უფლება, შეუძლია მიმართოს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს.“

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში გამოიყენება სუბსიდიურობის პრინციპი, რაც შემდეგი შინაარსის მატარებელია: იმისათვის, რომ ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე განიხილოს, ამონაწერი უნდა იყოს ყველა შესაძლო სამართლებრივი დაცვის საშუალება. „კონსტიტუციურმა სარჩელმა უნდა დაიცვას მთლიანად კონსტიტუციური სამართალი. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, გამონაკლისის სახით მიიღოს გადაწყვეტილება კონსტიტუციური საჩივრის თაობაზე.“⁶⁷ ეს ხდება მაშინ, როდესაც ამ წესის გამოყენებას შეუძლია, გამოუსწორებელი შედეგი გამოიწვიოს, ან თუ საქმე ეხება იურიდიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხს.⁶⁸ სასამართლოში სარჩელის შეტანა შესაძლებელია საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი თვის ვადაში.⁶⁹ თუ სარჩელი წარმოებაში არ იქნა მიღებული, მის წარმდგენს შეიძლება დაეკისროს ბაჟის გადახდა, ბაჟის ოდენობა იზრდება, თუ დადგინდა, რომ მოსარჩელემ ბოროტად გამოიყენა კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის უფლება.⁷⁰ ყველა ეს პოტენციური სარჩელეზისაგან განტვირთვის ერთგვარი მექანიზმია.

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, „პროცესის მონაწილე მხარეს არ შეუძლია, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნით, რომ კიდევ ერთხელ იქნეს გადამოწმებული სასამართლოს გადაწყვეტილების მართებულობა.“⁷¹ ასევე საყურადღებოა მოსაზრება, რომ „სასამართლო გადაწყვეტილებებზე შეტანილი კონსტიტუციური საჩივარი იწვევს საქმის გადასინჯვას არა სრული მოცულობით, არამედ მხოლოდ გადამოწმებას კონსტიტუციურსამართლებრივ დარღვევათა არსებობის თვალსაზრისით.“⁷² ეს წესები მიუთითებს იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უზენაესი სასამართლო ზემდგომი. ეს კომპეტენციათა გამიჯვნაა, რომელსაც ემყარება გერმანული მოდელი.

67 გიორგი ხუბუა და იოჰანეს ტრაუტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

68 დასახ. კანონი, მე-15 კარი, 90-ე მუხლი, მე-2 პუნქტი: „თუ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ შესაძლებელია სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენება, მაშინ კონსტიტუციური სარჩელი შეიტანება მხოლოდ მათი ამონაწერის შემდეგ, მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვეტილება გამოიტანოს სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონაწერამდე შეტანილ სარჩელზე, თუ სარჩელს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ან სამართლებრივი დაცვის საშუალებების წესის გამოყენებამ სარჩელის ავტორს შეუძლია მიაყენოს მძიმე და გამოუსწორებელი შედეგი.“

69 დასახ. კანონი, მე-15 კარი, 93-ე მუხლი.

70 შეადარე: გიორგი ხუბუა და იოჰანეს ტრაუტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

71 იქვე, გვ. 27.

72 ნატო ზაალიშვილი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი, „საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციური კონტროლის საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოში მისი დამკვიდრების პერსპექტივა“ (ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/>).

6.3. ესპანეთის სამეფო

საერთო სასამართლოთა გადანყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს.⁷³

ესპანეთის ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ითვალისწინებს მოქალაქეთა სარჩელების განხილვის პროცედურას, რომელსაც „ამპარო“ ეწოდება. „ამპაროს“ პროცედურით, საქმის განხილვის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადანყვეტილება ინდივიდუალური ხასიათისაა და ვრცელდება მხოლოდ მოსარჩელებზე. „ამპაროს“ პროცედურა გამოიყენება მხოლოდ სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების, საჯარო სამსახურების მიერ მიღებული აქტების მიმართ.⁷⁴

განხილული მაგალითები, ცხადია, არ არის ამომწურავი. ისინი მხოლოდ თვალსაჩინოებისათვის არის მოშველიებული. ამასთან, რა თქმა უნდა, გერმანიის მოდელს ყველაზე დიდი დრო დაეთმო საკითხის მიმოხილვისას, რაც გამომწვეულია იმით, რომ გერმანული მოდელი ახლოს დგას ქართულ მოდელთან და იმითაც, რომ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს ე.წ. „კონკრეტული კონტროლის“ ყველაზე დიდი და საინტერესო გამოცდილება აქვს.

7. სასამართლო ხელისუფლების კონტროლი და არა მართლმსაჯულების კიბის კიდევ ერთი საფეხური

თუ გაანალიზდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოთა გადანყვეტილებების კონსტიტუციურობის კონტროლის სხვადასხვა მოდელი, შეიძლება ჩამოყალიბდეს ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც ამგვარ მიდგომას შეიძლება ჰქონდეს:

ა) ეს არის ადამიანის უფლებების დაცვის კიდევ ერთი მექანიზმი;

ბ) ამ მოდელს თეორეტიკოსები იმით ამართლებენ, რომ უმაღლესი სასამართლოების აქტები „კვაზინორმატიულ“ ხასიათს ატარებს, კონსტიტუციის ერთგვაროვანი განმარტების დამკვიდრებას უწყობს ხელს და შეიცავს არაპირდაპირ მითითებებს საერთო სასამართლოებისათვის;⁷⁵

ბ) მალღდება საერთო სასამართლოების გადანყვეტილების ხარისხი და პასუხისმგებლობა, როდესაც არსებობს კიდევ ერთი ინსტიტუტი, რომელსაც

⁷³ ჰერმან შვარცი, *კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში*, თბ., 2003, გვ. 67.

⁷⁴ ნატო ზაალიშვილი, დასახ. ნაშრომი (ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/>).

⁷⁵ საია-ს დასახ. დასკვნა, გვ. 5.

მათი გადანყვეტილების კონსტიტუციურობის შემონების შესაძლებლობა აქვს;

გ) ვინაიდან სპეციალიზებულ დაწესებულებას უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვს კონსტიტუციური ნორმების განმარტებაში, მცირდება იმის ალბათობა, რომ კონსტიტუციის მოთხოვნები დაირღვეს;

დ) საერთო სასამართლოებს ახალ დემოკრატიებში დამოუკიდებლობის ნაკლები ტრადიცია აქვთ, რაც, თუ გავითვალისწინებთ ინსტიტუციური მეხსიერების მნიშვნელობას, გადამწყვეტია კონსტიტუციონალიზმის ჩამოყალიბების პროცესში. საკონსტიტუციო სასამართლო კი ამგვარი ტვირთისგან თავისუფალია, რაც მის სასარგებლოდ კიდევ ერთი არგუმენტია.

8. დასკვნა

სასურველია, საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს მიენიჭოს საერთო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილების კონსტიტუციურობის კონტროლის კომპეტენცია. ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი ამ მოდელის საწინააღმდეგოდ სასამართლოს შესაძლო გადატვირთვაა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ამ უფლებამოსილების მინიჭებას მოჰყვება. ამ რისკის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაზღვევის შემდეგი მექანიზმების გათვალისწინება:

ა) გასაჩივრების დროს სასამართლოს აქტის შეფასების მასშტაბი უნდა იყოს მხოლოდ მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებებთან;

ბ) გასაჩივრება უნდა მოხდეს გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ბ) გასაჩივრება მხოლოდ მას შემდეგ უნდა იყოს შესაძლებელი, რაც ამონურული უფლების ეფექტიანად დაცვის ყველა სხვა შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმი;

გ) სარჩელის შეტანა უნდა იყოს უფასო ან უნდა არსებობდეს მინიმალური საფასური, თუმცა სასამართლოს უნდა შეეძლოს მაღალი ბაჟის დაკისრება, თუ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით მოსარჩელე ბოროტად სარგებლობს.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საერთო სასამართლოების მიერ მიღებული საბოლოო გადანყვეტილების კონტროლის უფლებამოსილების მინიჭება მიზანშეწონილია და ის ხელს შეუწყობს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლებას.

სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის ევროპული პერსპექტივა

ლარს კრისტიან სუნდე

1. შესავალი

სხვადასხვა სამართლებრივ კულტურაში არსებობს სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს განაჩენის ჩამოყალიბების სხვადასხვა ფორმა. ამასთანავე, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთებულობა მნიშვნელოვანია ყველა სამართლებრივი გადაწყვეტილებისათვის, თუმცა ამ სტატიის მიზნებისათვის ყურადღება გამახვილდება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის დასაბუთებულობაზე.

ეს ნაშრომი მოკლედ მიმოიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოთხოვნებს სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით. ასევე ყურადღება გამახვილდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის დასაბუთებულობაზე. ამ თვალსაზრისით, განხილული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

2. დასაბუთებულობის კონცეფცია

ტერმინი „დასაბუთებულობა“ მჭიდრო კავშირშია ტერმინთან – „არგუმენტირება“. ამ სტატიის მიზნებისთვის „არგუმენტირება“ ნიშნავს სამართლებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებას, მტკიცებულებათა შეფასებას ჩადენილი ქმედების დანაშაულებრიობის დასადგენად. სისხლის სამართლის საქმეზე ბრალეულობის დადგენა მოიცავს მსჯელობის სამ თანმიმდევრულ ეტაპს. პირველია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის ინტერპრეტაცია, რაც არის სამართლებრივი მეთოდოლოგიის საკითხი; მეორე არის ფაქტების დადგენა მტკიცებულებათა შეფასების შედეგად. ცხადია, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე უდანაშაულობის პრეზუმფცია უნდა იქნეს გათვალისწინებული; მესამე საფეხური არის კანონის შეფარდება დადგენილ ფაქტებთან, რაც არის ყველაზე კომპლექსური პროცესი სამართლებრივი ინტერპრეტაციისა და მტკიცებულების შეფასების პრინციპების გათვალისწინებით.

ზემოხსენებული პროცესი შეიძლება გამოისახოს კლასიკური დედუქციური ფორმულით, რომელსაც ეწოდება „სილოგიზმი“¹:

¹ Ian Macleod, *Legal Method, Sixth ed.*, 2005, გვ.7-8.

თუ $A=B$ (მაგ., თუ ნარკოტიკის გაყიდვა არის კანონით აკრძალული)
 და $B=C$ (მაგ., ბრალდებულმა გაყიდა ნარკოტიკი),
 მაშინ $A=C$ (მაგ., ბრალდებულმა ჩაიდინა კანონსაწინააღმდეგო ქმედება)

სასამართლო პროცესის ძირითადი მიზანია საქმეზე ქეშმარიტების დადგენა. პრაქტიკულად, სავსებით შესაძლებელია სწორი გადანყვეტილების მიღება მხარეთათვის, საზოგადოებისათვის არგუმენტაციის გაცნობის გარეშეც. იმდენად, რამდენადაც მოსამართლე საფუძვლიანად შეისწავლის საქმეს, მისი საბოლოო გადანყვეტილება შეიძლება იყოს სავსებით სამართლიანი დასაბუთების გარეშეც. ამ სტატიაში ტერმინი „დასაბუთებულობა“ სწორედ იმ არგუმენტაციის წარდგენას გულისხმობს, რომელიც საფუძვლად დაედო გადანყვეტილებას..

3. განაჩენის დასაბუთების მიზნები

განაჩენის დასაბუთებას აქვს მრავალი მიზანი:

უპირველეს ყოვლისა, განაჩენის დასაბუთება არის თვითნებობისაგან დაცვის მექანიზმი.² ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7(1) მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენაში ბრალეულობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ისეთი ქმედებისთვის, რომელიც ითვლებოდა დანაშაულად ამ ქმედების ჩადენის მომენტში. ეს თავისთავად გულისხმობს, რომ ჩადენილი ქმედების დანაშაულებრიობის დადგენა მთლიანად მოსამართლის დისკრეციას არ განეკუთვნება. კანონის უზენაესობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მსგავსი საქმეების მიმართ ჰქონდეს ერთგვაროვანი დამოკიდებულება. ამიტომ, ზემოხსენებულ მიზეზთა გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ განაჩენის დასაბუთებაში აისახოს ის, თუ როგორ მოახდინა სასამართლომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ინტერპრეტაცია კონკრეტულ საქმესთან მიმართებით.

განაჩენის დასაბუთება ასევე ემსახურება მიზანს, მხარეებმა ირწმუნონ, რომ მათი არგუმენტაცია მოისმინა და გაითვალისწინა სასამართლომ. ამასთანავე, ის საშუალებას აძლევს საზოგადოებას, მეთვალყურეობა გაუწიოს სასამართლოს საქმიანობას. ეს ყოველივე, თავის მხრივ, ზრდის საზოგადოების ნდობას სასამართლო ხელისუფლების მიმართ. სასამართლოს, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს, მიმართ მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოების მეთვალყურეობა. აქედან გამომდინარე, სასამართლო განაჩენის დასაბუთებულობა მჭიდრო კავშირშია

² იხ. *Taxquet v. Belgium*, 2009 წლის 12 იანვარი, 43-ე პუნქტი.

საჯარო განხილვის პრინციპთან, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლით არის გარანტირებული. ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში – *Salov v. Ukraine*³– განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიანიჭა უფლებას მოსმენაზე და სასამართლოს საქმიანობაზე საზოგადოების მხრიდან განეულ მეთვალყურეობას.

განაჩენის დასაბუთებულობა შესაძლებელს ხდის გასაჩივრების უფლების სრულყოფილად გამოყენებას. დასაბუთებულობის ეს მნიშვნელობა მჭიდრო კავშირშია თვითნებობისგან დაცვის უზრუნველყოფასთან. დასაბუთების არსებობის გარეშე ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენად სწორად მოხდა ფაქტების დადგენა და კანონის შეფარდება. დასაბუთება ხელს უწყობს სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვას. ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში – *Hadjianastassiou v. Greece*⁴ – დაადგინა, რომ განაჩენის დასაბუთებულობა მხარეებს აძლევს საშუალებას, გადანყვიტონ განაჩენის გასაჩივრების მიზანშეწონილობა.

4. სასამართლო განაჩენის დასაბუთება საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარე, დასაბუთების მიზნები უკეთ არის მიღწეული, როდესაც სასამართლოს განაჩენი დგება წერილობითი ფორმით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი⁵ (სსსკ) პირდაპირ არ მიუთითებს, რომ სასამართლოს განაჩენი წერილობითი ფორმით უნდა იყოს მიღებული, თუმცა ეს ნათლად ჩანს სსსკ-ის 271-ე და 272-ე მუხლებიდან. სსსკ ადგენს კონკრეტულ მოთხოვნებს სასამართლოს განაჩენის შინაარსთან დაკავშირებით. აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანი განიხილება.

სსსკ-ის 259-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს „კანონიერი“ და „დასაბუთებული“. იმავე მუხლში აღნიშნულია, რომ სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, სსსკ-ისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით. განაჩენი ითვლება დასაბუთებულად, „თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას“. ფაქტობრივად, სასამართლოს მიერ გამოტანილი ყველა დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული. სსსკ-ის 260-ე მუხლი ადგენს, რომ სასამართლოს განაჩენი უნდა შეიცავდეს დასაბუთებას იმის შესახებ,

3 2005 წლის 6 სექტემბერი.

4 1992 წლის 16 დეკემბერი.

5 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის 9 ოქტომბერს და ძალაშია 2010 წლის 1-ლი ოქტომბრიდან. ამ კოდექსის 333-ე მუხლის მიხედვით.

ჩაიძინა თუ არა ბრალდებულმა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება, და არის თუ არა ბრალდებულის ქმედება მართლსაწინააღმდეგო, რაც, თავის მხრივ, განასხვავებს სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს.

სსსკ-ის 226-ე მუხლი ადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობას ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე. ნაფიც მსაჯულთა განსჯადობას დაექვემდებარება ყველა ბრალდება, რომელიც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, თუმცა ამ დებულების ამოქმედება, 330-ე მუხლის მიხედვით, გარკვეული დროით გადაიდო. 261(2)-ე მუხლის მიხედვით, „ნაფიცმა მსაჯულებმა თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უნდა გადანყვიტონ უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხი.“ 265(3)-ე მუხლი მიუთითებს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის დადგენისას სხდომის თავმჯდომარე არ ასაბუთებს ვერდიქტს.

ზემოაღნიშნული მუხლების განხილვის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სასამართლოს განაჩენი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის გარდა, უნდა იყოს დასაბუთებული როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენის დასაბუთება მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბდება სილოგიზმის ფორმით, რომლის მაგალითიც ზემოთ იქნა მოყვანილი.

5. საერთაშორისო ვალდებულებები

ნათელია, რომ მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს დეტალურ წესებს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დასაბუთებული უნდა იყოს სასამართლოს განაჩენი. იმის გასარკვევად, თუ რა მოიაზრება სიტყვაში „საკმარისად“, სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის თვალსაზრისით, საჭიროა იმ საერთაშორისო სტანდარტების გაცნობა, რომლებიც საქართველოზე ვრცელდება, კონკრეტულად კი ესენია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6(2) მუხლის მიხედვით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ძირითადად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შესაბამისობაშია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან. თუმცა იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებზეც სსსკ არ იძლევა დეტალურ ინფორმაციას, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უნდა იქნეს გამოყენებული.

სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის აუცილებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლის ტექსტიდან გამომდინარეობს. კონვენციის მე-6 მუხლში, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლებას ეხება,

აღნიშნულია, რომ „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას, ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“ მე-6 მუხლის ტექსტში უშუალოდ არ არის ნახსენები სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის საკითხი, თუმცა ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ გარკვეულწილად განავითარა და განავრცო ტერმინი „სამართლიანი ... განხილვა“. ევროპულმა სასამართლომ თავის რამდენიმე გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ სასამართლოს განაჩენის დასაბუთება აუცილებელია, რათა კონვენციის მოთხოვნები და სამართლიანი სასამართლოს პრინციპი იყოს დაცული. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით, სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირს აქვს თავისი განაჩენის უფრო მაღალ ინსტანციაში ხელახალი განხილვის უფლება. ეფექტიანი გასაჩივრების უფლება ასევე გულისხმობს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის დასაბუთებას, რაც გამომდინარეობს კონვენციის მე-6(3)(ბ) მუხლიდან, რომელიც მოითხოვს, ბრალდებულს ჰქონდეს „საკმარისი შესაძლებლობა“ დაცვის მოსამზადებლად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამოქალაქო და პილიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტები ასევე უზრუნველყოფს იმ უფლებებს, რომლებიც ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით და მე-7 ოქმით არის დაცული, თუმცა პაქტი არ მოითხოვს დასაბუთებულობას იმაზე მაღალი ხარისხით, ვიდრე ევროპული კონვენცია. ამიტომ ამ ნაშრომში პაქტი დეტალურად არ იქნება განხილული.

თავის რამდენიმე გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ განმარტა, თუ რა ხარისხით მოითხოვს განაჩენის დასაბუთებას კონვენციის მე-6(1) მუხლი და მე-7 ოქმის მე-2 მუხლი. ძირითადი, რაც სასამართლოს მოეთხოვება განაჩენის დასაბუთების თვალსაზრისით, არის ის, რომ მან კომენტარი უნდა გააკეთოს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მნიშვნელოვან არგუმენტებთან დაკავშირებით. თუმცა რამდენიმე გადაწყვეტილებაში, მაგ. საქმეში – *Salov v. Ukraine* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დასაბუთება არ ნიშნავს მხარეების მიერ წარმოდგენილ აბსოლუტურად ყველა არგუმენტზე პასუხის გაცემას. ამასთანავე, მეორე მხრივ, დასაბუთების ნაკლებობა საქმეში არსებული მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ ადვილად შეიძლება ჩაითვალოს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად (მაგ. საქმე *Higgins v. France*⁶).

6 1998 წლის 19 თებერვალი.

მაგალითისათვის შეიძლება მოშველიებულ იქნეს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *Taxquet v. Belgium*,⁷ რომლის მე-40 პუნქტში მითითებულია:

„სასამართლო ხაზს უსვამს, რომ, მისი პრეცედენტული საქმეების მიხედვით, სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებებში ადეკვატურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ის საფუძვლები, რომლებსაც ემყარება მათი გადაწყვეტილება. თუ რა ხარისხით უნდა იყოს წარმოდგენილი დასაბუთება, დამოკიდებულია თითოეული გადაწყვეტილების თავისებურებაზე და უნდა გადაწყდეს კონკრეტული საქმის გარემოებებზე დაყრდნობით. (იხ. *Ruiz Torija v. Spain* და *Hiro Balani v. Spain*, 9.12.1994, §29 და §27, Series A nos. 303-A და 303-B; ასევე *Higgins and Others v. France*, 19.02.1998, §42, *Reports of Judgments and Decisions* 1998-I). კონვენციის მე-6(1) მუხლი მოითხოვს, სასამართლომ დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, თუმცა ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ საჭიროა დეტალური პასუხი ყველა წარმოდგენილ არგუმენტზე (იხ. *Van de Hurk v. the Netherlands*, 19.04.1994, §61, Series A no. 61). ამგვარად, სააპელაციო სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში სააპელაციო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შესახებ პირდაპირ შეუძლია მიუთითოს იმ საფუძვლებზე, რომლებიც ქვედა ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა (იხ. *mutatis mutandis*, *Helle v. Finland*, 19.12.1997, §§ 59-60, *Reports* 1997-VIII, და *García Ruiz v. Spain [GC]*, no. 30544/96, § 26, *ECHR* 1999-I).“

ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მიხედვით, შეიძლება მსჯელობა, რომ განაჩენის სავალდებულო დასაბუთებულობის ხარისხი არ შეიძლება აბსტრაქტულად განისაზღვროს, რადგან სასამართლოს მიერ წარმოსადგენი საფუძვლების ხარისხი დამოკიდებულია გადაწყვეტილების „თავისებურებაზე“ და უნდა განისაზღვროს „საქმის გარემოებებზე“ დაყრდნობით. ზოგადად, უნდა მივიჩნიოთ, რომ ის საკითხები, რომლებიც საქმის გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, განიმარტოს უფრო დეტალურად, ვიდრე სხვა დანარჩენი საკითხები. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნება „თუ წარმოდგენილ მასალას, მისი დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში, ექნება საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა, იგი საჭიროებს კონკრეტულ და გამოხატულ პასუხს სასამართლოს მხრიდან ...“⁸ ასევე უნდა ჩავთვალოთ, რომ ბრალეულობის საკითხი სისხლის სამართლის საქმეში სწორედ ისეთი მნიშვნელობისაა, რომელიც საჭიროებს დეტალურ დასაბუთებას. ასევე საინტერესოა სხვა მოსაზრება: „თუ მოსარჩელე მიუთითებს, რომ მისი მთავარი დაცვის საშუალება, რომელიც ნათლად იქნა წარმოდგენილი სასამართლოს წინაშე და რომელსაც შეეძლო, წარმატების შემთხვევაში, მთლიანად ან ნაწილობრივ გაეთავისუფლებინა იგი

⁷ 2009 წლის 5 ივნისი.

⁸ D. Harris et al., *Law of the European Convention on Human Rights*, Oxford, 2009.

პასუხისმგებლობისგან, იგნორირებულ იქნა სასამართლოს მიერ, ეს საკმარისი იქნება, სამართლიანი სასამართლოს პრინციპი დარღვეულად ჩაითვალოს.“⁹ ასევე, უნდა მივიჩნიოთ, რომ საქმის სირთულე, წარმოდგენილი არგუმენტების მნიშვნელოვნებასთან ერთად, იქნება ის ელემენტები, რომლებიც განსაზღვრავს განაჩენისათვის შესაფერის დასაბუთებულობის ხარისხს.

დასაბუთება ასევე სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს კანონთან და ფაქტობრივ გარემოებებთან.¹⁰ საქმეზე – *Suominen v. Finland*¹¹ – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: „დასაბუთებული განაჩენი მხარეს აძლევს მისი გასაჩივრების შესაძლებლობას, ისევე როგორც გასაჩივრების ორგანოს მისი ეფექტიანი გადასინჯვის საშუალებას [...]. განაჩენის დასაბუთებულობის ნაკლებობამ ხელი შეუშალა მოსარჩელეებს გასაჩივრების უფლების ეფექტიანად გამოყენებაში [...], შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6(1) მუხლი.“

6. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო¹²

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ იგი არ ასაბუთებს თავის ვერდიქტს. ზემოთ მოკლედ იქნა მიმოხილული საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა მთელ ევროპაში მეტ-ნაკლებად ერთგვაროდ ფუნქციონირებს. ესპანეთი და დანია იმ რამდენიმე ქვეყანათა შორისაა, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გარკვეულწილად ასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის დასაბუთებულობის ნაკლებობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ ასეთი სასამართლოს შემადგენლობაში არ შედიან იურისტები, რაც თავისთავად ართულებს სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისი დასაბუთების ჩამოყალიბებას. ამიტომ რჩება კითხვა, თუ რამდენად შეესაბამება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს და გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნას.

დიდი ხნის განმავლობაში საყოველთაოდ იყო მიჩნეული, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე დასმული შეკითხვები ქმნიდა მის მიერ გამოტანილი ვერდი-

⁹ C. Ovey and R. White, *The European Convention on Human rights*, Oxford, 2006.

¹⁰ P. van Dijk et al., *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 2006, გვ. 595.

¹¹ 2003 წლის 1 ივლისი.

¹² ამ ნაწილში მოცემული მსჯელობა ეყრდნობა ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებას საქმეზე – Rt-2009-750. გადაწყვეტილების ნახვა შესაძლებელია მის-ამართზე: <http://www.domstol.no/upload/HRET/English%20translation%20Bhatti%20Case.doc>

ქტის საფუძველს და ზუსტად ჩამოყალიბებული შეკითხვები გარკვეული კომპენსაცია იყო კონკრეტული დასაბუთების არარსებობის გამო.¹³

საქმეში – *R v. Belgium* – (D.R. No. 72, გვ. 195) მოსარჩელე დამნაშავედ იქნა ცნობილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ, ვერდიქტის დასაბუთების გარეშე. მისი სარჩელი ემყარებოდა არგუმენტს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაუსაბუთებელი ვერდიქტი ეწინააღმდეგებოდა სამართლიანი სასამართლოს პრინციპს. ევროპულმა კომისიამ დაადგინა შემდეგი:

„...სხდომის თავმჯდომარეს აქვს უფლება, ნაფიც მსაჯულებს დაუსვას შეკითხვები ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელთაც ეფუძნება ბრალდება და რომლებიც სასამართლო სხდომაზე იქნა განხილული. მთავარი შეკითხვები შეეხება დანაშაულის შემადგენელ ელემენტებს და ბრალდების თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით ცალკე შეკითხვა უნდა იქნეს დასმული. მთავარი შეკითხვა შეიძლება დაიყოს რამდენიმე ნაწილად, თუ ეს ბრალდებულის საწინააღმდეგოდ არ მოქმედებს. ის შეიძლება ასევე ალტერნატიული ფორმითაც იქნეს დასმული. მთავარი ფაქტები უნდა გაიმიჯნოს სხვა ფაქტებისგან თითოეულზე ცალკე შეკითხვის დასმით, მაგალითად ისეთები, როგორებიცაა: დამამძიმებელი გარემოებები, შემამსუბუქებელი გარემოებები, ან რომლებსაც ეფუძნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არარსებობა.“

ამ პირობების გათვალისწინებით, კომისიამ ასევე დასძინა:

„ბელგიის [სასამართლო] სისტემის განხილვის შედეგად კომისია მიიჩნევს, რომ, თუმცა ნაფიცი მსაჯულები შემოიფარგლებიან მხოლოდ „დიახ“ ან „არა“ პასუხებით, ეს შეკითხვები ქმნიან საფუძველს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტისათვის. კომისიის აზრით, შეკითხვების სიზუსტე, რომლებიც შეიძლება დაისვას პროკურორის ან დაცვის მხარის მოთხოვნით, საკმარისად ახდენს მსაჯულთა ლაკონიური ვერდიქტის კომპენსაციას. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტორიც, რომ სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავისი უარი, თუ ის მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, ნაფიცმა მსაჯულებმა უპასუხონ პროკურორის, ან დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ რომელიმე შეკითხვას.“

ზემოხსენებული არგუმენტაციის საფუძველზე კომისიამ დაუშვებლად ცნო სარჩელი უსაფუძვლობის გამო. კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე – *R v. Belgium* – საფუძვლად დაედო ბევრ შემდგომ გადაწყვეტილებას.

საქმეში – *Papon v. France* – მოსარჩელე ცნობილ იქნა დამნაშავედ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში მეორე მსოფლიო ომის დროს. მის სარჩელში აღნიშნული იყო, რომ ის ცნეს დამნაშავედ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, რაც ეწინააღმდეგებო-

13 იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე – *R v. Belgium* (1992 წლის 30 მარტი), რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე; კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე – *Zarouali v. Belgium* (1994 წლის 29 ივნისი), რომლითაც ასევე დაუშვებლად იქნა მიჩნეული საჩივარი და ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმე; *Papon v. France* (2001 წლის 15 ნოემბერი), რომელშიც სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა ანალოგიური მიზეზით.

და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლს. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი: (§6F)

„სასამართლო აბსტრაქტულად ვერ გადანყევტს, აკმაყოფილებს თუ არა საფრანგეთის სისტემა კონვენციის მე-6(1) მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნას, რომ განაჩენი უნდა იყოს დასაბუთებული.“

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ საქმეზე საბოლოო გადანყევტილებაში [ეროვნული] სასამართლო შეეხო ყველა პასუხს, რომლებიც თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის დასმულ 768 შეკითხვაზე იქნა მიღებული, ყველა ფაქტს, რომლებიც დადგინდა და სისხლის სამართლის კოდექსის ყველა შესაბამის მუხლს. მიუხედავად იმისა, რომ ნაფიცი მსაჯულები შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ „დიახ“ ან „არა“ პასუხებით, ამ შეკითხვებმა შექმნა საფუძველი, რომელსაც ემყარებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შეკითხვების ზედმიწევნით კონკრეტული ხასიათი საკმარისი საფუძველია იმ აზრის უკუსაგდებად, რომ ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი არ იყო დასაბუთებული.

შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი საკმარისად იქნა დასაბუთებული კონვენციის მე-6(1) მუხლის მიზნებისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განავითარა კომისიის მიერ დადგენილი დოქტრინა საქმეზე – *R v. Belgium*. შესაბამისად, სასამართლომ შეაფასა მსაჯულებისთვის დასმული შეკითხვების ხარისხი და მიიჩნია, რომ შეკითხვები იყო საკმარისად ნათელი. შესაბამისად, პაპონის სარჩელი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, უსაფუძვლობის გამო.

საქმეზე – *Goktepe v. Belgium*¹⁴ – განმცხადებელი დამნაშავედ იქნა ცნობილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ ყაჩაღობისა და მკვლელობისათვის. მასთან ერთად, საქმეში იყო ორი სხვა ბრალდებულიც. მსაჯულებმა პასუხი გასცეს ექვს შეკითხვას, რომელთაგან სამი იყო ძირითადი შეკითხვა და თითოეული შეეხებოდა თითოეულ ბრალდებულს ცალ-ცალკე. დანარჩენი სამი შეკითხვა დასმული იყო სხვადასხვა დამამძიმებელი გარემოების შესახებ და ეხებოდა სამივე ბრალდებულს ერთად. სასამართლო სხდომაზე არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა, რომლითაც ის მოითხოვდა, თითოეულ ბრალდებულთან მიმართებით ინდივიდუალური შეკითხვები ყოფილიყო დასმული. როგორც მოსარჩელე თავის სარჩელში აღნიშნავდა, ზემოხსენებულიდან გამომდინარე, არ ჰქონდა საფუძველი, ჩაეთვალა, რომ სასამართლომ თითოეული ბრალდებულის საკითხი ინდივიდუალურად

14 2005 წლის 2 ივნისი.

გადანყვიტა. სასამართლომ დაადგინა, რომ მსაჯულთათვის დასმული შეკითხვები არ იყო საკმარისად კონკრეტული და ამიტომ მოხდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა.

R-ის და *Papon*-ის საქმეებისაგან განსხვავებით, *Goktepe*-ს საქმიდან ჩანს, რომ სასამართლომ მისაღებად ჩათვალა არგუმენტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით; მეორე მხრივ, ნათელია, რომ მსაჯულთათვის დასმული შეკითხვების ზოგადმა ხასიათმა შეიძლება გამოიწვიოს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. საქმეში – *Zarouali v. Belgium*¹⁵ – სასამართლომ იგივე დოქტრინა გამოიყენა. *Goktepe*-ს საქმიდან ჩანს, რომ თითოეული შეკითხვა კონკრეტული ბრალდებულის შესახებ უნდა იყოს დასმული.

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა საქმეზე – *Taxquet v. Belgium*. მოსარჩელე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი მინისტრის მკვლელობაში და მინისტრის მეუღლის მკვლელობის მცდელობაში. მან განაცხადა, რომ მისი სამართლიანი სასამართლოს უფლება დაირღვა, რადგან მისი გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და სასამართლო მხოლოდ „დიახ“ პასუხით შემოიფარგლა.

Taxquet-ის საქმეზე ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება განსხვავდება მსგავს სარჩელებზე ევროპული სასამართლოს მიერ მანამდე დადგენილი პრაქტიკისგან. ამ გადანყვეტილებამ გამოიწვია მსჯელობა ევროპაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიმართებით. მნიშვნელოვანია ამ გადანყვეტილების შემდეგი პუნქტების ციტირება:

- „42. სასამართლო ადგენს, რომ, როგორც *Zarouali*-ს და *Papon*-ის საქმეებზე სასამართლომ და კომისიამ მიიჩნიეს, „თუმცა ნაფიცი მსაჯულები მხოლოდ „დიახ“ და „არა“ პასუხებით შემოიფარგლებოდნენ თავმჯდომარის მიერ დასმულ შეკითხვებზე, თავად დასმული შეკითხვები ქმნიდნენ შესაფერის საფუძველს, რომელსაც ეფუძნებოდა მსაჯულთა გადანყვეტილება“. ასევე დაადგინეს: „ამ შეკითხვების ზედმიწევნით კონკრეტული ხასიათი საკმარისი საფუძველია იმ არგუმენტის უკუსაგდებად, რომ ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი არ იყო დასაბუთებული“ და „[ეროვნულ] სასამართლოს აკისრია მოვალეობა, დაასაბუთოს თავისი უარი, თუ ის მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, ნაფიცმა მსაჯულებმა უპასუხონ პროკურორის ან დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ რომელიმე შეკითხვას.“
43. ძაროუალი-ს საქმის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა როგორც სასამართლოს პრაქტიკაში, ისე მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობაშიც.

15 1994 წლის 29 ივნისი.

სასამართლომ მრავალ პრეცედენტულ საქმეში აღნიშნა, რომ განაჩენთა დასაბუთებულობა მჭიდრო კავშირშია სამართლიანი სასამართლოს გარანტიებთან, რადგან ის, თავის მხრივ, იძლევა დაცვის უფლების სრულყოფილად განხორციელების საშუალებას. განაჩენთა დასაბუთება მნიშვნელოვანია სამართლის ხარისხის უზრუნველსაყოფად და თვითნებობისაგან დაცვის საშუალებაა. შესაბამისად, ზოგიერთმა ქვეყანამ, მათ შორის საფრანგეთმა, მიიღო დებულება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობისა და ამ განაჩენის სამოტივაციო ნაწილის გამოქვეყნების შესახებ.

44. სასამართლო მიიჩნევს, რომ ზედა ინსტანციის სასამართლოს შეუძლია თავისი გადაწყვეტილების მოკლედ ჩამოყალიბება მხოლოდ მასზე დაბალი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტაციაზე დაყრდნობით, მაგრამ ამას ვერ გააკეთებს პირველი ინსტანციის სასამართლო, განსაკუთრებით კი, როცა სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს.
45. სასამართლო განმარტავს, რომ განაჩენი დაეფუძნა მსაჯულთა წინაშე დასმულ ოცდათორმეტ შეკითხვას. მოსარჩელე სადავოდ ხდის ოთხ მათგანს, რომელთა განხილვა სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა:

კითხვა 25. ძირითადი ბრალდება

თვლით თუ არა, რომ ბრალდებული რიჩარდ ტაქსკეტი არის დამნაშავე იმაში, რომ 1991 წლის 18 მაისს ლიეჟში მან წინასწარ შეცნობით და განზრახვით ჩაიღინა A.C.-ის მკვლელობა?

კითხვა 26. დამამძიმებელი გარემოება

იყო თუ არა წინა შეკითხვაში ნახსენები განზრახი მკვლელობა წინასწარ მოფიქრებული?

კითხვა 27. ძირითადი ბრალდება

თვლით თუ არა, რომ ბრალდებული რიჩარდ ტაქსკეტი არის დამნაშავე იმაში, რომ 1991 წლის 18 მაისს ლიეჟში ის შეეცადა, წინასწარშეცნობითა და განზრახვით ჩაედინა [M.-H.J.-ის] მკვლელობა, სადაც განზრახვა გამოიხატა ქმედებით, რომელიც ობიექტურად დანაშაულის განხორციელებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო და რომლის განხორციელებაც მან ვერ შეძლო მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო?

კითხვა 28. დამამძიმებელი გარემოება:

იყო თუ არა წინა შეკითხვაში ნახსენები განზრახ მკვლელობა, რომლის მცდელობაც განხორციელდა, წინასწარ მოფიქრებული?

46. ნაფიცმა მსაჯულებმა ყველა შეკითხვას დადებითად უპასუხეს.
47. სასამართლომ შემდგომ განმარტა: მსაჯულებმა მსგავს შეკითხვებს უპასუხეს დანარჩენ რვა ბრალდებულთან მიმართებითაც ისე, რომ არ მომხდარა შეკითხვების ინდივიდუალიზაცია. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მიუთითებს საქმეზე – *Goktepe v. Belgium*, სადაც, დამამძიმებელი გარემოებების შესახებ თითოეულ ბრალდებულთან მიმართებით ინდივიდუალური შეკითხვების არარსებობა სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევად ჩათვალა. სასამართლომ მიიჩ-

ნია, რომ ამგვარად მსაჯულებს არ მიეცათ საშუალება, დაედგინათ მოსარჩელის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

48. ამ საქმეზე მსაჯულთათვის დასმული შეკითხვები ფორმულირებული იყო იმგვარად, რომ მოსარჩელეს სამართლიანად შეიძლებოდა გასჩეროდა გაურკვეველობის შეგრძნება, თუ რატომ გასცეს მსაჯულებმა მასთან დაკავშირებით დასმულ ყველა კითხვას დადებითი პასუხი მაშინ, როცა მან უარყო პირადი მონაწილეობა მისთვის ბრალად წაყენებულ ყველა ქმედებაში. სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთ ლაკონიურ პასუხებს ბუნდოვან და ზოგად შეკითხვებზე შეიძლებოდა, მოსარჩელისთვის შეექმნა წარმოდგენა, რომ სასამართლო პროცესი იყო თვითნებური და აკლდა გამჭვირვალობა. ყოველგვარი დასკვნის გარეშე იმის შესახებ, თუ რა მიზეზით მიიჩნია იგი სასამართლომ დამნაშავედ, მას არ შეეძლო გაეგო და, შესაბამისად, მიეღო სასამართლოს განაჩენი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ნაფიცი მსაჯულები გადანყვეტილებას იღებენ არა საქმის მასალებზე დაყრდნობით, არამედ მხოლოდ იმ მტკიცებულებების მიხედვით, რაც მათთვის ცნობილი გახდა სასამართლო განხილვის დროს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების ხაზგასმით აღნიშვნა, რამაც ნაფიცი მსაჯულები დაარწმუნა ბრალდებულის დამნაშავეობაში ან უდანაშაულობაში, რათა ბრალდებულისა და საზოგადოებისთვის — იმ „ხალხისთვის“, რომელთა სახელითაც გამოდის განაჩენი — ნათელი გახდეს კონკრეტული მიზეზი იმისა, თუ რატომ გაეცა თითოეულ შეკითხვას დადებითი ან უარყოფითი პასუხი.
49. ამ პირობებში საკასაციო სასამართლოს არ ჰქონდა შესაძლებლობა, განაჩენი სრულყოფილად გადაეხილა და გამოეყენა შეუსაბამო არგუმენტაციაში.
50. სასამართლო ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6(1) მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება.“

47-ე და 48-ე პუნქტიბიდან ნათლად ჩანს, რომ სასამართლო აფასებს მსაჯულთათვის დასმული შეკითხვების სიზუსტეს ადრე განხილულ საქმეებში დადგენილი პრინციპების მიხედვით. მას მოჰყავს კონკრეტული შეკითხვების მაგალითი და ახდენს მათ შეფასებას. ამ საქმეზე სასამართლოს გადანყვეტილება ადრე განხილული საქმეების შესაბამისია. *Gaktepe*-ს საქმეში გამოყენებულ პრინციპზე სასამართლომ პირდაპირ მიუთითა. სასამართლომ დაადგინა, რომ შეკითხვები იყო ძალიან ბუნდოვანი და ზოგადი — ასეთ შეკითხვებს კი შეეძლო გამოენვია თვითნებობისა და გამჭვირვალობის ნაკლებობის შეგრძნება.

ამ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, მაინც შეინიშნება სასამართლო პრაქტიკაში გარკვეული ცვლილებების შეტანის ტენდენცია. 43-ე პუნქტში სასამართლო აცხადებს, რომ *Papon*-ისა ან/და *Zaroual*-ის საქმეების შემდეგ სასამართლოს პრაქტიკა და სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. 48-ე პუნქტში, მას შემდეგ, რაც მიიჩნევს, რომ შეკითხვები მეტად ბუნდოვანი და ზოგადი იყო, სასამართლო ადგენს, რომ „ეროვნულმა სასამართლომ არ წარმოადგინა იმ ძირითადი მიზეზების შინაარსი, რასაც გამამტყუნებელი განაჩენი ეფუძნებოდა.“ ეს ბოლო წინადადება,

ფაქტობრივად, მიუთითებს სასამართლოს მიერ დასაბუთების წარმოდგენის საჭიროებაზე კონვენციის მე-6(1) მუხლის მიზნებისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ სურდა ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტის დასაბუთებულობის მოთხოვნის დადგენა. სასამართლოს რომ ეს მიზანი ჰქონოდა, ის არ შეუდგებოდა მსაჯულთათვის დასმული ცალკეული შეკითხვების შეფასებას. ასევე შეიძლება იმის ვარაუდი, რომ სასამართლოს აზრი იქნებოდა ნათლად გამოხატული, მას რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის გაუქმება ჰქონოდა მიზნად. ეს თავისთავად მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევდა ევროპის მრავალ ქვეყანაში. კონვენციის 30-ე მუხლის მიხედვით, ასეთი მნიშვნელობის საქმეზე იურისდიქცია თავიდანვე დიდ პალატას უნდა გადასცემოდა. თუმცა *Taxquet*-ის საქმეზე სასამართლომ ეს არ გააკეთა. ამ არგუმენტაციის გათვალისწინებით, უნდა მივიჩნიოთ, რომ სიტყვები „ძირითადი საფუძვლების შინაარსი“ სასამართლომ გამოიყენა მხოლოდ იმ აზრის გასავითარებლად, რომ შეკითხვები ბუნდოვანი და ზოგადი იყო.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ *Taxquet*-ის საქმე ალბათ არ გულისხმობს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთებულობის მოთხოვნას. თუმცა 43-ე პუნქტში გამოთქმული აზრი არის გარკვეული გაფრთხილება, რომ ამიერიდან სასამართლო ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებებს უფრო კრიტიკულად განიხილავს, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. შეკითხვები უნდა იყოს ფორმულირებული ისეთი სიზუსტით, რომ ბრალდებულს შეუქმნას წარმოდგენა „ძირითადი საფუძვლების“ შესახებ და ხაზი გაუსვას იმ „ფაქტორებს, რამაც დაარწმუნა მსაჯულები“. საქმეებზე, რომლებშიც ერთზე მეტი ბრალდებულია, ცალკეული შეკითხვა უნდა შეეხოს თითოეულ ბრალდებულს, რათა მსაჯულებს საშუალება მიეცეთ, ინდივიდუალურად განიხილონ თითოეული ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება *Taxquet*-ის საქმეზე გადაეცა დიდ პალატას ხელახალი განხილვისთვის. დიდმა პალატამ საქმე განიხილა 2009 წლის 21 ოქტომბერს. მას ჯერ გადაწყვეტილება არ გამოუტანია.

დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში

ლალი ფაფიაშვილი

1. შესავალი

საერთაშორისოსამართლებრივი აქტებითა და ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული ადამიანის თავისუფლება ინდივიდის დამცავი ერთ-ერთი ძირითადი და წარუვალა ღირებულებაა, რომლის მიზანია ადამიანის დაცვა თვითნებური დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვისაგან სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. ის აღიარებულია როგორც ისტორიული შიდასახელმწიფოებრივი დოკუმენტებით, მათ შორის 1215 წლის თავისუფლების დიდი ქარტიით, აშშ-ისა და საფრანგეთის კონსტიტუციებით, *habeas corpus* აქტით, ისე საერთაშორისო დოკუმენტებით, როგორებიცაა; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, ასევე არაერთი რეზოლუციით.¹ მას ითვალისწინებდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაც.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-18 მუხლი აღიარებს პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას, იცავს პირს თვითნებური დაკავებისა და უკანონო დაპატიმრებისაგან,² თუმცა ადამიანის თავისუფლება არ არის აბ-

1 *Resolution 65(11) on remand in custody, 9 April 1965; Resolution (73)5 on the standard minimum rules for the treatment of prisoners; Recommendation No. R (80) 11 of the CM to Member States concerning Custody Pending Trial (Adopted by the Committee of Ministers on 27 June 1980; Recommendation No R (99) 22 concerning prison overcrowding and prison population inflation, 30 September 1999; Recommendation No R 980)11 concerning custody pending trial; Recommendation no R (87)3 on the European prison Rules, Recommendation No R (87)18 concerning the simplification of criminal justice; Recommendation No R (92)16 on the European rules on Community sanctions and measures; recommendation R (92)17 concerning consistency in sanctions; United Nations Standard Minimum Rules for Non-custodial Measures (The Tokyo Rules), 14 December 1990, G.A./RES/45/110; Principles for the Protection of All Persons under Any Form of Detention or Imprisonment of the United Nations, resolution 43/173 of 9 December, 1988; Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners, Adopted by the First United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, held at Geneva in 1955, and approved by the Economic and Social Council by its resolutions 663 C (XXIV) of 31 July 1957 and 2076 (LXII) of 13 May 1977; basic principles for the Treatment of prisoners, G.A./RES/45/111, 14 December 1990.*

2 *ob. Erkalo v. the Netherlands, 2 October, 1998, para. 52; Steel and others v. the United Kingdom, 23 October, 1998; Saadi v. The United Kingdom, GCJ N13229/03, para. 67, ECHR 2008.*

სოლუტური ხასიათისა.³ სახელმწიფოს უფლება აქვს, ჩაერიოს ამ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და ფიზიკურ პირს შეუზღუდოს ან აღუკვეთოს თავისუფლება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადანყვეტილებისა და კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.⁴ აღიარებული აქსიომაა, რომ პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების ეფექტიანი უზრუნველყოფის გარეშე სხვა დანარჩენი უფლებების დაცვა ილუზიაა.⁵ სწორედ ამიტომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირის მიერ ამ უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი საკუთარი ნებით ჩაბარდება ხელისუფლების ორგანოებს და თანხმობას განაცხადებს დაკავებასა და დაპატიმრებაზე, ეს არ ათავისუფლებს სახელმწიფოს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დადგენილი გარანტიების დაცვის მოვალეობისაგან.⁶

სისხლის სამართალწარმოებაში კანონმდებლის მიზანია ბალანსის მიღწევა დანაშაულის ეფექტიანი აღკვეთის თაობაზე საზოგადოების მოთხოვნილებასა და ბრალდებულის უფლებების დაცვას შორის. დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერი დაკავება ლეგიტიმური და აუცილებელი ღონისძიებაა.⁷ დაპატიმრებასთან ერთად იგი, როგორც წესი, სისხლის სამართლის პროცესის აუცილებელი ელემენტია და მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საპროცესო იძულების ღონისძიებებს შორის. ამავდროულად, მათი გამოყენებისას სახეზეა ორი სიკეთე, რომლებიც ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდეს — პირის თავისუფლება და სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესი, გახსნას დანაშაული. ამ სიკეთეთა დაპირისპირებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო.⁸ ეს თავისებურება დაკავებას განსაკუთრებულ როლს ანიჭებს და მას საერთაშორისო ნორმების მუდმივი კონტროლის ქვეშ აყენებს.⁹ კონფლიქტის გადაჭრის გზა იმ პირის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების

3 M. Janis, R. Kay, A. Bradley, *European Human Rights Law*, 2008, 608.

4 ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 98.

5 *Human Rights in Administration of Justice: a Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers*, 2003, 161.

6 იხ. *DeWilde, Ooms and Versyp ("Vagrancy") v. Belgium*, 18 June, 1971; ასევე ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 97.

7 *The Constitutional Court of the Republic of Croatia*, 7 December 2005, CRO-2006-1-001.

8 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება №2/1/415, 06.04.2009, ნაწ.1, მე-8 პუნქტი.

9 Н. Попков, *Задержание подозреваемого и обвиняемого как вид государственного принуждения, автореферат диссертации, Нижний Новгород*, 2007, 1; იხ. *Resolution of the EU Council of 30 November, 2009 on a Roadmap for strengthening procedural rights of suspected or accused persons in criminal proceedings*, Official Journal C 295, 4 December, 2009, 1-3; *Proposal for a Framework Decision on certain procedural rights in criminal proceedings throughout the European Union*, COM (2004) 328, 28 April, 2004; Mar Jimeno-bulnes, *Towards Common Standards on Rights of Suspected and Accused persons in Criminal Proceedings in the EU?*, February 2010, CEPS, 2010.

საკანონმდებლო რეგლამენტაცია არის, რომელთა მიმართ ჯერ კიდევ მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფცია. თავის მხრივ, თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების შემთხვევებისა და საფუძვლების მკაცრი საკანონმდებლო რეგულირება ასევე უზრუნველყოფს დაკავებული პირების მიმართ სათანადო გამოძიების წარმოებას უმოკლეს ვადაში და ამცირებს ბრალდებულისაგან აღიარებითი ჩვენებების მიღების ალბათობას. სწორედ ამიტომ, ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა შესაძლებელია მკაცრი კონსტიტუციურსამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც იცავს ნებისმიერ ადამიანს შესაძლო თვითნებობისაგან ხელისუფლების მხრიდან.¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ადამიანის უფლებათა მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილეა, მათ შორის უკვე 10 წელზე მეტია, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას საქართველოში პირდაპირი მოქმედების ძალა ენიჭება. სამწუხაროდ, კანონმდებლობა და პრაქტიკა ყოველთვის არ შეესაბამება ამ საერთაშორისო დოკუმენტებით დადგენილ სტანდარტებს.

ერთ სტატიაში აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ყველა ასპექტის განხილვა, მასალის დიდი მოცულობის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ, წინამდებარე ნაშრომის მიზანია მხოლოდ დაკავებისა და დაპატიმრების საფუძვლების შესახებ საქართველოს ახალი სსსკ და მოქმედი სსსკ ნორმების შედარება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალსა და საკონსტიტუციო სასამართლოების გადანყვეტილებებთან და საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების განალიზება.

2. დაპატიმრების გამოყენების წინაპირობები

სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი პრეზუმფცია არის პრეზუმფცია თავისუფლების სასარგებლოდ, რომლის მიზანია თავისუფლების აღკვეთის აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაშიც კი, მისი მყისიერი აღდგენის უზრუნველყოფა. საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ პირადი თავისუფლება — ეს არის მდგომარეობა, რომლის უფლებაც პრაქტიკულად ყველა ადამიანს აქვს და იგი ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. მისი შეზღუდვა იმავდრულად ინვესტ მასთან დაკავშირებული ბევრი სხვა უფლების შეზღუდვასაც (მაგ.: გაერთიანების, გადაადგილების, შეკრების და ა.შ.),¹¹ და შეუძლია, შეუშალოს ხელი კონვენცი-

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება №2/1/415, 06.04.2009.

¹¹ Ovey & White, *The European Convention on Human Rights*, 2002, 138; Y. Aydin, *The delimitation of the Scope of One of the Guarantees of Personal Security Set Out in the European Convention on Human Rights*, see [<http://www.justice.gov.tr>].

ით გარანტირებული ბევრი უფლების განხორციელებას — ოჯახური და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვიდან საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლებამდე. გარდა ამისა, პირს შესაძლოა ემუქრებოდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს.¹² სწორედ ამიტომ თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვა უნდა იყოს განსაკუთრებული ღონისძიება, ობიექტურად დასაბუთებული, და არ გრძელდებოდეს აბსოლუტურად აუცილებელზე მეტ ხანს.¹³ თავისუფლების შეზღუდვასა და თავისუფლებაზე ყოფნის უფლებას შორის ბალანსის დასაცავად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, ერთი მხრივ, ბრალდებულისა და დაზარალებულის უფლებები და, მეორე მხრივ, საზოგადოების ინტერესები დანაშაულის პრევენციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით.¹⁴ თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, ძირითად უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს — მართლმსაჯულების განხორციელებას. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით თავისუფლების შეზღუდვა უნდა განიხილებოდეს როგორც გამონაკლისი და ნებადართული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მისი გამოყენების აუცილებლობის დამაჯერებელი არგუმენტაცია, უნდა იყოს პროპორციული საშუალება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიერ დადგენილი მიზნებისა და მთავარი მიზნის — მართლმსაჯულების განხორციელების მისაღწევად და არ უნდა დაანეგს ამ ღონისძიების ადრესატს გადამეტებულ ტვირთად.¹⁵

ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების გამოყენება შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ჭეშმარიტი საჯარო ინტერესი, რომელსაც, უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, შეუძლია გადანონოს პირის თავისუფლების მოთხოვნა. მისი არსებობა დგინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების გათვალისწინებით.¹⁶ ასეთ გარემოებებად, ევროპული სასამართლო და საქართველოს სსსკ-ები მიიჩნევენ მიმალვის, მტკიცებულებების განადგურების, მონმეებზე ზემოქმედების (და ა.შ.) განხორციელების გზით საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხეს. მისი გამოყენება ასევე დასაშვებია, როდესაც იგი აშკარა და მნიშვნელოვან

12 *Aksoy v. Turkey*, 18 December 1996, para. 76.

13 *Дж. Мак-Брайд, Реализация права личности на свободу: статья 5 Европейской конвенции о защите прав человека, Право на свободу и личную неприкосновенность: Европейские стандарты и российская практика/Под общ. ред. А. В. Деменева, Екатеринбург, 2005, 8.*

14 *Minimum Standards for the Rights of the Accused during Arrest/Detention*, see [<http://www.arab-nia-ba.org>].

15 *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/1/415, 6 აპრილი, 2009 წელი.*

16 *J.G. v. Poland*, No. 36258/97, 6 April 2004, paras. 50 and 56; *Labita v. Italy*, Appl. No. 26772/95, 6 April, 2000, para 152; *Punzelt v the Czech Republic*, 25 April, 2000 (2001).

საფრთხეს უქმნის საზოგადოებას და ეს საფრთხე შეუძლებელია სხვაგვარად იქნეს განეიტრალებული.¹⁷

საერთაშორისო აქტებში ხაზგასმითა აღნიშნული იძულების ისეთი ღონისძიებების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენების მიზანშეწონილობა, როგორებიცაა, მაგალითად: გირაო, გამოცხადების ვალდებულება და ა.შ., რაც არ უკავშირდება პირის თავისუფლების შეზღუდვას;¹⁸ წინასწარი პატიმრობის გამოყენების შემთხვევებისა და ხანგრძლივობის, მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესების შესაბამისად, მინიმუმამდე დაყვანის,¹⁹ დაპატიმრების მხოლოდ განსაკუთრებული ღონისძიების სახით გამოყენების აუცილებლობა.²⁰ კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო განხილვის მოლოდინში პირის დაკავება საერთო წესი არ უნდა გახდეს, მაგრამ მათი განთავისუფლება შეიძლება დამოკიდებული იყოს სასამართლოში გამოცხადების, სასამართლო გარჩევის ყველა სტადიაზე გამოცხადებისა და საჭიროების შემთხვევაში, განაჩენის აღსასრულებლად გამოცხადების გარანტიების წარდგენაზე. აღნიშნული მუხლის განმარტება მოცემულია ე.წ. ტოკიოს წესებში, რომელთა თანახმად, სამართალდარღვევის სიმძიმესა და ხასიათთან უფრო მეტი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე ბრალდებულის პიროვნებისა და დაპატიმრების გაუმართლებლად გამოყენებისაგან საზოგადოების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს როგორც სასამართლომდე, ისე სასამართლო განხილვის შემდგომი იმ ღონისძიებების ფართო არჩევანს, რაც არ არის დაკავშირებული დაპატიმრებასთან.²¹

საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესაბამისად, აღიარებს პირის თავისუფლების პრეზუმფციას, რომლის თანახმად, პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურდა მისი დაპატიმრების აუცილებლობა. პირის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების სახით თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

17 *Van Alphen v. the Netherlands*, (305/1988), 23 July 1990, 115; იხ. ასევე ტოკიოს წესები, მე-6.1-მე-6.2 პუნქტი.

18 *Recommendation No.R(99)22 of the Committee of Ministers Concerning Prison Overcrowding and Prison Population Inflation, adopted by the Committee of Ministers, 30 September, 1999, para.12; Recommendation (2206)13 of the Committee of Ministers to Member States on the Use of Remand in Custody, the Conditions in Which it Takes Place and the Provision of Safeguards against Abuse.*

19 იქვე.

20 *W. Shah, Overview of Case Studies Relating to Pre-trial Detention, Fair Trials, March 2009, Submission to the Directorate-General for Freedom, Justice and Security of the European Commission on Issues relating to Pre-trial Detention, 6.*

21 იხ. ასევე ტოკიოს წესები, მე-2.3 მუხლი.

- ა) თავისუფლების პრეზუმფცია,
- ბ) უდანაშაულობის პრეზუმფცია,
- გ) პროპორციულობის პრინციპი,
- დ) ლეგალურობის პრინციპი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო იძულების ღონისძიების სახით თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება:

ა) უნდა იყოს გამოწვეული და გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საპროცესო იძულების ღონისძიების მიზნის მიღწევა ალკვეთის სხვა სახის ღონისძიებით პრაქტიკულად შეუძლებელია. პიროვნულ თავისუფლებაში ჩარევა დაიშვება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც, ერთი მხრივ, არსებობს კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებული ეჭვი დაკავებულის უდანაშაულობაზე და, მეორე მხრივ, დანაშაულის სრულყოფილი გამოძიება და გახსნა შესაძლებელია მხოლოდ ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას. არ უნდა ხდებოდეს დაპატიმრების გამოყენება დასჯის²² ან სხვა მიზნით;²³

ბ) უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის პროპორციული.²⁴ თავისუფლება პირისა, რომელიც ითვლება უდანაშაულოდ, შეზღუდული უნდა იქნეს მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც და რამდენადაც ეს მკაცრად აუცილებელია იმ განსაზღვრული კანონიერი მიზნების მისაღწევად, რომლებიც ამართლებენ წინასწარი პატიმრობის გამოყენებას. პროპორციულობის პრინციპის თანახმად, მოსამართლე განსაზღვრავს: 1. ლეგიტიმურ საჯარო მიზანს; 2. ამ მიზნის მისაღწევად სხვა, ნაკლებად რადიკალური საშუალებას;²⁵ და 3. ამ მიზნის მისაღწევად პირის წინასწარ პატიმრობაში აყვანის აუცილებლობას. შესაბამისად, თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მიუხედავად, დაკავება/დაპატიმრება ჩაითვლება უკანონოდ, თუ თავისუფლების შეზღუდვით მიყენებული ზიანი აღემატება აცილებულ საფრთხეს და სსსკ ითვალისწინებს სხვა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენების შესაძლებლობას;²⁶

გ) არ უნდა იყოს იმაზე ხანგრძლივი, ვიდრე ის, რასაც მოითხოვს აბსოლუტური აუცილებლობა;

22 დაპატიმრება გამოყენებული იქნება განსაკუთრებული ღონისძიების სახით და არასოდეს იქნება სავალდებულო ან გამოყენებული დასჯის მიზნებისათვის. *Recommendation No.R(80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Pending Trial; Recommendation Rec(2006)13 of the Committee of Ministers to Member States on the Use of Remand in Custody, the Conditions in Which it Takes Place and the Provision of Safeguards Against Abuse (Adopted by the Committee of Ministers on 27 September 2006 at the 974th meeting of the Ministers' Deputies).*

23 ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 105.

24 იქვე.

25 მაგალითად, იხ. *Recommendation No.R(80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Pending Trial.*

26 *Witold Litwa v. Poland. 4 April, 2000.*

დ) იყოს ობიექტურად გამართლებული. გადანყვეტილება არგუმენტირებული უნდა იყოს დანაშაულის ჩადენაში მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდით, თავისთავად პირის ბრალდება მძიმე დანაშაულში არ არის საკმარისი საფუძველი დაპატიმრების გამოყენებისათვის.²⁷ გადანყვეტილება უნდა ემყარებოდეს არა მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეს, არამედ ითვალისწინებდეს ჩადენილი ქმედების სპეციალურ გარემოებებს და ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებლებს. ის უნდა ემყარებოდეს არა მხოლოდ სსსკ-ის იმ ნორმას, რომელიც მოსამართლეს ანიჭებს პატიმრობის გამოყენების უფლებამოსილებას,²⁸ არამედ იხილავდეს ყველა იმ ასპექტს, რომელიც ამართლებს ასეთი ზომის გამოყენებას და გაგრძელებას. დაუშვებელია გადანყვეტილების დამყარება სტერეოტიპებზე,²⁹ ანონიმურ ჩვენებებზე ან გამოძიების სპეციალური ტექნიკის ბოროტად გამოყენების გზით მოპოვებულ უკანონო მტკიცებულებებზე.³⁰ ჩამოთვლილი უნდა იყოს დაპატიმრების გამოყენების მიზეზები, მათ შორის: ორივე მხარის მიერ მოყვანილი არგუმენტები,³¹ საქმეში არსებული ფაქტები და გარემოებები, რაც უზრუნველყოფს პატიმრობის კანონიერებასა და დასაბუთებულობას.³² მხოლოდ სსსკ-ის შესაბამის ნორმაზე მითითება იმ გარემოებების დასახელების გარეშე, რომლებიც ამართლებს პროცესის მწარმოებელი სუბიექტის ვარაუდს ბრალდებულის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის, მიმალვის ან ახალი დანაშაულის ჩადენის შესახებ არ არის საკმარისი. პროკურორი და მოსამართლე ვალდებული არიან, დაასაბუთონ შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და, შესაბამისად, სასამართლოს განჩინება. მკაფიოდ უნდა მიეთითოს, რატომ იქნა შერჩეული აღკვეთის ეს ღონისძიება და რატომ იყო შეუძლებელი, მაგალითად, ისეთი ღონისძიების გამოყენება, როგორცაა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ და ა.შ.

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმრობის შეფარდების ან/და ვადის გაგრძელების შესახებ გადანყვეტილება უნდა იყოს მოტივირებული და დასაბუთებული. მასში მითითებული და შეფასებული უნდა იყოს თავისუფლების შეზღუდვის გამოყენების ან გაგრძელების გამამართლებელი ყველა გარემოება. ამასთან, შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ლოგიკურ მსჯელობასა

27 *Kalashnikov v. Russia* , 17 July, 2002.

28 როგორც ეს მოხდა საქმეზე, *Mansur v. Turkey*, 8 June, 1995.

29 *Demirel v. Turkey*, Appl. No.39324/98, 28 January, 2003, para 58; *Svipsta v. Latvia*, Appl. No.66820/01, 9 March, 2006.

30 *XVIII International Congress of Penal Law, The principle challenges posed by the globalization of criminal justice Istanbul*, 20-27 September 2009, para. 17, *Utrecht Law Review* , vol. 5, Issue 2 (October) 2009.

31 *Yagci and Sargin v. Turkey*, para. 50; *Tomasi v. France*, 27 August, 1992, No241-A, para. 84.

32 *Boicenco v. Moldova*, Appl. No.41088/05, 11 July, 2006.

და იმ მიზნებს, რომლებიც ამართლებს დაპატიმრების გამოყენებას. შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გადანყვეტილების მიღების მომენტისათვის არსებული მთელი ინფორმაცია, პატიმრობის განსაკუთრებული ხასიათი, მისი გამოყენების სუბსიდიურობა და პროპორციულობა მიზანთან.

საქართველოს სსსკ-ის მიხედვით, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახის შერჩევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „სხვა“ გარემოებებიც. სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერებაში ეს გარემოებები მიეკუთვნება პირობებს, რომლებიც გავლენას ახდენს აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხზე. მათი სანიმუშო ჩამონათვალი მოცემულია 198-ე(5) მუხლში და მათ მიეკუთვნება ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი და სხვა გარემოებები. კანონი არ ადგენს ამ გარემოებებიდან არც თითოეულის მნიშვნელობის ხარისხს და არც მათ ამომწურავ ჩამონათვალს, რითაც ავალდებულებს გამოძიების ორგანოებსა და სასამართლოს, აღნიშნულის გარდა (დანაშაულის სიმძიმე, მონაცემები ბრალდებულის პიროვნების შესახებ, მისი ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა), მხედველობაში მიიღონ ასევე მრავალი სხვა გარემოებაც (მაგალითად: ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა, მისი ადგილი საზოგადოებაში,³³ ცნობები, რომლებიც შეიძლება ახასიათებდეს ბრალდებულის პიროვნებას სხვადასხვა მხრიდან (მაგალითად: შრომისუნარიანობა, სამსახურისა და საცხოვრებელი ადგილის არსებობა, ნასამართლობა, მისი ბიოგრაფია, სოციალური კავშირები, და ა.შ.). იმავდროულად, პროკურატურის სახელმძღვანელო რეკომენდაციები დეტალურად ანესრიგებენ სსსკ-ით დადგენილ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ბრალდების სიმძიმე, ბრალდებულის პიროვნება, ბრალდებულის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ნასამართლობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი. კერძოდ, რეკომენდაციები მიზანშეწონილად მიიჩნევენ, დანაშაულის სიმძიმეიდან გამომდინარე, მძიმე დანაშაულთან დაკავშირებით ბრალდებულისათვის დაპატიმრების მოთხოვნას ბრალდებულის მხრიდან გამოძიებისათვის ხელის შეშლით გამოუსწორებელი ზიანის მიყენების, სასჯელის შიშით მიმალვისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე აპელირებით.³⁴

საინტერესოა, რომ რეკომენდაციები მიიჩნევენ დაპატიმრების მოთხოვნას აუცილებლად იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლის მიმართ ბრძოლა „სისტე-

33 *Е. Васильева, Вопросы Уголовного Процесса в Международных Актах, 2007, 136.*

34 საქართველოს პროკურატურის სახელმძღვანელო აქტებისა და რეკომენდაციების კრებული, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2010.

მატურ, პრიორიტეტულ ხასიათს ატარებს“ და ითვალისწინებს, რომ დაპატიმრება ამ შემთხვევაში არა მარტო ხელს შეუწყობს აღკვეთის ღონისძიების მიზნების შესრულებას, არამედ კონკრეტული დანაშაულის მაქსიმალური აღმოფხვრის საჯარო ინტერესს ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციებში არაერთხელ არის ხაზგასმული შუამდგომლობის დამაჯერებლად დასაბუთების ვალდებულება, არსად არის აღნიშნული დაპატიმრების გამოყენების საფუძველებისა და მიზნების საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით, და არა მხოლოდ სუბიექტური კრიტერიუმებით, დასაბუთების აუცილებლობაზე. წაყენებული ბრალდების სიმძიმე შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი საფუძველი პირის მიმართ თავისუფლების შეზღუდვის გამოყენებისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი მხრიდან განმეორებით დანაშაულის ჩადენა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც დაპატიმრების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას ბრალდების სიმძიმე სხვა ზოგად კრიტერიუმებთან ერთობლიობაში უნდა იქნეს განხილული. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ დადგინდეს ასეთი რისკის არსებობის დამაჯერებელი მტკიცებულებები, მავდროულად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის ცხოვრების ისტორია და პიროვნული თავისებურებები, გამოირკვეს, ბრალდებულის მიერ ადრე ჩადენილი დანაშაულები რამდენად შეიძლება იქნეს შედარებული მის წინააღმდეგ ხელახლა წარმოდგენილი ბრალდების ბუნებასა და სიმძიმის ხარისხთან. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცალსახად არ თვლის დანაშაულის სიმძიმეს პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენების საკმარის წინაპირობად.³⁵ უფრო მეტიც, სასამართლომ კონვენციის მე-5(3) მუხლის ხელყოფად მიიჩნია ისეთი შემთხვევა, როდესაც ბრიტანული კანონი ავტომატურად ართმევდა პირს აღკვეთის ღონისძიების სახით, დაპატიმრების გარდა, სხვა ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას მძიმე დანაშაულის ჩადენაში მისი ბრალდების გამო.³⁶

მოქმედი სსსკ-ის ნორმა, რომელიც სასჯელის სიდიდეს უკავშირებს აღკვეთის ღონისძიების სახეს და ადგენს დაპატიმრების გამოყენების შესაძლებლობას იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 2 წლისა და მეტი ვადით, ახალი სსსკ შედარებით ავიწროვებს დაპატიმრების გამოყენების შესაძლებლობას. მისი ფორმულირება, ერთი მხრივ, კრძალავს დაპატიმრების გამოყენების შესაძლებლობას მისი აუცილებლობის შემთხვევაშიც კი და, მეორე მხრივ, მისი გამოყენების არაერთგვაროვანი პრაქტიკა, ხშირ შემთხვევაში, ეწინააღმდეგება პრეცედენტულ სამართალს, ვინაიდან

35 *Van der Tang v. Spain*, 17 July, 1995, para. 63; *Tomasi v. France*, 27 August, 1992, para. 98; *Scott v. Spain*, 18 December, 1996, para. 78.

36 *Caballero v. the United Kingdom*, 8 February, 2000, para. 14.

სასამართლოები ზედმეტი არგუმენტაციის გარეშეც მოსალოდნელი სასჯელის სახესა და ზომაზე აკეთებდნენ აპელირებას. ახალი სსსკ აფართოებს დაპატიმრების გამოყენების შესაძლებლობას და მას უკავშირებს ნებისმიერ დანაშაულს, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, რაც პოტენციურად კიდევ უფრო მეტად ზრდის დაპატიმრების გამოყენების შემთხვევებს, ვინაიდან პროცესის მწარმოებელ პირებს დაპატიმრების გამოყენების შესაძლებლობას ანიჭებს ნაკლებად მძიმე დანაშაულებთან მიმართებითაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მეტად იზრდება დაპატიმრების გამოყენების დასაბუთების მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაპატიმრების გამოყენების მკვეთრი ზრდა და, აუცილებლობის გარეშე, მისი მექანიკური გამოყენება დანაშაულთა უფრო ფართო წრის მიმართ;

ე) უნდა იყოს დაცული ლეგალურობის პრინციპი — დაკავება და დაპატიმრება უნდა ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სპეციალურ საფუძვლებს,³⁷ ანუ უნდა იყოს კანონიერი. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებისა და დაპატიმრების უფლებამოსილებას ცალკეულ შემთხვევებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, საქმის ჯეროვნად გამოძიებისა და საზოგადოების უსაფრთხოების მიზნებისათვის, ვინაიდან იგი უკავშირდება პირის ფუნდამენტური უფლების შეზღუდვას. იგი ყოველთვის უნდა იყოს კანონიერი, რაც გულისხმობს, რომ თავისუფლების შეზღუდვა არ უნდა იყოს არა მხოლოდ თვითნებური და შეესაბამებოდეს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს, არამედ ასევე უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო აქტების, მათ შორის, კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს.³⁸ მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ სასამართლოს ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებია მე-5(1) მუხლის მიზნებისათვის „თვითნებური“ დაპატიმრების განმარტება, საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკიდან გამომდინარე, თავისუფლების თვითნებური შეზღუდვა გულისხმობს არა მხოლოდ კანონის სანინაალმდეგო დაკავებას, არამედ მოიცავს არაჯეროვნების, უსამართლობის ელემენტებს და განჭვრეტადობის არარსებობას.³⁹

37 *Communication No702/1996, C. Mclawrence v. Jamaica, (view adopted on 18 July, 1997), in UN doc. GAOR, A/52/40 (vol II), 230-231, para. 5.5; Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, 2003, 165.*

38 *Bouamar v. Belgium, 29 February, 1988, para. 50; Winterwerp v. the Netherlands, 24 October, 1979, para. 39; Thynne, Wilson and Gunnell v. the United Kingdom, 25 October, 1990, para. 70; Amuur v. France, 25 June, 1996, para. 50; Moren v. Germany, 9 July, 2009, para. 76.*

39 *Albert Womah Mukong v. Cameroon, 458/1991, 21 July, 1994, UN Doc. CCPR/C/51/D458/1991, 12; UN HR Committee Communication No458/1991; A.W. Mukong v. Cameroon, (Views adopted on 21 July 1994), in UN doc. GAOR, A/49/40 (vol.II) 181, para. 9.8; H. van Alphen v. the Netherlands (views adopted on 23 July 1990), in UN doc. GAOR, A/45/4 (vol.II), 115, para. 5.8.*

როგორც ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, წინასწარი პატიმრობის კანონიერებისათვის აუცილებელია დანაშაულის ჩადენის შესახებ გონივრული მტკიცებულების არსებობა, თავისუფლების შეზღუდვის მიზნის კონსტიტუციურსამართლებრივი ლეგიტიმურობა და შესაბამისობა მის არსთან; ასევე აუცილებელია მისი განხილვა განსაკუთრებულ ღონისძიებად, რომელიც ექვემდებარება სუბსიდიურობის პრინციპს და პროპორციულობას ზემოაღნიშნულ ამოცანებთან.

სახელმწიფო მკაცრად უნდა იცავდეს კანონიერების პრინციპს პიროვნების თავისუფლების უფლების შეზღუდვის ყველა შემთხვევაში,⁴⁰ რაც, თავის მხრივ, გულისხმობს:

1. ფორმალურ შესაბამისობას ეროვნულ კანონმდებლობასთან – სსსკ-ით პირის თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლის არსებობა და შესაბამისი უფლებამოსილებით აღმჭურველი ნორმის მოქმედების საზღვრებისა და მიზნების განსაზღვრა;⁴¹

2. პროცესუალური ნორმების მოთხოვნების დაცვა. თავისუფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს სსსკ-ით დადგენილ საფუძვლებსა და მიზანს თავისუფლების შეზღუდვის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში;⁴²

3. თავისუფლების შეზღუდვა უნდა იყოს გონივრულად გამართლებული და აუცილებელი.⁴³ თვითნებურად და უკანონოდ ითვლება კანონიერი უფლებამოსილების გამოყენება, როდესაც თავისუფლების აღკვეთა არ არის აუცილებელი, თვითნებურია მისი მოტივაციის ან შედეგის ნაწილში, მაგალითად: პირის ვინაობის დასადგენად თუ მისი ვინაობა უკვე ცნობილია პოლიციის თანამშრომლებისათვის, თავისუფლების შეზღუდვის პრევენციული გამოყენება დანაშაულის ჩადენისაკენ პირის მიდრეკილების⁴⁴ საფუძვლით და სხვა. დაუშვებელია ასევე ისეთი ნორმის არსებობა, რომელიც ნასამართლობის მქონე ან მძიმე დანაშაულში ბრალდებულ პირებს ართმევს სასამართლოს მიერ გათავისუფლების განხილვის უფლებას.⁴⁵

თავის მხრივ, პროცესუალური მოთხოვნების დარღვევა, რაც იწვევს დაპატიმრების უკანონობას, პირობითად, შეიძლება რამდენიმე ვგუფად დაიყოს:

40 *Brogan v. UK*, (1988)11 EHRR 117; *Engel v. the Netherlands*, (1976)1 EHRR 647; *Askoy v. Turkey*, (1966)23 EHRR 553.

41 *Lukanov v. Bulgaria*, 20 March, 1997, 24 E.H.R.R.121.

42 *Assanidze v. Georgia*, 8 April, 2004.

43 *Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers*, 2003, 166.

44 *Y. Aydin, The delimitation of the Scope of One of the Guarantees of Personal Security Set Out in the European Convention on Human Rights*, 7.

45 *Caballero v. the United Kingdom*, 8 February, 2000.

1. თავისუფლების შეზღუდვა შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს მისი გადასინჯვისა და სასამართლო განხილვის სტადიაზე, მაგრამ დარღვეული იყო სსსკ-ის მოთხოვნები თავისუფლების შეზღუდვის მომენტში;⁴⁶

2. თავისუფლების შეზღუდვა კანონიერი იყო დაკავების მომენტში, მაგრამ მოგვიანებით აღარ არსებობდა მისი გამოყენების სამართლებრივი საფუძველი.⁴⁷ თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი უნდა არსებობდეს თავისუფლების შეზღუდვის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში. კანონიერად შეფარდებული თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია, მოგვიანებით უკანონოდ იქნეს ცნობილი, თუ თავისუფლების შეზღუდვის პროცესში მოხდა სსსკ-ის მოთხოვნათა არსებითი დარღვევა, ან ვადის არამართლზომიერად გაგრძელება;⁴⁸

3. თავისუფლების შეზღუდვა კანონიერია მისი საფუძველებისა და განხორციელების პროცედურის თვალსაზრისით, მაგრამ მისი მიზანი უკანონოა. თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება არ უნდა იყოს სასჯელი და მიზნად არ უნდა ისახავდეს ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას, ვინაიდან ეს სასჯელის მიზნებია, სასჯელისა, რომელიც პირს უნდა დაეკისროს მხოლოდ სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სასამართლოს გადანყევტილების საფუძველზე. ამდენად, პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ალბათობის მაღალი ხარისხი, რომ პირი დამნაშავედ იქნება ცნობილი მისთვის შერაცხულ ქმედებაში და მას შეეფარდება სასჯელი. დაუშვებელია ასევე კანონიერი ძალაუფლების გამოყენება არაკანონიერი მიზნის მისაღწევად,⁴⁹ პირისათვის თავისუფლების შეზღუდვა სსსკ-ის საფუძველზე, თუ არ არსებობს აღნიშნული კანონის სათანადოდ განხორციელების განზრახვა.⁵⁰

4. დარღვეულია პროპორციულობის პრინციპი.⁵¹

თავისუფლების შეზღუდვის კანონიერებისათვის საჭიროა, როგორც მინიმუმ, შემდეგი გარემოებების არსებობა:

ა) ქმედება, რომელიც არის დაკავების საფუძველი, უნდა იყოს საქართველოს სსსკ-ით დასჯადი ქმედება;⁵²

ბ) უნდა არსებობდეს დაკავებული პირის მიერ ზემოაღნიშნული ქმედების ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდი;

46 *Van Der Leer v. The Netherlands*, 21 February, 1990.

47 *Broniowski v. Poland* 22 June, 2004.

48 *K.-F. v. Germany*, 27 November, 1997; *Engel and others v. the Netherlands*, 5 June 1976; *Labita v. Italy*, 6 April, 2000.

49 *Bozano v. France*, 18 December, 1996; *Kabulov v. Ukraine*, 2005, para. 51; *Winterwerp v. Netherlands*, 1979. paras. 37-39.

50 *Jėčius v. Lithuania*, 31 July 2000; *Ciulla v. Italy*, 22 February, 1989.

51 *Steel and others v. the United Kingdom*, 23 September 1998, para. 54.

52 *Lukanov v. Bulgaria*, 20 March 1997.

გ) უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი პირის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის თაობაზე;

დ) პირის დაკავების მიზანი უნდა იყოს მისი წარდგენა სასამართლოსათვის.

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაპატიმრების გამოყენება უნდა ექვემდებარებოდეს მკაცრ აუცილებლობას და სუბსიდიურობის პრინციპის პატივისცემას, რაც გულისხმობს მის არა მხოლოდ ეფექტიანობას, არამედ მის ნაცვლად სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენების არაეფექტიანობასაც. უფრო მეტიც, ეს ღონისძიება უნდა იყოს დროებითი და ექვემდებარებოდეს გადასინჯვას ვითარების შეცვლის შემთხვევაში, უნდა იყოს პროპორციული. განსაზღვრული უნდა იყოს მისი მაქსიმალური ხანგრძლივობა და იმ სამართალდარღვევის სიმძიმე, რომელთან დაკავშირებით ხდება მისი გამოყენება ან რომლის ჩადენის თავიდან ასაცილებლადაც არის იგი მიმართული. რაც შეეხება მის მიზნებს, იგი მიმართული უნდა იყოს მართლმსაჯულების განხორციელების, განაჩენის აღსრულებისათვის ხელის შეშლის და რეციდივის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. დაუშვებელია მისი გამოყენება დასჯის, სასჯელის წინასწარ უზრუნველყოფის ან, თუნდაც, გამოძიების მიზნების ხელშეწყობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ თვითნებური დაკავება და დაპატიმრება შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს, იგი ძირითადად დაკავშირებულია გადაუდებელ აუცილებლობასთან.⁵³ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევების მკაფიოდ განმარტების აუცილებლობას, მით უმეტეს, რომ საერთაშორისო სტანდარტები და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, შექმნას ხელმისაწვდომი, ადვილად განჭვრეტადი და არაორაზროვანი კანონმდებლობა, რომლითაც სამართლებრივად უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის თავისუფლება და უსაფრთხოება. კანონმდებლობა მაქსიმალური სიკაცხადით უნდა აყალიბებდეს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების ცნებას, რათა არ ქმნიდეს პროცესის მწარმოებელი პირების მხრიდან თვითნებობის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ, როგორც საქმეზე – *გუსინსკი რუსეთის წინააღმდეგ (Gusinskiy v. Russia)* (2004 წელი) – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, თუმცა სსსკ ითვალისწინებდა განსაკუთრებულ შემთხვევებში დაკავების გამოყენებას სასამართლოს ნებართვის გარეშე, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეძლო სასამართლო პრაქტიკიდან იმ მაგალითების წარმოდგენა, რომლებიც განმარტავდნენ ასეთი განსაკუთრებული შემთხვევების მნიშვნელობას. ამდენად,

53 *Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors, and Lawyers*, 2003, 161.

ვერ იქნა წარმოდგენილი დამაჯერებელი არგუმენტი, რომ საფუძველი, რომლითაც პირს შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება ასეთი გარემოებების არსებობისას, პასუხობდა მე-5 მუხლის ფარგლებში კანონის ხარისხს.⁵⁴

შსსკ-ის 171(3)ე მუხლი სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავებას იმ შემთხვევაში ითვალისწინებს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია, სავარაუდოდ, ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა. აღნიშნულთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის მაქსიმალურად მკაფიოდ და მისი გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რათა გამოირიცხოს სუბიექტური კრიტერიუმის დომინირება ობიექტურთან მიმართებით.

2.1. დასაბუთებული ვარაუდი

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მე-5(1)(გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თავისუფლების შეზღუდვის თითოეულ საფუძველს, იგი დიდ ყურადღებას მანიც „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტზე ამახვილებს.

კონვენციის მე-5(1)(გ) ქვეპუნქტი კანონიერად აღიარებს „პირის კანონიერ დაკავებას ან დაპატიმრებას უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენისა თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა“.

საქართველოს სსსკ-ის კოდექსი, ისევე როგორც კონვენციის მე-5(1) მუხლი, ითვალისწინებს პირისათვის თავისუფლების შეზღუდვას, როგორც დანაშაულის ჩადენის წინ, ისე ჩადენის შემდეგ, მაგრამ ვინაიდან თავისუფლების შეზღუდვის გამოყენებისას ერთმანეთს უპირისპირდება კანონმდებლობით დაცული ორი სიკეთე — პირის თავისუფლება და დანაშაულის გახსნის სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესი, საქართველოს სსსკ-ის მე-12(4) თანახმად, დანაშაულის გახსნის ლეგიტიმურ ინტერესს გადაწონის საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცული სიკეთე. სწორედ ამიტომ, სსსკ დაკავების/დაპატიმრების გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთე-

⁵⁴ *Gusinskiy v. Russia*, 19 May 2004.

ბული ვარაუდი პირის მიერ დანაშაულის ჩადენისა და მისი თავისუფლების შეზღუდვის გარეშე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საფრთხის შექმნის თაობაზე.

აღნიშნული გულისხმობს, რომ ვარაუდი უნდა ეხებოდეს:

1. ისეთი ქმედების ჩადენას, რომელიც შეიცავს სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს,⁵⁵ თუმცა არ გულისხმობს დანაშაულის ჩადენის ფაქტის უდავოდ დადგენას;

2. თავისუფლებაზეზღუდული პირის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას. ვინაიდან, თუ არ არსებობს სავარაუდო დანაშაული, არ არსებობს დაკავების მთავარი მიზანი — მართლმსაჯულების განხორციელება, ანუ პირის დაკავება იმ დროს, როდესაც სახეზე არ არის დანაშაული, არ ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. ამავდროულად, თუ სახეზეა დანაშაულის ფაქტი, მაგრამ არ არსებობს პირის კავშირი ამ დანაშაულთან, მისი დაკავება, ასევე, არ არის მიმართული ლეგიტიმური მიზნის მიღწევისაკენ.⁵⁶

3. ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილი დაკავების გამოყენებას უშვებს იმ დანაშაულების შემთხვევაში, რომლებისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, ამიტომ დაკავებაზე უფლებამოსილი პირი არა მხოლოდ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პირის მიერ, რომელსაც აკავებს, ჩადენილია დანაშაული, არამედ უნდა შეეძლოს გაარკვიოს, რომ სახეზეა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას.⁵⁷

4. პირის მიმალვას, სასამართლოში გამოუცხადებლობას, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებას ან ახალი დანაშაულის ჩადენას.

რა შემთხვევაში ჩაითვლება ვარაუდი საფუძვლიანად, გარემოებების რა რაოდენობა უნდა იქნეს დამტკიცებული, ან რას უნდა ეხებოდეს იგი იმისათვის, რომ მიჩნეულ იქნეს საფუძვლიანად, საჭიროა თუ არა პირის თავისუფლების შეზღუდვისათვის მტკიცებულებების იმ მოცულობით წარდგენა, რაც დაამტკიცებდა მის მონაწილეობას დანაშაულში? – ეს არის ის საკითხები, რომლებიც უკავშირდება დაკავების გამოყენებას.

ვინაიდან ეჭვი და ვარაუდი ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულებაა და არ არის კანონმდებლის მიერ ამომწურავად განსაზღვრადი კატეგორია, გაჩნდება თუ არა ის, დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მრავალი ობიექტური

55 *Lukanov v. Bulgaria*, 20 March, 1997; *Steel and others v the United Kingdom*, 23 September 1998. para. 54.

56 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება #2/1/415, 6 აპრილი, 2009 წელი.

57 იქვე.

და სუბიექტური გარემოების ერთობლიობაზე. შსსკ-ის მე-3 მუხლი დასაბუთებულ ვარაუდად მიიჩნევს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომლებიც მოცემულ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ. შესაბამისად, საქართველოს სსსკ არ ითვალისწინებს და ვერც გაითვალისწინებდა „დასაბუთებული ვარაუდის“ საფუძვლების ჩამონათვალს. ისინი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, თუმცა პირის თავისუფლებაში ჩარევა ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია მხოლოდ სუბიექტურ განწყობაზე დამყარებული ვარაუდის საფუძველზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეჭვი კეთილსინდისიერად არის წარმოშობილი, მას არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება, თუ არ არსებობს ფაქტები ან ინფორმაცია, რომელიც დაარწმუნებს ობიექტურ დამკვირვებელს, რომ პირს შეეძლო დანაშაულის ჩადენა. სწორედ ამიტომ, სსსკ-იდან გამომდინარე, იგი უნდა იყოს, პირველ რიგში, ობიექტური, გონივრული, საფუძვლიანი და ეჭვის მიმტანს განაწყობდეს იმ შეგნებით, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული.

მხოლოდ ის გარემოება, რომ პირი შეიძლება მიიმალოს, სსსკ-ში ჩამოთვლილი დაკავების სხვა საფუძვლებისგან განსხვავებით, ვერ წარმოშობს ეჭვს, რომ მან დანაშაული ჩაიდინა.⁵⁸ საგამოძიებო ორგანოებმა ალკვეთის ლონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენების შესახებ შუამდგომლობაში უნდა მიუთითონ ის მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია „ბრალდების წარდგენისათვის და, მით უმეტეს, დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალდებულად ცნობისათვის“,⁵⁹ თუმცა ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ მტკიცებულებები საკმარისი უნდა იყოს პირის მსჯავრდების ან მისი ბრალის დადასტურებისათვის.⁶⁰ უფრო მეტიც, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთან მიმართებით, ევროპული სასამართლო „დასაბუთებულობის უფრო დაბალ ხარისხს“ იყენებს. კერძოდ, ტერორიზმის განსაკუთრებული ბუნებიდან გამომდინარე, ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირის დასაპატიმრებლად ეჭვის საფუძვლიანობა შეიძლება ყოველთვის იმავე კრიტერიუმებით არ შეფასდეს, რაც სხვა დანაშაულთა შემთხვევაში გამოიყენება, თუმცა ამ მიზეზით არ შეიძლება გამართლებული იყოს: დასაბუთებულობის ცნების იმგვარი ვიწრო გაგება, როდესაც დაირღვევა პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი გარანტიები.⁶¹

სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ, „თუმცა ევროპული კონვენცი-

58 იქვე.

59 *Brogan v. the United Kingdom*, 24 November 1988; *Murray v. the United Kingdom*, 28 October, 1994.

60 *M. Janis, R. Kay, A. Bradley, European Human Rights Law*, 2008, 608, 652.

61 ადამიანის უფლებები და პოლიცია, პრაქტიკული კურსი, სტრასბურგი, 1998, 40.

ის მე-5(1)(გ) მუხლი მოითხოვს „დასაბუთებულ ვარაუდს“, როგორც თვითნებური დაპატიმრების სანინალმდეგო გარანტიის ერთ-ერთ კომპონენტს, ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, თუკი არსებობს ფაქტები ან ინფორმაცია, რომელთა საფუძველზეც მიუკერძოებლად შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ ბრალდებულს შეეძლო დანაშაულის ჩადენა. ამიტომაც ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულება არ მოითხოვება.“⁶²

ამდენად, ვარაუდი დასაბუთებულია, თუ არსებობს ობიექტური ბმა დანაშაულსა და დაკავებულ პირს შორის, ობიექტური გარემოებები, მონაცემები, რომლებიც შექმნის იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ჩადენილია დანაშაული და ეს დანაშაული ჩადენილია სწორედ იმ პირის მიერ, რომელსაც აკავებენ. „გქონდეს „საფუძვლიანი ეჭვი“ – ნიშნავს იმგვარი ფაქტებისა და ინფორმაციის არსებობას, რაც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, თუმცა რა შეიძლება ჩაითვალოს „საფუძვლიანად“, დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე.“⁶³ იმავდროულად, ეჭვის [ვარაუდის] საფუძვლიანობის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი არის მისი სანდოობა და *bona fide*.⁶⁴ მსგავსი მიდგომა ბრინეგარის საქმეში ჩამოაყალიბა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ: „საფუძვლიანი ეჭვი სახეზეა მაშინ, როდესაც ფაქტები და გარემოებები, რომელთა თაობაზეც სამართალდამცავ პირს აქვს გონივრულად სარწმუნო ინფორმაცია, არის თავისთავად საკმარისი, რათა გონივრულად წინდახედულმა ადამიანმა დაიჯეროს, რომ დანაშაული იქნა ჩადენილი ან სჩადიან.“⁶⁵

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ პოლიციის ოფიცრის ქმედების გონივრულობის შესაფასებლად საჭიროდ მიიჩნია ფოკუსირება ხელისუფლების ინტერესზე, რასაც უნდა გაემართლებინა ოფიცრის ჩარევა მოქალაქის კონსტიტუციით დაცულ ინტერესებში. თავისი მოქმედების გამართლებისათვის პოლიციის ოფიცერს უნდა მოეთითებინა კონკრეტული და დასახელებადი ფაქტები, რომლებიც, ერთად აღებული, ქმნიდა ამ ფაქტების საფუძველზე იმგვარი რაციონალური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, რაც გაამართლებდა ჩარევას. სასამართლოს აზრით, ჩარევის გონივრულობის შეფასებისას მოსამართლეს უნდა ეხელმძღვანელა ობიექტური სტანდარტით: ჩარევის მომენტში ოფიცრისათვის ცნობილი ფაქტები თუ დაარწმუნებდა გონივრულად წინდახედულ ადამიანს ჩარევის აუცილებლობაში.⁶⁶

62 სლოვაკეთის საკონსტიტუტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 10 ივლისი, 2002 წელი.

63 *Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom*, 30 August, 1990.

64 *Murray v. United Kingdom*, 28 October, 2994.

65 *Brinegar v. United States*, 338 US160, 68 S.Ct.1302(1949).

66 *Terry v. Ohio*, 392 U.S.1(1968).

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი უზრუნველყოფს პირისათვის თავისუფლების შეზღუდვის დასაშვებობას ვარაუდის საფუძვლიანობის შემთხვევაში და გამორიცხავს თვითნებობას.⁶⁷ შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლების შეზღუდვა ხდება დანაშაულის ჩადენამდე, დაუშვებელია, თავისუფლების აღკვეთას საფუძვლად დაედოს წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულება, აზრი ან შიში იმისა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ ქმედებას.⁶⁸ პირის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მართალია, შეიძლება იყოს ვარაუდის წარმოშობის მიზეზი, მაგრამ ის არ უნდა იყოს ერთადერთი საფუძველი⁶⁹ და უნდა უკავშირდებოდეს პირის მიერ ამჟამად განხორციელებულ მოქმედებებს.⁷⁰

ამდენად, ვარაუდის დასაბუთებულობა მოითხოვს არა მარტო გარკვეული კავშირის დადგენას თავისუფლებააღკვეთილ პირსა და იმ მოქმედებას შორის, რომელიც, სავარაუდოდ, არის დანაშაული, არამედ ასევე საკმარისი საფუძველი არსებობს იმის მტკიცებისათვის, რომ ეს ქმედება შეიცავს იმ სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს, რომლისთვისაც სსსკ ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენების შესაძლებლობას.⁷¹

ამდენად, ვინაიდან დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენება მიმართულია მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისაკენ, დაუშვებელია მისი გამოყენება სადამსჯელო მიზნებისათვის.⁷² საქართველოს სსსკ პირის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების სახით დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენებას იმავდროულად უკავშირებს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საფრთხის შექმნის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობას. მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლაში სსსკ გულისხმობს მიმალვას და სასამართლოში გამოცხადებისათვის თავის არიდებას, შემდგომ დანაშაულებრივ საქმიანობას — ახალი დანაშაულის ჩადენას, მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლას და განაჩენის აღსრულებისათვის საფრთხის შექმნას.

2.2. პირის მიმალვის საფრთხე

მიმალვა გულისხმობს მომავალ საფრთხეს, რომ პირი თავს აარიდებს გამოძიებას და სასამართლოს. მიმალვა თავის თავში ასევე მოიცავს საფრთხეს, რომ პირი

67 *Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers*, 2003, 174.

68 *Caballero v. United Kingdom*, 8 February, 2000.

69 *Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom*, 30 August, 1990.

70 *K.-F. v. Germany*, 27 November, 1997; *Punzelt v. the Czech Republic*, 25 April, 2000.

71 *Lukanov v. Bulgaria*, 20 March, 1007.

72 *Ch. Morgenstern, Pre-trial/remand detention in Europe: Facts and Figures and the Need for Common Minimum Standards*, *ERA Forum*, N9(2009), 538.

განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას, ჩაიდენს დანაშაულს, თუნდაც იმისათვის, რომ ხელში არ ჩაუვარდეს საგამოძიებო ორგანოებს, გაანადგურებს მტკიცებულებებს, თუ მიეცემა ამის საშუალება. საბოლოო ჯამში, უკიდურესად გართულებდა, თუ საერთოდ შეუძლებელი არ გახდება, შესაბამისი პირის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელება.⁷³

არ არსებობს პირის მიმალვის საფრთხის შესაფასებლად დაწესებული ზოგადი კრიტერიუმები და საფრთხის არსებობა საქმის ყველა გარემოების ანალიზის, ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასების საფუძველზე უნდა დადგინდეს.⁷⁴ კერძოდ, მიმალვის საფრთხის არსებობის შესაფასებლად აუცილებელია პირისათვის შერაცხული ქმედების არსისა და სიმძიმის, მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრის, საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინება. უნდა გადაისინჯოს ის გარემოებები, რომელთა გამოც პირი შეიძლება მიიმალოს, მისთვის იმ უარყოფითი შედეგის მიუხედავად, რაც ასეთმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს. იმავდროულად, დროის გასვლასა და წინასწარი დაკავების ადგილას გატარებული ვადის ხანგრძლივობასთან ერთად, მცირდება მიმალვის საფრთხეც. პირობები, რომლებიც საფუძველად დაედო დაპატიმრების შესახებ თავდაპირველ გადაწყვეტილებას, ვადის გაგრძელების მომენტისათვის შეიძლება შეიცვალოს, რადგან დროთა განმავლობაში შეიძლება წარმოიშვას გარემოებები, რომლებიც ამცირებენ პირის მიმალვის საშიშროებას. სწორედ ამიტომ, აუცილებელია გადაწყვეტილების დასაბუთება საქმის კონკრეტულ გარემოებებზე მითითებით, რათა მოგვიანებით შესაძლებელი გახდეს იმის განსაზღვრა, შექმნილ კონკრეტულ ვითარებაში დროის გასვლამ თუ შეიძლება უბიძგოს ბრალდებულს მიმალვისაკენ. და ბოლოს, ის ფაქტი, რომ ბრალდება უკვე ჩამოყალიბებულია, არ ქმნის საკმარის საფუძველს მიმალვის საფრთხის რეალურობისათვის, რადგან პატიმრობის ვადის გაგრძელება შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ბრალდებები გამყარებულია სერიოზული ხასიათის მსჯავრდებით, რაც კვლავაც სააპელაციო გასაჩივრების საგანია.

დაუსაბუთებლად და ბრალდებულის თავისუფლებაზე უფლების ხელყოფად მიიჩნევა ბრალდებულის მიმალვის საფრთხის შეფასება მხოლოდ ჩადენილი ქმედების სიმძიმის საფუძველზე,⁷⁵ თუ არ ხდება საქმესთან დაკავშირებული სხვა გარე-

⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/1/415, 6 აპრილი, 2009 წელი.

⁷⁴ *Letellier v. France*, 26 June, 1991; *Yağci and Sargin v. Turkey*, 8 June, 1995.

⁷⁵ მაგალითად, აშშ-ის ზოგიერთი შტატი ითვალისწინებს დანაშაულის სიმძიმეს, როგორც დაპატიმრების გამოყენების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საფუძველს. აღნიშნული უკავშირდება ბრალდებული მიმალვის პრეზუმფციას ან არის სავალდებულო დაპატიმრების საფუძველი იმ შტატებში, სადაც დაუშვებელია ბრალდების სიმძიმის გამო გირაოთი გათავისუფლება.

მოებების გათვალისწინება, როგორებიცაა: ბრალდებულის ნასამართლობა, ციხეში გატარებული დროის გავლენა ბრალდებულზე და სხვა., არ შეიძლება მიმალვის საფრთხის შეფასება მხოლოდ ბრალდებულისათვის მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრით. დაპატიმრების არსთან დაკავშირებული ლეგიტიმური კონსტიტუციური საფუძველი არ არის არც შესაბამის სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ზოგადი სოციალური საფრთხე. მას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სასჯელის ერთ-ერთი პრევენციისათვის და გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, ჯერ დაადგინოს ბრალდებულის ბრალეულობა სასამართლო განხილვის გზით, რომლის მსვლელობისას დაცული იქნება სასამართლო განხილვის მიუკერძოებლობა და ბრალდებულის უფლებები. სწორედ ამიტომ, მიმალვის საფუძველით დაპატიმრების ვადის გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხის განხილვისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ისეთი გარემოებები, როგორებიცაა:

ა) ბრალდებულის პიროვნებისა და ხასიათის თავისებურებები,⁷⁶ — ბრალდებულის აშკარა სიძულვილი პატიმრობისადმი,⁷⁷ წარსულში პროცესის მწარმოებელ ორგანოში გამოძახებისთანავე გამოცხადება;⁷⁸

ბ) მის ხელთ არსებული ფინანსური რესურსები, ქონება, რომლის დატოვებაც მას მოუწევს მიმალვის შემთხვევაში;

გ) ოჯახური მდგომარეობა და კავშირები;⁷⁹

დ) ბრალდებულის კავშირები საზღვარგარეთ;

ე) მოსალოდნელი განაჩენის სიმკაცრე;

ვ) ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის განსაკუთრებული პირობები;

ზ) ბრალდებულის მჭიდრო კონტაქტები მისი დაკავების ქვეყანაში;⁸⁰

თ) გარანტიების ხარისხი, რომლითაც უზრუნველყოფილია პირის სასამართლოში გამოცხადება⁸¹ და ა.შ.

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოძიების შემდგომ ეტაპზე ბრალდებულის მიმალვის საფრთხის არსებობის შეფასებისათვის დამატებით სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა იქნეს განხილული და არა მარტო ჩადენილი დანაშაულის სერიოზულობა და სასჯელის სიმკაცრე.⁸² იგი პატიმრობის

76 *Letellier v. France*, 26 June, 1991; *Matznetter v. Austria*, 20 November 1969.

77 *Stögmüller v. Austria*, 10 November, 1969.

78 *W v. Switzerland*, 26 January, 1993.

79 *Letellier v. France*, 26 June, 1991.

80 *W v. Switzerland*, 26 January, 1993; *Punzelt v. the Czech Republic*, 25 April 2000; *Barfuss v. the Czech Republic*, 31 July, 2000.

81 *Wemhoff v. the Federal Republic of Germany*, 27 June, 1986; *Letellier v. France*, 26 June, 1991.

82 ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 15 აპრილი, 1996 წელი; თ. მამუკელაშვილი, რ. ტუშური, ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით, თბ., 2004, 130.

სამართლებრივი საფუძვლებისა და პირობების შეფასებისას ყურადღებას ამახვილებს ესპანეთის პრეცედენტულ სამართალში ჩამოყალიბებულ ორ კრიტერიუმზე, რომელთა არსებობა განსაზღვრავს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენისა და მიმალვის საფრთხის შესახებ დასაბუთებულ ვარაუდს:

1. შერაცხული დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე, მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრე, ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები და საქმის გარემოებები;

2. თავისუფლების ფაქტობრივი შეზღუდვიდან ვადის გაგრძელების შესახებ გადანყვეტილების მიღებამდე გასული დროის ხანგრძლივობა. დროის ხანგრძლივობიდან გამომდინარე ბრალდებულის პიროვნული და საქმის კონკრეტული გარემოებების გადასინჯვის აუცილებლობა.

ცალკე აღებული არც ერთი ზემოაღნიშნული გარემოების არსებობა თავისთავად არ ამართლებს თავისუფლების შეზღუდვას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საფრთხე მთლიანობაში უნდა შეფასდეს და განხილულ იქნეს, თუ რამდენად იძლევა თითოეული ასეთი გარემოება პირის მიმალვის ვარაუდის საფუძველს, ვინაიდან შესაძლებელია, არცერთი ამ გარემოების არსებობა არ დადასტურდეს, ზოგიერთი მიჩნეული იქნეს დაუსაბუთებლად, ან არ ასახავდეს პირის რეალურ ქმედებებს.⁸³ ეჭვგარეშეა, რომ დადგენილება, რომელიც ყოველგვარი განმარტების გარეშე სტერეოტიპული სიტყვებით დასაბუთებს მიმალვის საფრთხის არსებობას, ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.⁸⁴ დაპატიმრების გამოყენებისას სასამართლოებმა უნდა განსაზღვრონ ის კონკრეტული გარემოება, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის მიმალვის საფრთხეზე და შეაფასონ იგი პროპორციულობის პრინციპის მიხედვითაც. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ, „როდესაც პატიმრობაში მყოფი პირის პატიმრობის გაგრძელების ერთადერთი მიზეზი არის ბრალდებულის მიმალვის შიში..., მაგრამ მისგან შესაძლებელია გარანტიის მიღება, რომ უზრუნველყოფილი იქნება [სასამართლო პროცესზე მისი] გამოცხადება, მოსალოდნელ პროცესამდე უნდა გაიცეს მისი გათავისუფლების ბრძანება“⁸⁵ და მოპოვებულ იქნეს სასამართლოში მისი გამოცხადების გარანტიები.⁸⁶

თუ ვერ ხერხდება ასეთი გარანტიების მოპოვება ან ისინი შეუსაბამოდაა მიჩნეული, სასამართლომ არ უნდა გამოიყენოს შედარებით მკაცრი ღონისძიება, თუკი იმავე მიზნის მიღწევა შესაძლებელია ნაკლებად მკაცრი იძულების ღონისძიებით: მაგალითად, ბრალდებულის გარკვეულ ადგილას ცხოვრების, პირადობის დამა-

83 *Stögmüller v. Austria*, 10 November 1969; *Letellier v. France*, 26 June, 1991.

84 *Jablonski v Poland*, 21 December, 2000; *Yağci and Sargin v. Turkey*, 8 June, 1995.

85 *Wemhoff v. the Federal Republic of Germany*, 27 June 1986; *Stögmüller v. Austria*, 10 November 1969.

86 *Wemhoff v. the Federal Republic of Germany*, 27 June, 1986.

დასტურებული დოკუმენტის ჩაბარების, პოლიციაში პერიოდულად გამოცხადების⁸⁷ და ა.შ. გზით. იმავდროულად აუცილებელია თანაზომიერების დაცვა. პატიმრობის ნაცვლად აღკვეთის სხვა ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში გამოცხადებისა და ჯეროვანი ქცევის უზრუნველყოფელი ღონისძიებები უნდა იყოს რეალისტური, შესრულებადი და არ უნდა იყოს იმდენად რთული, რომ თავისუფლების შეზღუდვისაგან გათავისუფლებას დაუკარგონ ძირითადი აზრი (ანუ თავისუფლების დაბრუნებას). სწორედ ამიტომ თავდებობა და გამოცხადების ვალდებულება უნდა იყოს გაქცევის მცდელობის ეფექტიანი დამაბრკოლებელი გარემოება. პირობით გათავისუფლების მიზანია, პირველ რიგში, უზრუნველყოს სასამართლოში პირის გამოცხადება და არ მოიცავს სასჯელის ან კომპენსაციის ფუნქციებს.

3. მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე

მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პოტენციურად ყველაზე ფართო გამოყენების მქონე საფუძველია. ის შეიძლება გამოიხატოს მონმეზე ზემოქმედებაში, მტკიცებულებების განადგურებაში, თანამზრახველებთან ერთად ერთობლივი პოზიციის შემუშავებაში და ა.შ.

ძნელია აბსოლუტურად ზუსტად იქნეს განჭვრეტილი იმ პირის ქცევა, რომლის პასუხისგებაში მიცემაც ხორციელდება. ამიტომ აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის საკითხის განხილვისას დგინდება ბრალდებულის სავარაუდო ქცევა, თუმცა დასკვნა ასეთი ქცევის შესახებ უნდა ემყარებოდეს არა ინტუიციურ ვარაუდებს, არამედ ობიექტურად დადგენილ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომ ბრალდებული შეიძლება მიიმალოს, ხელი შეუშალოს მართლმსაჯულების განხორციელებას, ჩაიდინოს ახალი დანაშაული ან თავი აარიდოს სასამართლოს განაჩენის აღსრულებას. მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე არ შეიძლება ძალიან განზოგადებულად იქნეს განხილული. სასამართლოს არ შეუძლია გაითვალისწინოს საფრთხე *in abstracto*, იმ ფაქტობრივი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში, რომლებიც დაადასტურებენ საფრთხის რეალურობას.⁸⁸ საკმარისად არ მიიჩნევა ვარაუდი იმის შესახებ, რომ გათავისუფლებით ბრალდებულს მიეცემა მონმეზე ზემოქმედების,⁸⁹ მტკიცებულებების განადგურების,⁹⁰ მტკიცებულებათა

87 ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, 2 დეკემბერი, 1998 წელი; თ. მამუკელაშვილი, რ. ტუმური, ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების გადანყვეტილებები ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით, თბ., 2004.

88 *Trzaska v. Poland*, 11 July, 2000.

89 *A. v. France*, 23 November, 1993; *W v. Switzerland*, 26 January, 1993.

90 *Wemhoff v. the Federal Republic of Germany*, 27 June, 1986.

ხშირი ცვლით გამოძიების გაჭიანურების ან გამოძიების შეცდომაში შესაყვანად⁹¹ მიმართული სხვა მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობა.⁹² საფრთხის არსებობა უნდა იყოს კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებზე დამყარებული⁹³ და, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მტკიცებულებებთან მიმართებით, ამ შემთხვევაშიც უნდა იქნეს შემონმბული მათი დასაშვებობა და დასაბუთებულობა. სასამართლომ უნდა განსაზღვროს, კონკრეტულად რა ტიპის ქმედებების, ვისთან მიმართებით და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის რომელი ხერხის ან საშუალების არსებობას მიიჩნევს დასაბუთებულად, მაგალითად, გამოძიების რთული ხასიათი ზრდის მტკიცებულებათა დაფარვის ან განადგურების რისკს სხვა მარტივ საქმეებთან შედარებით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული სპეციფიკური გარემოებები, რომლებიც, ბრალდებულის მდგომარეობიდან გამომდინარე, ამართლებს დაპატიმრების გამოყენებას.⁹⁴ გასათვალისწინებელია, რომ მონმეებზე ზეგავლენის ან მტკიცებულებების განადგურების საფრთხე მცირდება გამოძიების მიმდინარეობისა და საქმის წარმოების სტადიის შესაბამისად. ამიტომ რთულია საუბარი მონმეებზე ზემოქმედების თავიდან აცილების საფუძვლით დაპატიმრების გამოყენებაზე, თუ დასრულებულია ყველა საგამოძიებო მოქმედება, დაკითხულია ყველა მონმე და ა.შ.⁹⁵ მით უმეტეს, აღნიშნული საფუძვლით ვადის გაგრძელება არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს პროცესის დასრულების შემდეგ.⁹⁶

ა. დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების აუცილებლობა

ცალკეულ შემთხვევებში დაპატიმრების გამოყენების საფუძვლად სასამართლო მიიჩნევს ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას. თავის მხრივ, ეს საფუძველი მოიცავს როგორც სპეციალური რეციდივის, ისე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის მიზნით ისეთი დანაშაულების ჩადენას, როგორებიცაა: მტკიცებულებათა განადგურება, მონმეებზე ზემოქმედება და ა.შ. აღნიშნული განსაკუთრებულ კავშირშია სპეციალური სუბიექტის მქონე დანაშაუ-

91 *Clooth v. Belgium*, 12 December, 1991.

92 *Trzaska v. Poland*, 11 July, 2000. para. 65.

93 *Wemhoff v. Germany*, 27 June, 1968; *Kalashnikov v. Russia*, 15 July, 2002. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულის მიმართ წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის არანაირი მითითება იმ ფაქტებზე, რომლებიც დაამტკიცებდა ბრალდებულის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხის რეალურად არსებობას იმ დროს. მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის დასაბუთებულობა გარდაუვლად შემცირდა გამოძიების მიმდინარეობისა და მტკიცებულებათა მოძიების პროცესის დასრულების კვალობაზე.

94 *W v. Switzerland*, 26 January, 1993.

95 *Nevmerzhitsky v. Ukraine*, 2005.

96 *Muller v. France*, 17 March, 1997; *I.A. v. France*; 23 September, 1998.

ლის შემადგენლობებთან, სადაც დანაშაულის ჩადენა პირის ოფიციალური მოვალეობის შესრულებას უკავშირდება. სსსკ-ითა და საერთაშორისო აქტებით დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით, დაპატიმრების საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი. ვინაიდან დანაშაულთან, რომლის ჩადენაც პირის ოფიციალური მოვალეობის შესრულებას უკავშირდება, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საფრთხის არსებობა სპეციალური რეციდივის საფუძვლით დაუსაბუთებელია, თუ პირს შეწყვეტილი აქვს შრომითი ხელშეკრულება. იმის აბსტრაქტული შესაძლებლობა, რომ იგი იშოვის სხვა სამსახურს, არ არის პატიმრობის გამოყენების საკმარისი მიზეზი.⁹⁷

იმავედროულად, აღნიშნული საფუძვლით დაპატიმრების გამოყენებისას სასამართლომ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა განსაზღვროს, რა ქმნის ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის ჩადენის საფრთხის არსებობის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, კონკრეტულად რომელი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით იყენებს და რატომ არის სხვა აღკვეთის ღონისძიებები (მაგალითად: თანამდებობიდან გადაყენება, ელექტრონული მონიტორინგი, გარკვეული საქმიანობის ან გარკვეულ ადგილას ყოფნის აკრძალვა) არაეფექტიანი იმავე მიზნის მისაღწევად. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სსკ კრძალავს პირის დასჯას მისი აზრების, ზრახვებისა თუ კანონსაწინააღმდეგო მიზნებისა და სურვილებისათვის, ასეთ შემთხვევაშიც თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულია, თუ მიმართულია კონკრეტული დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ოღონდ პირის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას საფუძვლად უნდა დაედოს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებდნენ ახალი დანაშაულის ჩადენის შესახებ განზრახვის არსებობაზე. სწორედ ამიტომ, უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებლის მიერ დასახულ მიზანთან არაპროპორციულად და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა ნებართვას პირის დაკავებაზე იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს მას სხვა დანაშაულის ჩადენაში.⁹⁸ ანალოგიური დამოკიდებულება აქვს ევროპულ სასამართლოს, რომელმაც არაერთხელ აღნიშნა, რომ ასეთი საფუძვლით პირის თავისუფლების შეზღუდვისათვის აუცილებელია საქმეში არსებულ იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითება, რომლებიც დაასაბუთებენ გადაწყვეტილების მიღების მომენტში, რომ

⁹⁷ თ. მამუკელაშვილი, რ. ტუშური, ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით, თბ., 2004, 121.

⁹⁸ უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 8 სექტემბერი, 1999 წელი, 124.

ასეთი საფრთხე ემყარებოდა რეალურად არსებულ გარემოებებს.⁹⁹

თუმცა პირის ბრალდება მიძიმე დანაშაულში ცალკეულ შემთხვევებში განიხილება დანაშაულის აღკვეთის მოტივით დაპატიმრების გამოყენების კანონიერ საფუძვლად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა და პრეცედენტული სამართალი გვიჩვენებს, დაუშვებელია პირის ძირითადი თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ აბსტრაქტულ საფრთხეზე, სტერეოტიპებსა თუ შიშზე¹⁰⁰ დამყარებით. თანაზომიერებისა და კანონიერების პრინციპების დაცვაზე მსჯელობისათვის უნდა არსებობდეს კონკრეტული ფაქტობრივი მტკიცებულება, საფრთხის რეალურობა უნდა შეფასდეს საქმის გარემოებათა ერთობლიობის ტესტით, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბრალდებულის პიროვნება და მისი წარსული. როგორც აღინიშნა, თავისთავად პირის წინა ნასამართლობა, მისი მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისაკენ მნიშვნელოვანი, მაგრამ არასაკმარისი საფუძველია თავისუფლების შეზღუდვისათვის, განსაკუთრებით, თუ ჩადენილი დანაშაულები ერთმანეთისგან ხასიათითა და სიმძიმით განსხვავდება,¹⁰¹ სასამართლოს გადანყვეტილებაში მითითებული უნდა იქნეს, თუ, სავარაუდოდ, რა მოქმედებას განახორციელებს პირი მის მიმართ დაპატიმრების არგამოყენების შემთხვევაში, და მოსალოდნელია თუ არა ეს უახლოეს მომავალში.

ბ. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა

ევროპული კონვენცია პირის მიმართ დაპატიმრების გამოყენებას ასევე ითვალისწინებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, რაც, როგორც წესი, ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე, საზოგადოებისათვის რეალური და კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილებას უკავშირდება. იმავდროულად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, საქართველოს სსსკ-ის კანონმდებლობისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ცნებას ფართოდ განმარტავს და მოიაზრებს როგორც ბრალდებულისგან საზოგადოების დაცვას, ისე თავად ბრალდებულის დაცვას საზოგადოებისა და პროცესში მონაწილე პირების შურისძიებისაგან. აღნიშნული გამონაკლის შემთხვევებს მიეკუთვნება და არ შეიძლება ეყრდნობოდეს არც მხოლოდ წაყენებული ბრალდების და არც მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეს. უნდა არსებობდეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ ასეთი საფრთხის რეალურობასა და მისი თავიდან აცილების სხვა საშუალებების არაეფექტიანობაზე. იმავდროულად, როდესაც

⁹⁹ *Smirnova v. Russia*, 24 July, 2003.

¹⁰⁰ *I.A. v. France*, 23. September, 1998.

¹⁰¹ *Clooth v. Belgium*, 12 December, 1991; *Muller v. France*, 17 March, 1997.

საქმე ეხება ასეთ საფრთხეს, ზუსტად უნდა განისაზღვროს საფრთხის ხასიათი და ხარისხი. ეს საკმარის მყოფე და შეფასებითი კატეგორიაა, ვინაიდან ერთი და იმავე ქმედებიდან მომდინარე საფრთხე შესაძლებელია სხვადასხვაგვარად იქნეს აღქმული სხვადასხვა ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფში, საზოგადოების სხვადასხვა ფენაში.¹⁰²

მიუხედავად იმისა, რომ ვარაუდი დანაშაულის ჩადენის შესახებ, პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის ან მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა თავისუფლების შეზღუდვის საფუძველია, თავისუფლების შეზღუდვა ამ შემთხვევაშიც კი კანონიერი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ:

1. მისი მიზანია პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება; და
2. უზრუნველყოფილი იქნება პირის სასამართლოსათვის წარდგენა გონივრულ ვადაში პროცესის ჩატარებისა და გათავისუფლების შესაძლებლობის საკითხის განხილვის მიზნით.

4. დაპატიმრების ხანგრძლივობა

საქართველოს კანონმდებლობა პირის თავისუფლების შეზღუდვის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრავს 9 თვეს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით განსაზღვრული ეს ვადა მოიცავს მხოლოდ ბრალდებულის პატიმრობის ვადას და „არ შეიცავს განსასჯელის პატიმრობის ვადას მისთვის სასამართლოს მიერ კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებად“. ახალი სსსკ კიდეც უფრო ამცირებს ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების გამოყენების ვადების ხანგრძლივობას და შესაბამისობაში მოჰყავს ის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებასთან. კერძოდ, ახალი სსსკ-ის თანახმად, ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების გამოყენების 9-თვიანი ვადა მოიცავს როგორც გამოძიების, ისე აპელაციისა და კასაციის სტადიებსაც. შედეგად, გამოძიების სტადიაზე ბრალდებულის პატიმრობის მაქსიმალური ვადა შეადგენს 60 დღეს. ახალი სსსკ აღარ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებისა და, შესაბამისად, პატიმრობის ვადის სასამართლოს მიერ დამატებით 60 დღით გაგრძელების შესაძლებლობას, არ ადგენს ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების გამოყენების საწყის მინიმალურ ვადას, რითაც ხელს უწყობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი დაპატიმრების გონივრული ვადით გამოყენებას. სავსებით ნათელია, რომ დაპატიმრება გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ

¹⁰² *Minimum Standards for the Rights of the Accused During Arrest/Detention. See [http://www.arab-niaba.org].*

შემთხვევაში, როდესაც ის ემსახურება კანონიერ მიზანს და როდესაც მისი ხანგრძლივობა მისი მიზნის პროპორციულია.¹⁰³ ამიტომ, როგორც აღინიშნა, საერთაშორისო სამართალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც თავად დაპატიმრების გამოყენების, ისე მისი ხანგრძლივობის საკითხს. დაუშვებელია დაპატიმრების ვადის გონივრულობისა და კანონიერების აბსტრაქტულად განსაზღვრა. ვადის გონივრულობა უნდა შეფასდეს თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი გარემოებები, როგორებიცაა: დანაშაულის ხასიათი (გრანსასაზღვრო, ორგანიზებული დანაშაული, ტერორიზმი¹⁰⁴ და ა.შ.), ბრალდებულთა რაოდენობა, გამოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები, სამართლებრივი საკითხების სირთულე, ბრალდებულის ქცევა. აღნიშნული გარემოებებიც ვადის ხანგრძლივობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ამართლებს, როდესაც პროცესის მწარმოებელი ორგანოები იჩენენ „ჯეროვან გულმოდგინებას“.¹⁰⁵ როგორც საერთაშორისო და ქართული პრაქტიკის შესწავლა მოწმობს, მე-5(3) მუხლის დარღვევათა მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება სწორედ პროცესის მწარმოებელი ორგანოების მხრიდან სხვადასხვა ფორმით გამოვლენილ ჯეროვანი გულმოდგინების არარსებობას, რაც შესაძლებელია უკავშირდებოდეს მენეჯმენტთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებებს ან ცალკეული მონაწილეების მხრიდან მოვალეობების არაჯეროვანად შესრულებას.¹⁰⁶ სწორედ ამიტომ ვადის გაგრძელებისას სასამართლო მხედველობაში იღებს და ამონმებს, ერთი მხრივ, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ვარაუდის დასაბუთებულობას და, მეორე მხრივ, პროცესის მწარმოებელი ორგანოების მიერ საქმის „ჯეროვანი გულმოდგინებით წარმოებას.“¹⁰⁷

5. ვადის ხანგრძლივობის გადასინჯვის პერიოდულობა

პირის დაპატიმრების შემთხვევაში, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, დაპატიმრების გაგრძელების საკითხის გადასინჯვა უნდა ხდებოდეს კანონმდებლობით ან სასამართლოს მიერ დადგენილი დროის გონივრულად მოკლე პერიოდულობით არსებითი სასამართლო განხილვის თარიღის დანიშვნამდე, რისთვისაც პროცესის მწარმოებელ ორგანოს ეკისრება ვალდებულება, დროის გარკვეული პერიოდულობით წარუდგინოს სასამართლოს მის ხელთ არსებული თავისუფლების

¹⁰³ W. Shah, *Overview of Case Studies Relating to Pre-trial Detention, Fair Trials, March 2009*, 3.

¹⁰⁴ *Klass and Others v. Germany*, 6 September, 1978. paras. 48-49, 59; *Brogan and Others v. United Kingdom*, 29 November 1988, para. 48; *Murray v. United Kingdom*, 28 October, 1994.

¹⁰⁵ *Kalashnikov v. Russia*, 15 October, 2002; *Assenov v. Bulgaria*, 28 October, 1998.

¹⁰⁶ *Clooth v. Belgium*, 12 December, 1991.

¹⁰⁷ *W v. Switzerland*, 26 January 1993; *Assenov v. Bulgaria*, 28 October, 1998.

შეზღუდვის საფუძვლები და ბრალდებულს უნდა ჰქონდეს ავტომატური უფლება სასამართლოს წინაშე პერიოდულ წარდგენაზე, მისი თავისუფლების შეზღუდვის პერიოდული, სისტემატური გადასინჯვისთვის.¹⁰⁸

პატიმრობის ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, საზოგადოების ქეშმარიტი ინტერესები მოცემულ შემთხვევაში აღემატება პირადი თავისუფლების უფლებას. ამიტომ განმეორებითი დაპატიმრების ან დაპატიმრების ვადის გაგრძელება კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს უწყვეტი კავშირი სასამართლოს თავდაპირველ გადაწყვეტილებასა და განმეორებით დაპატიმრებას შორის.

სწორედ ამიტომ სასამართლო ვალდებულია, საქმის გარემოებათა ერთობლიობის გათვალისწინებით, განიხილოს და დეტალურად დაასაბუთოს ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების ვადის გაგრძელების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა, დაპატიმრების ვადის გაგრძელებისათვის სამართლებრივი და ფაქტობრივი, პროცესუალური და მატერიალურსამართლებრივი საფუძვლების არსებობა და მათი „შემზებლობა“ და „საკმარისობა“ მისი გაგრძელებისათვის. სასამართლომ უნდა აჩვენოს, როგორ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვადის გაგრძელების განმეორებელი მიზეზი კვლავაც არსებობს. ვადის გაგრძელების მიზეზი უნდა იყოს მისაღწევი მიზნის პროპორციული. საქმის გარემოებების დეტალური შესწავლა არ უნდა მიუთითებდეს, რომ დაპატიმრების შემდგომი პერიოდი ინვესს კონსტიტუციურად დაუშვებელ დისპროპორციულობას დაპატიმრების კანონიერ მიზანსა და სამართლის ნორმის მიზანს შორის, ამ შემთხვევაში — მის საერთო ხანგრძლივობასა და მის აუცილებლობას შორის. სასამართლოს განკარგულებაშია ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფელი უამრავი სხვა საშუალება, მათ შორის ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების ხელახლა გამოყენების შესაძლებლობა სამართალწარმოების შედარებით გვიანდელ სტადიაზე. ამიტომ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლები დაპატიმრების გამოყენებისათვის, სასამართლომ პატივი უნდა სცეს თანაზომიერების პრინციპს და გამოიყენოს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, თუ მისი მეშვეობითაც შესაძლებელია იმავე მიზნის მიღწევა.

მიუხედავად იმისა, რომ ვარაუდის საფუძვლიანობა ვადის გაგრძელების აუცილებელი წინაპირობაა, ვადის გასვლასთან ერთად იგი შეიძლება აღარ იქნეს საკმარისი პირის თავისუფლების შეზღუდვის დასაბუთებისათვის, ვინაიდან, ერთი მხრივ, შეიძლება არ დადასტურდეს ბრალდებულისათვის შერაცხული დანაშაულის

108 E. Васильева, *Вопросы Уголовного Процесса в Международных Актах*, 2007, 137.

ჩადენის ფაქტი,¹⁰⁹ გაიფანტოს ეჭვი ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ, დადგინდეს ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზანშეუწონლობა მისი ოჯახური ან ჯანმრთელობის მიმე მდგომარეობის გამო და ა.შ. სწორედ ამიტომ გარკვეული დროის შემდეგ სასამართლო უნდა დარწმუნდეს თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობაში სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებიც უშუალოდ ეხება განსახილველ სისხლისსამართლებრივ საქმეს და დამაჯერებლად ამტკიცებს ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ვადის შემდგომი გაგრძელების აუცილებლობას,¹¹⁰ უნდა შეამონმოს გამოძიების ორგანოების მიერ გამოძიების წარმოება „ჯეროვანი გულმოდგინებით“.¹¹¹ საინტერესოა ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც სადავოდ მიიჩნევს სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ დაპატიმრების გამოყენება უნდა განისაზღვროს იმ ნაბიჯებთან მიმართებით, რომლებიც უკვე განხორციელებული იყო საქმის წარმოების პროცესში და აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ [ასეთი გადაწყვეტილებით] არსებითი ზემოქმედება მოახდინა საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებაზე, გადაწყვიტოს, როდის და რომელ მტკიცებულებას მიიღებს, შეაფასოს და აწონ-დანონოს ეს მტკიცებულება.

თუ ვადის გაგრძელების თაობაზე სასამართლომ არ გამოიჩინა დასაბუთებული და არგუმენტირებული გადაწყვეტილება საქმის გარემოებების დეტალური შესწავლის საფუძველზე, მაშინ ეს პროცედურა შეიძლება, უსამართლობის თავიდან აცილებისა და ბრალდებულის უფლებების დაცვის გარანტიის ნაცვლად, იქცეს, უბრალოდ, უსამართლობის კონსტანტირებად.

გამოძიების საწყის ეტაპზე პატიმრობა შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ დანაშაულის ხასიათისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრით, სისხლისსამართლებრივი დევნის დანებისა და დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების აუცილებლობით, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არარსებობით,¹¹² მაგრამ არც ერთი ეს გარემოება არ არის საკმარისი პატიმრობის ვადის გაგრძელებისათვის.¹¹³

ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრე¹¹⁴ და ბრალდების სიმძიმე თავისთავად არ ამართლებს დაპატიმრების ვადის გაგრძელებას. სახელმწიფომ დეტალურად უნდა შეისწავ-

109 *Brogan and Others v. United Kingdom*, 29 November, 1988; *Murray v. United Kingdom*, 28 October, 1994.

110 *Punzelt v. the Czech Republic*, 25 April 2000, para. 73.

111 *Scott v. Spain*, 18 December 1996.

112 *Melnikova v. Russia*, 21 June, 2007.

113 *Stögmüller v. Austria*, 10 November, 1969; *Clooth v. Belgium*; 12 December 1991; *Contrada v. Italy*, 24 August, 1998; *Jėčius v. Lithuania*, 31 July, 2000, *Barfuss v. the Czech Republic*, 1 July, 2000.

114 *Matznetter v. Austria*, 20 November, 1969; *Letellier v. France*, 26 June, 1991.

ლოს ახალწარმოქმნილი გარემოებები ბრალდებულის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერების უზრუნველყოფისათვის. წინა სტადიაზე მოყვანილი არგუმენტების გამეორება, ისევე როგორც შაბლონური ფორმულირება, – „ბრალდებულისათვის შერაცხული დანაშაულის ხასიათი და საქმეში არსებული მტკიცებულებები“, – დაპატიმრების გამოყენების კონკრეტული მოტივების მითითების გარეშე,¹¹⁵ არ არის საკმარისი დაპატიმრების ვადის გაგრძელების დასაბუთებისათვის. ევროპულმა სასამართლომ დარღვევად მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლომ გამოიყენა პრაქტიკულად შაბლონური ფორმულირება, ისეთი როგორიცაა „ბრალდებულისათვის შერაცხული დანაშაულის ხასიათი და საქმეში არსებული მტკიცებულებები“, და არ მიუთითა მოტივები. დასაბუთებული ვარაუდის არსებობა არის დაპატიმრების კანონიერების აუცილებელი პირობა. მეორე მხრივ, გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ იგი აღარ არის საკმარისი. ამ დროს სასამართლომ უნდა დაადგინოს, კვლავაც არსებობს თუ არა თავისუფლების შეზღუდვის სხვა მოტივები, არის თუ არ ისინი „არსებითი“ და „საკმარისი“, სასამართლო, ამას გარდა, ცდილობს, გამოარკვიოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მხრიდან „ჯეროვანი კეთილსინდისიერების“ არსებობა საქმის წარმოებისას.¹¹⁶ ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ჯანმრთელობის მდგომარეობა, ბრალდებულის კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვნები, სხვა ალტერნატიული პრევენციული ღონისძიებების არსებობა, ასევე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს დაპატიმრების კანონიერების საკითხის გადასაწყვეტად.

პატიმრობის ვადის გაგრძელება შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საზოგადოების ჭეშმარიტი ინტერესი, რომელიც, უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, გადაწონის უფლებას თავისუფლებაზე.¹¹⁷ სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, რომ თავისუფლების შეზღუდვის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში არსებობდეს ის მიზეზები, რომლებიც ამართლებენ მის გამოყენებას.¹¹⁸ როგორც კი აღმოიფხვრება მიმალვის, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის ან ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების საფრთხე, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. სწორედ ამიტომ ვადის გაგრძელება მაშინ არის დასაშვები, როდესაც არსებობს ვადის გაგრძელებისათვის არსებითი ხასიათის მიზეზები¹¹⁹ და ეს მიზეზები უკავშირდება ბრალდებულის პიროვნებას, რის გამოც თავისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელება შეიძლება გაუმართლებელი იყოს

115 *Demirel v Turkey*, 28 January, 2003, para. 58.

116 იქვე, 59-ე პუნქტი.

117 *J.G. v. Poland*, 6 April 2004, paras. 50 and 56.

118 *The Constitutional Court of the Republic of Croatia*, 7 December, 2005.

119 ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2 დეკემბერი, 1998 წელი.

მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებითაც კი.¹²⁰ ზუსტად დადგენა იმისა, თუ რა მომენტიდან არის საჭირო შემდგომი დამატებითი გარემოებების დადგენა დაპატიმრების ვადის გაგრძელებისათვის, შეუძლებელია. ყოველი საქმე არსებითად უნდა შეფასდეს იმ მომენტის ზუსტად განსაზღვრისათვის, როდესაც ბრალდებას ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები გამოსაძიებელ დანაშაულში ბრალდებულის ბრალეულობის დასაბუთებულ ვარაუდზე მეტი.

6. დასკვნა

პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების განუხრელი დაცვით სახელმწიფო ხელს უწყობს თავისი უსაფრთხოების დაცვას, რომლის გარეშეც შეუძლებელია ადამიანის უფლებების სრულყოფილი რეალიზება. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს თავისუფლების შეზღუდვების საფუძვლებისა და წესის მკაცრი საკანონმდებლო რეგლამენტაციის პარალელურად, დაკავების უფლებამოსილების მქონე პირთა წრის შეზღუდვას. ახალი სსსკ ავინროებს თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილების მქონე პირთა წრეს და მათ მიაკუთვნებს მხოლოდ გამოძიების ჩატარების უფლების მქონე ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, აწარმოებს გამოძიებას ან სისხლისსამართლებრივ დევნას. ის კრძალავს კერძო პირების მხრიდან ბრალდებულის დაკავების შესაძლებლობას სსსკ-ის 171-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებშიც კი [მათ შორის, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის ფაქტზე პირის წასწრების შემთხვევა], რითაც უზრუნველყოფს დაცვის დამატებითი გარანტიების დადგენას. ამავდროულად, როგორც აღნიშნა, სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და პიროვნულ თავისუფლებას შორის ქვემარტივი ბალანსის დაცვისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვისას სისხლისსამართლებრივი პროცესი ემყარებოდეს საგამონაკლისო საფუძველს, იყოს განსაკუთრებული ზომა, ობიექტურად გამართლებული და გონივრულად ხანგრძლივი. როგორც სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, შენარჩუნებულია დაპატიმრების გამოყენების მცირედი, მაგრამ მაინც მზარდი ტენდენცია [2009 წელს შეადგენდა 51,1%-ს, ხოლო 2010 წლის I კვარტალში 52,6%-ს, მაშინ როდესაც 2008 წელს — 45,3%-ს]. საკმაოდ მაღალია სასამართლოების მიერ წინასწარი პატიმრობის გამოყენების შემთხვევები და ხშირია დაპატიმრების გამოყენება არასრულწლოვნების, ხანდაზმულებისა თუ ავადმყოფების მიმართაც, დაპატიმრების გამოყენება ე.წ. შაბლონური დასაბუთებებით სრულყოფილი და დეტალური

¹²⁰ I.A. v. France, 23 September, 1998; Letellier v. France, 26 June, 1991.

არგუმენტაციის გარეშე. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში მოსამართლეები ეთანხმებიან ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მწირ არგუმენტაციას, არ იხილავენ საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს ამ მიმართულებით, გადანყვეტილებში დეტალურად არ ასაბუთებენ, რომელ კონკრეტულ გარემოებას ეყრდნობა ვარაუდი ბრალდებულის მიმალვისა თუ მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის თაობაზე, დაპატიმრების გამოყენების აუცილებლობასა და პროპორციულობას. მათი გადანყვეტილებები ხშირად მოკლებულია საქმეში არსებული მასალების დეტალურ და სიღრმისეულ, კრიტიკულ ანალიზს, რის გარეშეც კანონმდებლობით დადგენილი გარანტიების არსებობა აზრსა და პრაქტიკულ დანიშნულებას კარგავს, რის შესახებაც არაერთხელ მიუთითა ევროპულმა სასამართლომ.

ახალი სსსკ ადგენს ალკვეთის ღონისძიებებთან ერთად ბრალდებულის მიმართ ალკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად აუცილებელი იძულების სხვა ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას, განსაზღვრავს ერთდროულად რამდენიმე მათგანის გამოყენების შესაძლებლობას და თან ითვალისწინებს მათს მხოლოდ სანიმუშო ჩამონათვალს, რითაც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ე.წ. სამოსამართლო სამართლის ჩამოყალიბებას და, მეორე მხრივ, დაპატიმრების შემთხვევების მაქსიმალურად შემცირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ უფრო იზრდება დაპატიმრების გამოყენებისა და მისი ხანგრძლივობის დასაბუთების აუცილებლობა.

ახალი სსსკ 206-ე მუხლი (ასევე 207-ე მუხლი) საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს ალკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის დასაშვებობის განხილვის კრიტერიუმებს და მოსამართლეებს ავალდებულებს, შეამონმოს შუამდგომლობის ფაქტობრივი და ფორმალური (საპროცესო) საფუძვლების არსებობა, მაგრამ არაფერს ამბობს მოსამართლის ვალდებულებაზე, დეტალურად დაასაბუთოს შუამდგომლობის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადანყვეტილება საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით. კერძოდ, 206-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ალკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინებაში უნდა აღინიშნოს: განჩინების შედგენის თარიღი და ადგილი; მოსამართლის, პროკურორის, ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ვინაობა, წარდგენილი ბრალდების არსი, მითითება ალკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან უარის თქმის შესახებ. ამასთანავე, ზუსტად უნდა მითითოს, რა არის განჩინების არსი და ვისზე ვრცელდება; რომელი თანამდებობის პირი ან ორგანოა ვალდებული, შეასრულოს განჩინება; მისი გასაჩივრების წესი; მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი. ამდენად, სსსკ ფორმალურად არ ადგენს მიღებული გადანყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას.

მაგისტრანტი მოსამართლეებისათვის განკუთვნილი პრაქტიკული რეკომენდაციების თანახმად, „მოსამართლემ უნდა დაასაბუთოს, რომელი ფაქტობრივი თუ საპროცესო გარემოება (თუ ორივე ერთად) გამოიწვევს ალკვეთის ღონისძიების გამოყენებას, ან რომელი ფაქტობრივი თუ საპროცესო გარემოება (თუ ორივე ერთად) ასაბუთებს მაგალითად, გირაოს გამოყენების საკმარისობას ალკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების უზრუნველსაყოფად.“¹²¹ ამავე დროს, ალკვეთის ღონისძიების სახით კონკრეტული გამოყენების დასაბუთებისათვის სასამართლოს განჩინების სამოტივაციო ნაწილში ითვალისწინებს შემდეგი სახის სანიმუშო ფორმულირების გაკეთებას: „ბრალდებულის დაკავებისას, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისას, მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების დაშვების ფაქტი, რაც გამოიწვევდა ალკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას საქმის მასალებით (შესაბამისი საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ოქმებით) არ დასტურდება.“

ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში მითითებული მტკიცებულების (შეიძლება ჩამოითვალოს, მაგალითად: ჩხრეკის, ამოცნობის ოქმები და ა.შ) და სხვა მასალების შესაბამისად, სახეზეა საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები (საკმარისი მტკიცებულებები) ბრალდებით გათვალისწინებული ქმედებისათვის ბრალდებულის მიმართ ალკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად.¹²²

შესაბამისად, მოსამართლეს ფორმალურად არ ეკისრება ვალდებულება, იმსჯელოს მხარეთა შუამდგომლობაში მითითებულ და მათ მიერ პროცესზე დამატებით წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, არ ეკისრება ვალდებულება, ამტკიცოს პირის მიმალვის ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის რეალურობა ზემოაღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით.

საკითხს დამატებით აქტუალობას სძენს ის ფაქტიც, რომ ახალი სსსკ დაპატიმრების მინიმალური ვადისა და დაპატიმრების გადასინჯვის პერიოდულობის განუსაზღვრელობით, მართალია, ითვალისწინებს პროცესში უფრო მაღალი სტანდარტის შემოღებას, რაც გულისხმობს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე დაპატიმრების ვადის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას, მაგრამ, იმავდროულად, ქმნის დაპატიმრების გამოყენების ყველა შემთხვევაში ავტომატურ რეჟიმში პირის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას 60 დღით. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი 2 თვით თავისუფლების შეზღუდვას არ მიიჩნევს დარღვევად, იგი ხაზგასმით აღნიშნავს ვადის

¹²¹ პრაქტიკული რეკომენდაციები სისხლის სამართლის პროცესის ძირითად საკითხებზე მაგისტრანტი მოსამართლეებისათვის, 24 დეკემბერი, 2007 წელი, გვ. 22.

¹²² იქვე, გვ. 21.

დამოკიდებულებას საგამოძიებო ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვანი კეთილსინდისიერებით განხორციელების საკითხთან და ადგენს, რომ დაუშვებელია თავისუფლების შეზღუდვა გამოძიების ხელშეწყობის მიზნებიდან გამომდინარე, დაპატიმრების გამოყენება გამოძიების მთელი ვადით და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ არ ითვალისწინებს არდაპატიმრების ვადის გაგრძელების საფუძვლების ჩამონათვალს და მოქმედი სსსკ-ისაგან განსხვავებით, საერთოდ არ ადგენს ვადის გაგრძელების ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა: საქმის სირთულე, ბრალდების სიმძიმის შეცვლა და ა.შ.

სსსკ-ის 206(8)-ე მუხლი დაცვის მხარეს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვით უფლებას ანიჭებს ნებისმიერ მომენტში, მაგრამ იმ პირობით, რომ შუამდგომლობის შეტანა უნდა უკავშირდებოდეს ახალი გარემოების გამოვლენას. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გადასინჯვა სსსკ-ით არ არის გათვალისწინებული, თუ საქმეზე ვერ მოხერხდა ახალი გარემოების გამოვლენა. საკითხს ართულებს ისიც, თუ რას მიიჩნევს სასამართლო ასეთ ახლად გამოვლენილ გარემოებად. კერძოდ: განიხილავს თუ არა სასამართლო აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხს, თუ ბრალდებულის მამხილებელი მტკიცებულებების მოძიება განხორციელდა თავდაპირველი 15 დღის განმავლობაში, დაიკითხა და ამოღებული იქნა ყველა ის მტკიცებულება, რომლის მოპოვებისათვის ხელის შეშლაც პოტენციურად შეეძლო ბრალდებულს და მომდევნო 15 დღის განმავლობაში საქმეზე საგამოძიებო მოქმედებები არ ხორციელდება და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სსსკ ადგენს დაპატიმრების გამოყენების ზღვრულ ხანგრძლივობას როგორც სამართალწარმოების სტადიებთან, ისე საქმის მთელ ხანგრძლივობასთან მიმართებით, აღნიშნული არ გამორიცხავს სისხლის სამართლის პროცესში დაპატიმრების ვადის არაგონივრულობას, მისი ხანმოკლეობის საფუძვლით, ვინაიდან სწორედ საქმის კონკრეტული გარემოებები, და არა მექანიკურად ვადის ხანგრძლივობა, განსაზღვრავს ვადის გონივრულობას, რადგან ნებისმიერი პერიოდი, ძალიან ხანმოკლეც კი, ყოველთვის უნდა იყოს გამართლებული. ამიტომ დაუშვებელია როგორც დაპატიმრების განუსაზღვრელი ვადით გამოყენება (მაგალითად, გამოძიების ხანგრძლივობის ვადით), ისე ერთიანი მოჭრილი ვადის დადგენა ყველა კატეგორიის საქმეებისათვის იმგვარად, რომ მოსამართლეს არ შეეძლოს საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე პატიმრობის ინდივიდუალური ხანგრძლივობის განსაზღვრა. აღნიშნული ხდება დღეს მოქმედ სსსკ-ში, რომლის თანახმად, დაპატიმრების შეფარდების შემთხვევაში სსსკ ადგენს თავდაპირველად მისი ორი თვით შეფარდებისა და შემდეგ ორჯერ თითო თვით გაგრძელების ვალდებულებას ისე, რომ მოსამართლეს არ ანიჭებს მისი უფრო მცირე

ხანგრძლივობით გამოყენების შესაძლებლობას. ამდენად, საქართველოს ახალი სსსკ, მართალია, მნიშვნელოვნად ამცირებს აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების ხანგრძლივობას და პატიმრობის სანჯისი მინიმალური ხანგრძლივობის დერეგლამენტაციით პროცესის მწარმოებელ სუბიექტს საქმის გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით თანაზომიერი და სამართლიანი ვადის დანესების შესაძლებლობას ანიჭებს, მაგრამ მოქმედი სსსკ განსხვავებით არ ადგენს მისი ხანგრძლივობის გადასინჯვის სავალდებულო პერიოდულობას, რითაც ქმნის სასამართლოს მიერ გამოძიების წარმოების მთელი ვადით დაპატიმრების გამოყენების შესაძლებლობას. ეს მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებსა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვადის გაგრძელების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმების შემოღებას და ბრალდების მხარის დისკრეციული უფლებამოსილების გონივრულად შეზღუდვას, კერძოდ, ვადის გაგრძელების გადასინჯვის გონივრული პერიოდულობის დადგენას სასამართლოს მიერ. მით უმეტეს, რომ სსსკ ითვალისწინებს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ვადის გაგრძელებას სსსკ-ით დადგენილი ფარგლების შემდეგაც ბრალდებულის შუამდგომლობით სამართლიანი სასამართლო განხილვის მიზნების უზრუნველყოფისათვის.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ახალი სსსკ ეყრდნობა პირის თავისუფლების პრეზუმფციის პრინციპს, ადგენს დაპატიმრებისა და დაკავების საგამონაკლისო საფუძვლით გამოყენების პრინციპს; საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და სტანდარტების დაკმაყოფილება სისხლის სამართლის პროცესში მნიშვნელოვანწილად მაინც დამოკიდებული იქნება, ერთი მხრივ, პროცესის მწარმოებელი პირების კეთილსინდისიერებასა და მათთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელებაზე და, მეორე მხრივ, საპროცესო კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, მასში ცვლილებების შეტანაზე ან საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დადგენაზე.

ქონებრივი რესტიტუცია ქართული კანონმდებლობისა და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე

ირაკლი ყანდაშვილი

ტერმინი „რესტიტუცია“ სამართლიანობის უფლების სასამართლო წესით დაცვის გამომხატველია. ის საშუალებას აძლევს დაზარალებულ პირებსა და პირთა ჯგუფს, დაუბრუნდეს ზარალის ან ზიანის მიყენებამდე არსებულ მდგომარეობას.

ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო სასამართლო წესით სამართლიანობის უფლების დაცვის გარანტია კარგად არის ჩამოყალიბებული დოკუმენტში – „ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უხეში დარღვევების მსხვერპლთა მიერ სასამართლო წესით სამართლიანობის უფლების დაცვის საშუალების შესახებ“ (2005 წელი), რომლის თანახმად, „რესტიტუციამ შეძლებისდაგვარად უნდა აღუდგინოს მსხვერპლს მდგომარეობა, რომელიც მას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უხეშად დარღვევის შემთხვევამდე ჰქონდა.“

ამ დოკუმენტის მიხედვით, რესტიტუცია „მოიცავს თავისუფლების, ადამიანის უფლებების, იდენტურობის, ოჯახური ცხოვრებისა და მოქალაქეობის აღდგენას, საცხოვრებელი ადგილის, დასაქმებისა და საკუთრების დაბრუნებას.“

რესტიტუციის ინსტიტუტი სამართლებრივ მეცნიერებასა და პრაქტიკაში სათავეს იღებს რომის სამართლიდან. რომის სამართალი იცნობდა რესტიტუციას, ანუ წინათ არსებული მდგომარეობის აღდგენას, ასევე იმ პირებისათვისაც, ვინც განიცადეს მნიშვნელოვანი ზარალი მოტყუების ან ძალადობით გარიგების შემთხვევაში.

სამოქალაქო სამართალში რესტიტუცია გულისხმობს გარიგების მხარეების მხრიდან მიღებულის დაბრუნებას, თუ გარიგება ბათილად იქნება მიჩნეული. პრაქტიკაში გამოყოფენ ორი სახის რესტიტუციის ცნებას: პირველი — როდესაც გარიგების შედეგად მიღებულს აბრუნებს ორივე მხარე და, მეორე, რესტიტუციას, როდესაც გარიგების შედეგად მიღებულს აბრუნებს არასათანადოდ მოქმედი მხარე.

როდესაც საქმე ეხება ქონებრივ რესტიტუციას, უნდა განიმარტოს ქონების, როგორც სამართლებრივი ტერმინის ცნება, კერძოდ: „ქონებად მიიჩნევა ყველა

ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.“¹

XX საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო სამართალში თანდათან დაიწყო ფორმირება რესტიტუციის ინსტიტუტმა, რაზეც მიუთითებს ამ პერიოდში მიღებული საერთაშორისო დოკუმენტები და ის გარემოებები, რომლებიც რესტიტუციის ინსტიტუტის ფორმირების წინაპირობად იქცა.

რესტიტუციის თემა სპეციფიკურია, უპირატესად ეხება ქონებრივი რესტიტუციის პროცესებს კონფლიქტების მიმდინარეობის, კონფლიქტებისა და კატასტროფების შემდგომ ვითარებაში. ყველა კონფლიქტსა თუ კატასტროფას ფართო სპექტრის, მეტ-ნაკლებად მსგავსი, პრობლემები ახლავს, რომლებიც ბინადრობას, მიწის მართვასა და საკუთრებას ეხება.

რესტიტუციის ინსტიტუტი რთული სამართლებრივი მექანიზმია, იგი არსებობს არა განყენებულად, არამედ სამართლებრივი წარმოების შემადგენელი ნაწილია და დაკავშირებულია სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან. რესტიტუციის დადგომას განაპირობებს ისეთი სამართლებრივი სიტუაციის ჩამოყალიბება, როდესაც პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ამ ინსტიტუტით იქნება შესაძლებელი. ეს მექანიზმი არ გამოიყენება ავტონომიურად, იგი არის სამართლებრივი სიტუაციის ლოგიკური შედეგი და მოითხოვს შექმნილი სიტუაციის მიზეზების სათანადოდ განხილვას.

ქონებრივი რესტიტუციის საკითხების გადაჭრა უპირველესად გულისხმობს იძულებით ქონებაჩამორთმეულთა, ისევე როგორც იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა პრობლემების ძირეულ გადაჭრას. აქ იგულისხმება მათი უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა საცხოვრებელსა და ქონებაზე, რომელიც დატოვეს, ან იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ შეიარაღებული კონფლიქტებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო.

უკანასკნელ წლებში მრავალი ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტი ჩამოყალიბდა, რომლებიც ემსახურება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რესტიტუციის უფლებების უზრუნველყოფას, ისევე როგორც მრავალი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტის, საპროგრამო განცხადებების, ხელშეკრულებებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დაცვას, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ქონებრივი რესტიტუციის უფლებებს.

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ქონებრივი რესტიტუციის პრაქტიკული ასპექტები, ტერმინის სამართლებრივი ანალიზი, ისევე როგორც ადამიანის

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 147-ე მუხლი.

უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში — ევროპული სასამართლო) პრაქტიკა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში — ევროპული კონვენცია) პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან (საკუთრების უფლება) მიმართებით, ისევე როგორც ქართული საკანონმდებლო ბაზა და არსებული პრაქტიკა ქონებრივი რესტიტუციის საკითხებთან დაკავშირებით.

2. ტერმინებს შორის „კონკურენცია“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 508-ე მუხლით გათვალისწინებული ორმხრივი რესტიტუციის, „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ქონებრივი რესტიტუციისა და ევროპული სასამართლოს მიერ დანერგილი „ქონებრივი რესტიტუციული სარჩელების“ ერთმანეთში აღრევა არ უნდა მოხდეს.

უფრო კონკრეტულად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 508-ე მუხლი ეხება ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ვალდებულების შეუსრულებლობისას ორმხრივი რესტიტუციის შემთხვევას, როდესაც „გამყიდველი იტოვებს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, როცა მყიდველი არ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, რა დროსაც ყოველი მხარე ვალდებულია დაუბრუნოს ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს.“²

რაც შეეხება „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ქონებრივ რესტიტუციას, ის უკავშირდება ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული ფიზიკური პირების ქონებრივ რესტიტუციას, ანუ ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონებით უზრუნველყოფას ან ქონებრივი ზიანის კომპენსაციას, კერძოდ: „კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული საცხოვრებელი ან სხვა უძრავი ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნებას.“³

როდესაც საუბარია ევროპული კონვენციის საფუძველზე ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ და დადგენილ რესტიტუციის ფაქტებზე, აქ საკითხთა სპექტრი უფრო ფართოა და ეხება ქონების უკანონოდ ჩამორთმეულთა სარჩელებს,

2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 508-ე მუხლი.

3 იხ. „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლი, „მ“ პუნქტი.

რომელთაც თავიანთ ქვეყანაში იმიტომ მიადგათ ზიანი, რომ სახელმწიფოს არ აქვს მიღებული კანონი რესტიტუციის შესახებ ან კანონის უზენაესობის პრინციპი არასრულად განხორციელდა.

3. საკუთრების უფლების შელახვიდან გამომდინარე ქონებრივი რესტიტუციის უფლება

საკუთრების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას, დიდი მნიშვნელობისა და დატვირთვის მატარებელია. ეს უფლება თვით ევროპული კონვენციის პირველ დამატებით ოქმში აისახა:

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს უფლება, მშვიდობიანად ისარგებლოს თავისი საკუთრებით. არ შეიძლება, ვინმეს ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა საჯარო ინტერესებისათვის და კანონით და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით“.

ეს მუხლი, ერთი მხრივ, აღიარებს საკუთრების უფლებას, თუმცა, მეორე მხრივ, აწესებს ისეთ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც შესაძლებელია უფლების მართლზომიერი შეზღუდვა, რა დროსაც აუცილებელია დადგინდეს, შენარჩუნებულია თუ არა სამართლიანი ბალანსი საზოგადოების საერთო ინტერესებსა და პირის ძირითად უფლებებს შორის.

ამ მხრივ აღსანიშნავია ასევე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი:

„1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.“

გასათვალისწინებელია, რომ საკუთრების უფლების დაცვის მყარ გარანტიებს იძლეოდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, რომლის 114-ე მუხლში აღნიშნულია:⁴

„საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე

4 საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, 114-ე მუხლი.

კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური, თუ კანონში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ იმ საქმეთა განხილვისას, რომლებიც საკუთრების უფლების სავარაუდო დარღვევას ეხება, სასამართლო ამონმებს:

ა) ხვდება თუ არა საკუთრების უფლების დარღვევა კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში, ისევე როგორც ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სტანდარტით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმების ფარგლებში;

ბ) განხორციელდა თუ არა ქონების რეალური ხელყოფა;

გ) ემსახურება თუ არა ხელყოფა კანონიერ მიზანს, თუ ხელყოფა უკანონოა?;

დ) ხელყოფის პროპორციულობას;

ე) ხდება თუ არა მატერიალური კომპენსაცია, თუ ქონების ფიზიკური რესტიტუცია შეუძლებელია.

შესაბამისად, საკუთრების უფლების შელახვა (და არა შეზღუდვა) დღის წესრიგში აყენებს ქონებრივი რესტიტუციის განხორციელების საჭიროებას და, უფრო მეტიც, ასეთი ფაქტის გამოვლენისას რესტიტუცია სავალდებულო სტანდარტია ევროპული სასამართლოს გაგებით.

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის, სავალდებულო ძალის მქონეა არა მხოლოდ კონვენციის ტექსტი, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომელთა მხარესაც წარმოადგენს მოპასუხე სახელმწიფო. უფრო მეტიც, ვინაიდან ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს პრეცედენტული ძალა აქვთ, საქართველოს სასამართლოებისათვის მნიშვნელოვანია მხედველობაში მიიღონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რადგან ანალოგიური საქმის განხილვისას მოსალოდნელია, რომ ევროპული სასამართლო საქართველოსთან დაკავშირებითაც ისეთსავე გადაწყვეტილებას მიიღებს, როგორც სხვა მოპასუხე სახელმწიფოებთან დაკავშირებით ერთხელ უკვე მიიღო.

ქონების ჩამორთმევასა და საკუთრების რესტიტუციასთან დაკავშირებით ევროპულ სასამართლოს საკმაოდ დიდი პრაქტიკა აქვს. საქართველოსთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნების მოქალაქეების მიერ წარდგენილ განაცხადებთან დაკავშირებით, რადგან ქონების

ჩამორთმევის მხრივ სიტუაცია ამ ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსგავსი იყო იმისა, რაც საქართველოში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში შეიქმნა.

ყოველთვის, როდესაც საქმე ეხება ქონების ჩამორთმევას, ევროპული სასამართლო ამონებებს, განხორციელდა თუ არა ქონების ჩამორთმევა იმ პირობების შესაბამისად, რომლებსაც ადგენს ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის პირველი აბზაცი. ამ უკანასკნელის თანახმად, იმისათვის, რომ ქონების ჩამორთმევა გამართლებულ იქნეს, აუცილებელია: ა) ამას მოითხოვდეს საზოგადოებრივი ინტერესები; ბ) ქონების ჩამორთმევა მოხდეს კანონით დადგენილი პირობებისა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

ამ პირობების შემონგებისას ევროპული სასამართლო არკვევს, დაცულია თუ არა „სამართლიანი ბალანსი საზოგადოების საჯარო ინტერესსა და ინდივიდის ფუნდამენტური ფუნქციების დაცვის მოთხოვნას შორის.“⁵ სასამართლოს აზრით, ასეთი ბალანსი არ არის დაცული იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების ჩამორთმევა ხდება დე-ფაქტო ექსპროპრიაციის სახით.⁶

უფრო მეტიც, დე-ფაქტო ექსპროპრიაციის შემთხვევაში უსაფუძვლო და უადგილო ხდება სახელმწიფოს არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ქონების ჩამორთმევა მოხდა დიდი ხნის წინ, მოცემული სახელმწიფოს მიერ ევროპული კონვენციის რატიფიცირებამდე და, რომ ამ მიზეზით თითქოს ქონების ჩამორთმევა არ შეიძლება გასაჩივრდეს *ratione temporis* (დროის ფაქტორის გათვალისწინებით). ასეთ არგუმენტაციას სტრასბურგის სასამართლო ყოველთვის პასუხობს იმით, რომ დე-ფაქტო ექსპროპრიაცია არის კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის „განგრძობადი დარღვევა“,⁷ რომელიც მოცემულ მომენტშიც გრძელდება და, აქედან გამომდინარე, ასეთი დარღვევის გასაჩივრება პირს ნებისმიერ დროს შეუძლია.⁸ თუ საჯარო და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვის გარეშე, კერძოდ, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე, განხორციელებულ ქონების ჩამორთმევას, განსაკუთრებით კი დე-ფაქტო ექსპროპრიაციას, ევროპული სასამართლო კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევად მიიჩნევს, ამგვარ დარღვევას იგი ვერ ხედავს იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ქონების ამჟამინდელი მფლობელისათვის ჩამორთმევა მისი თავდაპირველი მესაკუთრისათვის რესტიტუციის მიზნით. ორგანიზაცია *eskomoravská myslivecká jed-*

5 *Pressos Compania Naviera S.A. and Others v. Belgium*, 1995 წლის 20 ნოემბერი, 38-ე პუნქტი.

6 *Papamichalopoulos and Others v. Greece*, 1993 წლის 24 ივნისი, მე-40 პუნქტი; *Vasilescu v. Romania*, 1998 წლის 22 მაისი, 47-ე პუნქტი.

7 *Loizidou v. Turkey*, 1996 წლის წლის 18 დეკემბერი, 41-ე პუნქტი.

8 *Papamichalopoulos and Others v. Greece*, 1993 წლის 24 ივნისი, მე-40 პუნქტი; *Loizidou v. Turkey*, 1996 წლის 18 დეკემბერი, 41-ე პუნქტი; *Vasilescu v. Romania*, 1998 წლის 22 მაისი, 47-ე პუნქტი.

nota-ს განცხადება ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ⁹ ევროპულმა სასამართლომ უსაფუძვლოდ სცნო და უარი განაცხადა მის არსებითად განხილვაზე იმ მოტივით, რომ, სასამართლოს აზრით, ჩეხეთის სახელმწიფო თავისი დისკრეციული უფლების (*margin of appreciation*) ფარგლებში მოქმედებდა, როდესაც განმცხადებელს — *eskomoravská myslivecká jednota*-ს — რესტიტუციის კანონის საფუძველზე ჩამოართვა ქონება, რომელიც ამ უკანასკნელმა 1949 წელს სახელმწიფოს მიერ თავდაპირველი მესაკუთრისთვის კომპენსაციის გარეშე ჩამორთმევის შემდეგ შეიძინა. ამ შემთხვევაში ქონების ჩამორთმევა თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას ემსახურებოდა და ამიტომაც სამართლიან მოქმედებად იქნა მიჩნეული.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: „ამ აქტის (იგულისხმება რესტიტუციის აქტი - ი.ყ.) მიზანია, შეამსუბუქოს გარკვეული ზიანი, რომელიც დადგადემოკრატიული საზოგადოების პრინციპებსა და მოქალაქეთა უფლებებთან შეუთავსებელი ქმედებების განხორციელების შედეგად. ამ აქტის მიღებისას კანონმდებლებმა ხაზი გაუსვეს თავიანთ განზრახვას, აღეკვეთათ წარსულში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განმეორების შესაძლებლობა. ამდენად, რესტიტუციის აქტი იურიდიული მოქმედებების კანონიერების დაცვის კანონიერ მიზანს ემსახურება. იგი ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას და უზრუნველყოფს ანაზღაურებას იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები ასეთი პრინციპების დარღვევით განხორციელდა. კონკრეტული საქმის გარემოებებიდან, აგრეთვე სახელმწიფოს დისკრეციული უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ განცხადებით გასაჩივრებული ქონების ჩამორთმევა არა მხოლოდ მოცემული ქონების ნაციონალიზაციამდე არსებული მესაკუთრეების ინტერესებს ემსახურება, არამედ მთლიანად საზოგადოების საჯარო ინტერესებსაც.“¹⁰

5. ქართული სასამართლო პრაქტიკა და არსებული საკანონმდებლო სივრცე

საქართველოში კანონი რესტიტუციის შესახებ არ არსებობს, თუმცა, თუ გადავხედავთ საერთაშორისო თანამეგობრობის რეკომენდაციებს, აღნიშნულზე სერიოზული დაფიქრებაა საჭირო, კერძოდ; ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის „ჰელსინკის კომისიის წევრთა დადგენილება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს პრეზიდენტთან თანამშრომლობის შესახებ“

⁹ განაცხადი N33091/96.

¹⁰ *Escomoravská myslivecká jednota v. Czech Republic, Admissibility decision of 23 March 1999, Application N33091/96.*

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტია ამ მიმართულებით.

აღნიშნული დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, სადაც ნათლად ჩანს, თუ რას ელის და მოითხოვს საქართველოსაგან, „დემოკრატიის აკვნად“ ნოდებული ქვეყანა.

მიზანშეწონილია, ყურადღება გამახვილდეს ამ დოკუმენტის რამდენიმე ამონარიდზე:

ა) „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მხარი დაუჭირა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიულ ტენდენციებს უკანონოდ ჩამორთმეული ქონების კანონიერი მესაკუთრეებისათვის დაბრუნების საკითხში“;

ბ) „უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით პოზიტიური რეფორმების განხორციელება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის მსურველი ქვეყნებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია. ასეთივე კრიტერიუმს აყენებს მისი წევრობის მსურველი სახელმწიფოების წინაშე ევროკავშირიც“;

გ) „ქონების რესტიტუციის წარმატებით განხორციელება იმის მანიშნებელია, რომ კონკრეტულ ქვეყანაში დემოკრაციამ და კანონის უზენაესობამ ფესვები გაიდგა“;•

დ) „აღსანიშნავია, რომ ქონების რესტიტუციის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში გამოსავალი კომპენსაციის გადახდაა“;

ე) „სხვადასხვა საარქივო მასალის მოსაძიებლად, როგორც წესი, საჭიროა სახელმწიფო ორგანოთა სპეციალური ნებართვა, რაც ართულებს მტკიცებულებათა მოძიებას; მიგვაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საარქივო მასალები განადგურებულია, საჭიროა დაშვებულ იქნეს ალტერნატიული მტკიცებულებანი. რესტიტუციის პროცესი უნდა იყოს თანასწორი, პირებს არ უნდა მოეთხოვებოდეთ მოქალაქეობისა თუ საცხოვრებელი ადგილის შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა“;

ვ) „პრივატიზაციის პროგრამები უნდა მოიცავდეს მომჩივანთა დაცვის ღონისძიებებს“;

ზ) „როდესაც ქონების რესტიტუცია ვერ ხერხდება, მომჩივანმა უნდა მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია“;

თ) „რესტიტუციის შედეგი უნდა იყოს ქონების რეალური დაბრუნება კანონიერი მესაკუთრისათვის და არა, უბრალოდ, მფლობელობის უფლების გადაცემა“;

ი) „ჩვენ მოვითხოვთ ეუთოს წევრი ყველა ქვეყნისაგან, ქონების რესტიტუცია დამკვიდრებულ იქნეს მათ ქვეყანაში ისეთ დონეზე, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებს შეესაბამება“;

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რესტიტუციის კანონის არარსებობის მიუხედავად, შესაძლებელია ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ისეთი გადაწყვეტილებების

მოდიბაც, როდესაც სასამართლო სრულად ეყრდნობა და იზიარებს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, ისევე, როგორც ევროპული სასამართლოს პრაქტიკას რესტიტუციული სარჩელების მიმართ, კერძოდ, 2006 წლის 27 თებერვლის ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელეს დაუბრუნა ბოლშევიზმის პერიოდში უკანონოდ, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე, ჩამორთმეული უძრავი ქონება;

ასევე შეიძლება მცხეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 14 ნოემბრის სასამართლო გადაწყვეტილების მოშველიება, სადაც ასევე დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა და განმცხადებლებს დაუბრუნდათ უკანონოდ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთი.

მსგავს გადაწყვეტილებებს შორის აღსანიშნავია ასევე 2006 წლის 8 ივნისის სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რითაც მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ. სოხუმში მდებარე და მისთვის უკანონოდ ჩამორთმეული სახლის მესაკუთრედ.

6. დასკვნა

ზოგიერთ შემთხვევაში რესტიტუცია შეიძლება თავად გახდეს სხვა ადამიანის უფლებების დარღვევის სათავე. ამ დროს კომპენსაცია ნაკლებად აზარალებს იმ პიროვნებას, ვინც ფლობს დავის საგანს იმ მომენტში, თუმცა საბაზრო ეკონომიკის პირობებში თავად სახელმწიფო დგება მძიმე ეკონომიკური პრობლემების წინაშე. რესტიტუცია და კომპენსაცია — ეს აუცილებელი ელემენტებია, რათა გამოსწორდეს ადრე დაშვებული უსამართლობა, დამდგარი ზიანი. მათგან რომელიმე უნდა იქნეს გამოყენებული, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში არ ხდება საზოგადოებრივი მოლოდინის გამართლება და ირღვევა ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება.

მიზნისა და შედეგის სამართლებრივი მონესრიგების კუთხით აუცილებელია დაცულ იქნეს საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს კერძო საკუთრება საჯარო ინტერესების სასარგებლოდ, არ უნდა მოხდეს კერძო პირების ინტერესების დათრგუნვა და კერძო საკუთრების შეზღუდვის შედეგად მათ არ უნდა დაანვეთ დიდი ტვირთი.

სამართლის უზენაესობის კიდევ უფრო განმტკიცებისა და დანერგვის გზაზე საკუთრების უფლების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი გზა ზემოაღნიშნული სამართლებრივი საკითხიცაა, რისი სამართლებრივი დამუშავების საჭიროება დღის წესრიგში რჩება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის „რეალური“ კონსტიტუციური სარჩილების განხილვის უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივაები

მიხეილ შარაშიძე

„... სხვა არჩევანი არ არსებობს. კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ბათილია. ეს ბოჭავს როგორც სასამართლოებს, ისე ხელისუფლების სხვა განშტოებებსაც.“

Marbury v. Madison, 1803.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ (*Apostol v. Georgia*) – საკმაოდ ვრცლად იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი საშუალების, თაობაზე.¹ ამ გადაწყვეტილების მე-40, 44-ე და 46-ე პუნქტებში სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის (ვ) ქვეპუნქტი უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ინდივიდუალური მიმართვის უფლებას, ე.წ. „არარეალური“ საკონსტიტუციო საჩივრის ფორმით. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ ცალკეულ პირებს შეუძლიათ, ეჭვქვეშ დააყენონ მოქმედი კანონმდებლობის კონსტიტუციურობის საკითხი, თუმცა მათ არ შეუძლიათ გაასაჩივრონ სასამართლოების ან საჯარო უწყებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ ახდენენ გავლენას მათ კონკრეტულ მდგომარეობაზე.

სასამართლოს აზრით, ინდივიდუალური საკონსტიტუციო საჩივრის ეს მოდელი ჰგავს უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მოდელს, რომელიც საქმეში – ვენი უნგრეთის წინააღმდეგ – აღმოჩნდა, რომ კონვენციის 35-ე მუხლის² მიზნებისათვის არაეფექტიანი საშუალებაა. ამ დასკვნის მიზეზი გახდა ის, რომ უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, ემსჯელა მხოლოდ კანონების კონსტიტუციურობის კონტროლზე, ზოგადად, და არ შეეძლო სახელმწიფოს მიერ კერძო პირების წინააღმდეგ მიღებული კონკრეტული ღონისძიებების

¹ 2006 წლის 28 ნოემბერი.

² ევროპული კონვენციის 35-ე მუხლი განსაზღვრავს იმ სავალდებულო წესებს, რომელთა დაცვა აუცილებელია, რათა სტრასბურგის სასამართლომ განსახილველად მიიღოს კონკრეტული პირის საჩივარი.

გაუქმება ან შესწორება.³ სასამართლოს აზრით, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოება განსხვავდება სხვა ქვეყნების, მაგალითად: გერმანიის, ესპანეთისა და ჩეხეთის პრაქტიკისაგან. ამ ქვეყნებში არსებული „რეალური“ საკონსტიტუციო სარჩელები საშუალებას იძლევა, გამოსწორდეს თანამდებობის პირთა და სახელმწიფო უწყებათა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის ფაქტები ან, სადაც კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლების დარღვევა არის არა სასამართლო გადაწყვეტილების, არამედ სხვაგვარი ჩარევის შედეგი, უკრძალავს აღნიშნულ უწყებებს, განაგრძონ უფლების დარღვევა და ასევე მიუთითებს ამ უწყებებს, აღადგინონ სტატუს-კვო, თუ ეს შესაძლებელია.⁴ ამგვარი კონსტიტუციური სარჩელი ასევე შესაძლებელს ხდის, აღმოიფხვრას ის დარღვევები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის გამოწვეული სახელმწიფო ორგანოს ქმედებით ან უმოქმედობით, მიუხედავად იმ ფაქტებისა, რაც საფუძვლად დაედო სამართალწარმოებას. არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონის გაუქმებას შედეგად მოჰყვება, ხსენებულ კანონზე დაყრდნობით, სასამართლოების მიერ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების ანუღირება.⁵

ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი არ არის, გააუქმოს საჯარო უწყებების ან სასამართლოების მიერ გამოტანილი ის ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ ახდენენ გავლენას მოსარჩელის (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის) უფლებებზე. საკანონმდებლო ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად გამოცხადებას შედეგად არ მოჰყვება სადავო აქტის საფუძველზე უკვე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების ანუღირება. ევროპულმა სასამართლომ აპოსტოლის საქმეზე ასევე აღნიშნა, რომ „იმისათვის, რათა უფლებათა დაცვის საშუალება ეფექტიანი იყოს, მან, უბრალოდ, ირიბად კი არ უნდა დაიცვას კონვენციით გათვალისწინებული უფლებები,⁶ არამედ უნდა უზრუნველყოს კონკრეტული ზიანისათვის არსებული სასარჩელო პრეტენზიების პირდაპირი და სწრაფი დაკმაყოფილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპოსტოლის საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ საქართველოში ამჟამად არსებული ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის სისტემა, რომელსაც აკლია ეფექტიანი მექანიზ-

3 ვენი უნგრეთის წინააღმდეგ, 1993 წლის 30 ივნისი.

4 პარტმანი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, No.53341/99, 49-ე პუნქტი, ECHR 2003-VIII; სურმელი გერმანიის წინააღმდეგ, [GC], No.75529/01, 2006 წლის 8 ივნისი, 62-ე პუნქტი.

5 რიერა ბლუმის და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ, NNo.37680/97, 1999 წლის 9 მარტი; ვოგენტიტერი გერმანიის წინააღმდეგ, No.47169/99, 23-ე პუნქტი, ECHR 2004-I.

6 59-ე პუნქტი; დევეერი ბელგიის წინააღმდეგ, 1980 წლის 27 თებერვალი, 29-ე პუნქტი.

მი, შესთავაზოს მომჩივანს პირდაპირი და კონკრეტული საშუალებები ადამიანის უფლებების დარღვევათა შემთხვევების გამოსწორებისათვის, არ შეიძლება იქნეს განხილული უფლებათა დაცვის დაცვის სათანადო საშუალებად.

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი აღიარებს ადამიანისა და მოქალაქის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. კონსტიტუციის მე-7 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც ნარუვალ უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს... ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“ საქართველოს კონსტიტუციის დასახელებული დებულების მე-2 ნინადადების თანახმად, საქართველოს სახელმწიფო შეზღუდულია ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ეს კი ნიშნავს, რომ, „იურიდიული თვალსაზრისით, ძირითადი უფლებები სამართლის ნორმაა. ძირითადი უფლება, როგორც სამართლის ნორმა, ნორმატიული ხასიათისაა და, მაშასადამე, სავალდებულო ძალა აქვს, როგორც კონსტიტუციურ ნორმას. ძირითად უფლებებს აქვს უზენაესი იურიდიული ძალა. საქართველოს კონსტიტუცია ძირითად უფლებებს განმარტავს როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალს. კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებები არ მოითხოვს შემდეგ დაკონკრეტებას მიმდინარე კანონებში — ისინი შეიძლება უშუალოდ იქნეს გამოყენებული სამართლის შეფარდების პროცესში.“⁷ ამრიგად, ძირითადი უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, ერთიანად ბოჭავს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

ძირითადი უფლებები, პროგრამული დებულებებისაგან განსხვავებით, უშუალოდ მოქმედი სამართალია. ისინი სავალდებულოა და აღჭურვილნი არიან შესაბამისი სანქციებით.⁸ მათ აქვთ შესაბამისი დაცვის მექანიზმები, კერძოდ, მათი დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლოსადმი მიმართვა და დარღვეული უფლების აღდგენა.

ძირითადი უფლებების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობაში. მოქალაქეს ყველაზე ხშირი ურთიერთობა სწორედ აღმასრულებელ ორგანოებთან აქვს. აღმასრულებელი ორგანოების აქტები რაოდენობრივად მნიშვნელოვნად აღემატება პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს. შესაბამისად, იზრდება სახელმწიფო ბიუროკრატის მიერ ძირითადი

7 ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 5.

8 ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 9.

უფლებების დარღვევის რისკიც. აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები შესაძლებელია გასაჩივრდეს, შესაბამისად, საერთო იურისდიქციის ან საკონსტიტუციო სასამართლოებში, იმის მიხედვით, გამოცემული აქტის როგორ იურიდიულ ბუნებასთან გვაქვს საქმე — ადმინისტრაციული სახისაა იგი თუ ნორმატიული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იბადება კითხვა: საერთოდ, არსებობს თუ არა საქართველოში ადამიანის ძირითად უფლებათა ეფექტიანი დაცვის ისეთი შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმი, რომელიც დააკმაყოფილებდა არა მხოლოდ ევროპული სასამართლოს შესაბამის მოთხოვნებს, არამედ საქართველოში იქნებოდა კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ქმედითი მექანიზმი?

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში „სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.“ ვინაიდან საქართველოში სასამართლო ხელისუფლება მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლისა და მართლმსაჯულების საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ ხორციელდება და ზემოაღნიშნულ ნორმაში გათვალისწინებული სასამართლოს „კანონით დადგენილი სხვა ფორმები“ არ არის შექმნილი, ამ სტატიის განხილვის ძირითადი საგანი იქნება ზემოხსენებული სასამართლოების პირველი ორი სისტემა.

რამდენად არის ეს ორი სასამართლო სისტემა იმ მდგომარეობაში, რომ ეფექტიანად უზრუნველყოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლის, მოქმედება, მათი დაცვა და, დარღვევის შემთხვევაში, მათი ეფექტიანი აღდგენა? იმისათვის, რომ ამ კითხვას გაეცეს პასუხი, საქართველოს სასამართლოს სისტემების კანონმდებლობისა და პრაქტიკის აღწერის ნაცვლად, უპრიანია, ყურადღება გამახვილდეს *აპოსტოლის* საქმის განხილვაზე.

ლეონიდ აპოსტოლმა სამოქალაქო სარჩელი აღძრა კერძო პირის წინააღმდეგ 2001 წლის 21 ნოემბერს. ბათუმის საქალაქო სასამართლომ მისი სარჩელი დააკმაყოფილა და მოვალეს დააკისრა ვალის გადახდა, რომლის რაოდენობამ შეადგინა 2000 აშშ-ის დოლარი, ასევე, 100 ლარი სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და დანახარჯებისათვის. გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და, შესაბამისად, შევიდა ძალაში. მას შემდეგ, რაც მოვალემ უარი განაცხადა გადაწყვეტილების აღსრულებაზე, განმცხადებელმა სააღსრულებო წარმოებათა დაწყების მოთხოვნით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს. 2002 წლის 27 ნოემბრის წერილში სამინისტრომ განმცხადებელს აცნობა, რომ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე

მუხლის შესაბამისად, აღსრულებასთან დაკავშირებული წინასწარი ხარჯები მას უნდა გადაეხადა, თუმცა წერილი არ აკონკრეტებდა სააღსრულებო ღონისძიებებს და აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ხარჯებს.

იმ დროისათვის განმცხადებელი იღებდა პენსიას 45 ლარის ოდენობით, აქედან გამომდინარე, მისთვის შეუძლებელი იყო სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული წინასწარი ხარჯების დაფარვა. მან აღნიშნული გაასაჩივრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აარ-ის პროკურატურაში, მოვალის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა (სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის შესაბამისად) და განაჩენის აღსრულების მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. აღნიშნულ ორგანოთა ოფიციალურმა პირებმა უპასუხეს, რომ სასამართლო პროცესში ჩარევა მათ კომპეტენციას სცილდებოდა.

სამი წლის შემდეგ, 2004 წლის 20 იანვარს, განმცხადებელმა მიმართა აჭარის მინისტრთა საბჭოს და განმარტა, რომ ხელმოკლეობის გამო მას არ შეეძლო, წინასწარ დაეფარა ხარჯები და გამოთქვა მზადყოფნა, სააღსრულებო ხარჯები გადაეხადა კუთვნილი ვალის მიღების შემდეგ. 2004 წლის 12 მარტით დათარიღებულ საპასუხო წერილში აჭარის იუსტიციის სამინისტრომ აღნიშნა, რომ მოვალის ადგილსამყოფელი უცნობი იყო. სამინისტრომ კვლავ გაიმეორა, რომ წინასწარი ხარჯების გადაუხდელობა „განაჩენის აღსრულების დაბრკოლებას“ იწვევდა; თუ განმცხადებელი წინასწარ დაფარავდა აუცილებელ ხარჯებს, სასამართლო აღმასრულებელი მოიძიებდა მოვალის ქონებას, ყადაღას დაადებდა მას და აუქციონზე გაიტანდა. სააღსრულებო მოსაკრებელთან დაკავშირებით კი, რაც განაჩენით დადგენილი ვალის 7%-ს შეადგენდა, სამინისტროს განაცხადით, ამის გადახდა განმცხადებელს აღსრულების შემდეგ შეეძლო („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 113¹ მუხლის თანახმად). წინასწარი ხარჯების გადაუხდელობის გამო, 2001 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ აღუსრულებელი რჩებოდა.

2002 წლის 25 ოქტომბერს *ლ. აპოსტოლმა* შეიტანა განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

ევროპულმა სასამართლომ თავის 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „წინამდებარე საქმეში ნათლად არ ჩანს, განმცხადებლის სავარაუდო საკონსტიტუციო სარჩელის — „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის გაუქმება — დაკმაყოფილებით მოხდებოდა თუ არა აღუსრულებლობის პრობლემის პირდაპირი და სწრაფი მოგვარება, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოს არ ჰქონდა საკმარისი უფლებამოსილება, მიეთითებინა კომპეტენტური უწყებებისათვის, რათა უზრუნველყოთ გადაწყვეტილების აღს-

რულება. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ გერმანიისა და ჩეხეთის კონსტიტუციური კონტროლის ორგანოები, რომლებიც, როგორც წესი, აკმაყოფილებენ კონვენციის 35-ე(1) მუხლის მოთხოვნებს, არაეფექტიანად იქნენ მიჩნეულნი ე.წ. „ხანგრძლივი სამართალწარმოების“ საქმეებში, იმის გათვალისწინებით, რომ მათ, გარდა იმ ფაქტის დადგენისა, რომ დაირღვა კონსტიტუციური დებულებები, რომელიც ეხება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, არ შეეძლოთ ნათელი მითითებები გაეცათ იმის შესახებ, თუ როგორ დაჩქარებულიყო გადადებული სამართალწარმოება ან უზრუნველყოთ კომპენსაცია ნებისმიერი ზიანისათვის, რაც ზედმეტად გაჭიანურებული სამართალწარმოებიდან გამომდინარეობდა.“

ამგვარად, ევროპულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს მთავრობის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კონვენციის 35-ე მუხლის შესაბამისად, განმცხადებელს არ ჰქონდა ამონურული უფლებათა დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები საქართველოში და, შესაბამისად, არ ჰქონდა უფლება, ედავა ამ საკითხზე ევროპულ სასამართლოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება იმის მტკიცება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ფიზიკური და იურიდიული პირების ინდივიდუალური სარჩელების საფუძველზე, უნდა მიეცეს უფლება, განიხილოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის საკითხი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძველია თვით კონსტიტუცია და, განსაკუთრებით, მისი მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.“ ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას — იგი, ე.წ. „არარეალური“ და სხვა სახის კონსტიტუციური წარდგინებებისა და სარჩელების საფუძველზე განიხილავს ნორმატიული აქტების (კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების (ბრძანებულება, ბრძანება, დადგენილება და ა.შ.)) კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს.

რაც შეეხება „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელების განხილვის კომპეტენციას, მის კონსტიტუციურსამართლებრივ საფუძველად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი, რომლის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“

ამ კომპეტენციის განხორციელების ძირითადი პრინციპი შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს — საერთო (ჩვეულებრივ) სასამართლოებში „სამართალწარმოების განხორციელება, საქმის გარემოებების დადგენა და შეფასება, ჩვეულებრივი კანონების განმარტება და მათი გამოყენება ყოველ კონკრეტულ საქმეზე შესაბამისი საერთო სასამართლოების კომპეტენციაა; საკონსტიტუციო სასამართლო შეიძლება ჩაერიოს მხოლოდ მაშინ, როდესაც საერთო სასამართლოს მიერ უშუალოდ იქნება დარღვეული კონსტიტუციური უფლებები.“⁹

ზემოაღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს:

1. ნორმის კონსტიტუციურობას, რის საფუძველზეც მას უფლება ექნება, ნორმა (როგორც პროცესუალური, ისე მატერიალური) არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად ცნოს. ამასთან ერთად, გააუქმოს არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე მიღებული საერთო სასამართლოს საბოლოო ინსტანციის გადაწყვეტილებაც, თუკი არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და ამით დაარღვევს შესაბამისი მხარის კონსტიტუციურ უფლებას ან თავისუფლებას;

2. იმ შემთხვევაში, თუ საერთო სასამართლო თავის განსახილველ საქმეზე გამოიყენებს ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურ ინტერპრეტაციას, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლო გააუქმებს არა შესაბამის ნორმატიულ აქტს, არამედ გააუქმებს საერთო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ეფუძნებოდა საქმეში გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურ ინტერპრეტაციას, რამაც გამოიწვია ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან წინააღმდეგობაში მყოფი გადაწყვეტილების მიღება.

როგორ უნდა აღსრულდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილებები?

1. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს შესაბამის (საერთო სასამართლოს) გადაწყვეტილებას, იგი გააუქმებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას და არა სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ინტერპრეტირებულ ნორმატიულ აქტს და საქმეს უბრუნებს განმხილველ ორგანოს (სასამართლოს), რომელიც ვალდებულია, თავის შემდგომ გადაწყვეტილებაში გაითვალისწინოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტისადმი ჩამოყალიბებული კონსტიტუციური მიდგომები.

2. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად ცნობს იმ ნორმატიულ აქტს, რომელიც გამოიყენა შესაბამისმა

⁹ იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება *BverfGE* 18, 85 (92); 80. 81 (95); 62, 338 (343); *st. Rspr.*

საერთო სასამართლომ გადანყვეტილების გამოტანისას, საქმე უზრუნდება კვლავ განმხილველ სასამართლოს, რომელიც გადანყვეტილებას იღებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის, რომელმაც დაარღვია შესაბამისი პირის უფლება, გამოყენების გარეშე.

3. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე (ე.ი. ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების გადანყვეტილების გასაჩივრების გარეშე) და არაკონსტიტუციურად ცნობს სადავო აქტს, გადანყვეტილების გამოტანის მომენტიდან სადავო აქტი დაკარგავს იურიდიულ ძალას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ამ კომპეტენციის მინიჭებამ შეიძლება გამოიწვიოს სასამართლოს გადატვირთვა სარჩელებით. ასეთ შემთხვევაში ვენეციის კომისიის 2005 წლის 14 მარტის დასკვნით¹⁰ შემოთავაზებულია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა რაოდენობის გაზრდა 9-იდან 15-ამდე და სასამართლოში 5 პალატის ჩამოყალიბება.

თუ არსებულ 9-წევრიან სასამართლოში ჩამოყალიბდება სამი მცირე პალატა და შემოღებულ იქნება ე.წ. „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელების გაცხრილვის სხვა ქმედითი მექანიზმები (როგორებიცაა: სარჩელის უსაფუძვლობა, სარჩელისათვის დადგენილი ფორმალური და შინაარსობრივი მოთხოვნების დაუცველობა და ა.შ.) საკონსტიტუციო სასამართლო, სავარაუდოდ, შეძლებს, თავი გაართვას შემოსული სარჩელების რაოდენობას:

1. აღსანიშნავია, რომ ე.წ. „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელების შემოღებით შეიკვეცება ე.წ. „არარეალური“ კონსტიტუციური სარჩელების რაოდენობა, რაც დღევანდელ განსახილველ საქმეთა თითქმის 90%-ს შეადგენს, ანუ, როდესაც მოქალაქე ასაჩივრებს პირდაპირ მისი უფლების დამრღვევ ნორმატიულ აქტს, პირი ვალდებული იქნება, სრულად გაიაროს საერთო სასამართლოებში, ინსტანციური წესით, საქმის განხილვის ეტაპი და მხოლოდ მათი ამონაწერის შემდგომ მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს (ე.წ. უფლებათა სუბსიდიური წესით დაცვის ინსტიტუტი);

2. საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის ჩამოყალიბდება ერთგვარი „კონკურენცია“, რაც უზრუნველყოფს საერთო სასამართლოების მაქსიმალურ მონდომებას, რათა მათი საქმეები არ მივიდეს საკონსტიტუციო სასამართლომდე, რაც, თავის მხრივ, გაზრდის საერთო სასამართლოებში, კონკრეტული საქმეების განხილვისას, კონსტიტუციურ უფლებათა გათვალისწინების და მათი „უშუალოდ“ ამოქმედების დონეს. ამავე დროს, მოხდება ე.წ. „კონსტიტუ-

¹⁰ CDL-AD(1005)005; *Opinion 328/2004*; 21-ე-26-ე პუნქტები.

ციური წარდგინებების“ სტიმულირებაც – საერთო სასამართლოს მოსამართლეებს უფრო მეტი მოტივაცია და ინტერესი ექნებათ კონკრეტული საქმის განხილვისას უშუალოდ თვითონ, და არა სასამართლო განხილვის მხარემ, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი კონსტიტუციური წარდგინებებით. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის გამოყენებისას მოსამართლეს უჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ აღნიშნული გამოსაყენებელი კანონი ან ნორმატიული აქტი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას (მათ შორის კონსტიტუციის იმ ნაწილს, რომელშიც ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კატალოგი), ის უფლებამოსილია, შეაჩეროს საქმის განხილვა და კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს წარდგენილი კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას, რის შემდეგაც საერთო სასამართლო განაგრძობს საქმის განხილვას და წარდგენილ კანონს ან სხვა ნორმატიულ აქტს მათი არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში აღარ გამოიყენებს. საერთო სასამართლოების აღნიშნული კომპეტენციის გააქტიურება და მისი სტიმულირება, რაც გამოწვეული იქნება საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ზემოაღნიშნული კომპეტენციის მინიჭებით, ასევე შეამცირებს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელების შემოდინებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოება, საერთო სასამართლოების საბოლოო ინსტანციის გადანყვეტილებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, საქართველოში, უდავოდ, ხელს შეუწყობს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა უშუალოდ მოქმედ სამართლად ქცევას, გაზრდის საერთო სასამართლოების გადანყვეტილებათა ხარისხს, აამაღლებს საერთო სასამართლოების სისტემასა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის ურთიერთკავშირისა და თანამშრომლობის დონეს, ჩამოაყალიბებს პირის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა განმარტების ერთიან პრაქტიკას და, ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, აამაღლებს სასამართლო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობას.

ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება და უფლების დაცვის ეფექტიანი საპროცესო მექანიზმი

რევაზ ხოფერია

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ძირითად საპროცესო უფლებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს 42-ე მუხლით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ამ უფლების საფუძველზე ყველას, ვისაც მიაჩნია, რომ სახელმწიფომ დაარღვია მისი უფლებები, შეუძლია, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საქმის სამართლიანი გადაწყვეტა. სასამართლოს დაცვის ძირითადი უფლება უზრუნველყოფს ადამიანის სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას. ეს კი გულისხმობს სახელმწიფოს ყველა იმ გადაწყვეტილების სამართლებრივ შემოწმებას, რომლებიც არღვევენ ადამიანის უფლებებს. აღნიშნულ დებულებას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული წესწყობილების არსებობისათვის.¹

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება უნდა განხორციელდეს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანოები ნორმათმეფარდებითი საქმიანობისას უნდა ითვალისწინებდნენ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.² ადმინისტრაციული სამართალი აკონკრეტებს კონსტიტუციურ სამართალს და უზრუნველყოფს მის სიცოცხლისუნარიანობას.³

საქართველოში ადმინისტრაციული სამართლის რეფორმა დაიწყო 1999 წლიდან, როდესაც მიღებულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. აღნიშნული საკანონმდებლო აქტები ამოქმედდა 2000 წლიდან.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვა, რომელიც კომუნიკურ მმართველობის პერიოდში არაფრით იყო

1 ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, 362, 364.
2 ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიანი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კობალიაშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2005, 35, 36.
3 იქვე, 26.

შეზღუდული. ეს განაპირობებდა ადამიანის უფლებების დარღვევას, ადმინისტრაციულ ორგანოს კი სამართალზე ზემოთ აყენებდა.⁴

თუმცა, როგორც ცნობილია, საუკეთესო კანონიც კი არ არის გამოსადეგი, თუ იგი ვერ ახდენს მატერიალური სამართლის იმპლემენტირებას, ცხოვრებაში გატარებას.⁵

სტატიის მიზანია დაადგინოს, უზრუნველყოფს თუ არა ქართული საპროცესო სამართალი მოქალაქის ეფექტიან, სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული უკანონო გადაწყვეტილებებისაგან.

ამასთან, ვინაიდან ქართული ადმინისტრაციული სამართლის რეფორმა, ძირითადად, განხორციელდა გერმანული ადმინისტრაციული სამართლის მაგალითზე, სტატიაში გაკეთებული დასკვნები ეფუძნება გერმანული და ქართული კანონმდებლობის თავისებურებების ანალიზს.

II. ადმინისტრაციული ორგანოს ნორმათშეფარდებითი საქმიანობა და სასამართლო კონტროლი

ადმინისტრაციული ორგანოს ძირითადი ფუნქცია არის ნორმათშეფარდებითი საქმიანობა. როგორც ცნობილია, ნორმა შედგება ორი ნაწილისაგან: სამართლებრივი შედეგის დადგომის წინაპირობები და სამართლებრივი შედეგი. ადმინისტრაციული ორგანოს ნორმათშეფარდებითი საქმიანობა მოიცავს შემდეგ სტადიებს:

- ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა;
- სამართლის ნორმის მოძიება, ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობის განმარტება;
- სუბსუმფცია: შეესაბამება თუ არა ფაქტობრივი გარემოებები ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობის ელემენტებს;
- სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა.

სასამართლო ხელისუფლება აკონტროლებს აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმათშეფარდებითი საქმიანობის კანონიერებას. სასამართლო ვალდებულია, მოთხოვნის მოცულობიდან გამომდინარე, თავად მიიღოს გადაწყვეტილება, თუ დაადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ნორმათშეფარდებითი საქმიანობის შეუსაბამობას კანონთან, ან ადმინისტრაციულ ორგანოს დაუბრუნოს საქმე ხელახალი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ამდენად, გადაწყვეტილების კანონიერების დადგენისას „ბოლო სიტყვას“ ყოველთვის ამბობს სასამართლო. თუმცა დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება გარკვეულწილად იწვევს

⁴ იქვე, 278.

⁵ მ. კობაღიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2008, 7.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს კანონით ბოჭვის შესუსტებას. ეს კი, თავის მხრივ, ასუსტებს სასამართლო კონტროლის ინტენსივობას. დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების დადგენისას „ბოლო სიტყვა“ აქვს ადმინისტრაციულ ორგანოს და არა სასამართლოს.⁶

III. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება

1. ცნება

გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონი (§40) არ განმარტავს დისკრეციული უფლებამოსილების ცნებას. კანონი ადგენს მხოლოდ მისი განხორციელების წესს. მატერიალურსამართლებრივი ნორმის განვრცობა მოცემულია პროცესუალურ სამართალში — გერმანიის ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (§114). თუმცა საპროცესო ნორმაც არ შეიცავს დისკრეციული უფლებამოსილების ცნების დეფინიციას.⁷

გერმანიაში დისკრეციული უფლებამოსილების ცნების განმარტების მცდელობა მოცემულია სამეცნიერო ლიტერატურაში. გავრცელებული მოსაზრებით, დისკრეციული უფლებამოსილება სახეზეა, თუ კანონი ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს სამართლებრივი შედეგი. ამ დროს ადმინისტრაციულ ორგანო უფლებამოსილია, ორი ან მეტი შესაძლო სამართლებრივი შედეგიდან აირჩიოს ერთ-ერთი.⁸

საქართველოში დისკრეციული უფლებამოსილების ცნების განმარტება მოცემულია კანონში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის „უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.“

2. დისკრეციული უფლებამოსილების სამართლებრივი საფუძველები

დისკრეციულ უფლებამოსილებას ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს კანონმდებელი. ნორმაში შესაძლოა გამოყენებული იყოს ტერმინი – „დისკრეციული უფლებამოსილება“. თუმცა აღნიშნული ტერმინი ნორმაში იშვიათად გვხვდება.

6 H. Maurer, *Allgemeines Verwaltungsrecht*, 2009, 133-135.

7 *Basistexte Öffentliches Recht, Verwaltungsverfahrensgesetz, Verwaltungsgerichtsordnung*, 2007, 352, 417.

8 H. Maurer, *Allgemeines Verwaltungsrecht*, 2009, 135-136.

როგორც წესი, დისკრეციული უფლებამოსილება ვლინდება სიტყვებით: „უფლება აქვს“, „უფლებამოსილია“, „შეუძლია“.⁹ ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, თუ კანონმდებელი ნორმაში იყენებს სიტყვებს: „ვალდებულია“, „უნდა განახორციელოს“, „უფლება არ აქვს“ და ა.შ.¹⁰

3. დისკრეციული უფლებამოსილების მნიშვნელობა

როგორც ცნობილია, კანონმდებელი მოკლებულია შესაძლებლობას, განსაზღვროს ყოველი შემთხვევის შესაბამისი სამართლებრივი შედეგი. სწორედ ეს მოსაზრება უდევს საფუძვლად ადმინისტრაციული ორგანოსათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭებას. ამასთან, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს შესაძლებლობა, გაითვალისწინოს კონკრეტული საქმის გარემოებების განსაკუთრებული ხასიათი და მიიღოს სათანადო, საუკეთესო გადაწყვეტილება. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა მოქნილი და ეფექტიანია. ამავე დროს, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა.¹¹

დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების მიზანია თითოეულ საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გაიზაროს, თუ რა მიზნით აქვს მას მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება.¹² დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების მიზანი არ არის ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობის დაშვება.¹³

4. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი

4.1 დისკრეციული უფლებამოსილების მიზანი

გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის (§40) მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს მისი მიზნის შესაბამისად.¹⁴

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

⁹ იქვე, 136-137.

¹⁰ პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2010, 37.

¹¹ L. Rode, § 40, VwVfG und die deutsche Ermessenslehre, 2003, 10.

¹² მ. ვაჩაძე, ი. თოდრია, პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2005, 194.

¹³ A. Merkl, Allgemeines Verwaltungsrecht, 2006, 152.

¹⁴ Basistexte Öffentliches Recht, Verwaltungsverfahrensgesetz, 2007, 352.

4.2 დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი ფარგლები. ერთი მხრივ, დაცული უნდა იქნეს იმ ნორმის ფარგლები, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება; ხოლო, მეორე მხრივ, დაცული უნდა იქნეს, ზოგადად, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები.¹⁵

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში.

ამასთან, ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების დაცვის კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება ვალდებულება, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გაითვალისწინოს მოქალაქის ძირითადი უფლებებით დაცული ინტერესები, ვინაიდან თითოეული ადამიანი უნდა აღიქმებოდეს არა როგორც ადმინისტრაციული ორგანოს „ქვეშევრდომი“, არამედ როგორც „სრულუფლებიანი მოქალაქე“.¹⁶

5. შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში

გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონისა (§40) და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (§114) რეგულირებებიდან გამომდინარე, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში შეცდომად მიიჩნევა ნორმის მიზნის გაუთვალისწინებლობა ან კანონის ფარგლების დარღვევა.¹⁷

თუმცა, საყურადღებოა, არ არსებობს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შეცდომების ამომწურავი ჩამონათვალი. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (§114), რომელიც ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ შემოწმების წესს, არ ადგენს შეცდომების ამომწურავ ჩამონათვალს.¹⁸

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ამასთან, დისკრეციული უფლე-

¹⁵ იქვე.

¹⁶ ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2005, 38.

¹⁷ *Basistexte Öffentliches Recht, Verwaltungsverfahrensgesetz, Verwaltungsgerichtsordnung, 2007, 352, 417.*

¹⁸ *R. Brinktrine, Verwaltungsvermessungen in Deutschland und England: Eine rechtvergleichende Untersuchung von Entscheidungsspielräumen der Verwaltung im deutschen und englischen Verwaltungsrecht, 1998, 105-106.*

ბამოსილება უნდა განხორციელდეს იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც აქვს მი-
ნიჭებული ადმინისტრაციულ ორგანოს ეს უფლებამოსილება. გერმანიის კანონმდებ-
ლობისგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა უფრო კონკრეტულად
ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესს, როდესაც კო-
დექსის მე-7 მუხლში განსაზღვრავს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორ-
ციულობის, ურთიერთშეჯერების ვალდებულებას. შესაბამისად, დისკრეციული
უფლებამოსილების განხორციელებაში არის შეცდომა, თუ, ადმინისტრაციული
ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით, პირის კა-
ნონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად
აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც გამოიცა იგი. აღსანიშნავია, რომ
დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულსა-
მართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ღონისძიებებმა არ უნდა გამოიწვიოს
პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, დისკრეციული უფლე-
ბამოსილების განხორციელებაში შეცდომები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

5.1 დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონის მიზნის საწინააღმდეგოდ

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება ეწინააღმდეგება კანონს,
თუ ადმინისტრაციული ორგანო გადანყვეტილების მიღების დროს არ მოქმედებს
კანონის მიზნის შესაბამისად ან სრულად არ ითვალისწინებს მას.¹⁹

5.2 გარემოებების შეფასების დეფიციტი

ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო არ აფასებს ყველა გარემოებას,
რომლებსაც, კანონის მიზნიდან გამომდინარე, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა
აქვს. გარდა ამისა, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონსაწინ-
ააღმდეგოა, თუ ადმინისტრაციული ორგანოს გადანყვეტილება ეფუძნება არარ-
სებულ, არასრულ ან საქმისთვის მნიშვნელობის არმქონე ფაქტობრივ ან სამართ-
ლებრივ გარემოებებს.²⁰

5.3 დისკრეციული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

ადმინისტრაციული ორგანოს შეხედულებები და მოსაზრებები უნდა გამომდი-
ნარეობდეს დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების მიზნიდან. წინააღმდეგ

¹⁹ S. Detterbeck, *Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht*, 2007, 112.

²⁰ W. Schenke, *Verwaltungsprozessrecht*, 2007, 251.

შემთხვევაში მათ არ აქვთ კავშირი საქმესთან და მათი გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა. საქმის გარემოებების შეფასებაზეა დამოკიდებული, თუ რომელ მოსაზრებას არ აქვს კავშირი საქმესთან. პირადი სიმპათია ან ანტიპათია ყოველთვის არის არასათანადო გარემოება და მათი გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა იმ შემთხვევაშიც კი, თუ, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, გადაწყვეტილება სადავო არ არის. ამასთან, გადაწყვეტილება უკანონოა, თუ ადმინისტრაციული ორგანო საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს შეგნებულად არასწორად იკვლევს. თვითნებობით, ბოროტი განზრახვით, არაობიექტურობით ან სამართლებრივი წესრიგით დაგმობილი სხვა სუბიექტური მოტივებით ხელმძღვანელობა იწვევს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების უკანონობას. ასეთ შემთხვევებს ეწოდება „დაუშვებელი მოტივაცია“.²¹

5.4 კონსტიტუციით დაცული ადამიანის უფლებებისა და ადმინისტრაციული სამართლის პრინციპების გაუთვალისწინებლობა

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება, ისევე როგორც ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერი ქმედება თუ გადაწყვეტილება, შეზღუდულია ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია თანასწორობის პრინციპი. საქმის გარემოებების იდენტურობის შემთხვევაში, სხვადასხვა პირის მიმართ მიღებული უნდა იქნეს ერთი და იგივე გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს მის მიერ დანერგილი პრაქტიკა.²²

ამასთან, თუ ადმინისტრაციული ორგანოს პრაქტიკა უკანონოა, თანასწორობის პრინციპის საფუძველზე პირს არ ენიჭება უფლება, ადმინისტრაციულ ორგანოს მოსთხოვოს უკანონო გადაწყვეტილების მიღება. არ არსებობს თანასწორობა უკანონობაში.²³

5.5 დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლების დარღვევა

ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს არღვევს, თუ იგი ირჩევს ისეთ სამართლებრივ შედეგს, რომელსაც კანონი არ ითვალისწინებს. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლების დარღვევის შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს ადმინისტრაციული ორგანოს გა-

21 L. Rode, §40, *VwVfG und die deutsche Ermessenslehre*, 2003, 90-92.

22 H. Maurer, *Allgemeines Verwaltungsrecht*, 2009, 142.

23 H. Ossenbühl, *Erchsen/Ehlers, Allgemeines Verwaltungsrecht*, 2002, 214.

დანყვეტილების მოტივს. ასეთი გადანყვეტილება ცალსახად კანონსაწინააღმდეგოა.²⁴

5.6 დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების ვალდებულების შეუსრულებლობა

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გამოიყენოს მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადანყვეტილება უკანონოა, თუ ადმინისტრაციული ორგანო არ იყენებს მას. მნიშვნელობა არ აქვს მოტივს — საქმე გვაქვს ადმინისტრაციული ორგანოს დაუდევრობასთან, თუ მას მიაჩნია, რომ არ აქვს მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება.²⁵

5.7 დისკრეციული უფლებამოსილების რედუცირება ნულზე

გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო, მიუხედავად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილებისა, ვალდებულია, მიიღოს მხოლოდ ერთი კონკრეტული გადანყვეტილება. ამ დროს ადმინისტრაციულ ორგანოს არჩევანის თავისუფლება არ აქვს.²⁶ ასეთ შემთხვევებს ეწოდება დისკრეციული უფლებამოსილების რედუცირება ნულზე.²⁷

6. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას დაშვებული შეცდომის სამართლებრივი შედეგები

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს დაშვებული შეცდომით მიღებული გადანყვეტილება არის ბათილი. ამასთან, შეცდომა უნდა იყოს არსებითი მნიშვნელობის.²⁸

IV. განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებები და შეფასების თავისუფლება

1. განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებები

კანონმდებელმა ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობის განსაზღვრისას შეიძლება გამოიყენოს სამართლებრივი ცნება, რომლის შინაარსი განუსაზღვრელი და სადავოა.²⁹

24 H. Wolff/O. Bachoff/R. Stober, *Verwaltungsrecht*, 1999, 463.

25 H. Maurer, *Allgemeines Verwaltungsrecht*, 2009, 141.

26 S. Detterbeck, *Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht*, 2007, 113.

27 H. Maurer, *Allgemeines Verwaltungsrecht*, 2009, 143.

28 S. Detterbeck, *Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht*, 2007, 114-116.

29 F. Peine, *Allgemeines Verwaltungsrecht*, 2008, 54.

განუსაზღვრელი ცნებებია: „სახელმწიფო უშიშროება და წესრიგი“, „სანდობა“, „უნარი“, „საჯარო ინტერესი“, „აუცილებელი ღონისძიება“, „საერთო კეთილდღეობა“ და ა.შ. ადმინისტრაციული ორგანო ნორმის განმარტებისა და გამოყენების დროს ადგენს, თუ როდის არის ნორმის წინაპირობები შესრულებული და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. თუმცა შეუძლებელია, ცალკეული საქმის შესწავლისას ცალსახად დადგინდეს გადაწყვეტილების ფაქტობრივი გარემოებების სისწორე. სწორედ ეს არის განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნების სამართლებრივი ბუნება.³⁰

გავრცელებული მოსაზრებით, განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნების განმარტებისა და გამოყენების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, მიუხედავად მისი განუსაზღვრელი სამართლებრივი ბუნებისა, კანონის შესაბამისია მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება. არსებობს შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს შეფასების თავისუფლება აქვს მინიჭებული ნორმით, რომელიც, ამავე დროს, შეიცავს განუსაზღვრელ სამართლებრივ ცნებას. ამ შემთხვევაში, განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნების განმარტებისა და გამოყენების დროს, ერთდროულად რამდენიმე გადაწყვეტილება შეიძლება იყოს კანონის შესაბამისი, სასამართლო კონტროლის მოცულობა კი შეზღუდულია.³¹

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებები და შეფასების თავისუფლება ერთდროულად მოცემულია შემდეგ შემთხვევებში:

1.1 საგამოცდო გადაწყვეტილებები

სასკოლო და საუნივერსიტეტო გამოცდების დროს შემფასებელს აქვს შეფასების თავისუფლება. სასამართლო საგამოცდო გადაწყვეტილებების კანონიერების დადგენისას ამონმებს შემდეგ გარემოებებს:

- ხომ არ არის დარღვეული გამოცდის პროცედურა (მაგ.: გამოცდის ადგილი და დრო არ არის გამოქვეყნებული დადგენილი წესით, გამოცდის დროს არ იყო სამუშაო გარემო შექმნილი);
- გადაწყვეტილება ხომ არ ეფუძნება შეუსაბამო ფაქტობრივ გარემოებებს (მაგ.: გამოცდელი ვერ იგებს გამოსაცდელის მოხსენების შინაარსს ზეპირი გამოცდის დროს ან საგამოცდო კითხვას გამოცდასთან შეუსაბამო შინაარსს აძლევს);
- გათვალისწინებულია თუ არა დადგენილი შეფასების პრინციპები და კრიტერიუმები;
- შეფასება ხომ არ მოხდა თვითნებურად.³²

³⁰ S. Detterbeck, *Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht*, 2007, 117.

³¹ იქვე, 118-119.

³² იქვე, 120-122.

1.2 სამოხელეო გადანყვეტილებები

სასამართლო კონტროლის ფარგლები შეზღუდულია საჯარო სამსახურში საკადრო გადანყვეტილებების კანონიერების შემოწმების შემთხვევაშიც. მაგალითად, აქვს თუ არა კონკურსანტს სათანადო უნარი, დაიკავოს საჯარო სამსახურში არსებული ვაკანტური თანამდებობა; შეესაბამება თუ არა საჯარო მოხელე დაკავებულ თანამდებობას.³³

2. შერეული ნორმები (განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებები და დისკრეციული უფლებამოსილება)

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ნორმა ფაქტობრივი შემადგენლობის ნაწილში შეიცავს განუსაზღვრელ სამართლებრივ ცნებას, ხოლო სამართლებრივი შედეგის ნაწილში — დისკრეციულ უფლებამოსილებას. ამ დროს სასამართლო სრულად ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნების კანონის შესაბამისად განმარტებისა და გამოყენების, ხოლო სამართლებრივი შედეგის ნაწილში ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში შეცდომის არსებობის ფაქტს.³⁴

V. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადანყვეტილების შემოწმება

1. კონტროლის მოცულობა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (§68.1) მიხედვით, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს გასაჩივრებული გადანყვეტილების მიზანშეწონილობას და კანონიერებას.³⁵

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი. ამასთან, კოდექსის 193-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მოცულობას. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ საჩივარს

³³ იქვე, 122.

³⁴ H. Maurer, *Allgemeines Verwaltungsrecht*, 2009, 154-155.

³⁵ *Basistexte Öffentliches Recht, Verwaltungsgerichtsordnung*, 2007, 405.

იხილავს მასში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში, ხოლო, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეუძლია გასცდეს მას.

დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერების შემოწმებისას ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო თავადაც იყენებს დისკრეციულ უფლებამოსილებას. იგი ამონიშნავს გადაწყვეტილების კანონიერებასა და მიზანშეწონილობას. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ წარმოებაში მოწმდება გასაჩივრებული აქტის მართლზომიერების ფორმალური და მატერიალური მოთხოვნები, მათ შორის დისკრეციული უფლებამოსილების მიზანსა და შედეგს შორის თანაფარდობის დაცულობა, კანონის ფარგლების გათვალისწინება. საყურადღებოა, რომ კოლეგიური ორგანოს, სათათბირო ორგანოს ან საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემოწმება დაშვებულია მხოლოდ კანონიერებისა და არა მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.³⁶

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად (მე-2 მუხლის მე-5 ნაწილი), სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს, თუ მოსარჩელემ არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. ეს წესი მოქმედებს, თუ არსებობს გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. ასეთი არ არსებობს, მაგალითად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის, რომლის გადაწყვეტილებები საჩივრდება სასამართლოში.

2. კონტროლის მოცულობა სასამართლოში

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (§114) მიხედვით, სასამართლო ამოწმებს, დაცულია თუ არა კანონის ფარგლები და დისკრეციული უფლებამოსილება განხორციელდა თუ არა კანონის მიზნის შესაბამისად.³⁷

სასამართლომ უნდა დაადგინოს, აქვს თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილების მიღების დროს მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება და ხომ არ არის დაშვებული შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში.³⁸

სასამართლო ვალდებულია, გამოიკვლიოს გარემოებები, რომლებიც საფუძველად დაედო გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუ-

36 ზ. ადვიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კობალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2005, 317-318.

37 *Basistexte Öffentliches Recht, Verwaltungsgerichtsordnung, 2007, 417.*

38 *W. Nagel, Die Rechtskonkretisierungsbefugnis der Exekutive: Ermessenskategorien und verwaltungsgerichtliche Kontrolldichte, 1993, 2.*

თების ვალდებულების შეუსრულებლობა სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს როგორც დისკრეციული უფლებამოსილების კანონსაწინააღმდეგოდ განხორციელება.³⁹ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება, ვინაიდან სასამართლოს კონტროლი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების დროს შეზღუდულია. დასაბუთების ვალდებულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კონტროლის მიზანს.⁴⁰ დასაბუთებაში უნდა აღინიშნოს შეხედულებები, მოსაზრებები და გარემოებები, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს. გადაწყვეტილებიდან უნდა ირკვეოდეს, თუ როგორ შეაფასა ადმინისტრაციულმა ორგანომ ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები. დასაბუთება უნდა იყოს დეტალური. სასამართლო ადგენს შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და აუქმებს გადაწყვეტილებას, თუ ადმინისტრაციული ორგანო არღვევს დასაბუთების ვალდებულებას.⁴¹

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი შეიცავს დანაწესს, რომლის მიხედვითაც სასამართლო ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონიერებას. თუმცა, გერმანული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ შეიცავს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შემოწმების კონკრეტულ წესს. ამდენად, მიზანშეწონილია კოდექსით გათვალისწინებული ნორმების სისტემური ანალიზი, რომლის საფუძველზეც დავადგენთ, თუ რომელი ნორმები უნდა გამოიყენოს მოსამართლემ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების დადგენის მიზნით.

ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ტერმინი „დისკრეციული უფლებამოსილება“ გამოყენებულია მხოლოდ 33-ე მუხლში.

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს სასამართლო გადაწყვეტილების მიღების წესს ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე და არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით. ნორმის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს სრულყოფილად ან საერთოდ არ აქვს გამოკვლეული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, აუცილებელია საქმის გარემოებე-

39 H. Faber, *Verwaltungsrecht*, 1995, 209.

40 F. Hufen, *Fehler im Verwaltungsverfahren*, 2002, 192.

41 R. Brinktrine, *Verwaltungsermessen in Deutschland und England: Eine rechtsvergleichende Untersuchung von Entscheidungsspielräumen der Verwaltung im deutschen und englischen Verwaltungsrecht*, 1998, 136-137.

ბის დამატებით გამოკვლევა, რომლის განხორციელებაც მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია. შესაბამისად, სასამართლო ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს, გამოსცეს ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი.⁴² შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას მოსამართლე ვერ დაადგენს აღნიშნული მუხლის საფუძველზე, ვინაიდან მუხლი განსაზღვრავს მხოლოდ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღების წესს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად ან ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით. სასამართლო ამოწმებს ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონთან შესაბამისობას. თუ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი კანონსაწინააღმდეგოა და იგი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.⁴³

ამასთან, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი.

აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველები მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლში. ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე (სხდომათა საჯაროობა) ან 34-ე მუხლით (კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომა) გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

42 მ. ვაჩაძე, ი. თოდრია, პ. ტურავა, ნ. ნეკულაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2005, 198.

43 იქვე, 182.

ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ არსებობს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონიერების შემონმების კონკრეტული საპროცესო წესი. მოსამართლემ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შემონმებისას შესაძლოა იხელმძღვანელოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე (ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად ან ბათილად გამოცხადება), ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე (საქმის გარემოებათა გამოკვლევა), 53-ე (ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის დასაბუთება), აგრეთვე მე-6 (დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი) და მე-7 (საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა) მუხლების საფუძველზე. თუმცა სასამართლო პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევა, როდესაც მოსამართლე დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას ამონმებს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

3. სასამართლო პრაქტიკა

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლი არაერთგვაროვანია. აღნიშნულის ნათელი მაგალითია, საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-87-87.

საქმის გარემოებები: ქუთაისის მერმა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით თანამდებობიდან გაათავისუფლა წამყვანი სპეციალისტი, რასაც საფუძველად დაედო შტატების შემცირება. გათავისუფლებულმა პირმა, უფლების დაცვის მიზნით, მიმართა სასამართლოს. მისი აზრით, მერის გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან მას აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. ამდენად, სხვა პირებთან შედარებით, სარგებლობს თანამდებობაზე დარჩენის უპირატესი უფლებით.

საქალაქო სასამართლოს შეფასება: საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქუთაისის მერს გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა ეხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პრინციპებით, რაც არ იქნა გათვალისწინებული. მოხელეთა სამსახურიდან გათავისუფლების დროს კანონით დადგენილი პრინციპების დარღვევა აზრს უკარგავს ამ პრინციპების არსებობას. მოსარჩელეს აქვს მუშაობის დიდი გამოცდილება, არის პროფესიონალი და, კანონის პრინციპებიდან

გამომდინარე, მას ჰქონდა სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლება.

სასამართლოს შეფასება არ გაიზიარა ადმინისტრაციულმა ორგანომ და გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს შეფასება: სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლო არასწორად შეიჭრა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში. სასამართლო კონტროლი საჯარო დაწესებულებათა გადაწყვეტილებების შემოწმებისას ვრცელდება კანონიერება-დასაბუთებულობასა და არა მიზანშეწონილობაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ცალკეულ მუშაკთა სამუშაოზე დატოვებისა და დანიშვნის საკითხის გადაწყვეტა განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების სფეროს, რომელშიც სასამართლოს ჩარევა არის დაუშვებელი.

სასამართლოს შეფასება არ გაიზიარა თანამდებობიდან გათავისუფლებულმა პირმა და გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო სასამართლოში.

საკასაციო სასამართლოს შეფასება: საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი კანონიერების შემოწმება. სასამართლოს აზრით, დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავს თანაზომიერებისა და კანონიერების პრინციპების უგულებელყოფას. ადმინისტრაციული ორგანოს თავისუფალი მოქმედების სფერო შეზღუდულია კანონით. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლო გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, ადმინისტრაციული უფლებამოსილების, როგორც განუსაზღვრელი უფლების, თაობაზე, ამ შემთხვევაში პირის უფლება, დაიცვას თავი, იქნეს ფიქტიურ შინაარსს და გამოდის სასამართლო კონტროლის ფარგლებიდან. სასამართლოს ძირითად დანიშნულებაა, განსაზღვროს, ადმინისტრაციულმა ორგანომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას დაიცვა თუ არა კანონის ფარგლები და კანონის წინაშე პირთა თანასწორობის პრინციპი, აგრეთვე არსებულ ვითარებაში იყო თუ არა შრომის უფლებების შეზღუდვა მისაღები, აუცილებელი და პროპორციული.

განსხვავებული აზრი ჩამოაყალიბა ერთმა მოსამართლემ:

კერძოდ, მისი აზრით, საკასაციო სასამართლოს უნდა მიეღო ახალი გადაწყვეტილება, ბათილად უნდა ეცნო სადავო აქტი და სადავო საკითხის გადაწყვეტილად ქუთაისის მერიას უნდა დავალებოდა, საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად, ახალი აქტის გამოცემა. ეს ხელს შეუწყობდა ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვას, ვინაიდან სახეზეა საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების რა-

დიკალურად განსხვავებული სამართლებრივი დასკვნები. ერთი მხრივ, საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სარჩელი და შეიქრა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში. ხოლო, მეორე მხრივ, სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ დააკმაყოფილა სარჩელი იმ საფუძვლით, რომ ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, რა დროსაც იგი შეუზღუდავია.

მოსამართლის აზრით, ორივე დასკვნა მცდარია, ეს კი დისკრეციული უფლებამოსილების ზედაპირული გაგების შედეგია. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, შტატების შემცირებისას, ობიექტურად, ადეკვატურად შეაფასოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევები, კვალიფიკაცია, შრომის დისციპლინა და მიიღოს მოტივირებული გადაწყვეტილება. სწორედ ეს პრინციპები განსაზღვრავს ნორმატიული აქტის დანიშნულებას, მიზანს, სპეციფიკას, ადამიანის უფლებებისა და საჯარო ინტერესების დაცვის სტანდარტს, რომელთა იგნორირება სამართალურიეროობის შინაარსის უგულბებლყოფას ნიშნავს. დისკრეციული უფლებამოსილების ფორმალური გაგება ხელ-ფეხს უხსნის ადმინისტრაციულ ორგანოებს, მიიღონ კანონშეუსაბამო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. სასამართლო ორგანოების პირდაპირი ვალდებულებაა სრული სასამართლო კონტროლის განხორციელება მმართველობითი ორგანოების საქმიანობაზე, რაც, თავის მხრივ, არის სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური ფუნქცია და ემსახურება კონსტიტუციური პრინციპების — ხელისუფლების დანაწილებისა და ურთიერთგანონანსორების პრინციპების – რეალიზაციას.

ამგვარი პრაქტიკის დამკვიდრება გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობას კანონშეუსაბამო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. ეს კი, საბოლოო ჯამში, დიდ საფრთხეს უქმნის საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესს.⁴⁴

VI. დასკვნა

დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების სასამართლო კონტროლი შეზღუდულია ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპით. სასამართლო არ შეიძლება იქცეს „ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ“ და დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს თავად.

გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონი (§40) განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორ-

⁴⁴ პ. ტურავა, ნ. ნეკულაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2010, 241-247.

ციელების წესს, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (§114) ადგენს სასამართლოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების სასამართლო კონტროლის წესს. სასამართლო ვალდებულია, დისკრეციული უფლებამოსილება შეამოწმოს საპროცესო კანონში არსებული კონკრეტული წესის დაცვით.

გერმანიის საკანონმდებლო რეგულირებებისაგან განსხვავებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების შემოწმების წესს. იგი ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს სასამართლოს ვალდებულებას, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონიერება შეამოწმოს კანონის ფარგლებისა და მიზნის შესაბამისად.

მნიშვნელოვანია, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში აისახოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების კონტროლის კონკრეტული წესი.

ეს შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს, განახორციელოს ეფექტიანი მართლმსაჯულება და დაიცვას პირი ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობისაგან. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გაიაზრებს პასუხისმგებლობას და მინიჭებულ უფლებამოსილებას განახორციელებს კანონის მიზნის შესაბამისად, კანონის ფარგლების დაცვით.

ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარება საქართველოში ევროპის საბჭოს კონვენციის მიხედვით

ქეთევან ხუციშვილი

„სასამართლო მიიჩნევს, რომ ადამიანებით ვაჭრობა თავისი არსითა და ექსპლუატაციის მიზნით ... ადამიანებს გასაყიდი და შესაძენი საგნების მსგავსად მოიაზრებს ...“¹

1. შესავალი

მსოფლიოში მონობის ორი საუკუნის წინ აკრძალვის მიუხედავად, ევროპის საბჭოს ფარგლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ანუ სხვაგვარად მონობის, თანამედროვე ფორმის² წინააღმდეგ მიმართული სპეციალური კონვენცია მხოლოდ XXI საუკუნეში შემუშავდა.³ ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენციის⁴ (შემდგომში – „კონვენცია“) ძალაში შესვლა კი 2008 წლამდე ვერ მოხერხდა.⁵ ეს კონვენცია ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული პირველი დოკუმენტი არ არის, რომელიც მონობის ახალი ფორმისაგან ადამიანის დაცვისკენ არის მიმართული. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში – „ევროპული კონვენცია“) მე-4 მუხლით იძულებითი შრომისაგან ადამიანის დაცვასთან ერთად, 1980-იანი წლების მიწურულიდან ევროპის საბჭო ამ სფეროში მრავალი ინიციატივით გამოვიდა. ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდა ამ ფენომენის წინააღმდეგ საბრძოლველად სამართლებრივი ჩარჩოს

1 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ (*Rantsev v. Cyprus and Russia*), 2010 წლის 7 იანვარი, 281-ე პუნქტი.

2 იხ. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენციის პრეამბულა, მე-4 აბზაცი: „[ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და წინამდებარე კონვენციის სხვა ხელმომწერი სახელმწიფოები] ... მიიჩნევენ რა, რომ ადამიანებით ვაჭრობას, შესაძლოა, შედეგად მოჰყვეს მსხვერპლთა მონურ მდგომარეობაში ჩაყენება...“

3 კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა 2005 წლის 16 მაისს, ქ. ვარშავაში.

4 *Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings (CETS No. 197)*.

5 კონვენცია ძალაში შევიდა 2008 წლის 1 თებერვალს. კონვენციის ძალაში შესასვლელად საჭირო იყო ათი სარატიფიკაციო სიგელის დეპონირება, რომელთაგან რვა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოსგან უნდა ყოფილიყო. საქართველომ კონვენციის რატიფიცირება 2007 წლის 14 მარტს მოახდინა და, შესაბამისად, იმ სახელმწიფოთა ათეულში მოხვდა, რომლებმაც პირველი მოახდინეს რატიფიცირება.

შექმნა. ამ თვალსაზრისით, ევროპის საბჭოს როგორც მინისტრთა კომიტეტმა,⁶ ისე საპარლამენტო ასამბლეამ⁷ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული სპეციალური კონვენციის მიღებამდე მრავალი დოკუმენტი შემიმუშავა.

უდავოა, რომ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მხოლოდ ცალკე მდგომი დანაშაული არ არის. ეს დანაშაული საფუძველშივე აზრს უკარგავს ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სამართლებრივ ჩარჩოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციის, საქმიანობას. ამის მიზეზი მარტივია: ადამიანის თავისუფლების უარყოფა და მისი მონურ მდგომარეობაში ჩაყენება წინაპირობაა მისთვის უფლებების აყრისა და, შესაბამისად, ევროპული კონვენციითა თუ ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სხვა უნივერსალური თუ რეგიონალური საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი ნებისმიერი უფლების უგულბელებად.

კონვენციის შემუშავებამდე და მის ძალაში შესვლამდე ევროპის სამართლებრივ სივრცეში იძულებითი შრომისაგან, რაც თანამედროვე პირობებში შესაძლოა გახდეს მონურ მდგომარეობაში ადამიანის ჩაყენების ტოლფასი, თავისუფლება ევროპული კონვენციის მე-4 მუხლით იყო უზრუნველყოფილი. ამ დებულებაზე დაყრდნობით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მხოლოდ ორი საქმით შემოიფარგლება, რომელთაგან პირველზე 2005 წელს გამოიტანა სასამართლომ გადაწყვეტილება,⁸ მეორე გადაწყვეტილება კი ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ 2010 წელს მიიღო.⁹ შესაბამისად, სამართლებრივი ანალიზისათვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არცთუ ისე ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მიერ კონვენციის რატიფიცირებისას ეროვნული კანონმდებლობის შემუშავებამ საქართველოს სამართლებრივ სივრცეში სრულიად ახლებური დებულებები და, შესაბამისად, პრაქტიკა წარმოშვა. წინამდე-

6 იხ.: Recommendation R(2000) 11 of the Committee of Ministers to member states on action against trafficking in human beings for the purpose of sexual exploitation; Recommendation Rec. (2001) 16 of the Committee of Ministers to member states on the protection of children against sexual exploitation.

7 იხ.: Recommendation N1325(1997) on traffic in women and forced prostitution in Council of Europe member States; Recommendation No.1450(2000): Violence against women in Europe; Recommendation N1523(2001): Domestic slavery; Recommendation N1526(2001): A campaign against trafficking in minors to put a stop to the east European route: the example of Moldova; Recommendation N1545(2002): Campaign against trafficking in women; Recommendation N1610(2003): Migration connected with trafficking in women and prostitution; Recommendation N1611(2003): Trafficking in organs in Europe; Recommendation N1663(2004): Domestic slavery: servitude, au pairs and "mail-order brides".

8 იხ. სილიდანი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Silidan v. France*), 2005 წლის 26 ივლისი.

9 იხ. რანტსევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ (*Rantsev v. Cyprus and Russia*), 2010 წლის 7 იანვარი.

ბარე სტატიის თემად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) არჩევა სწორედ იმითაა განპირობებული, რომ ამ თემასთან დაკავშირებით საერთაშორისოსამართლებრივი ბაზის განვითარების სიახლის პირობებში საინტერესოა, თუ რამდენად შეძლო საქართველომ საკუთარი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ამ სფეროში ახლად შექმნილი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად განვითარება.

2. სტატიის ინტერესის სფერო

2006 წლიდან მოყოლებული, საქართველომ მკაფიო პოლიტიკური ნება გამოავლინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ როგორც პრევენციული ღონისძიებების გატარების, ისე მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისა და დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად. ბუნებრივია, ამ საქმიანობას სამართლებრივი ბაზის შექმნა უნდა დასდებოდა საფუძვლად.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისთვის შექმნილი ეროვნული რეფერალური მექანიზმის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას და იმის დადგენას, თუ რამდენად ეფექტიანია რეფერალური მექანიზმით დადგენილი დახმარება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამას საჭიროებენ.

წინამდებარე სტატიაში მოკლედ მიმოხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, როგორც ადამიანთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კუთხე. სტატიის ინტერესის ფარგლებში მოქცეული საკითხების ანალიზისათვის უმნიშვნელოვანესია იმის დადგენა, თუ ვინ არის მსხვერპლი.

მსხვერპლთა სწორი იდენტიფიცირება, მსხვერპლთა მიერ ზეგავლენის დაძლევისა და მათთვის გამორკვევის პერიოდის მიცემა, მსხვერპლთა დაცვა, მსხვერპლთათვის დახმარების განევა დისკრიმინაციის გარეშე, გენდერული თანასწორობა, მათთვის ცხოვრების ნებართვის მინიჭება, ისე როგორც მსხვერპლთა იურიდიული დახმარება, კომპენსაცია, მსხვერპლთა უსაფრთხო დაბრუნება სამშობლოში, პირადი ცხოვრების დაცვა, საერთაშორისო თანამშრომლობა და თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან – არის იმ საკითხთა წრე, რომლებიც წინამდებარე სტატიის ფარგლებში ერთმანეთთან კავშირში იქნება განხილული.

იმის გათვალისწინებით, რომ მსხვერპლ არასრულწლოვანთა¹⁰ საკითხი განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს, წინამდებარე ნაშრომი განიხილავს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის ზოგად მექანიზმებს და

¹⁰ ბავშვთა დაცვის გაეროს კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად — 18 წლამდე პირი.

არ მოიცავს ბავშვთა დაცვის სპეციფიკურ საკითხებს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვები, როგორც სამართალდამცველი ორგანოების სტატისტიკით,¹¹ ისე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში – „ფონდი“) მონაცემებით,¹² საქართველოში, საბედნიეროდ, უკიდურესად გამონაკლისი შემთხვევაა.

სხენებული საკითხების განხილვამდე სტატიის მიზნიდან გამომდინარე, უპრიანია ამ სფეროში საქართველოში 2003 წლიდან კანონმდებლობის შექმნის პროცესისა და შექმნილი კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა.

3. საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი ბაზის შექმნა

საქართველომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფომ, მასზე შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტებით¹³ დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულებების კვალდაკვალ წარმართა საქმიანობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განსახორციელებლად. ამ რთული და მრავალმხრივი პრობლემის დასაძლევად საქართველოში 2003 წლის მიწურულიდან გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, რომელთა საბოლოო მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება, მსხვერპლთა დაცვა და ამ დანაშაულის ჩამდენთა მიმართ ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. ამ მიზნის მისაღწევად წლების განმავლობაში საქმიანობა ნაბიჯ-ნაბიჯ, სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდებოდა. 2003 წელს ეს მრავალმხრივი საქმიანობა სისხლის სამართლის კოდექსში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის¹⁴ შემოღებით დაიწყო. ამას მომდევნო წლებში მოჰყვა

11 2007 წლის მონაცემით, გამოძიება მიმდინარეობდა სულ ორ საქმეზე, რომლებშიც დაზარალებული 16-18 წლამდე ასაკის, ერთი ყირგიზეთისა და ერთი საქართველოს მოქალაქე იყო. 2009 წლის მონაცემებით, არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2 საქმეზე.

12 ფონდის დახმარება გაენია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ/დაზარალებულ 3 პირს, 16-18 წლამდე.

13 გაეროს 2000 წლის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის დამატებითი ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ, ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 22 დეკემბრის N 4086-რს დადგენილებით.

14 2003 წლის 6 ივნისის რედაქცია: „მუხლი 143¹. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)
1. ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარჩევების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, მანტაყით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადაძალა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, –
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დებულებების დახვეწა¹⁵ და დადგენილი სანქციის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.¹⁶

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის¹⁷ (შემდგომში – „კანონი“) მიღებასთან ერთად გამოიცა და დაიხვეწა ის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფოს მიერ მკაფიოდ გამოვლენილი ნების — განხორციელებინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ კომპლექსური ღონისძიებები ამ დანაშაულის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიმართულებებით — ინსტიტუციური განმტკიცება და შესაბამისი პრაქტიკის სწრაფი დაწერგვა განაპირობა.

ამდენად, 2003-2007 წლებში საქართველოში შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც სხვა მნიშვნელოვან და ზემოთ უკვე ნახსენებ მიმართულებებთან ერთად ამ დანაშაულის თანმდევი და მისი განუყოფელი იმ პრობლემებისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, რომლებიც დანაშაულის მსხვერპლთა რეაბილიტაციასა და მათს საზოგადოებაში რეინტეგრაციას უზრუნველყოფს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ერთია სახელმწიფოს მიერ საჭიროებისა და ნების დეკლარირება და, მეორე, უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ხდება კანონმდებლობით უზრუნველყოფილი დაცვის მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება, რაც წინამდებარე სტატიაში განიხილება.

4. საქართველოს კანონმდებლობა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის შესახებ: მოკლე მიმოხილვა

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაცია საქართველოში 2003 წელს მოხდა. სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი 143-ე¹ და 143-ე² მუხლებით დასჯადად გამოცხადდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული, რომელიც მიმართულია სრულწლოვანი ადამიანების წინააღმდეგ,

მუხლი 143². არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

1. არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადაძალა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე.“

15 2006 წლის 25 ივლისი.

16 შეცვლილი სანქციები:

„მუხლი 143¹. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

„... ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შეიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობს დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით.“

მუხლი 143². არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

„... ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით.“

17 2006 წლის 28 აპრილი, N2944-ის.

და ცალკე დასჯადად ცხადდება არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი). 2007 წელს სისხლის სამართლის კოდექსში 143-ე³ მუხლის შეტანით დასჯადად გამოცხადდა აგრეთვე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დეფინიცია სრულად შეესაბამება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას,¹⁸ რომლის რატიფიცირებაც საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 22 დეკემბრის №4086-რს დადგენილებით მოხდა. ცოტა ხნით ადრე, 2006 წლის ივნისში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ ოქმის რატიფიცირების თაობაზე“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, კონვენციის შესაბამისად, თანაბრად დასჯადია ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) შრომითი ექსპლუატაციისა და სექსუალური ექსპლუატაციისათვის. ხაზგასასმელია ის, რომ ამ დებულებათა მოქმედება ვრცელდება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ შიდა ტრეფიკინგის ფაქტებზე, ისე იმ ფაქტებზეც, როდესაც დანაშაულის მსხვერპლთა ექსპლუატაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ ხდება, თუმცა, სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს იურისდიქციის დადგენა შესაძლებელია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ჩადენა დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ამ დანაშაულის ჩამდენთა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად არის მიჩნეული.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი მკაცრი სანქციებისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის მექანიზმების შემოღებასთან ერთად, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სპეციალური კანონი¹⁹ „განსაზღვრავს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებამოსილებებს, ვალდებულებებსა და მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს, აგრეთვე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა

¹⁸ იხ. კონვენცია, მე-4(ა) მუხლი.

¹⁹ იხ. მე-17 სქოლიო და შესაბამისი ტექსტი.

სამართლებრივ მდგომარეობას, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.“

აღსანიშნავია, რომ კონვენციის მოთხოვნების საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში იმპლემენტაციის მიზნით, სპეციალური კანონის მიღებასთან ერთად, ცვლილებები და დამატებები შევიდა ისეთ ნორმატიულ აქტებში, როგორებიცაა: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ, საქართველოს კანონი სასაზღვრო პოლიციის შესახებ, და სხვ. კანონის საფუძველზე გამოიცა მთელი რიგი ნორმატიული აქტებისა, რომლებიც, კონკრეტულ უწყებათა საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აწესრიგებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში საქართველოს ხელისუფლების მიერ დასახული ამოცანების შესრულებას.

კანონმდებლობის შექმნისა და დახვეწის კვალდაკვალ, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებისათვის, ამ დანაშაულის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და დამნაშავეთა ეფექტიანი დევნისათვის საქართველოში დინამიკურად გატარდა აგრეთვე მთელი რიგი ღონისძიებებისა, პრაქტიკაში მათი სათანადოდ განხორციელების კუთხით.

კანონის საფუძველზე, რომელიც საქართველოში ტრეფიკინგის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციას ისახავს მიზნად, 2006 წელს შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. კანონით ასევე დადგინდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) შექმნა და ორი თავშესაფარი ამოქმედდა კიდევ 2006-2007 წლებში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. თავშესაფრებში ხდება ტრეფიკინგის დანაშაულის შედეგად როგორც დაზარალებულად, ისე მსხვერპლად²⁰ ცნობილი ადამიანების განთავსება, დახმარება და რეაბილიტაცია.

ამასთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით შექმნილმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელმა საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ შეცვალა მანამდე მოქმედი დროებითი საკოორდინაციო ორგანო. მუდმივმოქმედმა საკოორდინაციო საბჭომ 2006 წლის ბოლომდე დაამტკიცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონით გათვალისწინებული ყველა ის აქტი, რომლებიც იძლევა საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)

²⁰ განსხვავება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) „მსხვერპლსა“ და „დაზარალებულს“ შორის იხ. ქვემოთ.

წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების ეფექტიანი გატარების შესაძლებლობას. აღნიშნული აქტები, სხვებთან ერთად, მოიცავს სამოქმედო ინსტრუქციას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დასაცავად (ეროვნულ რეფერალურ მექანიზმს). თუმცა ამ სამართლებრივი ბაზის გამოყენების დასაწყებად უმნიშვნელოვანესია იმის დადგენა, თუ როგორ უნდა მოხდეს პირის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლობის დადგენა.

5. ვინ არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი?

კონვენცია²¹ და „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“, ისევე როგორც გაეროს დოკუმენტი „ადამიანის უფლებებისა და ადამიანებით უკანონო ვაჭრობის სფეროში რეკომენდებული პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები“ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ღონისძიებების განხორციელებისას უპირატეს და ძირითად მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვას.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის თავისებურებებიდან გამომდინარე, ამ მოქმედების მარწმუნებში მოქცეული ადამიანებისათვის სამართლებრივი სტატუსის მისანიჭებლად საკანონმდებლო სივრცეში ტერმინების განმარტებაც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.²²

მსხვერპლის განსაზღვრება, „ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად, ასახავს ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას მას შემდეგ, რაც იგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბაღში აღმოჩნდება. ეს კი კონვენციაში ასეა განმარტებული: მსხვერპლია „ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც წარმოადგენს ადამიანებით ვაჭრობის ობიექტს [კონვენციის] მუხლის განსაზღვრების შესაბამისად“,²³ რაც გულისხმობს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც დაექვემდებარა კონვენციის მე-4 მუხლის (ა) პუნქტით დადგენილი ელემენტების (ქმედება — საშუალება — მიზანი) ერთობლიობას.²⁴

21 იხ. განმარტებითი მოხსენება, ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ, 289-ე პუნქტი.

22 მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობით ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებებია „მსხვერპლი“ და „დაზარალებული“. ამ ცნებებს შორის განსხვავება დეტალურად იხ. ქვემოთ.

23 ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ (ევროპის საბჭოს ხელშეკრულებების სერია, N197, [www.coe.int/trafficking], მე-4(ე) მუხლი.

24 განმარტებითი მოხსენება, ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ, მე-100 პუნქტი.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მახეში მოხვედრილი ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობის აღწერა, როგორც ეს კონვენციაშია მოცემული, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისათვის ვერ იქნება პირდაპირ გაზიარებული. სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისათვის, სხვებთან ერთად, საქართველოს სამართლებრივ სივრცეშიც, საჭიროა იმ პროცესუალური ნორმების დაცვით პირისათვის სისხლის სამართლის პროცესში სტატუსის მინიჭება, რომლებიც დადგენილია შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებით.

ამდენად, გასათვალისწინებელია იმის აღბათობა, რომ კონვენციისეული განმარტებით „მსხვერპლი“ პირდაპირ ვერ იქნება აღქმული სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელობით „დაზარალებულ“ პირად.

ამ დეტალების გარკვევას სტატიის მიზნებისათვის იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც საჭიროა გაირკვეს – საქართველოს სახელმწიფოს მიერ შექმნილი დაცვისა და დახმარების სისტემის ფარგლებში რა სახის დახმარების მიღების მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს ფიზიკურ პირს, რომელიც ამ დანაშაულის ბადაში გაება.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისათვის ამა თუ იმ ქვეყნის რეფერალური მექანიზმით დადგენილი უფლებებით სარგებლობის ეფექტიანობის შესაფასებლად საჭიროა იმ თავისებურებების მხედველობაში მიღება, რომლებიც შეიძლება თან სდევდეს თითოეული მსხვერპლის ინდივიდუალურ შემთხვევას, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, შეიძლება განპირობებული იყოს მსხვერპლის ასაკით, სქესით, მისი კულტურული გარემოს თავისებურებებითა და ექსპლუატაციის ფორმით, ხანგრძლივობით, პირობებითა და სხვ.

შესაბამისად, წინამდებარე სტატიის შეზღუდული ფორმატის გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემულია საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის რეფერალური მექანიზმით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას მსხვერპლისა და დაზარალებულის სტატუსის მქონე ადამიანებისათვის დადგენილი დახმარებისა და რეაბილიტაციის შესაძლებლობების ანალიზი, კონვენციითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების გარკვეული წრის შერჩევით.

6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირება

იმისათვის, რომ პირმა, საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, მისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება. საქართველოს კანონმდებლობა, რომელსაც 2006 წლიდან განვითარებული

ლი პრაქტიკა აბსოლუტურად შეესაბამება, უნდა განვიხილოთ ორი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით.

საქართველოს სახელმწიფო პირს საშუალებას აძლევს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციისათვის მიიღოს „მსხვერპლის“²⁵ ან „დაზარალებულის“²⁶ სტატუსი. მართალია, ამ სტატუსების მიღების თავისებურება ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღოს ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) დაქვემდებარებული პირისათვის განსაზღვრულ სტატუსთაგან ერთ-ერთი და, ამდენად, სრულად ისარგებლოს საქართველოს სახელმწიფოს მიერ შესაბამისი სტატუსის მქონე პირისათვის განსაზღვრული უფლებებით, შეღავათებითა და მომსახურებით. თუმცა, ვიდრე „მსხვერპლისა“ და „დაზარალებულის“ სტატუსის მქონე პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებისა და მათ რეალური განხორციელებაზე გამახვილდება ყურადღება, მნიშვნელოვანია იმ საკანონმდებლო ნორმებზე შეჩერება, რომლებიც აწესრიგებს კანონის ფარგლებში ამ სტატუსის მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამ თვალსაზრისით, ხაზგასასმელია ის საკანონმდებლო ნოვაცია, რომელიც საქართველოში დაინერგა სპეციალურად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ნორმატიული ბაზის შემუშავების დროს: კანონი ითვალისწინებს სპეციალური – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუნყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან – მუდმივმოქმედი ჯგუფის²⁷ შექმნას,²⁸ რომელსაც ექნება განსაკუთრებული კომპეტენცია და მანდატი, მიიღოს გადაწყვეტილება პირისათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის²⁹ სტატუსის მისანიჭებლად.

მუდმივმოქმედი ჯგუფი საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში ნოვაციაა და მისი ამოქმედება მნიშვნელოვანი ბერკეტია იმ ადამიანთა უფლებების დასაცავად, რომლებსაც XXI საუკუნის მონობად ნოდებული³⁰ მოვლენის მსხვერპლად მოუხდათ ყოფნა, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო,³¹ არ სურთ ან არ შეუძლიათ სამართალ-

25 საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, მე-3 მუხლის „კ“ პუნქტი.

26 იქვე, მე-3 მუხლის „პ“ პუნქტი.

27 ჯგუფის შემადგენლობა მრავალფეროვანია და ადამიანის უფლებების დაცვის სხვადასხვა პოზიციის წარმოსაჩენად მასში შედიან: საქართველოს სახალხო დამცველის, შესაბამისი სპეციალიზაციით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

28 კანონი, მე-11 მუხლი.

29 განსხვავებით სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას დაზარალებულის სტატუსისგან.

30 იხ., ზოგადად, ამ საკითხთან დაკავშირებით: მე-2 და 61-ე სქოლიო, და შესაბამისი ტექსტი.

31 ასეთი, ევროპული კონვენციით, შეიძლება იყოს: შიში, სირცხვილი, ა.შ.

დამცავ ორგანოებთან ურთიერთობა. მართალია, კანონის შესაბამისად, ამ საკითხს მუდმივმოქმედი ჯგუფი იხილავს, „...პირის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დანესებულების (თავშესაფრის) ან შესაბამისი დანესებულებისათვის მიმართვიდან არა უგვიანეს 48 საათისა...“³² კანონის ჩანაწერი არ უნდა იქნეს პრაქტიკაში გაგებული ისე, რომ მხოლოდ კანონის მიერ მკაცრად განსაზღვრული ორგანოებისათვის მიმართვით შეუძლია ტრეფიკინგის სიტუაციაში მყოფ ადამიანს ამ უფლების განხორციელება. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მუდმივმოქმედი ჯგუფისათვის მიმართვა ხდება სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა თუ სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით.

რაც შეეხება ვადას, რომელიც მუდმივმოქმედ ჯგუფს კანონმდებლობით აქვს განსაზღვრული და ითვალისწინებს პირის მიერ მსხვერპლის სტატუსის მისაღებად მიმართვიდან არა უმეტეს 48 საათს იმისათვის, რომ განცხადება განხილული იყოს: ფონდის მონაცემებით, რომელიც ვალდებულია, მოახდინოს ჯგუფის მიერ განხილული შემთხვევების სისტემატიზაცია, 2006 წლის მინურულიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ფონდი საქმიანობას შეუდგა და მუდმივმოქმედი ჯგუფიც ჩამოყალიბდა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოხდა განხილვისათვის დადგენილი ვადის გადაცილებით მიმართვის განხილვა.³³ ეს ამ სისტემის გამართულ და უფლებებზე ორიენტირებულ მუშაობას მოწმობს.

რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს პირისათვის კანონმდებლობით დადგენილი „მსხვერპლის“ სტატუსის მინიჭებას და რა გარანტიებს ადგენს ეს სტატუსი შესაბამისი ადამიანისათვის? საქართველოს საკანონმდებლო რეგულირება და შესაბამისი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ორივე შემთხვევაში, ადამიანი საქართველოს სახელმწიფოსგან თანაბარი დაცვისა და დახმარების გარანტიებს იღებს. უფრო მეტიც, ევროპული კონვენციის სულისკვეთებით, შეუზღუდავი და სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის „დაზარალებულად“ აღიარებული პირის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა ხდება ამ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოს მიერ. ერთადერთი რეალური განსხვავება, რომელიც უშუალოდ სამართალდამცავ ორგანოებთან მიმართებით იკვეთება, არის, საჭიროების შემთხვევაში, დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება დაზარალებულთან მიმართებით. ეს გულისხმობს იმას, რომ პირს, რომელიც საკუთარი არჩევანით გადაწყვეტს, არ აცნობოს თავისი ტრეფიკინგის სიტუაციის შესახებ

32 საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მე-11(1) მუხლი.

33 ვადის გადაცილების საჭიროება განაპირობა მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ დამატებითი ინფორმაციის მიღების აუცილებლობამ, რადგან ჯგუფისათვის სპეციალურად შევსებული კითხვარი არ იყო საკმარისი ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად.

სამართალდამცავ ორგანოებს, ვერ ისარგებლებს სამართალდამცავი ორგანოების ხელთ არსებული დაცვის სპეციალური ღონისძიებებით. ამ შემთხვევაში მისთვის შექმნილია ალტერნატიული — მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურა.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი სტატუსის მინიჭების ალტერნატიული შესაძლებლობები, ისევე როგორც განვითარებული პრაქტიკა, სრულად შეესაბამება კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს, ადამიანის უფლებების დაცვის პრიზმაში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მაქსიმალური გარანტიის შესაქმნელად.

7. მსხვერპლთა მიერ ზეგავლენის დაძლევა და გამორკვევის პერიოდი

კონვენციით დადგენილი მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისას აუცილებლად უნდა შევეხოთ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მიერ მათზე ექსპლუატაციის ზეგავლენის დაძლევისა და გამორკვევის შესაძლებლობის მომცემი პერიოდის საკითხს.

საქართველოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარებისათვის შექმნილი სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია ის მოსაფიქრებელი ვადა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობაში ასახულია ევროპული კონვენციის შესაბამისად. საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ³⁴ ითვალისწინებს 30-დღიან მოსაფიქრებელ ვადას, რომლის განმავლობაშიც, ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტის³⁵ შესაბამისად, პირს, რომელიც, სავარაუდოდ, ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა, ეძლევა შესაძლებლობა, 30 დღის განმავლობაში იფიქროს და მიიღოს გადაწყვეტილება, ითანამშრომლებს თუ არა საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან მის წინააღმდეგ, სავარაუდოდ, ჩადენილი დანაშაულის გამოძიებაში. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პირი მიიღებს გადაწყვეტილებას, ნებისმიერი მიზეზით არ ითანამშრომლოს საქართველოს საგამოძიებო ორგანოებთან მის წინააღმდეგ, სავარაუდოდ, ჩადენილი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევის გამოძიების პროცესში, ასეთი ადამიანი, ბუნებრივია, ვერ მიიღებს სამართალდამცავი ორგანოებისგან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეზე დაზარალებულის სტატუსს და მონმის დაცვის სპეციალური ღონისძიებებით სარგებლობის შესაძლებლობას საქართველოს სისხლის-სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით. მიუხედავად ამისა, მას აქვს სრული შესაძლებლობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მსხვერპლის დაცვისა და დახმარების სტანდარტების შესაბამისად მიიღოს დახმარება სახელმწიფო ფონდიდან,

³⁴ კანონი, მე-12 მუხლი.

³⁵ კონვენცია, მე-13 მუხლი.

იმ შემთხვევაში, თუ მუდმივმოქმედი ჯგუფი მიანიჭებს ასეთ პირს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლის სტატუსს.

საქართველოს კანონმდებლობით მოსაფიქრებელი ვადის განსაზღვრა განპირობებულია ერთი მოტივით – იმ ადამიანებისათვის, რომლებიც შესაძლოა დაცვასა და დახმარებას საჭიროებენ, მაგრამ არ სურთ ან არ შეუძლიათ სამართალდამცველ ორგანოებთან თანამშრომლობა, მოხდეს კვალიფიციური ჯგუფის მიერ მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემდეგ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შესაბამისი დახმარებისა და მხარდაჭერის აღმოჩენა როგორც დაცვის, ისე რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მხრივ.

8. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა

როგორც აღინიშნა, ევროპის საბჭოს მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სპეციალური კონვენციის მიღების უმთავრესი განმაპირობებელი ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცება არის, ერთი სპეციფიკური უფლების ჩრილში. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით, კონვენციის დებულებებში ფართო ადგილი უკავია ნორმებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებით.³⁶

საქართველოს კანონმდებლობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების ჩამონათვალში ასევე დიდ ადგილს უთმობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმებს. ამ სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტია მსხვერპლთა მხარდასაჭერად შექმნილი რეფერალური მექანიზმი, რომელიც ისეთი დოკუმენტებისაგან შედგება, როგორებიცაა:

ა) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტები და წესი;

ბ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სტრატეგია.

საქართველოს პრაქტიკაში რეფერალური მექანიზმის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების ორ ნაწილად დაყოფა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით,³⁷ მათ შორის მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ აღინიშნოს ის, რომ საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის სისტემის შექმნა ნაბიჯ-ნაბიჯ და სხვადასხვა ეტაპის შეფასების შედეგად ხდებოდა. ამდენად, რეფერალური მექანიზმის შემადგენელი დოკუმენტებიც სხვადასხვა დროს იქნა მიღებული: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტები და წესი თარიღდება 2006 წლით, ხოლო რაც შეეხება ადამიანით ვაჭრობის

³⁶ კონვენცია, III თავი.

³⁷ დისკუსია, შორის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ორგანიზებული მრგვალი მაგიდა, თბილისი, 2008 წლის 29 მაისი.

(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სტრატეგიას, ის 2007 წლის ივლისში მიიღო საკოორდინაციო საბჭომ.

ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის გარანტიებისა და რეფერალური მექანიზმით დადგენილი უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ საქართველოს კანონს ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. კანონი განსაზღვრავს „საქართველოში ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს... აგრეთვე ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.“³⁸

კანონის მე-2 მუხლში ჩამოთვლილია ნორმატიული აქტების მიზნები, რომელთა შორის ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის დაცვა რამდენჯერმე არის დეკლარირებული. კერძოდ, კანონის მიზანია:

„ა) უზრუნველყოს ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა უფლებების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია;

...

დ) განსაზღვროს ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისათვის, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციისათვის სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და იურიდიული პირების თანამშრომლობის პრინციპები“.

კანონი ასევე განსაზღვრავს იმას, რომ „სახელმწიფო ხელს უწყობს ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას, ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვას, მათ დახმარებასა და რეაბილიტაციას, ახორციელებს ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს.“³⁹

კანონით გათვალისწინებული დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების განსახორციელებლად სახელმწიფოს ვალდებულება კანონმა განსაზღვრა კიდევ ერთი ნორმით. კერძოდ, კანონის მე-9 მუხლით დადგენილია, რომ „ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი — ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა

³⁸ 1-ლი მუხლი.

³⁹ 4(2)-ე მუხლი.

ბულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“.

ფონდის სპეციფიკური მანდატის საზღვარს კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხეა. კანონის შესაბამისად, „ფონდის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის კომპენსაციის გაცემა და მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების დაფინანსება.“⁴⁰

მსხვერპლთა დაცვა და მათთვის რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა რომ საქართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, ნათლად ჩანს კანონში ამ საკითხისადმი მნიშვნელოვანი ყურადღების გამოჩენით. კერძოდ, ზოგადი კომპეტენციის განსაზღვრის შემდეგ კანონი კონკრეტულ თავს უთმობს ამ საკითხს და სპეციფიკურად ადგენს მსხვერპლთა დაცვის ჩარჩოს და კანონის IV თავი სრულად ეთმობა ისეთ საკითხს, როგორცაა „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია“.

მსხვერპლთა დაცვის სფეროში საქართველოში განვითარებული პრაქტიკა ძალზე საინტერესოა, თუმცა, სტატიის შეზღუდული ფორმატიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შემოვიფარგლებით მხოლოდ ფაქტის კონსტატირებით და იმის სურვილის გამოხატვით, რომ საქართველოში განვითარებული პრაქტიკის იმ ქვეყნებში განმეორება მოხდეს, შესაბამისი თავისებურებებით, რომლებიც ამ სისტემის შექმნის საწყის ეტაპს გადინა.

9. მსხვერპლთათვის დახმარების განევა, დისკრიმინაციის გარეშე

ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ ამ დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის ფართო მექანიზმებს აყალიბებს, თუმცა მათი უზრუნველყოფისათვის გარკვეულ შეზღუდვებსაც ანებს. მაგალითისთვის შეიძლება აღვნიშნოთ ის, რომ ჯანდაცვის სფეროში კონვენციის მე-12(3) მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოს ტერიტორიაზე მხოლოდ კანონიერად მყოფ პირებთან მიმართებით არის გათვალისწინებული სრული სამედიცინო მომსახურება.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კი, სამედიცინო დახმარება ყველა მსხვერპლსა და დაზარალებულს თანაბრად მიენიჭება. ასეთ შემთხვევებს ერთნაირი ყურადღებით იხილავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, მიუხედავად იმისა, რა საემიგრაციო სტატუსი აქვს ადამიანს საქართველოს ტერიტორიაზე.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში დაცვის მექანიზმები ხელმისაწვდომია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი და დაზარალებული ყველა პირისათვის, მიუხედავად წარმოშობის ქვეყნისა და იმისა, თუ სად მოხდა მათი ტრე-

40 მე-9(6) მუხლი.

ფიკინგისადმი დაქვემდებარება — საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, რაც სრულად შეესაბამება ევროპული კონვენციის მოთხოვნას.⁴¹

უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც საქართველოს ნორმატიული ბაზა ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის კუთხით უფრო შორსაც მიდის, ვიდრე ამას ევროპული კონვენცია მოითხოვს.⁴² ამის მაგალითად შეიძლება მოშველიებულ იქნეს მსხვერპლთათვის ფონდის მიერ ფართო შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ჩართულნი იყვნენ პროფესიული განათლებისა თუ სხვა ფორმით საკუთარი შესაძლებლობების განვითარებაში, მიუხედავად მათი საემიგრაციო მდგომარეობისა საქართველოს ტერიტორიაზე.

შესაბამისად, საქართველოში დანერგილი პრაქტიკა ეფუძნება ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ მიდგომასა და, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) – ამ უსასტიკესი დანაშაულის – მსხვერპლთა რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციაზე აკეთებს ორიენტირებას. ეს ამკარად სცილდება კონვენციით დადგენილი დაცვის სტანდარტების მოთხოვნებს.

10. მსხვერპლის თანხმობა და გენდერული თანასწორობა

კონვენციითა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, დახმარების ყველა ღონისძიება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მსხვერპლის თანხმობით,⁴³ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსხვერპლს შოკურ მდგომარეობაში ყოფნისა თუ სხვა მსგავსი მიზეზით არ შეუძლია ასეთი თანხმობის მიცემა.

საქართველოს კანონმდებლობით, ყველა ასეთი ღონისძიება ხორციელდება მხოლოდ მსხვერპლის თანხმობით — თავშესაფარში ყოფნის ვადა და მსხვერპლის რეინტეგრაციისა და საზოგადოებაში რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმის შემუშავება აუცილებლად მოითხოვს და დამოკიდებულია კონკრეტული მსხვერპლისა თუ დაზარალებულის სურვილსა და თანხმობაზე. თანხმობა კი დახმარების საჭიროების მქონე პირისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების შედეგად უნდა იქნეს გამოხატული.

საქართველოს კანონმდებლობას მუდმივ ლაიტმოტივად გასდევს მსხვერპლთა დაცვა, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია. კანონმდებლობით დადგენილი დაცვის განსახორციელებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ დანაშაულის ბადეში მოხვედრილი ადამიანებისათვის იმ ინფორმაციის დროულად და სრულად მიწოდებას, რომელიც მათ ამომწურავად განუმარტავს კანონმდებლობით დადგენილ დაცვის მექანიზმებს. ეს მათ მიერ ინფორმირებული გადანყვეტილების მისაღებად არის უზრუნველყოფილი. ამ

⁴¹ კონვენცია, მე-3 მუხლი.

⁴² იქვე, მე-12(4) მუხლი.

⁴³ კონვენცია, მე-12(7) მუხლი.

მიზნით საქართველოს კანონმდებლობა სპეციალურ ვალდებულებას ითვალისწინებს სამართალდამცველი ორგანოებისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებისათვის, რათა მათ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს გააცნონ მისთვის კანონმდებლობით გარანტირებული უფლებები.⁴⁴

მსხვერპლთა გენდერული თანასწორობის დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კონვენციისათვის.⁴⁵ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სრულ თანასწორობას, თავისებურებების გათვალისწინებით და, შესაბამისად, დაცვისა და რეაბილიტაციისათვის ნებისმიერ მსხვერპლს აძლევს აბსოლუტურ შესაძლებლობას. თუმცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის განხილვისას ხშირად დომინირებს აზრი, რომ ამ დანაშაულის მსხვერპლნი ქალები არიან, საქართველოში განვითარებული პრაქტიკა, რაც მსოფლიო ტენდენციას ირეკლავს, ნათელს ხდის, რომ ამ დანაშაულის მსხვერპლად, ქალებთან ერთად, მამაკაცებიც საკმაოდ არიან. ამ თვალსაზრისით, ყველა პირობა უნდა იყოს შექმნილი, რაც ასეც არის საქართველოში მსხვერპლთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

11. მსხვერპლთა იურიდიული დახმარება

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა რეაბილიტაციასა და მათთვის სრულფასოვანი დახმარების განწევაზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს სამართლებრივი დახმარების მექანიზმები და ის შესაძლებლობანი, რომლებიც განკუთვნილია ამ დანაშაულის მახეში გაბმული ადამიანებისათვის.

კონვენცია ითვალისწინებს იურიდიული დახმარების უფლებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის,⁴⁶ რათა, სახელმწიფოს დახმარებით ან მის მიერ უზრუნველყოფილი მექანიზმებით, მათ სრულად უზრუნველყონ საკუთარი უფლებების რეალიზება. საქართველოს კანონმდებლობა, ერთი მხრივ, ახდენს კონვენციური დებულების იმპლემენტირებას და, მეორე მხრივ, იძლევა იმის საშუალებას, რომ პრაქტიკაში საქართველოს სახელმწიფოს სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით ჰქონდეს უზრუნველყოფილი მსხვერპლთა სამართლებრივი დახმარება.⁴⁷ როგორც ფონდისა და გამოძიების წარმოების ორგანოების პრაქტიკა ცხადყოფს, საქართველოში მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა და კვალიფიციური, მსხვერპლისთვის უფასო სამართლებრივი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა ხდება როგორც სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის მეშვეობით, ისე ფონდის მიერ კერძო საადვოკატო ფირმებთან შეთანხმების

⁴⁴ იქვე, მე-14 მუხლი.

⁴⁵ კონვენცია, მე-17 მუხლი.

⁴⁶ იქვე, მე-15(2) მუხლი.

⁴⁷ კანონი, მე-14 მუხლი.

საფუძველსა და შესაბამისი პროფილის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

ამგვარად, სახელმწიფოს მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის უზრუნველყოფილი ხარისხიანი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონვენციის შესაბამისად სრულად არის უზრუნველყოფილი.

12. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ზოგიერთი საკითხი

საქართველოს კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სრულიად ათავისუფლებს მათ, ვისაც საქართველოს სახელმწიფოს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა მოუხდათ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო.⁴⁸ დაცვის ეს სპეციფიკური ღონისძიება უდიდესი გარანტიაა მსხვერპლთა დასაცავად, თუმცა ამ მნიშვნელოვანი უფლების განხილვისას ხაზი უნდა გაეყვას იმასაც, რომ, როგორც საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ისე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, პირი მხოლოდ მაშინ არის უფლებამოსილი, გათავისუფლდეს აღნიშნული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ ამ დანაშაულის ჩადენისას იმყოფება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლის სიტუაციაში და იძულებულია, ჩაიდინოს იგი ამ მსხვერპლის მდგომარეობაში ყოფნის გამო. მსხვერპლად გახდომამდე, ასეთად გახდომის შემდეგ და ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ამგვარი მოქმედება არ შეიძლება განხილული იყოს როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ასევე ათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადების, გასაღებისა ან გამოყენებისათვის, თუ „აღნიშნული ქმედება მან ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე,⁴⁹ აქაც ნათელია კავშირი არამართლზომიერ მოქმედებასა და ადამიანის მსხვერპლად ყოფნას შორის.

13. კომპენსაცია

საქართველოს კანონმდებლობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისა და დაზარალებულისათვის ფინანსური კომპენსაციის რამდენიმე შესაძლებლობას ითვალისწინებს.⁵⁰ ამ დანაშაულის შედეგად დაზარალებულ ადამიანს, იმასთან ერთად, რომ

⁴⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 344-ე მუხლი (შენიშვნა).

⁴⁹ იქვე, 362-ე მუხლი (შენიშვნა).

⁵⁰ კანონი, მე-16 მუხლი.

კანონმდებლობით ენიჭება უფლება, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება როგორც მორალური, ისე ფიზიკური ან ქონებრივი ზიანის ნაწილში, ასევე აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ერთჯერადი კომპენსაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მეშვეობით. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კომპენსაციის გაცემის წინაპირობა არ არის სამართალდამცველ ორგანოებთან თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში. კომპენსაციის მისაღებად საჭირო პირობაა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის შესაბამისი პროცედურის დაცვით მინიჭება. საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ადამიანით მოვაჭრისათვის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის შესაძლებლობას.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები სრულად შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს.⁵¹

14. პირადი ცხოვრებისა და ანონიმურობის დაცვა

დაცვის ღონისძიებებთან მიმართებით კონვენციის უმნიშვნელოვანესი დებულებაა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გასაიდუმლოების მოთხოვნა.⁵²

ამ დებულების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის პარალელურად, კანონით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით აკრძალულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა, ისევე როგორც მონმეთა პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონმდებლობით სპეციალურად საამისოდ დადგენილი პროცედურის დაცვით, შესაბამის შემთხვევებში საჭიროა ამ ინფორმაციის გასაჯაროება.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ქცეული ადამიანების ინტერესების დაცვისა და მათი დამატებითი ტრავმირების თავიდან ასაცილებლად, ისევე როგორც მათი და მათი ოჯახების უსაფრთხოების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ითვალისწინებს ტრეფიკინგის დანაშაულზე დახურული სასამართლო სხდომის ჩატარების შესაძლებლობას.⁵³

2006 წელს, ამ დებულების შემოღების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობაში დახურული სასამართლო წარმოება ჩვეული პრაქტიკაა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ამ კუთხით ყურადღების გამახვილება უპრიანია, ყურნალისტთა პროფესიული მომზადებაა იმისათვის, რომ

51 კონვენცია, მე-15 (4) მუხლი.

52 იქვე, 30-ე(ა) მუხლი.

53 საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მე-13(2) მუხლი.

მოხდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვა. ხშირ შემთხვევაში, მედიის წარმომადგენლები სიფრთხილით არ ეკიდებიან მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვის საკითხს და საკუთარი სიუჟეტის მიზნებისთვის არ ერიდებიან სოფლის ან პატარა დასახლებული პუნქტის იდენტიფიცირებას, რის გამოც ადვილად ამოსაცნობი ხდება მსხვერპლის ვინაობა. გვხვდება ასევე შემთხვევები, როდესაც სატელევიზიო სიუჟეტის მომზადებისას მსხვერპლის სახე დაფარულია, თუმცა გადაიციემა მისი სახელი, გვარი და ინფორმაცია საცხოვრებელი ადგილის შესახებ. ამდენად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ასევე უკავშირდება ჟურნალისტთა მზადყოფნასა და სათანადო მომზადებას იმისათვის, რომ კარგად იქნეს გააზრებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვა და მათი რეაბილიტაციის პროცესის შესახებ ინფორმაციის სწორად გადაცემა. თავის მხრივ, მედიაორგანიზაციების პროფესიულმა წვრთნამ მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს მსხვერპლთა პირადი ინფორმაციისა და მათი უსაფრთხოების დაცვა-სა და სრულყოფილ რეაბილიტაციაზე. ეს კი კონვენციის მიზნების სრულყოფილ იმპლემენტაციას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს.

15. თავშესაფარი

კონვენცია მსხვერპლთა ღირსეულ პირობებში განსახლებას მოითხოვს მათი დაცვისა და დახმარების ერთ-ერთ სტანდარტად.⁵⁴ ამასთანავე, ამგვარი მომსახურებით სარგებლობა მსხვერპლთა ინფორმირებულ თანხმობას უნდა ემყარებოდეს.

კანონის მიხედვით, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში პირს ეძლევა უფლება, მიმართოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას (თავშესაფარს)“.⁵⁵ ამასთან ერთად, კანონი ითვალისწინებს სხვა უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობასაც. კანონით გათვალისწინებული სისტემის ამოქმედების შედეგად პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მსხვერპლის სტატუსის მქონე ყველა პირს, მიუხედავად მოქალაქეობისა და იმისა, თუ რომელ ქვეყანაში გახდა ტრეფიკინგის მსხვერპლი, თანაბრად აქვს უფლება, ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებითა და მომსახურებით. შესაბამისად, ეს სისტემა ეფექტიანად ამოქ-

⁵⁴ კონვენცია, მე-12(1)(ა) მუხლი.

⁵⁵ მე-11(2) მუხლი.

მედლა 2006 წლის მეორე ნახევრიდან, ანუ კანონის საფუძველზე შესაბამისი სამსახურების⁵⁶ შექმნისა და მომსახურების⁵⁷ დანერგვის შემდეგ.

იმის გათვალისწინებით, რომ რეფერალური მექანიზმით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმების შეფასებისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დაცვის მექანიზმებით ფაქტობრივ სარგებლობას, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად ხდება თავშესაფრების მომსახურებით სარგებლობა, რა სახის მომსახურების შეთავაზება შეუძლიათ ამ დანესებულებებს და რამდენად საკმარისია მათი რაოდენობა საქართველოში. პრობლემა იქმნებოდა თბილისში თავშესაფრის გახსნამდე, როდესაც საპროცესო საჭიროებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო დაზარალებულთა აჭარიდან აღმოსავლეთ საქართველოში ხშირი ტრანსპორტირება. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა — დაბინავება დროებით სასტუმროში მცირე ხნით, როგორც წესი, ერთი ღამის გასათევად, ასევე გამოიყენება პრაქტიკაში საჭიროების შემთხვევაში.

ფონდის მიერ 2006 წლიდან განვითარებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ თავშესაფრით უზრუნველყოფა, სადაც მსხვერპლნი აბსოლუტურად დაცულნი და ღირსეულ პირობებში არიან განთავსებულნი, სრულად შეესაბამება დისკრიმინაციის გარეშე მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისთვის დადგენილი კონვენციის ნორმის მოთხოვნებს.

16. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია

საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულ პირთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის მიზნით შექმნილი სისტემა. ეს მექანიზმი დაფუძნებულია თანასწორობის პრინციპზე და მოიცავს აღნიშნული ღონისძიებების დისკრიმინაციის გარეშე განხორციელების აუცილებლობას. ამასთან ხაზგასასმელია ის, რომ რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ღონისძიებები კანონით დადგენილი წესით ვრცელდება ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეზე და იმის მიუხედავად, მსხვერპლის სტატუსის მქონე პირი თანახმაა თუ არა, ითანამშრომლოს სამართალდამცველ ორგანოებთან.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი 2007 წლის მეორე ნახევრიდან იმუშავებს ინდივიდუალურ სარეაბილიტაციო გეგმებს და მათზე დაყრდნობით ახორციელებს მსხვერპლთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროგრამებს, ადამიანით ვაჭრობის

⁵⁶ როგორცაა სახელმწიფო ფონდი, თავშესაფრები.

⁵⁷ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის სტრატეგია.

(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის სტრატეგიის შესაბამისად. ამ პროგრამების განხორციელება სახელმწიფო ფონდმა დაიწყო მას შემდეგ, რაც საკოორდინაციო საბჭომ 2007 წლის ივლისში დაამტკიცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის სტრატეგია. მსხვერპლთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, სტრატეგია ითვალისწინებს რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებას, მსხვერპლის (დაზარალებულის) რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმის შედგენას მისი აქტიურად ჩართულობით და ამ გეგმის განხორციელებას არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან სახელმწიფო ფონდის თანამშრომლობის საჭიროება რამდენიმე პრინციპულ საკითხს ეფუძნება, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესია ამ ორგანიზაციების სპეციფიკური ექსპერტიზა და მათ მიერ მომსახურების მიწოდების ფართო შესაძლებლობები. მულტიდისციპლინურ მიდგომას ითვალისწინებს საქართველოში არსებული მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სისტემა, რომლის მიკროდონეზე მაკოორდინებელია სახელმწიფო ფონდის სოციალური მუშაკი. ამ სისტემის თანაბარუფლებიანი მონაწილენი არიან როგორც სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ინდივიდუალური სტრატეგიისა და გეგმის შემუშავება და განხორციელება ხდება არსებული პროდუქტისა და სხვადასხვა სუბიექტის შესაძლებლობების ერთ კალათაში თავის მოყრის პრინციპით. ამ პროცესში სახელმწიფო ფონდი დამატებით თითოეულ შემთხვევაში მომსახურებისათვის ბიუჯეტში 2000 ლარამდე თანხას ითვალისწინებს.

იმის გამო, რომ სისტემა საკმაოდ ახალია, ჯერ კიდევ მიმდინარეობს მისი გამოცდა და ამ ეტაპზე მიზანშეწონილია ორი მნიშვნელოვანი საკითხის გამოყოფა: უპირველესი და მეტად საგულისხმო საკითხია ამ საქმიანობაში ყველა სუბიექტის თანამშრომლობა და სახელმწიფო ფონდის მეშვეობით ძალზე მჭიდრო კოორდინაცია. იმ პირობებში, როდესაც საქართველოში შექმნილი სისტემა მსხვერპლთა (დაზარალებულთა) რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის ღონისძიებების ძალზე ფართო სპექტრის განხორციელების შესაძლებლობებს ითვალისწინებს, მეტად მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით საქმიანობის სწორი კოორდინაცია და სახელმწიფო ფონდის საინფორმაციო ბაზაში შესაბამისი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული თუ დაფინანსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის დროული და სრულყოფილი მიწოდება. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის მაქსიმალურად სრულყოფილი მომსახურების განევას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს

ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობის მაქსიმალურ კოორდინაციას და გააუმჯობესებს რესურსების ოპტიმიზაციასა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) რეაბილიტაციისათვის განეული ძალისხმევის ხარისხს.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა (დაზარალებულთა) რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესის სწორად და სრულყოფილად წარმართვისათვის ასევე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი სუბიექტის — სოციალური მუშაკის როლსა და მომზადების ხარისხს. საქართველოში სოციალური მუშაკის ინსტიტუტი საკმაოდ ახალგაზრდაა, ჯერ კიდევ არ არსებობს იმ ადამიანთა წრე, რომლებსაც სოციალურ მუშაკად მუშაობის სრულყოფილი გამოცდილება აქვთ. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სცილდება მხოლოდ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა (დაზარალებულთა) რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის საჭიროებას და სოციალური მუშაკის ინსტიტუტის აუცილებლობას წარმოაჩენს – დღის წესრიგში დგება სახელმწიფოს მიერ სოციალური მუშაკის ინსტიტუტის, როგორც ასეთის, გაძლიერება. ჩვენი ანალიზის თემიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა რეინტეგრაციის აუცილებლობიდან გამომდინარე საჭიროებას და ამ კუთხით უნდა გაძლიერდეს და დაიხვეწოს სოციალურ მუშაკთა ინსტიტუტი.

17.წარმოშობის ქვეყანაში უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნება და საქართველოში ცხოვრების ნებართვა

კონვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა წევრი სახელმწიფოების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა წარმოშობის ქვეყანაში უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნებაა.⁵⁸

ამ პროცესში მნიშვნელოვანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მათი სურვილის შესაბამისად სამშობლოში უსაფრთხო დაბრუნების ხელშეწყობა, რაც ყველა იმ სახელმწიფო სტრუქტურის ვალდებულებაა, რომელთაც ამ დანაშაულის ბადაში აღმოჩენილი ადამიანების დაცვისა და დახმარების კომპეტენცია აქვთ.

საქართველოს კანონმდებლობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისა და დაზარალებულისათვის, მისი სურვილის შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე თავშესაფრის მიცემის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს.

თუმცა კანონის ამოქმედებიდან არცერთ უცხოელს არ გამოუთქვამს საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებლად დარჩენის სურვილი, მაინც ხაზგასასმელია ის, რომ სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან, გაატარონ ღონისძიებები უცხოელი მსხვერპლისა და დაზარალებულის სამშობლოში უსაფრთხო დაბრუნებისთვის.

⁵⁸ კონვენცია, მე-16 მუხლი.

სახელმწიფოს მიერ დაბრუნების ხელშეწყობა საყურადღებოა არა მარტო უცხო ქვეყნის მოქალაქეთა წარმომადგენლის ქვეყანაში დაბრუნებისას, არამედ საქართველოს მოქალაქეთა უცხო ქვეყნიდან საქართველოში დაბრუნებისათვისაც. ამ მიმართულებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს როლი კიდევ უფრო აღსანიშნავია იმის პარალელურად, რომ ამ უწყების წვლილი უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა წარმომადგენლის ქვეყანაში დაბრუნების პროცესშიც ძალზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების პროგრამების, ერთი მხრივ, დაცვის, ხოლო, მეორე მხრივ, სრულყოფილად დასრულებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ისეთი რთული პროცედურის წარმატებით გავლა, როგორც მსხვერპლთა სამშობლოში უსაფრთხო დაბრუნებაა. საქართველოში დანერგილი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ასეთი დაბრუნება ხორციელდება საკმაოდ ეფექტიანად და მსხვერპლთა უფლებების დაცვით. ამ პროცესში ყველაზე აქტიურად არიან ჩართული ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, საკოორდინაციო საბჭო და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც წესი, ასეთი დაბრუნების პროცესი რთულდება და დროში იწელება, რადგან მსხვერპლთა აბსოლუტურ უმრავლესობას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არ გააჩნიათ, შესაბამისი ქვეყნების საკონსულო დანესებულებებთან ურთიერთობა ერთ-ერთი მტკივნეული და საჭირობო საკითხია.

18. თარჯიმანი

ზემოთ აღნიშნული უფლებები, სხვებთან ერთად, ასევე მოიცავს პირის უფლებას, მშობლიურ ან მისთვის გასაგებ ენაზე მოხდეს ინფორმაციის მიწოდება, როგორც საგამოძიებო და სასამართლო პროცესის მსვლელობის თაობაზე, ისე მისი სამართლებრივი სტატუსისა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებებისა და დადგენილი მოვალეობების შესახებ. საქართველოს სახელმწიფო იღებს და სრულად ასრულებს დაზარალებულის თარჯიმნითა და ადვოკატით უზრუნველყოფის ვალდებულებას. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა სრულად შეესაბამება კონვენციის მოთხოვნას ამ უფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.⁵⁹

19. დასკვნა

ცხადია, ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სასტიკი გამოვლინებაა. ადამიანის ფუნდამენტური

⁵⁹ კონვენცია, მე-12(1)(დ) მუხლი.

უფლება — იყოს თავისუფალი მონობისაგან,⁶⁰ სწორედ ის უმთავრესი ღირებულებაა, რომელიც ადამიანის სხვა მნიშვნელოვან უფლებებთან ერთად ირღვევა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევაში, როგორც ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში, ისე საერთაშორისო საზღვრების კვეთისას. XXI საუკუნის მონობად წოდებული ეს ფენომენი არა მხოლოდ ცალკე მდგომი მძიმე დანაშაულია, არამედ ის, საკუთარი ბუნებითა და მის მიერ გამოწვეული სოციალური შედეგებით, წარუშლელ დაღს ასვამს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ამ დანაშაულის მსხვერპლად იქცევა.⁶¹

საქართველოში, კონვენციის შესაბამისად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის რეფერალური მექანიზმით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია არსებული მომსახურებით სარგებლობისათვის მათი თავისუფალი ნების გამოვლენა და თანხმობის განცხადება. სწორედ ეს თანხმობაა საჭირო იმისათვის, რომ მოხდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მოთავსება უსაფრთხო თავშესაფარში, ისევე როგორც სამართლებრივი, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვა სარეაბილიტაციო მომსახურებით სარგებლობა. საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კრძალავს ამ ადამიანთა მოთავსებას დაკავების ადგილებში,⁶² რაც პრაქტიკაში სრულად არის განხორციელებული.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების ანალიზისას მნიშვნელოვანი იყო იმ პრაქტიკის მიმოხილვა, რომელიც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის შედეგად ჩამოყალიბდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო იმის გამოკვლევა, თუ რამდენად ეფექტიანია მსხვერპლთა იდენტიფიცირების არსებული მექანიზმი და რა როლი აქვთ იდენტიფიცირების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სოციალურ მუშაკებს.

კვლევის პროცესში გამოვლინდა და არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციები საკმაოდ აქტიურად არიან ჩაბმული როგორც სავარაუდო მსხვერპლის იდენტიფიცირების, ისე სახელმწიფო ფონდთან ერთად შესაბამისი დაცვისა და დახმარების ღონისძიებების განხორციელებაში. სავარაუდო მსხვერპლის რეფერირების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე სახალხო დამცველის აპარატი.

საქართველოში 2006 წლიდან ჩამოყალიბებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მოქნილია მსხვერპლთა იდენტიფიცირების პროცედურები, რომლებიც ადამიანისათვის

60 იხ.: ევროპული კონვენცია (მე-4 მუხლი); ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი.

61 იხ.: ნ. ბაქაქური, მ. მესხი, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) — თეორიული მონობა ოცდამეერთე საუკუნეში — ტრეფიკინგთან ბრძოლის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები, 2006.

62 კანონი, მე-18 მუხლი.

დახმარების სწრაფად და ეფექტიანად მიწოდებას უზრუნველყოფს და გამართულად მოქმედებს. ეს კი, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მონურ მდგომარეობაში აღმოჩენილი და, შესაბამისად, დაცვისა და დახმარების ყველაზე უფრო მეტად მთხოვნელი უამრავი მსხვერპლის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და საკუთარ თავში რწმენის აღდგენის შესაძლებლობას.

როგორც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ აღნიშნა, „ადამიანით ვაჭრობა არის ადამიანის უფლების დარღვევა და დანაშაული, მიმართული ადამიანის ღირსებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ... ტრეფიკინგი პირდაპირ უთხრის ძირს იმ ღირებულებებს, რომლებსაც ევროპის საბჭო ეფუძნება.“⁶³

ამდენად, ადამიანის ამ ძალზე მნიშვნელოვანი უფლების ქრილში საქართველოს ახლად შექმნილი კანონმდებლობისა და განვითარებული პრაქტიკის გაანალიზება ევროპის საბჭოს კონვენციის ფარგლებში იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ მტკიცე პოლიტიკური ნებისა და შესაბამისი ექსპერტიზის გამოყენებით საქართველომ შექმნა ადამიანის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი, რომელიც ევროპის საბჭოს ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისათვის, შესაძლოა, ერთგვარ გზამკვლევად იყოს გამოყენებული, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფის თვალსაზრისით.

63 იხ.: *Handbook for Parliamentarians: The Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings*, Preface by Lluís Maria de Puig, President of the Parliamentary Assembly of the Council of Europe, გვ. 7.

ავტორთა შესახებ

თეიმურაზ ანთელავა — ევროპული საუნივერსიტეტო ინსტიტუტის (European University Institute) სამართლის ფაკულტეტის მკვლევარი; საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (გაერო-ს დანაშაულისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტი (UNICRI)); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული სპეციალისტი

ირაკლი გივიანაშვილი — საერთაშორისო სამართლის დოქტორი (ნოტინგემ ტრენტის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი); საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (ჰეიდელბერგის უნივერსიტეტი, გერმანია); საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორი

დავით თოგაძე — საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (ჰელსინკის უნივერსიტეტი, ფინეთი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის უფროსი

ნათია კალანდარიშვილი — საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მაგისტრი, ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა ჟენევის აკადემია, შვეიცარია

სოფიო კუპრაძე — საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (გაეროს ინტერრეგიონული დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევითი ინსტიტუტი); მრჩეველი, საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ბენიკ ლოლაძე — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე

პასუხი მენაბდე — იურისტი; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის უფროსი

ლარს კრისტიან სუნდე — მისიის ხელმძღვანელი, ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში (NORLAG)

ლალი ფაფიაშვილი – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი

ირაკლი ყანდაშვილი — ადვოკატი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

მისაილ შარაშიძე — კონსტიტუციური სამართლის მაგისტრი (ვენის უნივერსიტეტი, ავსტრია); საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსი

რევაზ ხოჭორია — განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი; განათლების სამართლის მონვეული ლექტორი (თსუ); სამართლის მაგისტრი (ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანია)

ქატიკვან ხუციშვილი — სამართლის დოქტორი (თსუ); ადამიანის უფლებათა მაგისტრი (ლონდონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სკოლა, დიდი ბრიტანეთი); იურიდიული ფაკულტეტის ლექტორი (თსუ); სამართლისა და უსაფრთხოების საკითხების პროგრამის მენეჯერი, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში